

گاندی

3

1985

კაპიტანი ბუსაიძე

მე, ქართველი ბუსაიძე,
ბალყარეთის მთებში ვწევარ...
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.
ვინც დამხედოთ, გადაეცით
საქართველოს მთებს და ველებს,
რომ მისი ძე, ბუსაიძე,
აქა ვჟღელდი სისხლის მსმელებს;
არ ვუშვებდი დარიალთან
გააფთრებულ ყვითელ გველებს...
მე საფლავში არა ვწევარ, —
აქ დარაჯად დამაყენეს.
და ვუბარებ ყოველ ქართველს:
მისი წმინდა ვალი არი —
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეჰკრას
დერბენტი და დარიალი.

ირაკლი აბაშიძე

1942

სსსს

332

გამომცემის ოცდაშვიდადწილი

3

მარტი

1985

თბილისი

საქ. კა. ცა-ის გამომცემლობა

ლიბრატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ომგადახდელი პოეტები

3. ლადო სულაბერიძე — ლექსები

პოეზია და პროზა

5. ოტია იოსელიანი — ქალი გამომედა ქმრის საღა-
ლატოდ. რომანი. დასასრული
43. ჯარჯი ფხოველი — სანამ ცაცხელი დავიგადება...
პოემა
55. ანა მხეიძე — აღმოსავლური ტკბილულოზა. მე-
თხრობა
69. გიორგი გიგაური — ლექსები
70. ნუნუ შალაბაგაშვილი — ლექსები
71. ზაზა ქინძლამე — ლექსები
73. ზაალ სამადაშვილი — ბაბო დამრძის!!!
83. ნიკო ჯურაბაშვილი — ლექსები
84. ირა ჯაფარიძე — ლექსები
85. მერი გიფაძე — ლექსები
86. ნოდარ კოგორიძე — სანამ ცოცხალი ხარ, არ გა-
ბოდო სიკვდილი. მოთხრობა
92. ბათუ დანელია — ჭარი, წვიმა, თოვლი, ზინ და გი.
ლექსი
95. ირა გოცაძე — ლექსები

კუბლიცისტობა

98. ამირან მჭავარიშვილი — სასურსათო პროზაზე
პარტიის აბრალური კოლიტიკის, ახალი ეტაპი

წერილები

108. რევაზ ჯაფარიძე — ლიტერატურული ტერორიზმის
აღსაყვამად
130. თინა კოგალაძე — ლექსად მოსული ქართული
მიწა

იუმორი

138. ალექსანდრე სამსონია — ფიზიკური თავით უნდა
იტამაშო. დასასრული.

შთაბარი რედაქტორი ჯანსუღ ღვინჯილია

ხარედაქციო კოლეგია:

გივი ალსანიშვილი
თედო გავიშვილი
(შთაბარი რედაქტორის
შოადგილე)
გურამ გავაშვიძე
გივი გავაშვიძე
გიორგი გუგულია
თეიმურაზ დონაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა ქანია
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ უნაიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაია
აშოთაძე
ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წარეთელი
ტარიელ ქანტარია
ბადრი ქოხონელიძე
მეკა ჯოხაძე

ლადო სულაბერიძე

მაჩაბლის ქუჩა

ამ ქუჩით მოაქვთ პირველი ლექსი,
ეს ქუჩა მიდის მწერლების ბაღთან.
წავიდა ბევრი...
დიდუბისაკენ
წასასვლელი გზაც ეს ქუჩა გახდა.
მათი ლანდები შერჩა ამ ქუჩას,
ზოგი უჩანთოდ და ზოგი ჩანთით.
ილიას ლანდთან აელვარდება
გადაკარგული მაჩაბლის ლანდიც.
აქ სხვა შაშვეები გალობდნენ ადრე,
ბაღში გალობენ დღეს სხვა შაშვეები.

მიჰქრი-მოჰქრიან აქ ავტოები
და აღარ არის ახლა საშველი.
მე მეშინია, არ გამისრისონ, —
ავეფარები ლანდებს უჩინართ.
აქ ერთხელ ჩემი პირველი ლექსით
მათ ავედევენ მეც ამ ქუჩიდან.
მიჰქრი-მოჰქრიან აქ ავტოები
და სახიფათო გახდა გარება...
აქ ჩემი ლანდიც დარჩება ბოლოს,
ნეტავი მე ვინ ამეფარება?!

ავი დედინაცვალი

მომეფანტა ნაცარი
ავი დედინაცვალის.
ჩემ მდელოზე დამირბია
თიკანი და ქაცარი.
ველარსად ვერ დავეშალე,
აქაც და იქაც არი.
გზაზე მგელი დამადევნა

ხან წყვილი და ხან ცალი.
ცოტა მაინც გადამირჩა
დასათესი მარცვალნი
...
ზღაპრებიდან მდევს და მძარცვავს
ავი დედინაცვალი.

„ლექსო, ამოგთქომ ოხერო,
თორემ იქნება ვკედებოდე“.

დღეს უნდა ითქვას,
რადგან ყელშია
ამოჩხერილი სიტყვა სათქმელი,
თორემ ღიაა საფლავის კარი
და მიწა გელის ყოვლის ჩანმთქმელი.

დღეს უნდა დაჰკრა,
რადგანაც ხმაღზე
გაწოლილია ჯანგი ფითრივით.
თორემ ღამდება, თორემ ღამდება
და ჩაიწვება ღამფის ფითილიც.

დღეს უნდა იხსნა,
რადგანაც ჯვარცმის
დრო მიიწურა, დრო გარდამოხსნის,
თორემ სისხლშია ამორეცხილი
განწმენდილ სულის ლურჯი სამოსი.

მუდამ ღიაა საფლავის კარი
და მიწა გელის ყოვლის ჩანმთქმელი,
დღეს უნდა ითქვას,
რადგან ყელშია
ამოჩხერილი სიტყვა სათქმელი.

ამოყვანე იმ მწვერვალებზე,
იქ სიყვარული შენი ამზიდავს.
და ამამაღლე მიუწვდომელი
გზის და ბილიკის სიღამაშითა.
დამელაჯნოება ციდან ვარსკვლავი,
ანგელოზის ფრთა მომეფარება.
განვიწმინდები შენს ჩანჩქერებში

და გადამადნე საყდრის ზარებად.
იქ ჩამომკიდე, მიუწვდომელი
იმ მწვერვალების ლურჯ გუმბათებზე
და ჩამორეკე,
და ჩამორეკე,
როცა გათენდეს,
როცა გათენდეს.

მეგობრული დაზა

აჲ, ამ ციხეში იჯდა რაინდი
თავისუფლების...
ხმობდა ათასებს...
დამარცხდა მაშინ,
მაგრამ ის მედგრად
იდგა ნაბრძოლო ბარიკადაზე“.

ხალხი გროვდება ხის საკანთან,
ოქრო ელვარებს ისფერ დაფაზე.

სად გააკრავენ კვლავ ასეთ დაფებს?
ხვალ ჩემი ერი ვის დააფასებს?!

ბერენტი ბრანელს

მინის ტალღაში იყავ ჩაფლული
და გავირბოდა თვალი ზეცისკენ.
ისე შეაფვდი სევდის ღამეებს,
ერთხელაც თბილისს ვერ გაეცისკრე.

ქარიშხლის ფრთებში ველარ მოთავსდი.
შენ მარტოობის ენდე ღარტაფებს.
ფარშევანგების ბუბულში წოლას
არჩიე გვემა და სილატაკე.

გეძინა ჩიტის ფრთების ნიაფთან,
სულს იგრილებდი ჩიტის ნიაფში.
სტრიქონის შანთით გულს იღალავდი,
ბორავადი ლექსის ავონიაში.

მარტოობაში სულიც დალიე,
ველარ გახდახე კოლხურ გასაკებს.
მორგში გიპოვეს უჭირისუფლო.
და გაგაპარეს კუკიასაკენ.

შენ ვერ გაძელი, შენ ველარ ზიდე
ღვთის ნაწყევარი ადამის ხარკი.
ახლა შენს საფლავს სხვა თაობების
მარად ახალი ადევს მიხაკი.

შენ აგირჩიეს ანგელოზებმა,
დედამიწაზე მიტომ გაობღეს.
შენ არ ცოცხლობდი,
შენ არ მომკვდარხარ,
მარტოდენ ლექსად შერჩი თაობებს.

ხანძარი ტყეში

ხანძარი ბორგავს კენწეროებზე,
ღრუბლებს ლოკავენ მალლა ალები.
ტყე იბუგება,
ტყე იბუგება,
ტყეს ეზუჭება კვამლში თვალეები.
დაფრთხნენ ირმები, შვლები გარბიან,
ჩიტის ბუდეებს გააქვთ ტყაცანი.
ბულბულს გალობა ყელზე შეახმა,
ფრთებს წაეყარა ხეთა ნაცარი.
მგლის ბუნაგებთან ცეცხლი შლიგინობს,

მგლები გაექცნენ ჩამხრჩვალ
ბუნაგებს,
ირმებს და არჩვებს კი არ მისდევენ,
ახლა თვით ცეცხლი მისდევს მსუნაგ
მგლებს.
ტყე დაიწვება, ხანძარი ჩანთქავს
ბუნაგებიანს, ბუდეებიანს...
არც ბულბულები,
ალარც ირმები,
აქ ალარც მგლები დაბრუნდებიან.



პროზა და პოეზია

ოტია იოსელიანი

ქალი გაგოვიდა ქმრის საღალატოდ

გოგინძე

შენ რომ ნოე ღვთის გაჩენილი გეგონოს, ასე გულს კი არ აგირედა. ან გჯეროდეს, ამდღიანდელი ცოდვისთვის გამჩენი დასჯის. შურისძიებულზე შურისძიებას არ მოინდომებდი. ყველა ღმრის თავისი ავ-კარგი და თავისი საჭირობოტო ჰქონდა და აქვს. დღევანდელი ადამიანის ბედი რთულია და თავ-ბოლო გაუსაგისი. თუ სული, რწმენა და ზნეობა არ გაბადია, ლეში ხარ, ცხოველი. გაქვს და, როგორი საპატრონოა ის, რაც ღმერთს ებარა. „არა იწამო ღმერთი ჩემსა გარეშო...“ „არა იპარო“, „არა იმრუშო“, „არა ცილსწამო“. სხვა და სხვისი ინდომო და მიიტაცო კი არა, „არა გული გითქმოდესო...“ უამისოდ სულის ქონება მურობის ყოლაა და ქე გყავს, ეგერაა, ალბათ, გულალმა გაგორებული შენს ლოგინზე და მიდი და მიუწყეი“.

„მანამდე იწვეს და არ აღგეს, მანამდე არაფერი ჰამოს მისმა კბილებმა, მანამდე...“

„აი, აქ დაედო სათავე იმ ცოდვბრაოს, რაც მას აქეთაა ტრიალებს და ტრიალებს... მაგრამ ეს ღმერთი და მცნებები იმ დღიდან დაგვეკირდა, როცა ლელვის ფოთოლსა და ვენახის ბარდს აღარ დაეჭერდით, სხვისი ტყავის ძრობა დავიწყეთ და ბეწვით შემოსვა მოვიდნომეთ...“

„ასე არაა, ქალბატონო ნუცა?“

„იქნებ ასე გულუბრყვილოდ არა, მაგრამ...“

„რატომ, სიბრძნე ჰგავს გულუბრყვილობას“.

„მაგრამ ვერც იმას უარყვოფთ, რომ კურდღელზე მონადირეს აქვსა ღვაკლი პერი გვერჩიის“.

„ვერც იმას, ვეფხვის ტყავის წორის სჯობდეს, ვინც სასიკცხოს თავისი დარგული ლელვის ფოთლით იფარავს“.

„ნოე ხინიკაძეს მე ავაზის ტყავის... ვის არ გავყოლივარ, ასეთი სულელიც არ ვიყავი“.

„მაგრამ მართლა ავაზის დამჭერი „აღამიც“ იცოდი ვინ იყო“.

„იმ „აღამს“ თავისი „ეეაც“ ჰყავდა“.

„ეეა ჰყავდა თუ ეეას „ჰყავდა“?“

„ეგ სულ ერთია“.

„არაა, ნუცა, სულ ერთი... და ეგ საჩუკელი, დღეს რომ შეგბილწეს, გგონია... იმთავითვე არ იყო პატროსანი. ყველაფერს მურობებს ნუ დავამსხვრევთ თავზე. ისინი თავისი ცოდვებისთვისაც უძლურნი არიან...“

„როგორ, „აღამში“ თა „ეეაში“ ვეძიო მიზეზი და დღევანდელზე თვალი დავხუჭო?!“

„კარგი, ბატონო, არაფერს ვიტყვი, მაგრამ აქ — ქუჩაში საკახბოდ რომ იდგე, ვერც ამით შეცვლი უკვე ვერაფერს“.

„გაიქეცი, ესეც შენი ნებაა, ჩვენში



ადამიანი თავისუფალია... მე კი არა, კანონი ვერ დავსჯის, მაგრამ ქალაქის თავში დადგები თუ შუაგულში, ქვეყნის დასაწყისში თუ დასასრულში, ამ ცოდვილი დედამიწის მიზიდულობას ვერსად გაექცევი“.

„კარგი, ახლა ავტობუსში ადი და გვერდში ისეთ ვინმეს დაუჯექი, თვალი შენზე დარჩეს და კაბის კუდში გამოგებას. მაგისტანა კაცი საზოგადოებრივი ტრანსპორტით არ დადის, ან თუ დადის, იმდენად იშვიათად, არა მგონია, ამ ერთგზობის გაგიმართლოს. უკვე სამსახურები მთავრდება და მაგ ავტობუსებში და ტროლეიბუსებში ისე მოგპყლენ... თუმცა, ჰო, აქედან ჭეჩკერობით ხალვათობაა, მაგრამ ერთი ორი გაჩერება და... გარეუბნებიდან ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები მოაწყვდებიან. ფანჯრისკენ მოაწარი დაჯდომა და აქეთ ბედი ვის მოგისვამს და მერე იმას თავზე ვის დაასვამს, მაგისტვის თვით მამაზეციერმაც რომ მოიცალოს, იმის მაღლი გამიწყურეს, თუ რამე გაიგოს“.

„ჩემო ნუკა, ცხოვრება ყოველდღე ისე რთულდება და გაუსაძლისი ხდება, ძნელია, ერთბაშად დაადგინო. ამ დილთ ვინ ვის უღალატა და უერთგულა. მთელი ცისმარე დღე, ვინ ვის სამარეს უთხრის და ვინ ვის ჭიბეში ხელს ყოფს“.

„კი... ყველამ თავისი თავისა უნდა იცოდეს. ბოროტს, ერთი შეხედვით ვერც სხვა დროს ცნობდნენ და, ბოლოს და ბოლოს, ყველას რომ ცალ-ცალკე სდიო, გულში ვის რა უღევს და რა სატანას მოციქულობს, რას გააწყობ ან რას დაინახავ“.

„არც ისაა დღეს მთლად მართალი: „სხვამან სხვისი უკეთ იცის სასარგებლო საუზრიო“. რა „სასარგებლო საუზარი“ შეგიძლია, მაგალითად, ახლა შენ სხვისთვის? მეტ-ნაკლებად ყველა ასე ვართ“.

„კი, მართალია, ყველას შენსავით ამ

დილთ არ წაუტყრია ქმარი ლალატზე, ან საყვარელი მაინცდამაინც ცოლის საწოლზე არ გაუშლართავთ, მაგრამ თავის კაბინეტში რომ სასურველს ქვედაწელზე ხელი შეუხვას, იგივე არაა?“

„რატომ არაა, რა განსხვავებაა?“

„რესტორანში, ან კინოში რომ ქვენა გრძნობებით დაატიყოს, გგონია, ლოგინში ჩახვევასა და განალებულ დარბაზში ქალის მომიშვლებული მუხლების ენებიან ჭკრეტას შორის დიდი სხვაობაა? „არა გული გითქმიდესო“, გვაფრთხილებდა ერთ დროს ღმერთი, რაკი, თუ „გული გითქმიდეს“, ჩახვევა, ბოლოს და ბოლოს, რაა ისეთი?.. რა მოხდა, ორი, ისედაც საცოდავი და განახევრებული არსება თუ შენივთდება, გამთლიანდება და რამდენიმე წუთით მაინც ეგონება თავი სრულქმნილ არსებად? ენების ბანგი მოტრფილულებს ერთი წუთით ყველაფერს ავიწყებს და თავი ბედნიერი ჰგონიათ. ამიტომაც ჰქვია, ალბათ, ამ ენებათა თავაწყვეტილ თარეშს „ცხოვრება“. მაგი, თუ მართალი გინდა, მანამდეა ნაშაული, სანამ არ „ცხოვრობ“, ჰქუა გეკითხება და გული მაინც „გითქმის“, თორემ, როცა ამქვეყნის არაფერი გესმის, როცა სამყარო თქვენ ორით იწყება და მთავრდება... ორით კი არა, ერთით. ორი, მაგრამ ნახევარ-ნახევარი. ისინი უერთმანეთოდ იყვნენ და როცა შეერთდნენ და გამთლიანდნენ — ერთი, სრული, სრულქმნილი გახდნენ. მაშინ რა ჰქუა მოეკითხებათ და ვისაც ჰქუა არ მოეკითხება, იმას არც — ცოდვა და ბრალი“.

„შე საბრალო, მაგ კაცი გვერდში ისე მოგჯდომია, სანამ ზედ არ მოგასრისეს, ვერც გაგიგია და, დავიჭერო, ამისთანა ქალი ლალატისთვის გამოდგები?“

„მესმის, შენს მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ყოველ წერილმანს თვალს ვერ მიატანს, მით უმეტეს, ახლა, როცა შენთვის ასე ნაცნობი ქალაქი კი გაუდაბურდა. მაგრამ, თუ ამწუთს შე-

ნთვის გარემო, ამინდი, ქუჩა, მოკეთე და ნაცნობი არ არსებობს, იმას ხომ უნდა ზედადდე, ვისთვისაც დაძრწი და დაწანწალებ გგონია“.

„შენ იცი შენი საქმისა, მაგრამ „არა შეჯდა მწყერი ხესაო...“

„სისულელეა!“

„სისულელე იყოს, თუ სისულელეა და, თუ ისეთი „მწყერი“ და „ჩირი“ არა ხარ, ბუდე შეგიჩყვნან, ფეხით გაგივთელონ, მერე დაგიჭირონ და მწვადათაც შეგწვან“.

„ცხვარი ცხვარია, არავის უნახავს გაცხარებული ცხვარი და არავის გაუგონია მისგან შექმული მგელი, მაგრამ თუ შენ მაინც ის თხა ხარ, მგლის დაქერას რომ აპირებს, მაშინ მაგ კაცი უნდა დაგენახა, გვერდში ქე გიზის და კალთაში უნდა ჩაგჯდომოდა?“

„თვითონ ყოფილა მოყრძალებული?“

„რაზე ეტყობა? მამაკაცის „მიწაირ“ გამოხედვას ქალი შანთივით იგრძნობს, არსებობს ძლიერი ვნების „გამოსხივება“, თუ რა ჯანდაბა დაერქმევა და იმ „რალაც გამოსხივების“ „მიმღები“, თუ „დამქერი...“

„მუშა კაცია, ეტყობა, თავისი საქმე და სადავიდარაბოც ჰყოფნის“.

„ჭერი მისკენ არც მიგიხედავს“.

„რკინის, ზეთისა და რალაც-რალაც საპოხების სუნი ასდის“.

„ზედ არაფერი აცხია და... კარგი, გულმოღელილი კუბოკრული ხალათი აცვია და პალსტუხს ამ სიცხეში ჰკვია-ნი კაცი თავს რატომ გააგულვინებს...“

„საპნის სუნში შერეული ზეთების სუნით ყაარს?“

„მერე, ეს ღირსებაა თუ უღირსობა?“

„შენ არ გინდა მშრომელი? პატიოსანი არაა შენი მსხვერპლი?“

„პატიოსანი რა, დავიჯერო, ქარხნიდან თავისი ბიჭის ველოსიპედისთვის, ორ მოჭერაზე რომ ქანჩს ხრახნი მოღეჟა, სანაცვლო არ წაუღია? აბა, მაღაზიაში ქანჩი არაა და, გადაადღოს ბაჭის ველოსიპედი?“

„ჰოდა, ქანჩის, ქანჭიკისა და ავტო-

მანქანის ქურდი — ორივე ქურდი, როგორც ნემსისა და აქლემის, ისე, როგორც ნოე, სანამ იმ ქალს შენს ლოგინზე გაშლართავდა, თუ კაბინეტში უკანალზე უბჭყენდა — ერთი და იგივეა“.

„ესე იგი, ეს მუშაა, პატიოსანია და „ის“ ვერ დინახე? ამბრის სუნი უნდა ასდიოდეს, ავტობუსის ჭკლეთვას სათავისოდ იყენებდეს და უბეში გიძვრებოდეს? იმისთანა თახსირთან ინდომებდი ქმრის ღალატს და შურნაძიებს ამაღამ ისევ ხინიკადის გვერდით დაგძინებოდა?“

„ერთხელ ეძლევა ადამიანს სიცოცხლე და ყველაფერი უნდა გააკეთო იმისთვის, რომ შენი გუნებისად, რწმენისად, სამართლისად იცხოვრო, სხვანაირი ცხოვრება ცხოვრება არაა. სხვის სახლში მდგმურად სანამდე გაძლებ, სადაც ქირას, თვეში ერთხელ, ხელის ჭუჭყით კი არა, ყოველ დღე სხეულით იხდი, სისხლის საფასურად“.

„...ლმერთო დიდებულო! როგორ თავბოლო აუხსნელია ადამიანის სიცოცხლე. იქნებ ნატა უფრო ბედნიერია, ვინემ ნუცა და... და, საერთოდ, მკვდრები უფრო ადამიანურად „ცხოვრობენ“, ვინემ ცოცხლები, ამ ტანჯულ-წამებულ წუთისოფელს რომ არიან ჩაბლაუჭებულნი და ათასი და ათი ათასი ხრიკებით, ცბიერებით, ღალატითა და ვერაგობით მიათრევენ სიცოცხლეს, როცა, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს მაინც ერთი დასასრული აქვს. არ ვუნდივართ ამ ქვეყანას, არ ვუნდივართ ყოფას და მაინც ისე ვეტორღილებით, როგორც ხინველს არ უყვარდა ნატა და ნატას მაინც მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა“.

„ვინ იცის, ეცოცხლა, საქმე როგორ შეტრიალდებოდა“.

„არასოდეს ინდომებდა ხინველი ნატას ცოლობას და მთელი გულით ვერ შეიყვარებდა. ისე, როგორც შენ უყვარდი და უყვარხარ“.



„მე რა დავაშავე ასეთი და თუ ხინველი ასეთი ერთგულებისა და სასოების კაცია, ნატას ერთგულება და თავდადება აკლდა, როცა სიკვდილ-სიცოცხლით მასზე ლოცულობდა და პირველი დანახვისა და გაცნობის შემდეგ სალოცავ ხატად აქცია? რა ჯანდაბა უნდოდა ამაზე მეტი, ერთგულება და უღალატობა არ იყო ეს? იცოდა, არ უყვარდა და მისი დანახვა მაინც დღის ნათელს ერჩია. მაშინ რას დადიოდა, ვერ გადაიკარგა და გადაიხვეწა?“

„შენთვის მოდიოდა...“

„და ნატამ ეს იცოდა?“

„იცოდა, და მაინც...“

„თუნდაც ასე ყოფილიყო... ამაზე დიდი შეწირვა და მსხვერპლის გაღება იქნება? ხედავდე, მას სხვაზე რჩებოდეს თვალი და მისთვის მაინც ჭკუას ჰკარგავდე?“

„არაა ეს შეწირვა...“

„როგორ, ასე განუკითხავად გიყვარდეს ადამიანი და იგი, თუ ეს მართალია, მაინც შენს დაქალს ეტრფოდეს?! როცა იცის, მეგობარი ამის მოწოდინეც რომ იყოს, ასე ახლობელ ადამიანს ვერ გასწირავს, შენ თავს ვერ წაართმევს და ვერასოდეს შენი ვერ გახდება?“

„ეს ანგარიშია...“

„როგორ, აბა, ასე ბრმად და განუკითხავად? მართლაც, ადამიანები არა ვართ?“

„ადამიანები რომ ვართ, იმიტომ.“

„ადამიანები ვართ და ამიტომ შევიყვაროთ მეგობრის საყვარელი კაცები, ან კაცებმა — ძმაცაცების ცოლები?!“

„პირიქით, მეგობრის ცოლი დადუნდა მიგაჩნდეს და დაქალის ქმარი — ძმად. ვერც კი უნდა დავინახოთ მათში ქალი და კაცი და თუ ვინმეა ასეთი, უპირველესად ხინველი, ამიტომაც იყო, რომ გიყვარდა და გიყვარს იგი.“

„მიყვარს?!“

„ჩვენ შევთანხმდით...“

„კარგი, კარგი. ნატას რომ უყვარდა და მას თვალი ჩემზე ექირა?“

„ხინველს არ უყვარდა ნატა.“

„ლმერთო, რატომ არ გეგონებოდა რამდენჯერ უნდა ვიმეორე ყველაფერი იგივე?!“

„ახლა ესაა შენი ყოფნა-არყოფნა, ამაზე უნდა იმაზო, იმეორო და იტეხო თავი. აბა, აგერ, ქუჩაში რომ ასფალტია ამოცვენილი და ორმოში მანქანის საბურავები ვარდება, ძარას ხომ არ მოაწვდრევსო, ამაზე შუბლს ვერ გაიცხელებ.“

„რა ნახა ჩემში ისეთი, რაც ნატაში არ იყო?“

„ის მთავარი და ჭეშმარიტი, რისთვისაც მას ქალი იდეალად მიაჩნდა და მიაჩნია.“

„რა ჯანდაბა იყო ეს!“

„ის, რაც ნატას არ გააჩნდა, რაც ბევრს არ გააჩნია.“

„ბევრს არ ვიცი და, ნატას?..“

„არც ნატას... ნათელი დაადგა, ღმერთმა გვაპატიოს, მკვდარზე ძვირს არ ლაპარაკობენ... მაგრამ ნატა წარმოვიდგინოთ შენს ადგილზე.“

„ნეტავი მე ვიწვე მის მაგიერ მიწაში და ის... თუმცა, ჩემს ადგილზე და ჩემს ბედში ყოფნას, საცაა, ის ერჩიოს.“

„არა, სიკვდილამდე... უფრო ადრე, თავიდან...“

„რა ჰქნა ასეთი ნატამ თავიდან, უყვარდა მართლაც ღირსეული კაცი, დაიქცა ჭკეყანა?“

„კვალს ნუ შლი და სიმართლეზე თვალებს ნუ ხუჭავ. შენ რომ ხინველს, ან ვინც უნდა იყოს, ადრე შეხვედროდი, მოგწონებოდა, შეგყვარებოდა და... საერთოდ, როგორც მოხდა, მომხდარიყო, მერე მას, თქვენთან შეხვედრების დროს შენ კი არა, ნატა შეჰყვარებოდა, ნატასაც ასევე...“

„მე არ შემიყვარებია ხინველი...“

„გაჩუმდი! ერთმანეთისთვის ჭკუა დაეკარგათ, ის იზამდა იმას, რომ შენ დაგეჩემებია: არა, მე მიყვარს და შენ არ უთანაგარძნო? რა უფლება გექნებოდა შენ გეთქვა, მაინცდამაინც მე მიყვარს და მას ეკრძალება შენი სიყვარული — ან შენ მისიო?“

„არ ვიცი რას ვიზამდი.“

„იცი. შენ რაც ჰქენი, იმას იზამდი.“
„რა ჰქენი“.

„საყვარელ ადამიანზე თქვი უარი, რომელიც ნატაზე ნაყლებ არ გიყვარდა. და მასაც უყვარდი“.

„მე ნატასავით?!“

„გაჩუმდი! საყვარელ ადამიანზე თქვი უარი, როცა მასაც უყვარდი. ნატას არც უფიქრია დათმობა, როცა ის კაცი მისი არ იყო. შენ შენსაზე თქვი უარი, მან კი შენი რომ შენთვის მოეცა, ის ვერ შეძლო. აი, რა იყო თავიდათავი, რისთვისაც შენ უყვარდი და უყვარხარ ზინველს და არ შეეძლო ნატას სიყვარული“.

„ალბათ შემიძლია! ალბათ, ქუჩაში დავეცარდები და მანქანები გამიტანს... მადლია, დავისვენებ მაინც...“

„მაგრამ იმას რას ემართლები, ვინც გაგიტანს... თვალი კარგად გაახილე და როცა სიკეთის გზას აღგები გგონია, მისი ავ-კარგიც უნდა იცოდეს, ბრმა სიკეთეს და კეთილშობილებას ზოგჯერ ბოროტებაზე არანაკლები უბედურება მოსდევს“.

„გამოდის, რომ ცალმხრივი სიყვარული არ არსებობს? რატომ ამბობენ: ერთაგან ერთს უყვარს და მეორე მხოლოდ სიყვარულის ნებას აძლევსო. არც ესაა მართალი?“

„ალბათ ყველაფერი მართალია“.

„ესე იგი, არსებობს?“

„შენ ბუნებით მეგრძოლი არა ხარ, ან საერთოდ, მეგრძოლი ქალი... ალბათ, არც ზინველი. იქნებ ეს ჩვენი დროის ადამიანების დამახასიათებელი სენია, რაკი ამხედრებული ბევრი გვინახავს და გამარჯვებული ცოტა. ან რა ბრძოლაა თუ ნამდვილი მეომარი ომმა შეიწირა, თუ ამ ურთულეს ისტორიულ ქართველებში, რწმენათა რღვევასა და გადაფასების დღეს ერთის ძლივს პოვნისა და ხეალ გაუფასურების, უღმერთობისა და უხატობის ძნელბედობის ქაშს საკუთარი თავისა და მრწამ-

სის ძებნას გადაყვევით და საკუთარ ომს მოუვნიდით“.

„დღევანდელი სიძარტლე და პატიოსნება რთულია. ცხოვრება, საუბედუროდ, არასოდეს არაა ელემენტარული, მარტივი და — ორჯერ ორი — ოთხი: თუმცა ამ მყარ საფუძველს კი უნდა ეყრდნობოდეს. სიკეთე, სიყვარული და ერთგულება ვერ იქნება გულუბრყვილო და ამ რთულ, ხელჩართულ ბრძოლაში გამარჯვებული, როცა მას ბოროტთან, სიძულვილთან და ორგულობასთან აქვს საქმე. სიკეთეს, როგორი შეუვალი ჰეშმარიტებითაც არ უნდა შეიმოსოს, მაინც კარგად გაიგონილი მახვილი სჭირდება, რომ გველზეა-პი განგმიროს. არც შენ უყვარდი ზინველს მხოლოდ იმიტომ, რომ ქალი იყავი და არც შენ გიყვარდა ის, იმიტომ, რომ მამაკაცია. ნატა უკეთესი ქალი იყო და, ბოლოს და ბოლოს, ზინველზე უარესებიც დადიან ამ, ათასსაუკუნოვანი ცოდვებით დამძიმებულ დედამიწაზე. იქნებ არც ნატა იყო შემთხვევითი თქვენს შორის, როგორც, საერთოდ, არაფერია ამქვეყნად შემთხვევითი“.

„ნატა ჩვენს შორის არ ყოფილა“.

„თქვენს შორის, არა მარტო იმ გაგებით, რომ გეცილებოდა ზინველის თავს. ნატა და ნოე თქვენს შორის იყვნენ და არიან. იმ ვიწრო სამყაროში, სადაც თქვენ ცალ-ცალკე ცხოვრობდით, ერთმანეთისათვის იყავით. როგორც ერთმანეთის შიფრი, როგორც უცნობიანი განტოლების მნიშვნელობა — ერთით მეორის ამოხსნის საშუალება, ანბანის აზრის ამოსაკითხავად. ცალ-ცალკე თქვენ თქვენთვისაც გაუგებარი დარჩებოდით. ერთმანეთით შეიცანით საკუთარი პიროვნება და რომ ეს არა, საკუთარი თავისთვისაც ისევე გაუცხოებული და გაუცნობიერებელი იქნებოდით, როგორც ერთმანეთისათვის“.

„შენი ერთგულების ნიჭი რომ დაინახო, ვინმეს უნდა დასჭირდეს ეს ერთგულება. ვინმეს უნდა უღალატო, რომ მოღალატედ იქცე... თქვენ თქვე-

ნი ღირსება-უღირსობა, ერთგულება-გატანა, შური თუ მიმტაცებლური ხასიათი-ბუნება... სიგრძე-სიგანით, სიღრმით, მომხიბვლელობით, სისათუთითა და თავკერძობით სააშკარაოზე გამოგჭონდათ. თქვენ ერთმანეთისთვის სარკე იყავით და ავლენდით, ვინ რა ცხვირ-პირის, გულისა და გონების პატრონი იყო, რა გერქვათ, რა გვარისანი იყავით და ვინ იყო გულში ჩასახუტებული და ვინ წყალს გასატანებელი. შენ რა გეცოდინებოდა, რომ ამოდენა ერთგულება შეგეძლო და სიცოცხლის საფასური მსხვერპლის გაღება, თუ ნატა, ლაშა და ნოე არ იქნებოდნენ. თუ სალაროს არავინ გახსნის, რა მნიშვნელობა აქვს, შიგ რა განძი ინახება, ან ვინ რა იცის. შეიძლებოდა შენს ცხოვრებას ისე ჩაეელო, შენც არ ჩაგებნდა საკუთარ, ოქროთი სავსე, ზანღუქში. და შენ შეგიყვარეს, როგორც „უმდიდრესი“ ჭალი, მაგრამ რისთვისაც უყვარდით, იგივე უპირატესობა იყო შენი დამლუპველი და დამრბევი. ის სიმდიდრე გაღარიბებდა და განძის პატრონს სანებელოზე გაგდებდა. რაც ნათელს გფენდა, თვალებს იგივე გთხრიდა, რაც გამაღლებდა — ის გასწორებდა შიწასთან, დაქნენი უერთმანეთოდ არ არსებობდნენ. რამაც შენს წიაღში ჩაფლული თვალ-მარგალიტი გამოვინა, რამაც აგამაღლა და აღგაგზევა, იმანვე გავძარცვა და გაგაღატაკა. არ შეიძლებოდა ერთი ყოფილიყო მეორეს გარეშე. შენ ამ ორ ცეცხლს შუა იშვი არა მარტო მათთვის, შენთვისაც. შეიცანი თავი ისევე, როგორც მათ შეგიცნეს. ხინველი თავს არ უჩერებდა, რომ შენ მეგობრისთვის უარს ამბობდი პირველ და განუმეორებელ სიყვარულზე, ბედნიერებაზე, მომავალზე, სიცოცხლეზე, არსებობაზე. ლაშასთან ერთად, ნატაც გხედავდა, მანაც მაშინვე აღმოაჩინა შენში მეგობრის გატანისა და ერთგულების უზადო ნიჭი და იცოდა, შეეძლო ესარგებლა... ჩამოეშორებინე გზიდან, მაგრამ ამითვე გაჭაჭკავდა მას — ვისთანაც შენი მიახლოებისა ეში-

ნოდა. ეს იყო ჭოჭოხეთის ცეცხლი, თამაში, რომლიდანაც რომელიმეს გასელა ყველას დაგლუპავდათ. შენ რომ მეგობარი არ დაგენდო, კარგადი იმას, რითაც ხინველი შენი იყო. შენ იღებდი მსხვერპლს მეგობრისთვის და არა მეგობარი შენთვის. შენგან მოითხოვდნენ თავგანწირვას, ეწირებოდი და ამისთვის გაღმერთებდნენ. მაგრამ, თუ სამსხვერპლო არ გექნებოდა, ან მლოცველი არ გეყოლებოდა? უჭარო სარდლის სამხედრო ნიჭზე არავინ ლაპარაკობს“.

„ნატა თავისთვის ცდილობდა და შენთვის აკეთებდა“.

„ისიც თუ მსხვერპლს გაიღებდა, სასწორი საით გადაიხრებოდა, საკითხავია“.

„და თუ ამ საქმეს ძირის კიდეში, გულის გულამდე ჩაუღრმავდებით, შენ ისევე იყავი ნატას მსხვერპლი, როგორც ის შენი. იგი ლაშას იმდენად გაერთმევდა, რამდენადაც შენ საკუთრებად ხდიდა. და თვით იმან, თქვენი, სამივეს ხელის შესახოცმა, საცოდავმა არსებამ — ხინიკაძემ, ვითომ თავისი რომ გაიტანა და დავინარჩუნა, საბოლოოდ დაგყარა და ხინველის სახლში ჩაგასახლა. შენ ნატამ და ნოემ გაგვედეს ხინველის ოქროს ხატად და ორივენი სამაზადეამოდ დაეალებულნი ხართ თქვენი ოქრომჭედლებისაგან. არ შეიძლებოდა შენ გცოდნოდა ვინ იყავი და, მით უმეტეს, ხინველს. შენ თუ იყავი — სათუნე თიხა იყავი და ისინი რომ არა, შეიძლება ისევ თიხად დარჩენილიყავი. თედორე მღვდელს თუ არ დაიჭერდნენ მტრები და მისგან არ მოითხოვდნენ სამშობლოს ლაღატს, თედორეს ბევრიც რომ ეძახა, ქვეყნის ერთგული ვარო, როგორც სხვა მღვდლებისა არა ვიციოთ რა, არც მისი გამოორჩეული თავგანწირვისა გვეცოდინებოდა. რა თქმა უნდა, მტერი თავისთვის იღწოდა, მაგრამ ჩვენთვის უნებურად მეტი გააყეთა, ვინემ თავისთვის. ნატამაც და ნოემაც შენთვის მეტი გააყეთეს, ვინემ თავიანთთვის. ერთი

ხინველის თავს გტაცებდა და მეორე — შენს თავს ხინველს, მაგრამ ორივეს სწორედ ამ ცილობითა და დასაკუთრების მტაცებლური წადილით ეცლებოდათ ხელიდან“.

„ისე ბევრი ეცადნენ თავისთვის, ყველაფერი აკეთეს თქვენთვის“.

„წვიმს?“

„იწვიმოს, ან შენთვის როდის არ წვიმს. შენ მზიანი დარი არ იცი მას აქეთ, რაც ხინველს იცნობ“.

„ცოდვა გამხელილი სჯობია, ხინკაძემ, როცა „დაგისაკუთრა“, მერეც თქვენი „ერთგული“ დარჩა. ყოველდღე „ფერავდა“ შენთვის გაქედნილ ხინველს ხატს. ეგონა, თვალს გიხელდა და შენი „არჩევანის“ სისწორეში გარწმუნებდა, გეუბნებოდა, რომ ძნელია ნოეს საქმე და ცხოვრება რთული, თანამედროვე მათემატიკაა დღევანდელ ბნელ ზვრელებსა და ლაბირინთებში გაძრომ-გამოძრომა, რომ აღვილი არაა, ხაფანგს მისატყუარი — დუმა ისე ააცალო, შიგ არ გაეხა. დღეს კარგი და ცუდი სპეციალისტი ერთნაირად ფასობს, თუ „ნიჭიერმა“ თავისი თავი თვითონ არ იპოვა. ამა თუ იმ დაწესებულება-წარმოებაში ეკონომისტის შტატის ხელფასი განსაზღვრულია და არსად წერია: ცუდს — ნაკლები და კარგს — მეტიო. არადა, რამდენი ადამიანია იმდენი ნიჭია, იმდენი ბევრის მცოდნე და არამცოდნე, საშუალო, გვარიანი, სუსტი, თავცარიელი და ისეთიც კი, ორჯერ ორი რომ ოთხია, ისიც არ გაუგია. ყველა კი ერთი ჯოხით იდენება. ხინკაძემ თუ სხვა ბევრი არაფერი, ანგარიში იცის და მისი ბრალია?... ხმამაღლა არ უთქვამს: ხინკაძის სიბრძოვეს, უნიათობასა და არსებობაზე გულაყრილობას რომ თავი დაადწიე, ჰქუა იხმარეო, გაგიმართლა, ასეთ ადგილზე, მესამე სართულის მრავალოთახიანი, აგურის მაღალჭერიანი ნოეს ბინა რომ აიჩიოე და არა სადღაც... სადღაც მაღალი შენობის კენწე-

როში, ყვავის ბუდესავით გარჩენილ ცემენტის სოროში თავი აჩვენებდა. ეს აყავით (არადა, იქ კი ცხოვრობდი). ეს უბედური, თანდათან ისე შიდიოდა ხელიდან, ხორავით, ჭინჭებითა და ხარბურით იტენიდა მუცელსა და ბუნაგს. იმ სიბრალულსაც გისპობდა, რასაც ადამიანში უმწეო, თვითკმაყოფილი არარაობანი იწვევენ“.

„ეს დღევანდელი დღეა...“

„დღევანდელი დღე!...“

„რატომ? რატომ არ გინდა ვითომ, დღევანდელის გახსენება, თუ სინამდვილეში ამას ელოდი და ამაზე ოცნებობდი?“

„ქმრის ლალატს მოველოდი და ეს მინდოდა?!“

„შენ ხომ ყოველდღე ლალატობდი. გინდოდა...“

„მე — ნუცა ალავიძის ქალი — მოლალატე?!“

„არაა ლალატი ის, რომ ხინკაძის სახლში გეძინა და ხინველის სახლში გეღვიძა?“

„დაფიქრდი, კარგად დაფიქრდი, ღრმად ჩაიხედე გულში და გაიგებ... პო, ასე ალიანცებულ ქუჩაში ადამიანისათვის ძნელია, მაგრამ მანდვე, წიგნების მაღაზიაში შეუხვდეთ, იქ ხალხი მაინცდამაინც თავს არ ატეხავს, ან მაგასაც გასცდი, იმ ვეება სასაბლოს თაღებქვეშ გაძვერი, იქ ეზოში პატარა სკვერივითაა, თითო-ოროლა ლოთი თუ თავისთვის ძელსკამზე ყვინთავს, ზედაც არ შემოგხედავს, არც იმათ ეცლებათ შენთვის, ვინც საბაგირო გზის სადგურისაკენ მიიჩქარის... თვით ამ საბაგირო გზას რომ აჰყევ და მაღლა, მთის წვერზე სული მოითქვა?“

„სულის მოთქმა არ გინდა, მაგრამ ფიქრი გინდა, თავის მტკრევა, ჰკუის ჰყლებტა... დღეს ჩვენ გვლუბავს ის, რომ არ გვცალია, ან არ ვფიქრობთ, ან იმდენად ზერელედ ვფიქრობთ, ჰეშმარიტების წვდომის უნარი დავკარგეთ“.

„არ გინდა, არაფერი აღარ გინდა, დაიღალე, დაიქანცე, გაგიწყალდა ჰქუაც, გონებაც, გულიცა და სულიც.“



დაიძალა, დაიწროტე. გამომრი და გამოჩნდი. ყველაფერი, რაც კარგი გეგონა, პირუკუ აღმოჩნდა. რამდენად სიმართლეს-სიხატოლეს მთუახლოვდი, იმდენად მეტი ჩრდილი გიჩინებ. ბაბაიანს, სოფელსა და სოფელის უერთგულე ეგვიპტე. აა, მოღალატე გამოდექი. რა-მსემე შენსიო — იმდენი შეიწირე. რაც დაგარვე — იმდენივე იპოვე და რაც გაღატადე — ვანძის პატრონი დანო..."

...ეკრატფერი გაიგე, ეკრატფერს ეწე-ე. რაც ქვეყანას ეგონა, გქონდა, იმას-თან არაფერი გაახლოვბს და სადაც შენს სოცოტლებში თეხი არ დაგიდგამს, -მის პატრონი-პატრონი ბარა.

„ნუთუ ასე უბედური და ტანჯული იყო ყველა თავისის მოწადინე, სიმართლის გზაზე მავალი? ნუთუ ასე ქუჩა-ქუჩა უნდა იწინწილოს, ვისაც სხვის აზრით არ გაქმდება და თავის კედელ-ფურცელს ებრძვის?“



...თავისი გამოიხედეთ. ბაბა, თვალ-ნი — ვამოძუკრავდა მურობი, ვითომ უნ — ის — თვალს კი არ ვინც შენსა-... არ მოქცეული იმთ „ახათლებდა“. შენ თვალჩილულეც იყავი და გონება-გახსნილიც. რაკი ჩოესთან დაიდგ ბი-ნა, მაგრამ ასე რომ არ მოქცეულიყავი, მაშინ რას გირჩევდა, იმის თაობაზე გი-კითხავდა სახარებას, და დათვი რომ მოგერიოთ, ბაბა დაუძახეთ... დათვი დათვია და მე, აიღე და შეები. დათვი იმას კი არ იტყვის, მოვკალიო, შემომა-კლა თავიო და აქეთ დაგადანაშაულებს. მაგი არ ვიცი მე?.. უარესს გეტყვით, თუ გულისტ გინდათ: ამიღეს, რომ და-ვამთავრე და გამანაწილეს. იმისთანა ადგილზე მოკრეს თავი... ვაი, შენ, ჩემო ერთადერთო ნოე ხინიკამე-თქო! ვის უნდა იმ გამარტახებულ რაიონში ჩემი ეკონომისტობა, ბუღალტრები შიმში-ლით სულს ღაფავენ და თავგებს ითუ-ლიან. ხელფასი ხელფასს არ ჰგავს და პრემიასა და ჩილდოს ვინ მოგაქვავებს.

დათვი იყო გამანაწილებელ-... და „ბაბა“ ვუთხარი. აბა, მექცეობს! მზადების, ან გემო-კვების მთავარ ეკო-ნომისტად გამიმვით-მეთქი? საცოლოთ მოკვდა ამას წინათ ნაკო შაველია ეს ღიბლომები და სიგელები კამინეტში რად გინდა, კედლები რომ შეგიჩი-თიაო... „შეგირითიაო“, ასე მითხრა, იმას რა ვუთხარი მე. — თვალს ვის უბრძავებო?! — არა, ბაბა, ასე სა-ქმე არ ავამოვა. თვალს კი არ ვუ-ბსებ, თვალს ეხატებ-მეთქი. ის დი-პლომი და სიგელია, ბაბა, რომ მა-ჩენს ქვეყანაში, აბა, ასლა, საანგარ-იშოს ჩხაქუნი კიდეც რომ არ ვიციოდე, ელექტროვამომთვლელი მანქანები, რამდენიც გინდა და რა ნაირიც, თითის დაღერება უნდა და ანგარიში გამოიმა-სქნებულობა... მმართველი მყავდა მე ერთი, „ალათანგოვიჩი“, იმისთანა გ-მოსუქნისინებული, ნურას უკაცრავად, ვერ მოგართევს. და ისაო, ჰო, კაცო, ისაო: შენი ეს პრემიების, დიპლომები სა და ქალაქების ამბავი... ვიცოი რატომ და რისთვისო... მაგიო მე თვა-ლებს ვერ ამხივევო. — კითხომ ჩამავ-ლო. მე რა ვუთხარი, თქვენ რა გგო-ნიათ... ავიღე და თავი შევყავალი? „ბა-ბა“ ვუთხარი: — კი ბატონო, თუ არ გინდათ, როგორი ჩაოხრებულიც გაქვთ საქმე, ისე იყოს-მეთქი. ამასობაში მე უკეთეს ადგილზე მქონდა „ბაბა“ ნათქ-ვამი, იქ გადავკვარახებინდი, ის კი ექვს თვეში დადეს ქონიან ნიჩაბზე, რა, არ იყო ღირსი? კანის მეტს რას ვუშვებო-დი, თვარა კი. ის კი არადა, ანლა ჩემი მაღლობელიცაა, სანამდე ვიყავი, არ მცოდნია, შენით ვყოფილვარო. ეკონო-მიკა როა თავი და თავი, მაგი მე მე-ვიგონე თუ? ეკონომიკა იყოს ეგრეთ წოდებული ჩაიწიწიებული, გეგმა და პლანი, საქმე და... ხმის გამღები ვინაა, თვარა კი. რევიზიაც ბაბაა და ბაბა უნ-და უძახო. მე რომ მე ვარ, იმას ვამბობ, არაა და მაინც უძახე-მეთქი? თეთრზე ვამბობ შავიო და შავზე — თეთრიო. თუ? მარა, თვალში თუ არ გამოიხედეთ და ანლა ისე მოინდომეთ... მასე სა-

დად. მასე სადაც, თვარა შენს პირს შე-
ქარი...

„თუ არ ღაჭეჭი და არ ღაჭეჭოდი,
ასე გაქცეული თვალის ცეცებით დანა-
ხული მუროთები არც სტყუიან. შენ რომ
მის ავლა-დიდებას ამრეზილი... ამრე-
ზილი კი არა, ზიზლით უცქეროდი (თუ-
მცა, როდის უცქეროდი, დანახვაც კი
არ გინდოდა) რას ამბობდა? „ეს სახლი
და კარი მე არ დამიგეგმიაო. — მართა-
ლი იყო ის კაცი, ნოე რომელი მხაზვე-
ლი და მხატვარი გვყავდა, არ იცი? —
არც მე ამიშენებიაო. — არც ესაა ტყუ-
ილი. ლურსმანი თავით ეგუდებოდა თუ
წვერით, იცის? — არც აშენებულ-და-
მშენებელი ჯიბეში არ ჩამიდევს, აგ-
ერაა მშვენიერ გამოჩინებულ ადგი-
ლას გამოჭიმულიო. — აქაც არა გაქვს
ხმა ამოსაღები, ბარე შეიდი სართულია
მშვენიერ ვადმოსახედზე წამოდგმული,
თვალნათლივ უცქერის მტერიცა და
მოყვარეც, ქურდიცა და პატიოსანიც,
კანონის დამრღვევიცა და სასწორო-სამა-
რთლის დამდგენიც. და რაც შეგ უწყ-
ვია, ვინ იტყვის, ნოემ წაკარიდან
გამოიტანა რა უკახიდან. — ახიდან
წამოიღო. არაა ზინიკავე სხვაზე უკეთ-
ესი, უარესია. მაგრამ ამ ავექს ეწერა
რჩეულობათვისო? და ვინაა ჩვენში
რჩეული და ვინ ნარჩევალა? ახლა გვე-
კითხება ნოე: რა გინდათ ჩემგან, რას
მემართლებითო?“

„აი, ვინაა თავისი სახლის პატრონი
და ვინ მდგმური და ხიზანი, მასთან შე-
ნი ყოფნა ორგულობა და ყოველდღე
ლაღობი არ იყო? მასთან გატეხილი
პური და გაყოფილი ლუქა მემძვის
მრუშობით ნაშვნი არ იყო?“

„და ეს ქუჩა, აგერ მთელი დღეა მშინ-
ეო-მწყურვალნი რომ დაძრწი, შენი სა-
ხლი არაა და დღეს უფრო მაძლარი არა
ხარ?“

„გივირს, რომ გეუბნებიან, ყოველ-
დღე ღალატობდი და რა მოხდა, ერთ-
ხელ იმანაც შესცოდაო.“

„როცა სხვის თვალში ბეწვს ვეძ-
ებთ, საკუთარში მორი მაინც უნდა
დავინახოთ!“

„ძგლის თავზე საბარება ავლავს,
არ უნდა იკითხოს!“

„შენ ისეთივე დამნაშავე არ ხე-
ვამესთან, როგორც ნატა ბინველთან.“

„რა შეაშინა?!“

„შენ ისევე სცოდე, როგორც ხე-
ტამ.“

„მე... მე, ჩანდაბა ჩემი თავი. მა-
რამ ნატას ზომ... ცხრა ჩატზე შემიძღ-
დავიფიცო. რაც ღამა გაციმო, მი-
ვის იცოცხლა და მიწვეს მოკვდა.“

„არ უნდა ამის ფიც და მტკიცე ე-
შენ, მათ შეაგულში რომ იყავი კი არა,
გარეშეებმა იცოდნენ, ზოგჯერ ა-
უხერხულობაში აგდებდა ბინველ-
რომ ნატა არ მფარავდა.“

„მაგრამ არასოდეს უსაყვედურობ...“

„ბინველის მომტევებლობა ყოველ-
მომტევებლობა კი არ იყო.“

„არ მახს-ვის... თითქოს რაიმე, კო-
ფილიყო...“

„როგორც კაცური კაცა, მაგრამ
მღვდელი კი არ იყო, როგონდ აღსარება
გეთქვა და ღვთის სახელით ყველაფე-
რი შეენდო.“

„რალა არ შეუდნო! ბოლოს და ბო-
ლოს, ლოგინშიც დაუწვია...“

„ნუ ეპვიანობ!.. ცოცხალს, თუ მაინც-
დამაინც... მაგრამ მკვდარს მაინც ეც-
პატივი...“

„მიწა ჩემ ენას!.. მაგრამ რა არ შეუ-
ნდო.“

„არ შეუდნო, რომ მან ასე ცალმხრე-
ვად და ასე განუკითხავად შეიყვარა.“

„განუკითხავი, უსაზღვრო და ერთგუ-
ლი სიყვარულიც კი შენდობას საჭი-
როებს?“

„ისე, როგორც სიძულვილი, მტრობ-
და ღალატი.“

„სიყვარულიც... უანგარო სიყვარუ-
ლიც დანაშაულია?“

„ცალმზრევი, უანგარო არაა“.

„როგორ, მიყვარს, შე უღმერთო, ხომ არ მძულს, ქვეყანას მირჩევნია, თავს მირჩევნია...“

„და არ კითხულობ, გაქვს ამის უფლება თუ არა?“

„სიყვარულის უფლებაც მოვითხოვო? მტრობისა და ბოროტების უფლებას არავენ ითხოვს?“

„ბრიყვი, პათოლოგი და სულელი არაა, მაგრამ თუ სიყვარული სრულყოფილია...“

„ნატას სიყვარულს, თუ სრულყოფილება და რაიმე აკლდა!...“

„როგორ არ აკლდა, მთელი ნახევარი აკლდა — ხინველი“.

„ხინველს თვალი ჰქონდა დავსებულს და... თუ ამის მიზეზი მე ვიყავი, კიდევ უარესი...“

„ხინველი თვალხილული რომ იყო და გონებანათელი, ამიტომ არ შეეძლო ნატა დაენახა. თუ მის არემარეზე ვინმე იყო დასანახავი, იქვე იყავი შენ“.

„ალბათ, შევიშალე!.. ან რაღაც ისეთია, რასაც ვერასოდეს ჩავწვდები“.

„რაა აქ ასე რთული და ჩაუწვდომელი?“

●

თბილისის ზღვა.

„რა ზღვაა, მაგრამ, რაც ჰქვია, ის უნდა დავუძახოთ. ვინ იყო იმ დღეს, რომ ატყდა და წაგრებათ?“

„ნატა“.

„ნატა იყო. არც შენ, არც ხინველს და, თუ ნოე სათვალავში ჩასაგდებია, არც ერთს არ გინდოდათ“.

„არა, მაგრამ ეს ქალური ჭირვეულობის ამბავია... და თუნდაც სისუსტე, თუ ათასი წვრილმანი...“

„გულახდილად ვთქვათ, რომ არ გინდოდა ხინველის წინ გაშიშვლებულიყავი, როცა ეს სახარბილოს არაფერს გაპირდებოდა, რაკი ნატა მხოლოდ ამისთვის ილტვოდა, მის ტანადობას შენი დაეჩრდილა“.

„ღმერთი და რჩული, თავიდან ეს არ მიფიქრია... მე ლამას წინ გაშიშვლება

არ შეეძლო, ისიც იმ ტალახიანი ბუჩქის ნაპირზე. მართლა ზღვა ზღვაა, ფილიყო, სადაც, ალბათ, გულდახურული კაბით გავლა უფრო სირცხვილია, ვინემ სიტყვები...“

„ქარგი. თავიდან რა იფიქრე, არ გვინდა. არც ის, გზაში რომ ინცინდენტი მოხდა. ტაქსის შოფერმა, ასე დაწყვილებულები რომ დაგინახათ და, ერთი სამად თქვენი დაცეცხვლა მოინდომა... ლამა გაანაწყენა. თორემ ნოე ხინკაძე ფულს ჭიბეში უტენიდა.“

„რომ მიდიხ და ნატა კაბიდან ისე ამოსრიალდა, როგორც, მშვენიერი ჭრელი გველი შარშანდელი პერანგიდან...“

„ნატა და გველი?!“

„არაა ეს შედარებისთვის საჩოთირო, პირიქით, თუ საქმე სილამაზეს ეხება...“

„აბა, ჩაცმულ-დახურული ხომ არ იბანაკებდა?!“

ჰო, იბანაკა თუ იცურავა, რაც იყო... არც ესაა მთავარი. მურთიკ მაშინვე გადაეშვა, მაგრამ საით გატოვა, არავის დაგინახავთ. ლამამ ისევე თქვა უარი ბანაობაზე, როგორც შენ. და შენ გგონია, ეს მარტო შენი თანაგრძნობისთვის გააკეთა? ნოესთვისაც. სად ლამას აღნაგობა და სად ნოე ხინკაძე“.

„ამით მურთხს რა მიემატებოდა ან რა დააკლდებოდა?“

„არაფერი, მაგრამ იყო ამაში ხინველისათვის მაინც საჩოთირო: იმითი თავს ვერ მოიწონებ, რაც შენ არ შეგიქმნია. ხინველი ყოველთვის ცდილობდა მისი სასიამოვნო გარეგნობის მიჩქმალვას. აბა გაიხსენე, თუ შკერდს ჩაიხსნიდა, ან, მკლავებს რომ იღლივამდე დაიკოტავებენ, თუ ისეთი რამ გახსოვს. უკაცრაული პასუხია, თუ ისეთი გამოკვარტული შარვალი სცმია... ან მის ფეხსაცმელს, თუ საპოხი ღირსება. ამით იყო ის (თუ კაცისთვის უხერხული არაა) ლამაზი და არა იმიტომ, რომ განიერი ბეჭები, ღონიერი მკლავები, კუნთები, ფეხები და, საერთოდ, სასიამოვნო გარეგნობის პატრონი იყო“



„რატომ არ მოგეშვა ნატა, მაინცდამაინც, გინდა თუ არა, გაიხადე და იზანავო. იმ სულგანათლებულს ჰქონდა ზემოქმედების ძალა. სიტყვით, პასუხით, ქცევით, წაქეზებით, შეფარული მომხიბვლელი ძალადობით, შეეძლო, რაც მას გულით ეწადა, შენთვისაც გადაეღო და შენი სურვილის წინააღმდეგაც აეყოლებინე. ამით მან ზინველის სულში ვერ შეაღწია, თორემ, ბოლოს და ბოლოს, ლოგინში ჩაითრია. იქნებ აკრძალული ილეთითაც, მაგრამ ბოლოდროინდელი მისი ტრაგიკული ცხოვრების განსჯა ჯანსაღ ადამიანებს არ ძალუძთ და ყოველგვარი საყოველთაო სჯულისგება უსამართლობა იქნება, რაკი, თურმე, ადამიანმა სამი დღის სიცოცხლისათვის ძაღლის ზორცი ჰამა.

„ლაშა იქვე, გადატრუსულ ბალახში ჩაჯდა. ისე, როგორც იცის მან ბუნებასთან უთაკილო, უდიდესი ნდობით მისვლა, უპეწენიკოდ და ცხვირზე თითებმოუჭერლად. ფეხმორთხმულ კაცს თავზე საჩრდილობელი ხესავით ვერ დაადგებოდი, შენც ცალგვერდ მიჭექი ფერდობზე მიფენილ ორად გაეცილ გაზეთზე. თქვენს შორის ნატას ტანსაცმელი დარჩა, შენს ზურგს უკან — ნოესი. ზინველმა არ იცის დამართოვნებული ქალის ხამუშ-ხამუშ თვალის შევლება და „შეხსენება“, — ერთმანეთისთვის, ვინც არ უნდა ვიყოთ, მაინც სხვადასხვა სქესისანი ვართო. როგორ არ ლაპარაკობდა, მაგრამ თუ ღუმილით შეეძლო ეთქვა, კრინტს არ დამრავდა. მაშინ თითქოს უსტვენდასავით, სტვენით ჩურჩულებდა: „წარვედ მტკვრის პირას...“ ყოველ შემთხვევაში, შენ ასე გესმოდა. მუდამ უკიდურესად დამატული იყავი მასთან და მაშინაც ამაზე ფიქრობდი და ცდილობდი, ამ, გაწყვეტამდე გაქიმულ სიშს ვინმე, ან შენ ისე არ შეხებოდით, ჟღერიალი გაელო. როგორმე, თუნდაც სიცოცხლის ფასად, მაგრამ ყველაფერი გაგეუბრათოებინა, გაგჩვეულებრივებინა, როგორც ამას ლაშა ჩაიდენდა, ან მოეწონებოდა. როცა ყველაფერს, რაც თქვენს

ირგვლივ იყო: წყალს, გადახრეხულ ბალახს, ფერდობს, გაგვალულ მიწას, ზეატს, ორაოს, მზეს, ცას, ყველაფერს ჰქონდა განუზომელი ფასი, დანიშნულება თუ ყოფნა-არყოფნისოდენი აზრი, და ამოდენა ფასეული, განძი, ბედნიერება უნდა გაგეუფასურებინა, გაგეწყალებინა, მტვრად გექცია“.

„ნატა ამოვარდა წყლიდან ტოფი კალმახივით. მზეზე მოჭიატე წვეთები ფერადი წინწყლებივით ესია ტანზე. ვიწრო, მეწამულ საცურაო კოსტიუმში თავდაუტავი მკერდი და თეძოები მუხანათურად სცემდნენ ჭერ კიდეე ქალწულისთვის შეუტყნობელ ყველა ქალურ საიდუმლოს“.

„ზინველს თავი არ აუღია, ნატას შვეტ წვივებზე დაქანებულ, წვრილ ნაკადებს ზედავდა, მიწაზე დასაღვრელად გაუმეტებელს და მაინც იმის ცქერას დასჯერდა, რაკი იმ ზედვის არეალში მოექცა, რაზეც მანამდე ჰქონდა თვალის მისობილი. ქალიშვილის ტბის უხრეშო ნაპირზე თონთლო ტალახი წვივებამდე მისწვდენოდა და ტანიდან ნაწრეტი წყლის პაწია ნაკადები კოჭებზე ჰია-მაიას გავლილივით ჩასდევდა ტლაპოს და სანთლის ნალვენიივით ზოლუბად ხაზავდა“.

„ნატამ თქვენს შორის ჩაიჩოქა, ლაშასაკენ ნახევრად ზურგშექცევით და შენკენ პირმობრუნებულმა. უკვე ზინველი, თუ ნატას თავს ვერა, მთელ ტანს ზედავდა“.

„— გოგო, ნუცია, შე სასიკვდილე, სანამდე გინდა დარჩე ასეთი პროვინციელი ხეპრე, ასე ბაიყუში, ყრუ და უბირი! — ატყრიალდა, როგორც იცოდა, სიცოლით რომ ამომზიანდებოდა და გულის სხივებს ამოანათებდა. — ახლავე გაიხადე, რომ გელაპარაკები მე შენ! უყურე ამას, მარტო მე უნდა გამომაქენოს ქვეყანაში?! ამასაც მეგობარი და დაქალი ჰქვია რალა... შე მართლა ბებიაჩემო... რიფსიმე ხარ შენ... ბებიაჩემი რიფსიმე!“

„— არ მოეშვა, ნატა, არ მოეშვა! — აგულიანებდა ნაპირს ფეხისდაწვდენზე

მოახლოებული ნოე და ტაშს უკრავდა“.

„მართლაც არ მოგეშვა. იგი იმდენად მოწადინე იყო შენი გაშიშვლებისა, ისე ვნებიანად სურდა შენთვის ტანსაცმელი შემოეძარცვა და დედიშობილა დაეყენებინე ხინელის თვალწინ, ისე უნდოდა მიეღწია ამისთვის, რომ გაანჩხლებოდა და ვითომ იმ სიცილ-ტყარ-ცალში კბილებიდან გამოსცრა: — ძალად გაგხდი, შე მართლა ბებიაჩემო! — შენ და ლაშა, ორივე მიხვდით, რომ ნატა მართლ დღეს კი არ წამოვიდა აქ, ზღვაზე საბანაოდ, აქეთ ხინელის გაცნობის დღიდან ილტვოდა. შენ უნდა გაეშიშვლებინე და ვითომ მორცხვობა და კდემამოსილება, რომელიც ვაჟის თვალში უპირატესობას განიჭებდა, უნდა წაერთმია. და თავისი, მართლაც უკეთესი აღნაგობა სააშკარაოზე გამოეტანა“.

„იქნებ ეს არ იყო ბოროტება. ეს იყო განძის კიდობნის გახსნა და ზუსტი ანგარიში, ვინ რა სიმდიდრის პატრონი იყო. და შენ, როცა დარწმუნდი, „შეჭიბრი“ უნდა წაგეგო, იქვე, ლაშას თვალწინ გაიხადე და მართლა კინალამ დედიშობილა გასწიე წყლისკენ, ატყრციალებული ნატას მხარდამხარ. არც ისე ფაცაფუციოთა და სხეულის ზედმეტი მიხვრა-მოხვრით, რომ დამკვირვებელს, თუ შემფასებელს რაიმე მხედველობიდან გამორჩენოდა. წყალთან, ტლაპოში რომ ცალი ფეხი წაჰყავი, შეჩერდი, ნატას მხარზე ხელით დაეყრდნე, მეორე ფეხი აიკაუტე და წინ წახრილი კარგა ხანს „დასჭირდი“ ტერფში ხმელი ბალახები რომ შეგერტო, იმის გაგებას, მართლა ხომ არ გაიკაწრე. — დაე ნატას ეზეიმა, რომ თქვენ სასწოროზე იდექით და მისხალ-მისხალ შეეძლოთ თქვენი „წონა“ დაენახათ“.

„წყალში კი არ შედი, ჩავარდი. ფეხი არ დაგცდენია, მაგრამ ძალაგამოცლილი გაიშხლართე. მერეც ტანდამიმეტებულმა კი არ აიძაბე, შინაგანად გამოცლილი და გამოფიტული, გამოშრალი და ფუტურო ტიკინა ატივტივ-

დი, აცოციალდი, წყალმა კინალამ თავდაყირა მოგინდომა ამოტრიალდა. შენნი მაშინდელი მდგომარეობის შესაფერისად. არც ცურვა მოგინდომებია და არც უბრალოდ მკლავის გაშლა. ხინველისაგან პირმიჭეუელი, ყელამდე წყალში ცდილობდი დადგომას და ფსკერის სლიკინა თლაპო ფეხებიდან გეცლებოდა. უკან უნდა დაგეხია, რომ წყლის ზევით მკერდიც აგეტანა და იმდენი წონა დაგებრუნებინა, უხრეშო, დამხრჩვალი ნამინდერალის გაწყალებულ მიწაზე ფეხი მოგეკიდებინა. მაგრამ ცივმა წყალმა უკვე გამოგაფხიზლა და ნაპირთან მიახლოება და სხეულის, რაც წყალს შეეძლო დაეფარა და რისი დამალვაც ხერხდებოდა, იმის გამორჩენა არ შეეძლო. ახლა შენ და ნატა გარეგნულად ერთნაირნი იყავით და მაშინდელი შენი ხელების ფათური და წყლის ჩაჭიდება, რომ როგორმე ფეხზე დამდგარიყავი, განწირულის ამოა ფართხალი იყო, დასალუბავად გამეტებულის, სიცოცხლესთან განუყრელობის პოტინი“.

„ვერაფერს გახდი, ვერაფერი გააწყვე. ან ნატასავით შეუპოვრად უნდა გეცურა, ან უკან დაგეხია“.

„ბოლოს ხსნა მაინც ნაპირი აღმოჩნდა. რასაც შენი სხეულისას გაიმეტებდი, მალლა ამოიწვედი და გაშიშვლებოდი, ფეხზეც იმას უნდა დაეყენებინე, მაგრამ რაც მიწას გიბრუნებდა, იგივე გაცლიდა. როგორ შეგაცაცახა და შეგამცივნა იმის შიშმა, ერთ წუთში რომ ამდენი გადაიტანე და დამარცხებული უკან რომ ბრუნდებოდი, ვაითუ, შენზე თვალმოციბებული ხინველი ისევ იქ მჯდარიყო“.

„რა თქმა უნდა, არა. იგი იმ არემაზე სულ არ ჩანდა (როცა გზაზე გახვედით, მანქანა დაეჭირა, წინ იქდა, თმაგაჩიჩილი, თვალეხასხრილებული ბიჭის გვერდით და გელოდათ). ამან შეგაძლებინა მშრალზე წამობოროციება და რამდენადაც წყალში ხმელი ფურფუშელასავით იყავი, დაფუქული და დაწუტული სხეული იმდენად ლო-

ხი, ერთიორად მძიმე სათრევი გახდა ნაპირზე, მერეც უმიწო, როცა მყარი საყრდენი გაგჩნდა“.

„ხინველი მშენიერებაზე თვალს არ ხუჭავდა, ეს შენც იცოდი და ნატამაც, მაგრამ ეს არ იყო მთავარი და არც ისე მნიშვნელოვანი, მისი სული შეეძრა. ის, რაც თვალს ახარებს, დაძახილს ჰგავს, მიხმობას, კარგად გაფორმებული წიგნის ყდას, თეატრის აფიშას, კინოს რეკლამას, მაგრამ იგი ხომ წიგნსაც კითხულობდა...“

„ნატას ის „ზღვის“ ბრძოლა არ მოუგია“.

„ნატასთან, ღმერთთა მოწმე, მე არ მიბრძოლია!“

„არა, შენ ხელებაწეული დანებდი, რაკი მას ეს გამარჯვება სიცოცხლის საფასურად უღირდა, მაგრამ ნატას მოხდენილმა, სხმარტალა სხეულმა ნოე ხინიკაძე იმდენად მოხიბლა, რომ მაშინ ირწმუნა, ლაშას არჩევანი საბოლოოდ გადაწყდა, თვითონ კი შენ, — დაწუნებულს, უნდა დაგჯერებოდა. საოცარ გუნებაზე იყვნენ იმ დღეს ნატა და ნოე...“

„არ ვიცი...“

„საუბედუროდ, არასოდეს იცოდი, არ ხედავდი ხინიკაძის გუნება-განწყობილებას. იგი შენთვის რაღაც საგანი თუ ნივთი იყო ხინველთან ურთიერთობისათვის და ალბათ ნატაც...“

„ნატაც?!“

„ნატაც, რაკი ამ „ნივთებთან“ დამოკიდებულებაში აჩენდი შენს ღირსებებს... როცა ნატას უნდოდა შველა, შველოდი და ამ დროს იყავი თავდადებული. ნატას უნდოდა ერთგულება და ერთგულებდი, ნატას სჭირდებოდა გამარჯვება და მარცხდებოდი. ნატას უნდოდა სიკვდილის მერეც ხინველი მისი ყოფილიყო და გაჰყევი მურთხს. და არ დაფიქრებულხარ, რომ ნოე მაინც ცოცხალი არსებობდა და არ შეიძლება ადამიანის ერთგულებისათვის, ან მეორეს თავის მისაწონებლად გაწირო მე-სამე, თუნდაც ის ამის ძალიან მოწადინე იყოს. უვიცი ხომ იმ ბავშვივითაა,

ცეცხლით მოხიბლული მისკენ მივლილ ილტვის“.

„იმ დღის მერე ნოეს პირზე სულ ზღვა ეკერა“.

„ჯანდაბას მისი თავი, წყალს და მეწყერს...“

„მართლა რომ დაგეკრა ფეხი და სადმე ზღვაზე წასულიყავი. სადმე შორს, შორს...“

„ყველაფერი შორსაა, ყველაფრისგან ისედაც შორსა ვარ. განა მართლა აქვს მნიშვნელობა სად ვიქნებით?...“

„რა თქმა უნდა, მაგრამ „ზღვა“ მაინც ყოველნაირად სჯობია. ამ აურზაურს მაინც მოსცილდები და ლალატი გინდა, თავის დახრჩობა თუ ფიქრი და თავისმტკრევა, იქ ყველაფერს უკეთ ეშველება. აქვეა აეროფლოტის სალაროები“.

„ყველაფერი ცეცხლმა დაწვას!.. მიწაზე არ მედგომება და ახლა ფრენა დავიწყო?“

„მაშინ მეტრო, მეტროს უნდა გაჰყევი და ბოლო გაჩერებამდე დროა. რამდენ რამეზე დაფიქრებას მოასწრებ. იქნებ იქ „გელოდება“ ის, ვისაც ასე გულთ დაეძებ“.

„ხინველი არ იყო წამტკევი კაცი და წამტეულის გულზე წიხლის დამჭირებელი. შენ ამიტომაც გიყვარდა იგი და თუ ნატაც ამ აზრისა იყო, ის არ უნდა ჩაეღინა, რაც „ზღვაზე“ ჩაიღინა. მისთვის წამტეული წამტევეზე ძვირად არ ფასობდა. უთუოდ ამანაც დაარბია მისი სპორტული კარიერა. ამდენად, ნატამ, იმ დღესაც შენი საქმე აკეთა. საღამოს, როცა ერთმანეთს დაშორდით, იგი ერთი წამით თვალებში შემოგაჩერდა. ძნელია იმის თქმა, რა თქვა ამით, მაგრამ ნატასთვის არ შეუხედავს. იქნება ახლა ყველაფერს ვაზვიადებთ და ბუზი აქლემად გვეჩვენება, მაგრამ ასე უაზროდ, არაფერს რომ არ ხედა-

ოზია იოსელიანი

ბალი გამომჯდამი ჰმრის საღალატოდ

ვდეს, ხინველი კი არა, ხინჯაძეც არ აცეცებს თვალებს...“

„ნატასაც დაეტყო იმ ღამეს ის კმაყოფილება-უძმაყოფილება, რაც იმდღევანდელ მის შეცნობილ და შეუცნობელ საქციელში გამოკრთა და შიშიც გაუჩნდა, თუ რა მოხდა... გამარჯვების ზეიმი მაინც ამოვებით დაეთალხა. იცოდა ნატამ, რას რა მოჰყვებოდა და მაინც შინაგან წამქეზებელ ცდუნებას აჰყვა; თუ ჯიბრის ენებას, შენს უპირატესობაში რომ გაჯერებს და ფარული სიმდიდრე გამზელას ითხოვს. გულნამცეცა არ იყო ნატა, მაგრამ გულდიდი იყო. გულდიდობის ხიბლი ხშირად ძნელი შესაღწევია და მისმა შინაგანმა ძვრებმა და ბიძგებმა შეიძლება იმისთანა უფსკრულის პირზე შეგმართოს, რომ ვეღარ გადახტე. იმ დღეს, სულკურთხეთულმა, შენი შეწირვა მოინდომა. შენ შეეწირე და „უფალმა“ წყალობის თვალით მხოლოდ მსხვერპლს დახედა“.

„არაა მართალი, ნატა (ამ შემთხვევაში გარეგნულზე ვთქვათ) უფრო შეეფერებოდა ხინველს, ვინემ მე და სხვა ვინემ. მან თუ მოინდომა, იმის გამომზეურება მოინდომა, რაც გააჩნდა და არა იმის, რისი პატრონიც არ იყო“.

„მაგრამ ლაშქარის ხომ ეს არ იყო ის ღირსება, რისთვისაც ქალი... შეიძლება მოსწონებოდა“.

„მოწონებაც ხომ ერთი ნაბიჯია სიყვარულისაკენ?“

„რომ არ სცოდნოდა ვინ იყო ნატა, და პირველად დაენახა, იქნებ ამისთვის ყოფილიყო საჭირო ის „ერთი ნაბიჯი“, მაგრამ იმდღევანდელმა ბევრად გააუარესა მათი ურთიერთობა, დაამორა ლაშა ნატას და დაგიახლოვა შენ. იმ ღამეს შენ უფრო მშვიდად გეძინა, ვინემ ნატას. ნატას თუ თავიდან არა, წამხდარი საქმის ბოლოს დანახვა და ანალიზი შეეძლო. ნოესავით რომ აგეგო სახლი და შიგ კანონიერად მოკალათებულყო, პირველ ღამესვე მიხედებოდა, რა იყო იქ თავისი და რა სხვისი“.

„არა, მეტრო მთლად სულმაც შენთან ვიყავი“
თველი ყოფილა ასეთი გაწამაწიის დროს. აქ თითქოს უფრო წესრიგია, ხალხიც უფრო დაკვალიანებული. ფანჯრებს მიღმა ბნელა და, ამდენად, სიწყნარეცაა, შენი სულიერი ამბოხისათვის უგულებელი და შეუსაბამო. თითქოს აწუხებ გარემოს და ვერ გიტანს. ალბათ ის საგარეუბნო დაბარგული და არიალებული ავტობუსები სჯობდა. აგერ ეს გაჩერება პირდაპირ უნივერსალთან ამოგაძვრენს, სადაც მუდამაა რუხრუხი, ყაყანი, ყიდვა-გაყიდვა, მოტყუება, თვალის ახვევა და გაუტანლობა“.

„ქარგია, ვინც ეს მოძრავი კიბე მოიგონა. არ გინდოდა ახლა ამ უსაშველო აღმართზე აღწევა?“

„უნივერსალის კართან რომ აიტუზო, ვითომ, გამოვა რაიმე? ვაითუ, ვინმეს უფრო ქორ-ვაჟარი ეგონო იმ ცარიელ ვიტრინების წინ რომ დაეყუდები“.

„ვილაცა ახმახი დასუნსულებს მაგერ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. არ ეტყობა, ვინმესთან ჰქონდეს დათქმული შეხვედრა, მაგრამ ელოდება. დავიჯერო, მოლაღატე ქალებზე ნადირობს? ვის ემალება? თითქოს არავის და მაინც... როგორ აცეცებს თვალებს და რაღაც-აკრძალულს დაეძებს...“

„აი, თითქოს შეგნიშნა, მაგრამ იმ ფაშფაშა ქალსაც რაღაც ჩაუჩურჩულა, შენ გიცქერის და იმასაც წარამარა ცალყბად ელაპარაკება. რაღაცას უმტკიცებს თუ ხელებით „უჩვენებს“ და ისე ფიცულობს. ზედვე ეტყობა, რაღაცას ატყუებს. შენ როგორ გეგონა, მუსუსია და იმ ქალის „მოხიბვლას“ მოინდომებს?...“

„ბალია, ეგერ, ქვევით. „ისეთი“ გარიგებები, ბულვარული წიგნებიდან იცი, ერთ დროს თითქოს იქ ხდებოდა. ახლა პენსიონერებითა და მაკლერებითაა სავსე და რაღა ფიქრობ, იმ ხელფეხაკანკალებულ ბერკაცებს შეაძლებინებ შენი ქმრის ჯავრი ამოაყრე-ვინო?“



„კინოთეატრში რომ შეხვიდე... კი მაგრამ, ფილმის „სანახაეად“ ასეთ შემთხვევაში დაწყვილებულები მოდიან. ვინ დადგება კართან ხელში წყვილი ბილეთით იმის იმედით, ვინმე ქმრის ლალატს ინდომებსო... ალბათ, ათასში ერთი, გამონაკლისი ყველგან ხდება. მაგრამ შენ ტიპიურიც არ გაგიმართლებს, მგონია. არ გაგიმართლებს, რაკი ამისი დიდი სურვილიც კი ცოტაა... ყოველ საქმეს, საძრახი იქნება ის თუ სასიქადულო, ცოდნა სჭირდება. ასე რომ აიღო თავი და ქუჩაში გამძლეულს შეაჩჩიო, შეინჩჩებს, გგონია? ყველაფერს თავისი წინა პირობა აქვს, გამოცდილება სჭირდება, ხრიკი, ხაფანგი... დღეს ალაღ-მართალი, შენნაირ ალაღ-მართალს რომ კარზე მიაღდე, ისიც არ გაგიღებს... გაგიღებს კი არა, ფეხის ნაბიჯზე არ გენდობა. ტაქსში რომ ჩემოდანი დარჩეს, მძღოლმა არ მიითვისოს და გარაუში ჩააბაროს, გაზეთში გამოაცხადებენ (თან მძღოლი დარწმუნებული არაა, ავტომანქანის ნომერი, ფერი არ გახსოვს, ან თვითონ მას არ იცნობ და არ იპოვი)“.

„ბაღში ან სკვერში რომ ძელსკამზე მარტო დაჯდე და მუხლები მოიშვიშო, გგონია, ვინმე კალთაში ჩაგბჯდება, ან ჩაგისვამს?“

„აბა, როგორ ხდება ეს? ქვეყანა გაპატონსდა, კახბა, ქურდი და ბოროტი დაძლია?“

„არა, ყველაფერია, მაგრამ თავისი რიგითა და წესით. ქურდი ახსენე შენ და იმაზე მომაგონდა... შენი ბაჭყალი იმას ჰგავს, ერთ დღეს, გაძარცულმა და გაკოტრებულმა, ბანკის გატეხა რომ მოინდომოს. ბანკს-საკეტი აქვს და ბოქლოში ადევს, დარაჯი ჰყავს და დარაჯს — დარაჯი“.

„მართალია, შენ არავის ძარცვავ, თითქმის თვითონ ეძარცვინები, მაგრამ, ეტყობა, ასე არც ეს ხდება. ჩიტის კვერცხის სიმსხო ბრილიანტები რომ ქუჩაში დაჰყარო, ასაღებად არავინ დაიხრება, მაღლა-მაღლა, ხის ტოტებს დაუწყებენ ცქერას, საწყალ ბედურას ბუ-

დე დანგრევიაო — და იმას უმაღლესად ღირსეულად ჰყურებენ, ხის კენწეროდან გადმგრვნილი კვერცხი მთელი გადარჩენილია, ვინმე ვინმეს ბრილიანტები დაჰბნევიაო. განძს ყელიდან შეგხსნიან, თითოდან წაგგლეჯენ, ყურის ბიბილოს ჩამოგახევენ და წაიღებენ, მაგრამ ქუჩაში დაყრილს, ფეხს დაადგამენ და ვერ დაინახავენ. ფულისთვის ჯიბგირი ხელს ჯიბში ჰყოფს“.

„როგორ გიყვებოდა ბაბუაშენი — კირილე ალავეძე: ერთხელ, ბაზრობაზე, ქურდები პირში ჩალაგამოვლებული როგორ დაეტოვეო?“

„საწყალი, რაც შენ გახსოვს, ბრმა იყო და რაღა დარჩენოდა, იმით ცოცხლობდა, რითაც იცხოვრა. ცალი თვალი მოწითულულობაში ხარს რქის წვერით წამოვედო და მაინც ხარებზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. მეურნე კაცი იყო. მიწის მუშა. პირუტყვმა უცაბედად თავი გაიქნია და თვალი წამოსთხარა, მარჩენალი ხარი რა შუაში იყო, სახრეც არ დაუტრავს. ვერც თავს დააბრალებდა, მესხე საქონელს მუდამ თავს დასტრიალებს. სიბერეში, დღესა და დამეს რომ ველარ არჩევდა, პირუტყს მერეც უვლიდა. შეუმცდარად იცოდა გზა ჩალისა თუ თივის ზვინებამდე, ზვინიდან ბოსლამდე, საქონლის ბოგამდე და საპირემდე“.

„ბოგასაც თვალბილულივით წმენდა და ნაკელი თუ ვერ გაჰქონდა, ბოსლის მუნჯუროში აგროვებდა“.

„ეს, რაც შენ გახსოვს...“

„მანამდე კი... კვარაცხელიას განთქმული ჯიშის ცეცხლივით, რქებაშვეტილი გასახენი, დაწმენილი მოზერები რომ უნდოდა ეყიდა და, კაცმა არ იცის, რამდენი წლის ნაგროვები ოქრო-ვერცხლი ბაზარში წაიღო. ოქრო საქონელი იცოდა კვარაცხელიამ და ოქროც ღირდა. შემოდგომაზე ჩამორეკვდნენ ნაასხარ, გახულათებულ ჯოგებს. საბაზრე ხარებს ზურგზე დანა დაელესებოდათ. თვლებიდან ბლუჯა-ბლუჯა ნაპერწკლებს ჰყრიდნენო, — გიყვებოდა თვალდაშრეტილი ბერიკაცი, — ერთ მოსა-



ხელე ღირდა ყოველი სახარე მოზვერი და საბლის ფასიც უნდოდარ. ქვაწვია იყო კვარაცხელია, კაპივს ვერ დაავლებინებდი. მაგრამ საქონელს მოგვემდა, უკაცობის კაცს კაცად გაქცევდა. ქვეყანაში თავმოწონებული გაივლიდი. რა ურემშიც შებამდი, ბაჯალლოდ აქცევდა. უღალატო საქონელი თუ დალოცვილიყო. — ბაბუაშენს მეტყველი კი არა, უღალატო პირუტყვიც კაცად მიაჩნდა“.

„ახლა, ამ მანქანებით გატენილ და აქოთებულ ქალაქის გულში უღალატობა რა გასახსენებელია. ღალატისა და ორგულობის გზად დამდგარი მისი შვილიშვილისთვის?“

„როგორ ვაბედა მარტონელა ბაბუამ, მთელი საცხოვრებლის საფასური ბაზარში წავლთ, როცა ცალი თვალი აღარ ჰქონდა და მეორეზეც ლიბრი ეპარებოდა? იცოდა, მალე მზე დაუბნელდებოდა და მზისფერ, თვალგებრილია, ერთ-ერთ ხარებს უნდა ეტარებინა, ამ ყოველთა წუთისოფელში“.

„ქურდი და გარეწარი არც მაშინ აცლდა ქვეყანას და ბრძას კი არა, თვალბილულს თვალში ბეწვს აცლიდა. ხონის ბაზრის ქართას, სადაც კვარაცხელიას ჯოგი წითელი მორევივით ბრუნავდა, ჯიბეცარდელი კაცი ვერ მიაღებოდა, მარტო იმის დანახვა ღირდა ფული“.

„ჯოგს, თურმე, წელიწადში ერთხელ, ასხის მთაზე რომ დათოვდა, საბაზროდ მაშინ ამორეკავდნენ. ეს ქვეყანამ იცოდა და მით უმეტეს, მეურმე კაცისთვის დღესასწაული იყო, აღდგომასავით ელოდნენ. ქურდი, მავნე და მალეღალაკი იქ ირეოდა, სადაც ხელის ქუჭვი ეგულებოდა“.

„ჩოხა-ახალუბრემოცვეთილ, ბრუც-იან კირილე ალაიძეს ვინ რას შეარჩენდა, მავნეს თვალს ვერც იმით აუხვევდი, ტანზე რომ სახარბიელო არაფერი გემოსა. ახალთახალ მეწამულ ჩოხა-ახალუბს, წულა-მესტებსა და ზუზუნის ქუდს თუ ინდომებდი, წელზე ვერცხლის ქამარ-ხანჯლითა და ქამარზე მო-

ზარნიშებულს საფეხურსა და ფულს საიდან დააგროვებდნენ? ქაწონე ბაბუაშენს ფსკერგავარდნილ ქალამნებში ხვინჭკა და ხრეში ფეხისგულზე უბიცილებდა და სულელივიც აცინებდა. ამდენი ხნის სიმაშველ-სიტყვებით ნაგროვები თქრომ რომ ჯიბეცარებისთვის გაეტანებინა, მართლაც სასაცილო არ იქნებოდა? ავაზაკს ვინ რას ატანს, მაგრამ მიაქვს, გბდის სულს და მიაქვს. ქუთით თუ აჯობებ, თორემ აკაცობითა და გაიძვრობით შენ გაუტოლდები?“

„კვახი სქეროდა იმ დღეს კირილე ხელში, კვარაცხელიას მზის ავადივი დატრიალებულ ნახარს მისეულ ჯგლე თაში რომ დააბოტებდა. „მუშტრები“, თურმე, ზედ ეტმასნებოდნენ და გბეებს უსინჯავდნენ, მაგრამ ყურს არ იბერტყავდა. ვითომ რა ხარი, რის ხარი, აგერ თავისი „საქონლის“ მყიდველს „ემებდა...“

კვახისა და ჭყიბტის ხნის მომტარს ჯოგთან რა ენაქიბოდა, მაგონ იქ რაც ხალხი ირეოდა, თვალში ერთ-ერთ შესწვდებოდა. ხონის უღელხარს, ცალი, ვითომ, მანქარი ჯდებოდა და სად მთელი და სად მანქარი, მაგრამ ამ ჯილაგის საქონელს სხვა ქურდს ვერ შეუუღლებდა. გაგეფუჭებდა და თვითონაც წანდებოდა. ეს მოინდომებდა მთელი ტვირთის წალენას და მეწყვილეს, რა გულიანი საქონელიც უნდა ყოფილიყო, დახაგრავდა, გატეხავდა, აითრევივებდა; უკან იმდენ ხამოიტოვებდა, ქაჩაჩებ, ურმის თვალზე დააქლექვინებდა. რკინის საოცრ სახსრებსა და ბარკლებზე სისხლს გადენინებდა, აიცილებდა და გატანჯავდა თუ უღელს გადაუწევდი და სუსტს სიმძიმეს შეუძსუბუტებდი, ვერც ამოდაიოკებდი. პირველობას ნაჩვევი, ჯილაგის გატოლფასებას მერეც ვერ იგუებდა. მან ხომ არ იცოდა, რომ ტვირთი ორჯერ გაიზარდა, აკამას უნახავდა, რომ უღირსმა უღირსი გაუქმებოდა და მხარადმხარ მოსდგეს, ისევ გასწევდა, ისევ უკან მოიტოვებდა და უღ-

ელი ბარის კუთვნილ ძაღლის დღეს-ბე-
ლეობით გამოლოცვდა, გამოლაღვდა,
გამომალავდა და, ბოლოს, და, ბოლოს
გაძაბუნებდა.

რას ნიშნავს, თურმე, საჭმელ ხანდ-
ვლი მოყვარული და ერთგული ადამი-
ანი, ბაბუა რომ არა, შენ ხარი და ძრო-
ხა საიდან უნდა გცოდნოდან, ან გცო-
დინებოდან, როგორც ხოვ ხინიკაძემ,
მხოლოდ რძე და ხორცი იცის...

ბაბუაშენმა კირილემ იყინდა ამ
დღეს ხარებში. პატრონს რომ მოუყრიდა
და ახელ-ლაზედეს, ამდენი ფული ამ
კოთხელში, უბერანგო, ტანზე ჩინაობი-
ლუბაშეშოდნარ ვლეს ვინ მისცა და
თუ მისცა, სად, ან რაში ინახავსო, რო-
ცა ჯიბეზე და უბეზე თვალდასადგმე-
ლი არაფერი უჩანდა. კირილემ, ფუ-
ლის მისათვლელად გამყადველი დახლ-
თან მიიყვანა და კვახი ფიქარზე დაა-
ხეთქა ყვეთელი კვახის გული და ცე-
რის სიფარფლეს ეგონათ, ერთხანს,
თურმე, დახლზე რომ ოქრო და ვერც-
ხლი დაცნაოდა.

პო, იმაზე ვაგახსენე, საპარავს იქ
გმებენ, სადაც ეგულებათ, კვახში, ოქ-
როსა და ვერცხლის ვინ მოიციქრებდო-
ნს კი არადა, ბაბუაშენს რომც ქართლ
ძორას მიეგდო და ვინმეს ფეხებში წა-
მოეღებოდა, პატრონს დაუბრუნებდა.
საღის მყიდველს რა გვაჯებოდა და
კვარაძეხელის მუშტის ქურდს, მით
უმეტეს...

„ე! ვილადა მანქანას გიჩერებს, მგო-
ნი და, შენ იცი...“

მაგრამ რა გინდა რომ ჰქნა, შე საბ-
რალო, „ასეთ დროს“ წინ დაუჯდე თუ
უკან, ისიკ რომ არ გავგებდა!

„ალბათ მძღოლის გვერდით სჯობია...
უკანა საგარძელზე რომ მოიყუნტო და
თავიქალღული მიიყუტო, კაბა მუხლებ-
ზე ჩაიფარო და გაილურსო, ასეთს, მო-
ალაღიყვარ არ ინდომებს. პატარა თუ ქა-
ლმაც არ უბიძგა, თავზე ხელაღებულიც
კაცია და, ნამუსი ნიეთი კი არაა, ჯიბე-

ში ხელი ჩაგდოს და ამოგაცდლოს, თუ
არ დაეჩინა, თვალს წაეღოს არ მარტო
„მანიაჩი“ რაღაცა და შეგებებს, ან
გაოჩინო, თუ არა, მანიაჩი და
მანიაჩი, მანიაჩი, მანიაჩი, მანიაჩი...
ველი მზეთუნახავი გამაყვითო, ხელო-
სად არაფერ შეუძლებს...“

ქალისა და კაცის წაწყვეტაში მეტ-
ნაკლებად თარიღს სცოდავს, თავიდან
მდედრმა თუ ცოლა მანც არ წაიფე-
ლოცა და მამრის წაღწეა რაღაცა ცოდ-
ვის ნარკველი არ ჩაადგო, კაცო თუ
მთლად მომალადე პათოლოგიკური
ვნების ცეცხლი, ასე თუ არა, არაფერზე
ცო სობანებზე ურთიერწელიდ არ და-
ინთობა. ტოტულობზე, ერთხანს, ისევე
უნდა გველი, როგორც მოდიოდო, საბ-
ლის კედელს რომ მაიწყდი და კინადი
უკან გაბრუნებდა, მოინდოვე, მასე იმი-
ტებს შერ „მუშტების“ მოზიპელასა და
გარყვრა-გათახს რეზას?

„რა ეცი, ჯადაბას ჩემ თავი, რა-
ღაც... ისე დაეღებო, იქ სულ არ გე-
ლოდო...“

„ქარგი, გაღწევი ეს ნახება და კარ-
გად მოიფიქრე, როგორ მოქცევი, ზავი
მთლიან ღილი წაგებოდა აქვს პირ-
ველ ნაბიჯს, თავდაპირველ საცეცელს,
გაჩინა, შეხვედრობადაც რა დამოკი-
დებულება დამყარდება, რომ მერე
მოვლენებო თავისთავად ვახვიოთარდეს...“

„კაცო რომ თავიდანვე „ჩემო დამო-
თი“ დაეწყებინა მუსიკის და „დამო-
ბას“ შემოგთავიზებს, იმისგან, თუ
მთლად თრპირი და მუხანაირი არაა,
იმნაირს არაფერს ელოდო, არც იმის-
გან იქნება „წელიწადი“, მანქანაში რომ
ჩაუჭდები და საჭეს ჩაკეტილი ერთ-
ხელად არ შემოგებდავს, მარტო იმას
თუ ამოიღოვინ, საით... იმისთანას ერთ-
თი მანქანი მთელ საქალღის ურჩევნია,
ან ცოლისგან აქვს გამშრალი სისხლი,
არაფერ ისეთებიც, შემოგებდავს, შემო-
გციცინებენ, მაგრამ როგორც კი გზას
დაადგებიან, დაეიწყებინა და „შემაჩე-
რიო“, რომ იტყვი, თანინ მოგაგონდები,
ისევე გაუხანთდებოთ თვალები და თვალს
რომ მიეჭარები ტუჩებს თუ გაილო-

კავენ, თორემ შენთან არც ეს გაახსენდებათ“.

„აქცია ისეთი...“, ქალი რომ მოეწონებოდა, სამოთხეში გაიასახლდებოდა, მაგრამ ის... ისეთი“ რაიმე ხდება.

წარმოუდგენია, თუ საიმისოდ სამოთხე-ელემი არც ემეტება. თვალით ქამს, თვალით სევას და ქალს, როგორც მშვენიერებას, ისე აღიქვამს. ასე ხელწამოსაყრავად და გასაქმლად მშვენიერება რომც გაიმეტონ, თავს ვერ გაიმეტებენ, რაკი არაფერად აღარ ელირება მათთვის ეს ქვეყანა, სადაც ამოღებული და მიუწვდომელი არ იარსებებს. არიან... შენგან რომ კერპს ჰქმნიან და ხატად სჭირდება. იმისთანასთან რომ გაცნობისთანავე, უცაცრაული პასუხია, კაბა წამოიხადო, შეიძლება, ფეხად ვერ გაასწრო“.

„რა თქმა უნდა, ჭრელია ქვეყანა, მაგრამ აღმდინი, ბოლოს და ბოლოს, მაინც თავკერძა...“

„კაცს რომ ეგოიზმი წაართვა, ხელში ჩენიო, ფიტული შეგრჩება. თავკერძობა, ამ „მანქანას“ რომ ამოძრავებს და რასაც აცეთებს, ეგოიზმი აცეთებინებს. მაგრამ გააჩნია: იმასაც კი, ვისაც შენ ხატად მიაჩნიახარ და ხელყოფას გეკრძალვის, ისიც თავისთვის იღვწის, თავის კერპს ესავესთავის რწმენას უფლის, მშვენიერებას ვერ ბილწავს, თავის სიმდიდრეს უფროთხილდება. შენთვის ამას არც ის აცეთებს, თავისთვის უნდობარ ასე ამოღებული, რაკი დამდაბლებულით ვერ იარსებებს, შენ უნდა სწამდე, რომ არ დაეცეს და გაღორდეს. რომ შეიძლებოდეს, შენ წაგბილწოს და თვითონ ამოღდეს, არ დაგზოგავს, მაგრამ იცის: ცდუნება, გარყვნილება, გათახსირება თანაბრად მისიკაა. იცის, ხატს რომ შეაფურთხებს, იმაზე გელარ ილოცებს, კერპს თუ უროს დაჰკრავს — დამსხვრევს. ჰქუა ეკითხება და გიფრთხილდება, ხატი მაშინაა ხატი, თუ მლოცველი ჰყავს, თორემ ურწმუნოთათვის ნაფოტია, არ უნდა კერპი ნაფოტად გაქციოს... იმედი სჭირდება, საყრდენი, საფუძველი. ყველა

წყალში რომ ჩააფურთხოს, სული წყურვილით ამოხდება. არ იპარავს იმედი, რომ ეგოისტია და თავს ჭურდისა და აეზაყის სახელდებულად ვერ იმეტებს. იმდენად თავკერძაა, გულშიც არ უნდა გაიკლოს ისეთი რამ, რაც მის სხვაზე უკეთესობას ჩრდილს მიაყენებს“.

„უმრავლესობა მაინც მოჩვევებითი თავკერძაა: არ დაანახვოს სხვას თავისი სიგლაზე, მაგრამ სადაც იმის იმედი აქვს — ვერავე გაუგებს, ყოველგვარ სისაძაგლეს ჩაიდენს და ჰგონია, თუ სხვა არ ხედავს, ამით რაიმე იმალება. ამ რეგვენს მთავარი ავიწყდება — თვითონ ხომ ხედავს თავის თავს? თუ ხედავს და კაცია, მეტი მოწმე რაღად უნდა. ან ვინმე გამეღელმა კიდეც რომ დაინახოს, რა მოხდა, გამეღელი ჩაივლის. თავად ხომ ვერ ჩაუვლის თავის თავს და თუნდაც ერთი წამით ვერ დაშორდება. ყოვლისმხილველ, მუდმივ მოწმეს არ უფრთხის და სხვა ვიღაც ვიგინდარას უმაღლავს? გადამთიელს უფიცავს, ჰგონია. „თავის მოწმე“ სხვაზე ნაკლებ აგებინებს პასუხს, არ წამოაკრავს და ან არ დაასმენს?“

„ამიტომაცაა ქვეყნად ამდენი საღიზიანა, თორემ მათ რომ არ გაეცათ თავი და ჩვენ ამის თაობაზე არაფერი ვიცოდეთ, ქვეყანა სამოთხედ მოგვეჩვენებოდა. თუ გეჩვენება და გჯერა, იგი არსებობს კიდეც...“

„აღამიანი თავკერძად იბადება და ესაა მისი მამოძრავებელი ძალა. ჭერ კიდეც თოთოს, რაც ხელში მოჰყვება, იჭმება თუ არა, პირისკენ მიაქვს. ცეცხლს ეპოტინება, ხელებს იწვავს, მაგრამ მოსწონს და თავისთვის უნდა. ასეთივე რჩება მთელი ცხოვრება, ვითომ ცეცხლსა და წყალს გაარჩევს, ვითომ — თეთრსა და შავს, გაცნობიერდება, მაგრამ მერეც არაფერი იცვლება. მშვენიერი შველი და ირემი მწვადად უნდა და ხოხობი ჩაბოხბილად. ბატკანს, თიკანს, ხბოსა და წიწილას წვავს და ჰამს. იცის, ბალახი უფრო მარგებელია, მით უმეტეს, ცხვრისა და ღორის ხორ-

ცხე, მაგრამ კრავსა და გოჭს ვერაფ-
რით გულგრილად ვერ უყურებს, რა-
კი მართლაც მშვენიერია. ვარდს დანა-
ხვისთანავე მოსაწყვეტად წაეტანება.
ია-იას, ზაფრანასა და ალუბლის ტოტს
წყვეტს, ამტვრევს, გლეჯს. ალუბლისა
და აყვავებული ვაშლის ტოტის დამს-
ხვრევას, ხომ სჯობია, აცალოს, დამწი-
ფდეს და მუცელი ამოიყოროს. არა,
ახლა, ამწუთას... მერე შეიძლება მწი-
ფე ვაშლი და ალუბალი სხვამ შეჭამოს
და ბარემ ყვავილობისას მიიტაცებს.
ჭკნება ყვავილი, ხმება და არაფერში
არგია, მაგრამ, როგორც თოთორობაში,
ახლაც ვერ აცნობიერებს, მშვენიერია
და ასე შორიდან საყურებლად და
სხვისთვის კი არა, თავისთვის უნდა...
უნდა... უნდა...”

„ქალიც ასე მოსწონს და უნდა... უყ-
ურე, კაცო, რა სჯობია ლამაზი ქალის
ყურებას! არა, უნდა... თავისია თუ არა,
თავისთვის უნდა. უნდა ხელით შეეხოს,
ტუჩით იგემოს, უნდა ეღვლინოს, ჯიჯ-
გნოს, გაწეწოს, გამოსწოვოს სისხლი,
მოიქცეოს ქვეშ, გათელოს, გაქელოს,
დაამდაბლოს...”

„ბაღის კიდეზე საიდან აღმოჩნდი?
არც ისე ყოველი ფეხის ნაბიჯზეა ჩვენს
ქალაქში ბაღები და ბულვარები, საი-
თაც პირი ჰქნა, წინ დაგხვდეს“.

„ეს გაცქრიალებული მუქი მანქანა
შენ გელოდება, თუ შენს უკან ვინმე
მოდის?“

„თითქმის არავინაა...”

„რად გისუსტა მუზღმა... იმისთანა
გაგრევილი ტიპი წამოქცეულა სავარ-
ძელზე და აქეთა, წინა ღია კარში თავი
ბაბუაშენის კეხივით გადმოუკიდა...
ჰო-ჰო, რა მსუნავად შემოგაციცინებს
და გეპატივება! მაგას თუ არ გააწბი-
ლებ და ჩაუჭდები, ეტყობა, ისე გაგრ-
ყენის და გაგათახსირებს, შენი ქმარიც
კი შენთან ანგელოზად მოგეჩვენოს.
ზედ არ ეტყობა, ვინცაა და რაცაა?“

„მამაკაცის სახსენებელს შეგაძუ-
ლებს!...”

„შეხედე, შეხედე, როგორ წაშლია
რძელა აქეთ კისერი და დაიკრძალებს
ლის ზურგი!“

„კარის მიხურვას არ გაცლის, მაშო-
ნე მუზღისთავეებში ჩაგაფრინდება
და სანამ ქალაქგარეთ გაგვევანდეს, შე-
ნსას დაგმართებს“.

„რომ ეძებდი, იმაზე უარესია!“

„ეშმაკმა დასწყევლოს, როგორი ღი-
ზლი და თითლიბაზია!“

„მერე, მაგას რა სჯობია, შურისძიება
და ლალატი თუ გინდა, უკეთესს ვერც
ინატრებ“.

„მიიხედე, მიიხედე, რა მზაკვრულად
იღრიჭება და „გენაცვალეო“ თუ „გე-
ხუტუნეო“, ჩურჩულებს.

„რა ყურებს გჭრის, შე ქალო, კვ არ
გაგინებს და გლანძღავს, გეაღერებია,
გიხმობს...“

„რატომ, ქირიმე, რატომ, ლამაზო!...“

„გვერდი რატომ ჩამიარეო?... შენც,
მართლა, რატომ ჰქენი?...“

„ჰო, ვითომ თავი არ გაიიაფე და ზე-
ლის ერთ დაქნევაზე არ დაყბაულდი?“

„ნუ გეშინია, მაგი არაა იმ კატეგო-
რიის... მაგისთვის სულ ერთია. შენ თუ
დანებდები, შორსაც არ წაევა, შებინდე-
ბისას აქვე... არაა, მაინცდამაინც ხალხ-
მრავალი ქუჩა და, მით-უმეტეს, თუ შე-
ლამდა...“

„ჩაუარე, თორემ არ გამოგყავა, ისევ
არ გეკრიჭება და თავზე არ გევლებ...“

„იმ საქმისთვის, შენ რომ გინდა,
არაა მაგი ხელგასაშვები „პიროვნება“.

„შეხედე, შეხედე, პირდაპირ თვალ-
ებიდან გამოსტირის შიშველი ვენება“.

„ესაა „ის“... როგორ გითხრა, უკაც-
რაული პასუხია, შავ ძაღლს რომ კაბა
გადააცვა, ხელიდან ვერ გამოდღლი-
ზავ“.

„ვაიმე, ვიხრჩობი, გულს მაზიდებს!“

„გულს უნდა გირევდეს, აბა, გულის
ღამაამებელსა და ვნების დამშოშმინე-
ბელს ეძებ?“

„ჯანდაბას ვეძებ, ღოზანას, სიკვდი-
ლსა და არგადარჩენას!“

„რომ არა, ამისთანას, მთელ ქალაქ-

შეი ათს ვერ იბოვი. პირდაპირ გაგიმართლა“.

„ჩაუჭექი, ჩაუჭექი, თორემ ასე გსდევს და... რაო, რას გეძულდებოდა?“

„არ ვიცი, დავყრუვდი და დავბრმავდი, საფეთქლები გახეთქაზე მაქვს“.

„რამ დაგაყრუა, შე ქალო!“

„გირჩევნია, ჩაჯდე და წაჰყვე, თორემ არაფრით არ მოგეშვება, პირდაპირ ასე ზეზეურად გაგაუპატიურებს“.

„რას გიწივის ყურები და შემოგენტო აღმური, რა გითხრა ისეთი, რასაც შენ არ პირებდი და რისთვისაც არ ღამწოდი მთელი დღე: სათქმელი და საქნელი ერთმანეთისაგან რამ ვაჰყო...“

„ყველაფერი როგორ ითქმება?!“

„სიტყვაბილწობა უფრო შეურაცხმყოფელია, ვინმე შეურაცხყოფა? დაუჭექი გვერდით იმ წითელ შალითაზე და დააფარე პირზე ხელი. ნახავ, თუ ხმა ამოიღოს და მაშინვე საქმეზე არ გადავიდეს. ახლოს არ ეკარები და, შორიდან სიტყვა მოუწვდება და გიწვდენს“.

„იმ გზაჯვარედინამდე მაინც არ მოგეშვება და თუ მაინც ქვას ესვრი, თავიდანვე უნდა გესროლა. რაღაცა შენც გინდოდა და ფეხს ითრევდი, ეგონა...“

„ეშმაკმა დასწყევლოს და დაშუბოს...“

„მასთან და მაგისტანებთან თუ არ გინდოდა, სახლიდან რომ თავქუდმოგლეჯილი გამოიქეცი, სად მირბოდი?“

„წყალში, მეწყერში, მოუეღალში...“

„ჰო, ერთხანს უნდა გასცლოდი იქაურობას, რომ პირში არ შენცობოდი იმ შენს მურთხსა და მის... მაგრამ მე-რე, როცა გაიგულედი, მიბრძანებულებიყავი, თუ მაინცდამაინც, ზეწარი გამოგეცვალა და ჩაწოლილიყავი შენს ლოგინში. გათბობაც კი არ დაგჭირდებოდა, ზედ მდულარესავით ქალი იწეა“.

„ღმერთმა დამიფაროს. იქ წოლა...“

„აჰა! იმ ლოგინზე წოლას, მაგ შეამანქანებინ თახსირთან წოლა გიჯობს?“

„ეი, ესეც აგერაა. კი ეძებე და იწანწალე, გაწყდი წელში, გასაეთდი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, გაგიმართლა“.

ბედის წყალობაა, თორემ უკვე მხოვენილი არ იყავი. რაღაცა უთავბოლოდ დაბორილვებ. მაგისტანსა საქმეზე შენისთანა უგუხურები არ დადიან და არც მახინჯად ირჯებიან“.

„ეი, ქალო, ძინედუ, დაიზაფრა კაცი. ძეათედ გირჩერებს ამ სახელმწიფო მანქანას, დაცვითა მუხრუჭები. სად ნახავ ასეთ უთავმოყვარეო და სისხლატალახებულ ხვადს!“

„რა პირგამეხებული მიუბრუნდი! შეგაგინა? არა, სულ „შენი პირიმი“, „შენ გეხვანხვალეს“ გიძახებდა. ეს იმას ნიშნავს, განებებს თავს და აწი, იქითაც რომ ეხვეწო, არაფერი გამოვა. აი-ყარა შენზე ცხელი გული, დაუცხრა ვნება და წალი აწი და ეძიე...“

„ასეა, ქალბატონო ნუცა, ცხოვრება არცერთხანად არაა იოლი. წამოვკრავთ ხელს ვინმე სინდისზე ხელაღებულს და ვიტყვით მაგისი რა მცოდნია, გარყვნილი და გათახსირებულიაო. სალაპარაკოდაა იოლი, „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“, თორემ პატიოსანი ცხოვრება რაა და უპატიოსნო რა უნდა იყოს“.

„შედი მანდვე, შეუხვიე მაგ ბალში, ჩამოჯექი სადმე და ნერვები დაიწყუნარე. მთელი სხეული ისე გიცახცახებს, თითქოს ლანძღვა-გინება პირველად გაგეგონოს. შეგაგინეს, ბოლოს და ბოლოს, მართლა რომ რაიმე ეკადრებიანთ, რას იზამდი“.

„შეუხვიე, შეუხვიე! გაჰყევი მასე კიდე-კიდეს, არავის შეასკდე. იმ შემხვედრსაც თავისი გაპირება აქვს. იმასაც ღალატობენ, ატყუებენ, ჰპარავენ, ან თვითონ ღალატობს, ატყუებს და ჰპარავს“.

„სად ჯდები, ისეთ ადგილს ეძებ, ვინმე ასე იოლად მართლა არაფერი გაკადროს?“

„რაღა მაგ თავფეხაკანკალეზულ მოხუცებს მიუახლოვდი. ესენი სულ ასე სხედან აქ. მათ დაამთავრეს ეს ბრძო-“



ლა, რასაც ახლა შენ ეწევი და დამარცხებულები თავიანთ ნაშუსტრევეს უკვე ზევიდან დასცქერიან. ითვლიან თავიანთ მკედრებს. მაგათთან სიახლოვე რას მოგცემს, შენ ახლა ომის შუაგულში ხარ, საიდანაც გამარჯვებული არავინ გამოდის, მაგრამ ბოლომდე კი იბრძვიან“.

„არ შეიძლება, მაგ მოხუცებთან ჭერ შენ არავინ მიგიშვებს. დღესვე, ან აქ გამოგიჩნდება ისევე ვინმე, ან ისევე, თუ შენ მოლაღატე ქმარს შიდადები, ის გაგიწევს ღუელში. ცხოვრება ჩვენსავით გულწვილი როდია... ჩვენ მას ჯარისკაცებად ვყავართ გაჩენილი და ჯარისკაცს ვინ ჰკითხავს, უნდა ომი თუ არა“.

„ბრძოლა, ქალბატონო ნუცა, ბრძოლა! აი, რას ჰქვია ცხოვრება“.

„ხელს არავინ გიშლის, მაგ ბებრებს შენი ღარდი დიდი ხანია აღარა აქვთ და თუ აქედან ფეხს არ მოიცილი, მაგათი სიახლოვის გამო მაინცდამაინც არავინ შეგაწუხებს“.

„ჰო, ერთხანს ალბათ, მაინც ასე გიჩვენია. თუ ფიზიკურად არა, სიტყვიერად მაინც კარგად შეგბილწეს და შუარისძიების ვნება ცოტა მაინც დაგიტბრეს“.

„რით იყო მაინც ის შავმანქანიანი შენს ქმარზე ნაკლები და თუ იმის მეუღლეობა იკისრე...“

„არც ერთის სახსენებელი არ მინდა! ყველა და ყველაფერი მძულს, მეზიზღება, მძაგს! სისხლი მეყინება, გული მიმდის...“

„თუ იმ მურთხზე ყოველდღე გული მიგდოდა, ამ მის მსგავსზე და ალიკვალზე ერთხელაც არა?“

„რა ვიცი, რა მჭირდა და მჭირს!.. მაგრამ მართლა ამ მაწანწალასავით სალაზნა და ბოლომოდებული იყო?...“

„რა განსხვავებაა?“

„ალბათ არაფერი, მაგრამ ამ ოხერს აქამდე მაინც ქმარი ერქვა...“

„მაგრამ ისევე გაუთენოდი იმას,

როგორც მაგ შავმანქანიანს. იხეიდა... ისე გინდომა, როგორც მეორემ“.

„და მე ჭერ კიდევ მაშინ ვცოდე?...“

„კი, კი. შენ ჭერ კიდევ მაშინ სცოდე, როცა სხვა გიყვარდა და სხვას გაჰყევი, როგორც ახლა შეგედლო...“

„რა შემედლო!...“

„რაც მაშინ შეძელი... თუმცა იქ ხიწველი გიდგა მხარში, ოღონდ მისთვის დაგენახვებინა შენი ერთადერთობა და განუშეორებლობა და ქვესკნელის მოციქულს გაჰყვებოდი, რაკი იგი სამუდამოდ შენი იქნებოდა თუ დაჰკარავდი“.

„არ ვიცი, არაფერი ვიცი და არც მინდა ვიცოდე! ყველაფერი შავ და უკუღმა. ყველა და ყველაფერი, ვინც მოყვარდა და მძულდა, ვისაც ვერთგულებდი და ვისაც ვღალატობ. ვინც მწამდა და ვინც გველივით მზარავდა. მეგობარიც, ქმარიც, შვილიც, დედაც, მამაც, დედამთილიცა და მამამთილიც!...“

„ვინაა, მაინც, ეს შენი საქმარეულო და ვინ არიან ის შენი დედამთილ-მამამთილი?“

„შავ წყალსა და მეწყერს, ავად და ბნელად, ვინც არიან და რაც არიან?“.

„ის შენი მამამთილი დიდი ხანია აღარაა, ღმერთმა იმიერს თავისი სიძარტლით გაანათლოს, მაგრამ ზომ უნდა გცოდნოდა, ვინ იყო და ფეხს ვისი ოჯახის ზღურბლს აბიჯებდი“.

„ახლა რომ იცი, რა ოქმა უნდა, მაშინ იმდენი არ იცოდი, მაგრამ სულ არაფერი? და თუ არ იცოდი, მით უარესი, არ უნდა გეკითხა? ასე, თხასავით, ვინც მუჟა მწვანი ბლახს დაგანახებდა, მისდევდი?“

„იცოდი... ის მაინც იცოდი, რაც ნატას ნოეს მკვიდრმა ბიძაშვილმა უთხრა. ფიზიკის ფაქულტეტზე რომ სწავლობდა — დურმიშხანი: მაგ შენს დაქალთან ჩემს „ძამია“ ნოეს რა ესაქმებაო. არ ვახსოვს, ცოტა ჭორიკანა, ენატანია ბიჭად რომ მონათლეთ? — ბიძამისზე ნაწყენი ყოფილაო... კარგი, ეს თქვა, რატომ მოხდა ან, რა მორალური კოდექსები დაარღვია, თავი დავანებოთ,



მაგრამ მაინც, რაო? მაშინვენი — ესე იგი, ნოეს ბიძა რომ მოკვდაო, ბიძაჩემმა (ნოეს მამამ) სახლი გაგვიყიდა და გაგვიყიდა, კი, იურიდიულად მართალია, ძმებს მამისეულობა თანაბრად ეკუთვნით, მაგრამ როცა შენი მამამთილის ძმა აღარ იყო, ცოლშვილიანად რომ შიმშილით ამოწყვეტილიყო, როგორ ჰქნა და ძმის ობლებს მამა-ბაბუის დატოვებული გაუყო? როცა თვითონ აქეთ იყო წამოსული და, ავი იყო თუ კარგი, სამსახური ჰქონდა და მუშაობდა, რალაც ბინა-თავშესაფარიც გააჩნდა...

„და შენ, ამისთანა, ძმისა და ძმისშვილების გაუტანელი კაცის შვილისაგან ელოდი დანდობას?“

„კარგი, სხვას ნუ გამოგვიცვლით, ცხოვრება რთულია და ვის სად გადაუცდება ფეხი, კოჭებში ნუ ჩაუხსაფრდებათ“.

„ვთქვათ, მამისეულობიდან გეკუთვნის სამო წილი, მაგრამ ძმა აღარა გყავს და მაინც შენსას — „კანონიერს“ მოითხოვ? ჯერ ამისთანა უფლება-მოვალეობა შევარცხინე და მერე ამ უფლება-მოვალეობის უსამართლო სამართალი. ქვეყნი, რძალი და ობლები რომ თავფხი ნახევრის შემსყიდველი და მონაწილის გამსტუმრებლები არ იყვნენ, სახლი გაუყიდეს... ერთი შეხედვით, მამაბაბუელი სახლი გამოყიდეს, მაგრამ შენმა მამამთილმა რომ ძმის სული გაყიდა (ძმას ხომ იმ ოდაში აღმოხდა სული) მიუგდო ობლებს თავისი, თვითონ თავისი კანონიერად ჩაიჭიბა და წამოვიდა, რომ შენთვის ქმარი „აღეზარდა“.

„შვილმა მამის დანაშაულზე პასუხი არ უნდა აგოსო. კარგი, ბატონო, მაგრამ, ჯერ ერთი, მაშინ ვინ აგოს და, ამას გარდა, სისხლი?.. სისხლს გამოუსხამ ძარღვებიდან თუ გაუკუღმართებულა და შხამი გენშია ჩანერგილი?“

„ყოველთვის რომ ასეც არაა?“

„ყოველთვის არაა, თუ გენში არაა ჩათესლილი. დედის, მამის, ბებუის, ბაბუისა და წინაპართა კეთილი და ბო-

როტი იბრძვის სისხლში და ეტყობა რომ ბალახს ჰკამს, ზოგჯერ, მეორე — სისხლს სვამს. ასე რომ, ავისაგან ავი უფროა მოსალოდნელი, ვინემ კარგი... თუ გაგიმართლა და წინაპართა კეთილმა იმარჯვა, ხომ კარგი, ვაღარა და ვაღარაჩი. მაგრამ შენ რასაც ხედავდი, ვერაფერ სახარბიელოს ხედავდი, წინაპარში კი რა იყო, არ დაეძიე?“

„ნოე ხინიკაძის მოდგმას ამდენი გამოკვლევა არ უნდოდა, შუბლზე არ ეწერა რაც იყო? ნატამ საათნაზევრიანი შეხვედრის შემდეგ თქვა მურთხიო“.

„მით უმეტეს, „მურთხის“ განმარტება თუ მაინც არ იცოდი, ვეფხვი და ლომი არ უნდა გგონებოდა, რაკი მის ბგერით აღნაგობაში არსად ასეთი მელერი და ძალუმი გამოძახილი არ მისი.“

„მურთხში“ — მური, ვირთხა, მურიანი თხა, მუხთალი, მთხლე, მუხანათი და... თუ, რა ვიცი, ამდაგვარი უკეთური უფრო იკითხება და რალა შენ მოგესმა ცის გახსნის რეკვად და ჰარმონიად“.

„არა, ადამიანი, ხომ ვთქვით, დიდი თავკერძა და ნატაზე ცოტათი მაინც ხომ განაწყენდი, თავყანისმცემელი ასე რომ შეგილანდლა?..“

„არა, მაშინ ნოე სამომავლოდ და საქმროდ ერთი წამითაც არ წარმოგედგინა. ხინველის გვერდით, მაგ მართლა მურთხზე, ამას რა გაფიქრებინებდა, მაგრამ იმწუთას მაინც ხინიკაძე იყო, ვინც შენი ფეხის მტვერს ლოკავდა“.

„რამისიგრძე კაცმა გადმოუხვია აგერ შენკენ, მოგიახლოვდა კიდეც და, რა ღმერთი გაუწყრა, პირი უკან ასე ცივად რატომ იბრუნა!“

„აა, ტიროდი?“

„ტრემლი და თავში ხელისცემა საქმეს რომ შევლოდეს... კი, ბატონო, იყვლე და იმოთქმე, მაგრამ ატირებულნი ქალი ვის რად უნდა. სადარდებელი ყველას თავისი ჰყოფნის და შენთან სა-

ქმის დაჰერასაც ამიტომ აპირებდა, იქ-
ნებ ერთხანს ამ დაჰიდარაბას გადამა-
რჩინოსო“.

„და საერთოდ, არ გირჩევ, ცრემლი
შეება. ხომ ვითხარი, ცრემლი გარი-
გებს ბედს, განვევს, გამოვებს. მოგატ-
ყუებენ, გილალატებენ, გაგინებენ, გან-
თხევენ, შენ ატირდები, აფლიქვინდები,
თუნდაც აწივლდი და აკივლდი... ცრე-
მლი შეიძლება შეფასებაც იყოს შენი
მწარე ხედვისა, მაგრამ პასუხი არაა.
მონამ სხვაზე უკეთ იცის თავისი უბე-
ღურება, რომ მონაა, მაგრამ ცრემლე-
ბის გამო რომელი მპყრობელი და ბა-
ტონი გაათავისუფლებს. თავისუფლებაა
უპირველესი და ერთადერთი, როგორც
ქვეყნის, ისე ადამიანის სრულქმნილე-
ბისა. დამოკიდებული და მონა მხოლოდ
მახინჯი ანარქელია მეუფისა და მბრძა-
ნებლისა, მაგრამ კარგი ბატონის მსახუ-
რი არ სჯობია ავი მფლობელის ხელ-
ქვეითს? კეთილი და მოყვარე მპყრო-
ბელი (თუ შეიძლება მპყრობელი კე-
თილი და მოყვარე იყოს) უბოროტესი
მტერია მპყრობლისა, და კიდევ უარ-
ესი, თუ იგი „ლმობიერებით“ აღუწებს,
აჩუფებს დამონებულს და ხელ-ნელა
სისხლს უწყალებს. რამდენად ავია
ბატონი და უპატიებელი, იმდენად ფხი-
ზელია მონა და აჯანყებული“.

„დაპყრობილი გერქვა შენც, აბა, რა
იყო შენი ყოფა. არა, არავინ გწამებს,
ნოე გიყვარდაო. მაგისტანა მუროთხე-
ბის შეყვარება რომ შეგძლებოდა, რა
თქმა უნდა, სალაპარაკო არაფერი
გვექნებოდა. მაგრამ არც ისაა სწო-
რი, ვითომ პირველად შენ დაიდგი უღ-
ელი ამ ამაღლებული გრძნობის გარეშე
და უკანასკნელიც შენ იქნები“.

„ვითომ მონა-მბრძანებელი გეგონა
თავი, ვიმეორებ, მონაცა და მბრძანებე-
ლიც, ერთსა და იმავე დროს, რაკი ზი-
ნიკადე ქმრად გაიხადე, ბედს დამო-
ჩილდი და მუროთხის დანებდი. ამავე
დროს გინდოდა, ნოე შენი ნება-სურ-
ვილის უსიტყვო აღმსრულებელიც გო-
ფილიყო, თუ შენს ბედში რაღაცა სა-
ნუგეშოს ეძებდი, ასე კი იყო. იქნება

ყველაფრის ღრმა წყდომა გეგონა, მა-
გრამ ვერაფრით თავი რომ ვერ გაგვირთხე-
ვია ჩვენი აწიწილ-დაწიწილი ცსა-
რებისათვის, ბედისათვის ზრმად შეგვი-
ნდვია, მაგრამ პირველი და გამოუსწო-
რებელი მარცხიც ესაა. ბედნიერადი თუა
და მართლა მინდობა შეიძლება, მაშინ,
საერთოდ, რატომ ვიანძრევთ ხელს,
ქვეა-გონება და აზრი რაღად გვინდა“.

„სადაც არის ბედი შენი, იქ მაგიყ-
ვანს ფეხი შენისო“

„მაშინ რად გვინდა ქაღალტებისა და სი-
ფლების რომ სახელეებს ვარწმუნეთ, ან
ქუჩებსა და გამზირებს, აიცი სახლებს
დასჭირდება დანომვრა, არც მატარებ-
ლებსა და ტროლეიბუსებს. ჩავჯდეთ,
რომელიც შეგვეფეთება და, ნურც ამა-
ზე ვიფიქრებთ, საით და ვისთან მიე-
დივართ — თვითონ მიგვიყვანს. ა,
თვით ადამიანის გვარი და სახელიც არ-
აფრის მაქნისი იქნებოდა...“

„დღესაც ხომ მიგიყვანა „ბედმა“? მე-
რთხთან და დარტულიყავი... ის კაბა-
ილბალს მიუყვანია შენს ლოგინში სა-
კოტრილოდ და არა შენ ქმარს. ბედს
უშტყუნია შენთვის — არა ბინიკაყეს.
შენც, თურმე, წილ-ხედრის დალატის-
თვის დარბიხარ ქუჩაქუჩა და არა შე-
ბილწული სარეცლის „შურისძიებად...“

„მონის „ფილოსოფია“ — რა გნა,
სვე-ბედმა ასე დამსაჯაო... და ბატონი-
საგან მიგდებულ გახრულ ძელებს ლო-
კავს“.

„ნატაზე უფრო დატანჯული და გაუ-
ხარელი ქალი არ დაბადებულა ქვეყა-
ნაზე, მაგრამ აბა, მისი ერთი ცრემლი
თუ გახსოვს“.

„შენც გიყვარს ბინველიო, — ვითხ-
რა ერთხელ და გადაიტყრიალა. რო-
გორი სასაცილოა, კაცზე რომ მზე და
მთვარე ამოგდის, შენს მეგობარსაც
უყვარდეს და, როგორი წარმოსადგე-
ნია, თუ არც ცალმხრივად“.

„გაჩუქდი, არაფერი თქვა! შენს აღ-
გილზე სხვა, თუ ბინველსაც თვალში
მოუვიდოდა, უარს არ ეტყოდა“.

„ვის, მეგობრის!“

„ენა ჩაიდდე! რაღა, ნატაზე იმ კა-“



მართლა ჭკარი კი არ ჰქონდა დაწვრი-
ლი, ის კი არა, თუკი არ უჩველად
და, ამის გარდა, შეადარებოდა არ
ვალსკრივთ ქალებს და სკელოთს არ შერ-
ბოდათ?”

„უკან არ უჩველადა!“

„ასე იოქმის, თორემ ნატა არც მარ-
ვალში ჩაფრენია და არც მოსაწველ-
ვის შტეფარი უჩველადა, ასე რომ ყოფი-
ლყოფა, არც ნატა აქვებოდა ნატა და
არც ლაშა — ლაშა ბირბირით, ის რიდი
და ჭრალვა იყო, ალბათ, რითაც წინ-
ველა ეჭყუოდა, რომ ქალმა მის კოან-
ქებს თავი კერ დააღწია შერბ, პედის
განუკითხაბით, ა.ე. გოწამლა და... ამას
აზნადა, თავის უმძიმესი ბედლით
სხვაეც დაეცხა? ბინველოს, რომ სეო-
დნოდა, ნატას ეს დამოუკველი — სენი
დამოაზნებოდა, გაცნობისთანავე ყო-
ფელნიადრად ეთანაგრძნობდა როცა მის
უფროს ნასწოდა, ნატას ხსნა არ არსებო-
ბის, იმდღისე შეირთავდა, აუ ქალი
თავის ბოროტ სენს ბოროტად გამოი-
ყვებოდა, ვარა რომ იქნება, საცოდავს,
ვადი საკვილილ-სიკოცხლით უყვარდა
და თავის დანთებულ ცეცხლზე, სიკე-
დილის სიკვივით გათიშვლის, ხელი რომ
მოეობო, ქვეყნის დაქვევა იქნებოდა,
როცა ქვეყანა ასეზე უდანაშაულოდ
ეჭყუოდა და ემზობოდა?“

„და რატომ, რატომ არ ჰქნა?“

„ლმერტო, შეგვინდოს, მაგრამ ნატას
მარტო თავისი დიდულოვნება ვერ
შეაყვებოდა...“

„ნატას დიდულოვნებით, აუღვრ-
ძელობით...“

„განწირული ქალი ასეთ დროს თავს
ვერ მოერეოდა და ცდუნებას ვერ გაუ-
ძლებოდა, არა ეს ადამიანური და მით
უმეტეს ქალური“.

„მაშინ რატომ, რატომ არ მოხდა...“

„თქვენ ორივეს საქმე გქონდათ...“

„საქმე გქონდათ“ რა სათქმელია, გე-
ვარდათ მამაკაცი, როელიც არა მარტო
ზნეობრივისა და მორალურის ზოგადი,
და, თუ გნებავთ, ეროვნული კანონე-
ბით ზეღმძვანლობადა, ხელში სასწო-
რი ეჭირა და მისი სინდის-ნამუსი ცო-

დისა და ბრალს — სასალხეო მითხრო-
ბით კი არ წიხილა იქნებოდა
მისხალ-მისხალ იცოდა ბრალისა და
სათნობის ფასი რეჩხას, როგორი
გავარდარებულოც უნდა იყოს, გრდემ-
ლი და ჩაქუჩი უნდა, რომ მისგან ია-
რალი გამოჰქელო ქარგი-ჭიმის ზე უნდა
გაითალოს, რომ ჩივთალ იქცეს უში-
სოდ იგი მორია ან ჭირკი, მარმარი-
ლოს ლოლიც ქვეა, თუ მას დიდოსტა-
ტის საქრელად არ შეეხო, თქვენ ლა-
შამ გამოგქედათ და გამოგთაღათ და
ვიყვარდათ, როგორც ზნეობრივი ზე-
როთმოდგარი, და მის ნებას ვერ გადა-
ხვილობდით, იმ გულს ვერ ექონებოდით,
რასაც ის არ ჩაგრდებოდათ, იმ სულის
ვერ გაინენდით, რასაც ის არ ჩაფრებო-
ვდათ“.

„ცოტაა დღეს მშოვნელის, მგლეჯ-
ველის, ორიპირისა და მოლაღატის ცო-
ლი? ან რამდენი სახლია, მართლა მისი
პატრონის ხელით აგებული? მაგრამ
ქალები ათასიდან ერთს თუ გამოუჩე-
რავს და ნაარში ფეხით გაუთელავს
ანველი არ ჰყავდათ მათ ზნეობრივი
პოძღვარი, ქვეყანა რომ მხოლოდ მურ-
თებით იყოს დასახლებული, შენ, რაც
დღეს გჭირს, ამას ან სულ ვერ გაიგე-
ბდი, ან ქმრის მოცილეს სახლიდან წი-
ვილ-კივილითა და თმების გლეჯით გა-
მოაგდებდი და ზღურბლზე დარაჯოდ
დადგებოდი, რომ სამძახად სხვა
დროს არავინ შემოგეშვა, ასე მოიქცე-
ოდა ნატაც, რაკ იცოდა, რომ ლაშა
განუკორნებელი ხენით შეპყრობილ მა-
სზე მლოციველ ქალს ზოგჯერ ვერ შეე-
ცამდა და უსიტყვოდ ალასრულებდა
ყველა მის სურვილს, მაგრამ ამის ვერ
ჩაიდენდა, რაკ ვისაც ბინველი აღმერ-
თებდა, ამის ნატას ადგილზე არ ჩაიდე-
ნდა, ლაშა, როცა ინდომებდა, მაშინ
გაგყრიდა შენ ქმარს და ცოლად კი
არა, რომ ევადრებინა, ხასად დაგისვა-
და, მაგრამ ამის კაცი რომ ყოფილიყო,
მაშინ ბინიკაძესთან ყოფნაც არ გაგიჭი-
რდებოდა ლაშას უღვას ფეხი იმ ცო-
ლვაში, შენ რომ დღეს ქუჩა-ქუჩა და-



...მას უნდა მოეთხოვოს“.

ხინველი იყო, მის მოწინააღმდეგე მეგობართან სპორტულ ორთაბრძოლაში რომ კოჭი „ეღრძო“ და ჭიდაობა არ გააგრძელო, წაგებდა ჩაეთვალა. მისი მეტოქის სასიდედრო და საცოლე, იქვე, საჭიდაო ხალიჩასთან, პირველ რიგში ისხდნენ. ორივეს იცნობდა (წინა დამეს მათთან იყო ოჯახში) სასიდედროს ისეც არ ეხატებოდა გულზე „მეტოქე“ და ახლა ასლა უნდოდა, ხალიჩაზე გულადმა გაშხლართული ენახა? იქნება ეს სპორტისთვის მიუღებელია, ალბათ დანაშაულიც, ყველა მოწინააღმდეგესა ჰყავს დედა და სატოფო, სასიდედრო და სასიმამრო, მტერი და მოყვარე“.

მაგრამ იქ საქმე სხვაგვარად იყო. ჭერივი სასიდედროსთვის ერთადერთი ქალიშვილი არსებობდა. ნიშანსვეტი იყო. დედამ არც ჭიდაობისა იცოდა რაიმე და არც იმისა, სპორტის თუ რამეს წარმოადგენდა, მაგრამ ელემენტარულად იცოდა დამარცხებული და გამარჯვებული, უარესი და უკეთესი. ქალიშვილი მისთვის ჭკვეყნის უკეთესი იყო და დამარცხებულსა და უარესს ვერ გაატანდა და მშობლის სურვილის წინააღმდეგ რომ გაჰყოლოდა, ან ვერ გადაიტანდა, ან ცხოვრება ჩალის ფასად არ ეღირებოდა. იქნებ იმიტომაც მიიტყუა წინააღმდეგ მეტოქემ სამოყვაროს ოჯახში, რომ ლაშა ამას დაინახავდა და იმედი ჰქონდა, გაუგებდა. იქნებ ისიც იკითხოს ვინმემ, ლაშა ამას ჩაიდენდაო? და „სასიძომ“ ბოროტად ხომ არ გამოიყენაო? კი მაგრამ, იმ მეტოქეს ის გოგო უყვარდა, იმის დაკარგვა არ უნდოდა, ლაშაზე კი არ ამოსდიოდა თქვენსავით მზე და მთვარე. ლაშასაც იმიტომ კი არ „უღრძვია“ ფეხი, რომ ის ბიჭი ჭკუის დასაკარგავად უყვარდა, მას ჰქონდა თავისი მრწამსი, თავისი ჭკვეყანა, რომლის ლალატი არ შეეძლო, თუნდაც ის ერთი ბებრეკი დედაბრის ბედნიერებად მოგვეჩვენოს.

„ხინველი, ალბათ, არც უძლეველი

იყო მაგრამ ერთი მიზეზთაგანი იყო, გვარი და სპორტული „დიდობა“ მის მეგობრებსა და მეწონელებს თუ არა ახსოვთ. მურთხმაც მეფე აიყარა გული „მეგობარზე“ და ჩამოშორდა, როცა ხინველის „მზე ჩაესვენა...“ ეს მანამდე ეტორლიალებოდა, სანამ ზენიტისაკენ მიიწევდა და საქმის მცოდნენი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.“

„რა თქმა უნდა; ერთი და ორი ფეხის „ღრძობა“ არ იქნებოდა მიზეზი ხინველის სპორტული კარიერის კატასტროფისა, უთუოდ ბევრჯერ დაუდეს კვანტი, კოჭიც ბევრჯერ უღრძევს და ხალიჩას ბეჭებიტაც გააკრეს, მაგრამ ნატამ იცოდა, მისი რჩეული არასოდეს წაქეუღა, არც თვითონ ნატა მომკვდარა სიკვდილამდე“.



„ჩაუყვები ახლა, მაგ სანაპიროს...“ ლე შეღამდება, იქნება ვინმე თავზე ხილალებელს გადაიყარო. წაგავლოს ხილი და...“

„აბა ნატა ყოფილყო შენს ადგილზე?“

„მართლა, რას იზამდა ნატა?..“

„რაც ჰქნა, იმას იზამდა“.

„რა ჰქნა? ხინველი მისი არც ქმარი ყოფილა და არც, თუ გნებავთ, საყვარელი. თუ, ვთქვათ, ქალებთან სცოდავდა, ამით ნატას ხომ არ ლალატობდა“.

„შენ რა, მხოლოდ ლალატსა და ყელის გამოჭრას ხედავ? ყველაფერი ლალატია, რასაც შენი რწმენის წინააღმდეგ აკეთებ“.

„რატომ გგონია, შენი იმ კაცის ცოლობა, რომელიც არ გიყვარდა, რწმენის ლალატი არ იყო? რაც არ გიყვარს და გულით არ აკეთებ, ლალატი არ გგონია? ბინიკაძეს რომ გაორგულებდა შეამჩნიე, როგორც გახსოვს, ჭკუიდან არ შეშლილხარ. აბა გყვარებოდა და უმისობა ჭკვეყნის ცის გამოვარდნა გგონებოდა!.. არ მითხრა, რაც დღეს გაიგონე და დაინახე, აქამდე, არ გაგიგონ-



ნია და არ დაგინახავს. რატომ გაუჭიუტ-
დი და ჩაუსაფრდი: რას გაღირსე, შე
მართლა მურთხო, და ერთი გაბედე ლა-
ლათი და მე ვიცოი!..“

„ჰე, გაბედა და მეტიც ჰქნა, შენს სა-
ხლში, შენს ლოგინზე გაბედა და რა
ჰქენი... გამოვარდი ქუჩაში და საკახბოდ
დაწანწალობ? რატომ არ ჰქნა ეს ნატამ,
როცა მურთხმა კი არა, სიცოცხლემ ულ-
ალატა. უღალატა უღანაშაულოდ, უს-
ინდისოდ... უსიყვარულოდ და უშვილ-
ძიროდ გადაეგო. დისერტაციის დაც-
ვაც არ აცალა... შენ იყავი უღანაშა-
ულო იმ შენ უღირს ქმართან თუ არა,
საკითხავია და ნატა რომ მთლად უბრა-
ლო იყო და სიყვდილით დაისაჯა?“

„შენ, იმ შენ მეგობართან შედარე-
ბით, ჭვეყნის დამაქცევარი ხარ...“

„ნატასთან კი, მაგრამ... ჭვეყნის დამ-
ქცევი?...“

„ჩუ, ჩუ, ჩუ! ანგარებით გათხოვდი!“

„რატომ ანგარებით?!..“

„აბა რა ჰქვია შენს ამბავს!“

„ახლა, ბინველისთანას თუ არ ვუნ-
დოდი...“

„ვის არ უნდოდი! მაგრამ არც იმას
მოეთხოვება ჭკუა, მე თუ მკითხავ.“
„ნამეტანმა სიმართლემო, დამილია სი-
ნათლეო“.

„ბინველს არც ნატა უნდოდა და, სა-
ერთოდ, რა უნდოდა, ნეტავი თუ იც-
ის... მაშინ კი არა, ახლა მაინც თუ იც-
ის... რაინდობისა და ვაჟკაცობის მანი-
ითაა შეპყრობილი... მგონი, გაგივდათ,
იმასაც კი ამბობენ. ყოველ შემთხვევა-
ში, გალოთებულა. ქართველი კაცი რომ
ლენინს მადლს დაკარგავს... რა გააჩნია,
ჭკუა აქვს, მე შენ გეტყვი, ან ანგარიში
იცის... ახლა, თუ მართლა მარტოხელა
დახლს არ მიადგება და არ დაღვეს,
ჩვენში ამფსონებს ვერ იშოვის და რა
ეშველება! სადღაც. „ბენზოკოლონკის“
უფროსად გაუშვიათ (ასე იციან, მაგ
ჯურის ხალხს სარფიან ადგილზე მოაყ-
უჩებენ), და ნაცნობ-მეგობრებს, მტერ-
სა და მოყვარეს ეხვეწება, თურმე, დამ-
ახარჯინეთ, ეს ოხრად დასარჩენი, ნავ-
თის სუნი უდის — მგუდავსო.“

„იმნაირი კაცი უნდა იყო, ამდენი ღირსე
ში და წუთისოფელში, როგორმე შენი
გზა იპოვო...“

„მაგნაირი ნოე ბინიკაძეა“.

„ნოე ბინიკაძე არაა კაცი. მე კაცზე
გელაპარაკები და არც შენ ხარ ქალი,
რაკი არაკაცის ცოლობა იკისრე“.

„მართალი, თუ გვინდა, ესაა“.

„ამ კუყუდამალობიამ და მიეთ-მოე-
თიამ დააქცია ჭვეყანა, უკაცობის კაც-
ებმა... — აღარაა კაცი, რა ვქნათ, იქნებ
გავვიმართლოს, არაკაცმა იკაცოსო, თუ
ვაკაცებინოთო...“

„მრასოდეს იყავი შენ მართალი და
არც ახლა. მაგ ჭკვის მოაჯირს რომ დამ-
ხობიხარ და დატბორილ მტკვარს ჩაჩე-
რებიხარ, არც ახლა.“

„შვილი გყავს ვითომ, მაგრამ იცი,
არც ისაა შენი. არაა და არც შეიძლება
იყოს, რაკი სიყვარულით კი არ შეგიქ-
მნია, შვილი გინდოდა გყოლოდა და
გააჩინე. დედა გინდოდა ყოფილიყავი
და გახდი: ოჯახი გინდოდა გქონოდა და
გაქვს...“

„გინდოდა, ჭკუით იცოდი, ეს ქალს
სკირდებოდა და გინდოდა...“

„გულით მინდოდა, გულითა და სუ-
ლით მინდოდა, მთელი ჩემი ქალური
მოწოდებით მინდოდა...“

„და უსიყვარულოდ!..“

„არ იყო ეს სიყვარული და რა
მექნა“.

„დაგეცადა, გემებნა. გექეთებინა ის,
რისთვისაც შეგიყვარებდა ის, ვისაც
შეიყვარებდი“.

„რა მეკეთებინა მეტი, რა შემეძლო,
სანამდე დამეცადა და მეძებნა...“

„სკოლის მერხზე ვინმე ბიჭი გოგოს
ამოიჩემებს, მეც მჭირდა თითქოს ასე-
თი რაღაც, მაგრამ მაშინ კი არა, ამ ხნი-
სამ, ამდენი დავიდარაბის მერყე ვერა-
ფერს. გავართვი თავი, თუმცა იქ თავის
გასართმევი რა იყო. ერთი ზემოუბნე-
ლი, პარალელური კლასელი ბიჭი, მე
რომ ქუჩის აქეთა მხარეს ასკინკილა მი-
ეხტოდი, იქითა მხარეზე უსტვენდა და
ვითომ „ნაშას“ სახლში მაიცილებდა. ეს
იყო და ეს. სტუდენტობაში ეს „ვაუბა-

ტონი“ გამოჩნდა და ხინველის ძმაცაცის „სატრფოს“ იმნაირი თვლით ვილა შემომხედავდა, „დაბეგებული“ ვყავდი. დავამთავრე და ვითომ მეც, რაც შემეძლო, ქვეყნის სამსახური მოვინდომე“.

„უფრო სწორი იქნება, თუ იტყვი, ნატასოდენი არ იცოდი და სამეცნიეროდ და სადისერტაციოდ ვერ გაიქაჩებოდი. ამით „აჯობე“ დაქალს, რომ მთაში წადი და ქვეყანას სადაც უჭირდა, დარაჯად იქ დაუღუქე...“

„არ ვიცი, იქნება მართლა ყველაფერში ანგარება და თავის მოწონების ავი ზნე. მაგრამ ასე ხომ ვქენი. იქ კაცი აღარ იყო და ტყე და კლდე კი მიყვარდა და მიყვარს, მაგრამ ხესა და ქვას გავყოლოდი ცოლად?“

„ხინიკაძესაც გაეჭეცი თუ ხინველს...“

„ხინველისაგან გასაქცევი რა მქონდა.“

„გქონდა!“

„უფალო, შემინდე ხინველი თუ მიყვარდა?“

„გიყვარდა!“

„ახლავე ამ მოაჩირიდან გადავბტები და თავს დავიხრჩობ...“

„უღირსს, მთხელსა და მურთხს ცოლად გაჰყევი, თავი არ მოგიკლავს და ღირსეული გიყვარდა-მეთქი და ამისთვის წყალში ხტები?“

„ნატას... მეგობარს, დას, დაზე უყეთეს... უყვარდა და მე მისი ქიშპობა და მოცილება მოვინდომე?“

„რამდენჯერ გითხარი ამის თაობაზე! ნატას რომ უყვარდა, ნატა კი არ უყვარდა ხინველს... ან ნატა მაშინ ავად კი არ იყო.“

„და მე მართლა ვუყვარდი ხინველს?“

„შენ, და მხოლოდ შენი!“

„ჭკუიდან შევიშლები!“

„ხინველი არ იყო იმის კაცი, ვერც ნატას თვლებში ამოეკითხა ვერაფერი და არც შენი ნოე ხინიკაძით „გატაცება“ არ სცოდნოდა.“

„თუ ოდესმე ამაში დაჯერებული

ვყოფილიყო, სახლში არ მივიდნო, ცოცხალი, თუ... სადა მაქვს სახლი!“

„რა უნდოდა მაშინ, რატომ ტრიალეზდა თქვენ წრეში, მართლა იმის ჩიტ იყო, ვინმეს რარალად ეხმარა?..“

„ჩემთვის?!“

„შენთვის, რაკი ნატა; როცა შენ გზიდან ჩამოეცალე, მერეც არ ინდომა.“

„ღმერთი და რჯული!.. რამდენჯერ ვთქვა, თუმცა მე ახლა რა ჭკუა მომეკითხება, მაგრამ თავს ამდენ ხანს არ ვაპატიებდი, რომ ნატას გზაზე გადავდგომოდი.“

„მართალია, შენ რომ დამთმობი იყავი, გულკეთილი, საკუთარ ჭეშმარიტ გრძნობაზე რომ უარი თქვი და გულში ჩაიკალი, თუ თავი მოიკალი, ყველა ეს და ის ღირსებები იყო, რისთვისაც... უყვარდი და უყვარხარ!“

„შეუძლებელია, ხინველს რა გაუჭირდა იმის ფასი, თუ მაშინ... მას მერე... ნატას მერე მის სიყვარულზე უარს ვინ იტყოდა...“

„ხინველისთანებმა ერთხელ იციან სიყვარული!“

„ღმერთო შემიწყალე, და მე მართლა სამარადისოდ, სამუდამოდ მიყვარდა ხინველი?..“

„მაგნაირ ვინმეს არ შეიყვარებდი?“

„ნატას რომ...“

„ხმა! კრინტი! მეტი არაფერი თქვა! და შენ გგონია, ხინველი შენი მურთხივით არაფერს ხედავდა?“

„ღმერთო ჩემო, გარდაცვლილ ქალზე... დაზე... თუ ვინმე მიყვარდა ამ ქვეყნად და მიყვარს... ის რომ მყავდეს ახლაც, აქ რა მინდოდა...“

„შენ ნამდვილი უღალატო სიყვარული შეგიძლია და ესაა შენი უბედურების სათავეც... ამიტომაც იყო, ნატას გრძნობების ფასი რომ იცოდი. ვისაც ეს უზარმაზარი ტვირთი სათამაშო ჰგონია, მას სხვისი ცეცხლი არც ათბობს, იოლიცაა. იგი იმ შავმანქანიან ტიპსაც წაჰყვებოდა, ბალის კიდზე რომ აგეკიდა. შენ იცოდი, რას დამართებდი ნატას, რომ ხინველი „წაგერთმია...“

„რავა, წართმევა არ იქნებოდა, რომ მართლა... მართალი ყოფილიყო?“

„არა!“

„ჩემს ერთადერთს, ჩემს საფიცარს... ნატას...“

„ნატასი არ იყო ხინველი. ნატამ დაგასწრო და დაიჩემა“.

„ღმერთო, არ გეცოდებ? ნატაზე ამის თქმა შეიძლება?“

„ნატას ეს ცუდქალობით კი არ მოსვლია“.

„ჩემი სიცუდე და სიგლაზე იქნებოდა, ეს რომ მართალი ყოფილიყო...“

„სიტყვას ნუ მარცვლავ და ხმა ნუ გიკანკალებს, ღრთა, სიმართლეს თვალი გაუსწორო!“

„და მე ამას ჩავიდენდი?“

„რომ არ ჩაიღინე, მაგან მიგაყენა მაგ მდინარეს!..“

„და ჩამედინა?“

„აქ არაა ლაპარაკი, სახელდობრ, ეს უნდა ჩაგედინა თუ არა, მაგრამ ის არ უნდა ჩაგედინა, რაც ჩაიღინე!“

„რა, დავჯდომოდი აქ ნატას, მედევნა კუდში. და ხინველთან მისასვლელი გზები ჩამეჭრა?“

„გზა გაუთავისუფლე?“

„თუნდაც ასე იყოს, დანაშაულია?“

„მაგრამ საბოლოოდ დაარწმუნე ხინველი შენს დიდ უპირატესობაში... შენს დიდ გულსა და ადამიანობაში... ხინველი კი ამის კაცია... შენ რომ ნატას შესცილებოდი... გახსოვს? შენ დაგვატიე ერთხელ კინოში და დათანხმდი... ნატა არ გიხსენებიათ მაშინ. შენ, შენ დაგვატიე... მართალია, მას არ უკადრებია, მარტო შენო, მაგრამ იქ, იმწუთას, ნატა არ იყო. შენ დაიბენი, დაიფანტე, მეგობარი იმწუთას სულ არ გაგხსენებია და დათანხმდი. მაგრამ როცა დაშორდით, გულამოგარდნილმა რომ სული ჩაიბრუნე, დაფიქრდი, როცა ნატა დაინახე, სირცხვილმა დაგწვა და როცა გულს კი არა, ჭკუას ჰკითხე, პაემანზე მეგობარიც წაიყვანე. ორივე დაგვატიეცსო, არ გითქვამს, მაგრამ არც ის — მარტო მე მიმიწვიესო და რომ მიდი, ხინველი მარტო დაგხვდათ და შენი მომავალი

„ბედნიერება“ — მურთხი იმ საღამოს თქვენთან არ ყოფილა“.

„მერედა, რას ნიშნავდა ექვსი?“

„ეს იმას ნიშნავდა, ლაშა სიყვარულს აგისხნიდა და იმ ღამეს, მამიდაშენის საღარაპოს კარებში ჩაგეხვეოდა, მაგრამ ეს რომ გექნა...“

„მარტო მივსულიყავი?..“

„ჰო...“

„მეგობრის უსაყვარლეს ადამიანთან...“

„ჰო, ჰო, ჰო!.. ეს რომ ჩაგედინა და სხვა ამისთანები... ხინველს გული გაუცივდებოდა. ორგულს, ორპირს, ძმისა და დის არგამტანს ის რომ ვერ იტანდა, არ იცოდი?“

„ეს რომ ვიცოდი, ამიტომ?...“

„თუ არ გინდოდა ჰყვარებოდი, თუ არ გინდოდა შენზე ხელი ჩაეჭნია, თუ არ გინდოდა...“

„ეს რომ არ მინდოდა... როგორ ჩამედინა ის, რაც არ შემეძლო?“

„აი, რომ არ შეგეძლო, რომ ვერ ჰქენი და დიდსულოვნად და ალალი გულით რაც შეგეძლო, ის ჩაიღინე, აქ დალუპე თავიცა და ის კაციც...“

„წამერთმია ღისთვის... და ეს იქნებოდა გადარჩენა?“

„არ იყო ეს წართმევა...“

„ეს ცოდვა რომ დამწოლოდა ჩემი უღროოდ და გაუხარლად წასული მეგობრისა, ახლა რაც მჭირს, იმაზე უარესი იქნებოდა“.

„შენ მაშინ არ იცოდი, რა მოგელოდა და მაგის გამო არ იქცეოდი იმნაირად“.

„მე, როგორც შემეძლო, ისე ვიქცეოდი...“

„და კიდევ უარესი, ატყობდი, რომ შენსკენ მოდიოდა, ამას დაბრმავებული ნატაც კი ხედავდა. შეგეშინდა, არ დაეღუპო, მეგობარს არ ეგონოს, ეს ჩემს გამო ხდებაო, დაჰკარი ფეხი და ქვეყანას სადაც უჭირდა, იქ გაიქეცი სადარჯოდ და საჯარისკაცოდ“.

„გამოსაშვებ საღამოს რა გითხრა ხინველმა... იმ ღამეს მურთხიც იქ გახლდათ, მაგრამ იმას შენ, ნატა და ლაშა

რას ლაპარაკობდით, არასოდეს ეყურებოდა. ნატაც რომ რაღაცაზე ჩამორჩა, რაღა რაღაცაზე, შენ მაშინდელი უმნიშვნელოც არ გეპარებოდა და არ გავიწყდება. მაშაყაყებს არ შეუმჩნევიათ, თორემ შენ ხომ იცოდი, წინდის ყელი აიჭაჩა, მუხლთან უნარკლებოდა... ნატას როგორ დაემართა, მაგრამ რომ გინდა, ისეთი არც წინდა და არც წინდის დამჭერი რეზინის აჭიმი“.

„შენ მაინც ერთადერთი ხარო, — არ გითხრა ზინველმა“.

„მერე, ეს ნიშნავდა...“

„იმისთანა კაცისაგან ბევრს, და იქვე მეორე მოგდევდა, იმისთვის არაფერს“.

„მერე ნატას სულ ჩამოეცალე და გზა გაუსუფთავე, ზინველი ბრმა ხომ არ გეგონა, რაც ცხვირწინ არ ედო, ვერ დაენახა. არც ამას დააჯერე...“

„არაა მართალი!“

„ნუ წივი და კივი, აგერ შეყვარებულები დასეირნობენ და ვინმეს პატიოსანი ქალი ეგონები, ვისაც ნამუსის აზღას უპირებენ. შენი დარდი კი არავისა აქვს, მაგრამ სატრფოს რომ თავი მოაწონონ, მოსაშველებლად მოგაცივებდნენ. ე, თუ არა, იმ ყმაწვილმა მოიხედა კიდევ, მაგრამ მარტო ხარ, დაინახა... და შენ ახლა მოძალადე რომ ვერ დაგმართებდა იმაზე უარესი გვირს, მაგის დამნახავი კაცი კი არა, ღმერთიც არაა“.

„მე დაელუპე ზინველი?“

„ზინველი თავისთავად, მაგრამ მისი დალუპვა მაინც ერთი კაცის დალუპვაა. ნოე ზინკაძის უბედურება კი უფრო უარესი, ასი და ათასი იმისთანას „შექმნა“ და მერე საშვილიშვილოდ, სამუდამოდ დამახინჯება. საზოგადოების, ქვეყნის მტრად, ხორცმეტებად, პარაზიტებად, ქურდებად და ავაზაკებად შობავენ“.

„მე... მე შევძელი ამოდენა ქვეყნის დაქცევა და იავარყოფა?!“

„შენ! შენ და შენისთანებმა...“

„როგორც ამბობ, მე თუ ზინველს

გავუტეხე გული, ჩავაქნევინე ხელი ცხოვრებაზე, გავალოთ და გავაუტეხე ურე, კაცი დამილუპავს, მართლაც სამწუხარო და თავში ხელსაცემი იქნებოდა, ეს რომ ასე იყოს...“

„ისეა ეს!“

„ჩემი ქვეყნის დაქცევა არ მეყოფოდა, მისი ლურჯი ზეცაც ზედ არ დამცემოდა?..“

„არ ვიცი, რა გეყოფოდა და დამწვარზე რა მდულარე დაისხი, მაგრამ რაც ჩაიღინე, ის გითხარი...“

„მაგრამ, მურთხს რაც არ სჭირდა, რა უარესის დამართება შემეძლო, ის არც თავისთვის უქნია ღმერთს და საზოგადოებისთვის ხომ ზედმეტია...“

„ზედმეტი კი არა, ხორცმეტია...“

„და მისთანების დალუპვა და დაქცევა რომ შემეძლოს...“

„ეს რომ შეგეძლო და ჰქენი, აქაა შენი და შენისთანების უპატიებელი ცოდვა. უსახური დაამახინჯეთ და გაურჯულოებული კი არ მოაქციეთ, სატანად აქციეთ და თან ნაშეირი გაუჩინეთ, რომ თქვენს მერეც თქვენმა ცოდვამ იმრავლოს და ასმა იათასოს...“

„შვილო! ჩემო ერთადერთო, რატომ არ გაწყალობდა დედაშენი, სანამ ჩემს სხეულში ჩაგსახავდი. ნუთუ შენც ის ზედი გელის, რაც სვეგამწარებულ დედაშენს, ნუთუ უკეთესი არაფერი გელის, დედაშენის ხვედრი უნდა გაიზიარო“.

„იქნებ უარესიც...“

„უარესი... უარესი, მაღლობა უფალს, არ არსებობს, მაგრამ ამის ნახევარსაც შვილს კი არა, მტერს ვერ ვუქალებ“.

„რას უქალებ და რას უსურვებ, ეგ არაფერს ნიშნავს. რაც გენში ჩაუდებ და სისხლში რაც ჩაუთესე, ის უნდა იქნეს. სხვანაირად ყველაფერი არაკანონზომიერი იქნებოდა და იქნება“.

„რა, რა, უსიყვარულოდ რომ შეგქმენი?“

ოტია იოსელიანი

ძალი გამომვიდა ძმრის, სალაღატოდ

„ერთი ეს და მეორე — ვისთან შექმენი. ყვავის ბაბალა მტრედი რატომ უნდა იქნეს. ეს ხომ ბუნების კანონს არ შეჰყვრის და, რაც არ მომხდარა, არ მოხდება“.

„ვაი, მე უბედურს, სიკვდილ-სიცოცხლით დაღუპულსა და ფესვგამხმარს“.

„ამიტომ იყო, მშობიარობას რომ ეინალამ გადაჰყვეი და დედობის უზენაესობას ბოლომდე ვერ ეზიარე. ეს რომ გენიშნა, მეორე შვილის ყოლა აღარც გიფიქრია. რა ექნათ, თუ ამას თავსაც ვერ უმხელდი, მაგრამ თვალეები რომ დახუჭო კი არა, დაითხარო, ამით სინამდვილეს ვერ გადააყეთებ.“

„მაგრამ შენ უფრო აღრე მამამისი გადაგვარე და შვილიც, უბრალოდ, მისი ნაყოფია. ამაში მამას არ უღვეს ბრალი, მამის ცოდვაც შენ გაწევს და შვილისაც — თავისთავად...“

„მამის ცოდვაც? მამამისი იმად შექმნილი არ იყო, რაცაა და იმის მურთხობაც ჩემი დანაშაულია?!“

„შენი და მხოლოდ შენი!..“

„შვილი მე გავაჩინე, მაგრამ, ნოე ხომ ჩემ გაჩენამდე ორი წლით აღრე... რატომ გაუჩნდა დედამისს და თუ გაუჩნდა, რატომ ზედ არ გადაჰყვა!“

„მურთხები ქვეყნად არ იარსებებდნენ, შენ და შენისთანები რომ ხელის დამცლელებად არ ჰყავდეთ...“

„მე ვუცლიდი ხელს ნოე ხინიკაძეს და მისი თანამზრახველი და თანამონაწილე ვიყავი?!“

„აბა ვინ!“

„მე შემეძლო მისი გადარჩენა და არ ექნენ? ჩემთან ის მაინც იყო, რომ თავის საქმოსნობას ვერ ამხელდა და პატიოსანი კაცის ნიღაბს მაინც ეპოტინებოდა. ისე აღვირახსნილი და თავზეხელაღებული ავაზაკი მაინც ვერ იყო, რაც, ალბათ, სინამდვილეშია.“

„ეს კიდევე უარესი. შენ იმდენად გააოხრე და გაათთლიბაზე, აღარც ისაა რაცაა და საზოგადოებასა და სამართალს კვალი სულ აურიე, ამისთანის მიგნება უფრო ჰქირს და ამისთანა უფრო დიდხანს ითარეშებს, ვინემ ტყეში

გაჭრილი ავაზაკი. შენ საზოგადოებაში მაღლა და გულშეას თეთრი კნისილი ჩენა ასწავლე. მაგრამ ამაზე აღრე მოხდა უფრო დიდი ჯოჯოხეთური ცოდვა. ამისთანები რატომ ჩნდებიან და არსებობენ, როგორ გგონია, მართლა დედამისმა შეა მხოლოდ ასეთი და ასეთნაირი აღზარდა? არც ერთ დედას არ შეუქმნია შვილი მპარავად და მლიქვნელად. ყველას, ისევე როგორც შენ, შვილი პატიოსანი და ქედუხრელი უნდა. ქვეყნის მოჭირნახულე და სახელდებულო. ამნაირს ის ზრდის თუ არა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ მე დედის სურვილზე და მცდელობაზე მოგახსენებ. ბავშვი კი იმ ოჯახით იზრდება, სადაც დაიბადა და ცხოვრობს, მაგრამ ცალი თვალი მაინც გარეთ უჭირავს, სახლიდან რომ გავა, რა გზას დაადგეს, რით უფრო მიიჩქევს იმათ ყურადღებას, ვინც ეზოს გადამა ელოდება“.

„გოგო-ბიჭებმა თუ ქანჭურის ქურობისათვის ტაში დაუტრეს, მერე ნესესა და საზამთროს გადმოათრევს სხვისი ბალიდან. თუ მიაფურთხეს და ზურგი შეაქციეს — საკუთარი ეზოს ხილსაც ნამალევად არ გადაიტანს, ვინმეს ნაქურდალი არ ეგონოსო. შენ და შენისთანა ქალებს რომ მურთხებისთვის ხელი გეკრათ და გვერდში არ მოსწოლოდით, მათ ის სახლიცა და ის სქელი ჭიბეც არმად და ოხრად დარჩებოდათ. ისინი ხომ, ბოლოს და ბოლოს, თქვენთვის აშენებენ და თქვენთვის ჰყიდიან სულს, რაკი იციან, თქვენი დაუფლება ამ გზით შეიძლება“.

„ჩემი დაუფლება ამ გზით?!“

„აბა ერთი მურთხებს ჰკითხე. მას თუ ჰგონია, შენ მეგობრის ერთგულებისთვის გაჰყვეი და მისი „პიროვნება“ და „დამსახურება“ არაფერ შუაში იყო...“

„ის ამას გაიგებს?“

„რომ ვერ გაიგებს და არ ვაგები-ნებთ, უბედურებაც ესაა. დაინახა... რამდენი ოჯახია თქვენს შვილსართულიან სახლში? ალბათ უამრავი. რამდენი ბავშვი და ახალგაზრდაა? ღმერთმა ამრავლოს და ალბათ უამრავი. ხედავენ,

ამ მართლა მურთხს აგერ მზეთუნახავი ცოლი ჰყავს“.

„მზეთუნახავი...“

„ყველაფერი შედარებითაა, ნოესთან მართლა მზეთუნახავი დაგერქმევია. მათ ხომ არ იციან შენ რისთვის, რატომ, სიყვარულითა თუ სიმძულვლილით გაჰყევი. ერთად ხართ და ცოლ-ქმარი გქვიათ. რა ღირსებები გააჩნია ნოეს? რამ მოხიბლა მშვენიერი ნუცა? არავითარი — გარდა ბინისა და ზარახურისა. ესე იგი, რაა საჭირო იმისათვის, რომ მშვენიერ ქალს დაეპატრონო? ფული, ფული... დღეს თვლა და ანგარიში ბავშვებმაც კი ზედმიწევნით იციან. ნოეს ხელფასიც იციან და მისი ჯამაგირი რისი მყიდველია ისიც. ესე იგი, რა გზას დაადგეს (თუ უკვე დამდგარი არაა) ვისაც ლამაზი, ჭკვიანი, ლეთისნიერი, ერთგული ცოლი უნდა? ნოესას! აბა, თქვენს სახლში რომ პირველ სართულზე ცეცხლფარეში ცხოვრობს (მისი საკუთარი ქოხი მოჰყვა ნგრევაში და ბინა თქვენთან იმიტომ ერგო), რა შავი ცხვირ-პირის პატრონიცაა, ცოლიცა და შვილიც იმის ალი-კვალი ჰყავს. შენ კი გშურს მისი პატიოსნებისა და ტოლფერობის, მაგრამ აბა სხვასაც ჰკითხე? ნოეს უდგას სახლის წინ დილა-სალამოთი მანქანა და საათობით ყურყუტებს და თვლემს, საჭეზე მძღოლი, თორემ ცეცხლფარეში საღამოს რომ მხარზე შავ ნიჩაბს გაიდებს, დილით გამოჩნდება იმ ნიჩბისფრად გამჟვარტულ-გამურული. რაც ქვეყნად მურთხია და მათი ცოლ-შვილი, იმ ცეცხლფარეშის ნახშირისფერი ფრჩხილის ფასად არა ღირს, მაგი შენ ხინელისაგან თუ იცი, თორემ შენც გაგიჭირდებოდა...“

„შენ და შენისთანებმა შეჰქმენით მურთხები თორემ, თქვენ რომ გამურული ცეცხლფარეშები აგერჩიათ გულის სწორად, ნოესთანები ქვეყნად ვერ იბოგინებდნენ. თქვენაა, რომ ჟუჟუნა წვიმად ეპყურებით და სოკოსავით ამრავლებთ!“

„შვილი...“

„შვილი ეკონომისტ მამას უნდა და-

ემგვანოს, აბა ცეცხლფარეშსა და მერ-ახშირებს — ღმერთმა ნუ ჰქნას, არც შენა და არც ქვეყანას არ აწყენდა“.

„შენი შვილი რომ მამამისის „ღირსების“ კაცს გაჰყვეს...“

„ღმერთმა დამიფაროს!“

„რატომ? შენ არც მშობლები და არც წინაპარი გყოლია არამი და სხვისი კაპიკი რომ კაპიკია, იმის მიმთვისებელი და მურთხის ცოლი ხარ. შენ ქალიშვილს რა მამაც ჰყავს, იმის ბადალმა რომ ინდომოს, ხელი რა მიზეზით ჰკრას. მით უმეტეს, ქალიშვილებს მამაკაცის იდეალი მამის კვალობაზე უყალიბდებათ და მამის ტოლფერ საქმროებს ირჩევენ. შენ დაუმეკიდრე ცხოვრებაში ადგილი მურთხებს. საზოგადოებისთვის ზედმეტი და ზურგშესაქცევი კი არაა, სამაგალითო და მისაბაძი ჰქმენ. გაამრავლე და სამეგვიდრეოდ დააფუძნე“.

„ნუთუ ასე გამწირავს ღმერთი, ჩემს მსხვერპლად შეწირვას არ იკმარებს და საშვილიშვილოდ დამსჯის!..“

„შენ თვითონ გაიწირე თავი... თუ, პირიქით, მხოლოდ შენ თავზე იფიქრე, დალუპე ლაშა ხინველი და ნოე ხინკაძეები გაამურთხე, შვილი არ დაზოგე და მომავალი არ განჰკვირტე“.

„ჩვენი თავი რომ მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნოდეს და ვისაც გვინდა, შევწიროთ და შევიწიროთ, წუთისოფელი ასეთი თავბოლოგაუსაგისი როდი იქნებოდა. ჩვენ ისევე ვართ წარსულზე ჯაჭვით ჩაბმულნი, როგორც მომავალზე და არც ჩვენ ვეკუთვინით ჩვენს თავსა და ნება-სურვილს, როგორც ჩვენი შვილ-მომავალი ვერ იყვავილებს, თუ ფესვებს მოსწყდა. შენ ატმის ხელ მოდი ამქვეყნად და ანლაზისა არ იყოს: „მამა-შენი ზარაზი იყო და ნალბანდობას რა გრჩიდა“.

„გამოდის რომ, მთელი ცხოვრება ვცოდე და დღეს... თუ საერთოდ, ღირსეულად დავისაჯე?“

„რა თქმა უნდა, ასე რომ არ მომხდარიყო, ის იქნებოდა უსამართლობა და განუკითხაობა. შენ დღეს უარი თქვი

და ღაჯარგე ის, რაც შენი არ იყო. კაც-
მა რომ თქვას, შენ დაიბრუნე შენი
იმით, რომ უარი თქვი სხვისაზე. შენ
მდიდარი ხარ, რაკი ახლა ნაარმი და
ნახვისარი არაფერი გაგაჩნია. შენ არა
ხარ იმის ცოლი, ვინც გძულს, შენ არ
იცხოვრებ სხვის სახლში და არ შეჰამ
სხვის ლუქმას. შენ მაძლარი იქნები, რა-
კი გეშეიბა, შენ მდიდარი იქნები, რაკი
თავშესაფარი არ გექნება და შენ პატი-
ოსანი იქნები, რაკი იმის გვერდით არ
დაწვები, ვისაც არ ინდომებ. შენ არ
დაისაჯე — დასჯილი იყავი და საპყრო-
ბილედან თავი დაიხსენი. შენ იბარავდი
და უარი თქვი სხვის ჯიბეში ხელის ჩა-
ყოფაზე. შენ მონა იყავი და თავისუფ-
ლებას ელისრე, ყოველდღე სკოდავდი
და გზამართალს ეზიარე...

„საით მიდიხარ! აბა დაფიქრდი, კარ-
გად დაფიქრდი, საით მიდიხარ!..“

„სულ ერთი თუა, უკან წადი, რალა
აქეთ დაადე თავი?“

„საით და... უკან შებრუნდი, საი-
დანაც მოსულხარ, თუ მართლა სულ
ერთია, ან, ვინც ხელს დაგიქნევს, გაუ-
კიდე“.

„ვერ ჰქენი?“

„რატომ, რატომ ვერ ჰქენი?“

„მშიშარა ვარ, მხდალი...“

„მშიშარა ხარ, მხდალი?.. როგორ
გავიგოთ, სიბნელის გეშინია, მგლისა
თუ მოჩვენებების?“

„გადამწყვეტი, საბოლოო, უკანდასა-
ხევი რომ აღარ მრჩება, ისეთი პირვე-
ლი ნაბიჯის გადადგმისა მარტოდმარ-
ტოს ყოველთვის მეშინია“.

„ნოეს როცა გაჰყევი?..“

„რა განვიცადე, ვინ იცის, სული ამ-
ომხდა. მაგრამ მაშინ ხომ მარტო არ
ვიყავი. ნატა იყო ჩემს გვერდით, დედა-
ჩემი და ისიც, ვისაც ამ გზაზე მიყვავ-
დი, მეზიდებოდა, მიმართევდა...“

„საიკოდავ ნოეს ტყუილა ხელს ნუ
ახოცავ. შენ ხინველმა გადაგადმევირა
მაგ ნაბიჯი და ყველაზე მთავარ დამნა-

შავეს, იმდენად ბრმა ხარ მისი სიყვარუ-
ლით, ვერ ხედავ თუ ვინაა მამაშენი.
მისი ჩრდილიც კი არ გინდა დაინახო.
მაშინაც, როცა მურთხის ხელში ჩაგაგ-
დო და ახლაც, როცა გზა-შარაზე საწან-
წალოდ გამოგადგო. ყოველთვის ის იყო
ამის მიზეზი, იცი ეს, მაგრამ იგი შენ-
თვის იმდენად წმინდაა და შეუვალი,
ვერ განსჯი...“

„ჰო, იქნებ ისიც... და ამიტომაც
ვთქვი მარტო არ ვიყავი-მეთქი...“

„მარტო არც ახლა ხარ“.

„ლმერთო, ვილა ჩემს ბარობაზე. სა-
დაა ნატა, სადაა ჩემი იმედი და შეველა,
ჩემი გამგები და გზის გამგნები. სადაა
დედაჩემი, ჩემი ქვეყანასთან და ბედ-
თან შემრიგებელი, ჩემი...“

„ნატაზე მეტს ნულარ ვილაპარაკებთ...
ვიცი ის, ჭაბრმ და რისთვის... დედა-
შენი კი... საიკოდავს, რა შეეძლო დიდი
და უანგარო მშობლიური სიყვარულის
მეტი. ნათელდამდგარი, ერთი უბირი,
ბედის მორჩილი ქალი იყო, ამქვეყნი-
დან ისე წავიდა, მისი ხმამალალი სიტ-
ყვაც კი არავის გაუგონია. შენს თავ-
ბოლო აბურღულ-დაბურღულ ყოფაში
რა უნდა გაეგრ, ან რა იცოდა, როცა
შენც კი ღრმდღე ხეირიანად არაფერი
გაგეგება? ხინველი მართავდა შენს
სულს, ყოფას, საქციელსა და დღესაც
მის ხელბეში ხარ შეჩერებული...“

„მე იგი მას აქეთ თვალთაც არ მინ-
ახავს. თუ მაშინ... ახლა მაინც რატომ,
ან როგორ?!..“

„თავს ნუ ისაწყლებ და მამა აბრამის
ბატონად ნუ მოგაქვს თავი...“

„მე ქვეყნის დამაქცევარს, ამდენი
ადამიანის გამაუბედურებელს, დედ-
მამასთან, ქმარ-შვილთან და ქვეყანას-
თან პირშვს...“

„შენ კიდევ გჭირს ერთი დიდი ცოდ-
ვა...“

„ყოველად ძლიერო!.. ამ ერო... გაუბე-
დურებულ, უმწეო არსების თავზე ამ-
დენი ვაი-უშველებელი დაეტევა?!“

„შენ შურისმაძიებელი დღეს არ გამ-
ხდარხარ!..“



„შური ვიძიე ხინველზე, როცა ხინი-
კაძეს გაყვები?“

„თვითონვე იცი შენი ავი და დროა,
ცხვრის ტყავიდან გამოძვრე“.

„მე, მეხდაცემულს, ცხვრის ტყავიც
მფარავს?! და მე არც ნატას ერთგულე-
ბა ვიცი, არც სიყვარული. არც დედა
და არც მამა... მამაჩემთანაც იმიტომ
წავედი, რომ ქმრისთვის სალაღატოდ
ხელები გამეხსნა?..“

„ამისთვის თუ არ წადი, იმდღესვე
იმისთვის კი წამოდი, რომ დანაშაულზე
წაგესწრო“.

„და ასე, ქუჩა-ქუჩა მეწანწალა?“

„ეს არაა წანწალი, იცი შენ! მაგრამ
მართლაც რომ მშიშარა და მხალცი ყო-
ფილხარ. ვერ ჰქენი, რომ ერთ დღეს,
მხოლოდ სინდრისა და ჭკუის კარნა-
ხით, დაგეკრა ფეხი და ყველაფერ სხვი-
საზე უარი გეთქვა. შენ, დედაშენივით,
საზოგადოების, გარემოს, კუთხე-მე-
ზობლისა და „ვინ რას იტყვის“ ყურ-
მოჭრილი მონა ხარ და შენი ცხოვ-
რებით ვერასოდეს იცხოვრე. მარ-
თალი ცხოვრება რაა, შენ არ იცი,
როგორც ჩვენში ბარე ორმა. შენ
ან ერთგულებ ადამიანებს და მათ
ნება-სურვილზე დაგატარებენ, ან ჯიბ-
რში უდგები საკუთარ თავსა და თავზე
უკეთესს და შურს ძიობ. შენში დედა-
შენის უნიათო სათნოება და მამაშენის
ჯანყი და სიაცე ებრძვის ერთმანეთს. ან
უკიდურესად ერთგული და მოსიყვარ-
ულე ხარ, ან ხმალამოღებული ნაცვალ-
მგებელი, ან მშიშარა და უმწეო ხარ,
ზნეობრივი და წმინდა, ან მოლაღატე,
უნდო და შეუბრალებელი... ხინველი
ხომ შენი ერთადერთი იყო, არის და
იქნება, რაკი ერთგულება და სათნოება
ხარ, მაგრამ არა ისეთი, ეს მართლა
მარტო შენ გცოდნოდა. როცა მან კინ-
ოში მარტო შენ დაგპატიყა, საერთოდ
არ მისულიყავი. მაგრამ მაშინ რა ეფი-
ქრა იმ კაცს? შეიძლება ამით ვერაფერი
გაეგო, ან არ გინდოდა და არ მიდი.
მარტო რომ მისულიყავი, მაშინ კარგავ-
დი იმას, რისთვისაც უყვარდი. შენ ყვე-
ლაზე მწვავე და ვერაგი გზა აირჩიე —

მიდი და ნატა მიიყვანე. ასე ზრდასრულ-
გექნა, შენი განუთმეორებელი ერთგუ-
ება და შეწირვის უანგარო ნიჭი როგორ
დაენახათ. ან თბილისის ზღვაზე მართ-
ლა არ წაჰყოლოდით, ბოლოს და ბო-
ლოს, ნატა მხარზე ადებულს ხომ ვერ
წაგიყვანდა. ან არ გაგეხადა, დავიჯერო,
ნატა კაბას მართლა შემოგახვედა? მაგ-
რამ მაშინ შენი დიდსულოვნება და
სულგრძელობა ხომ არ ეცოდინებო-
დათ. ნოეს რომ არ გაჰყოლოდი, ყველ-
აფერ იმას, რისი ნამდვილი ნიჭიც გქო-
ნდა და რაც წლიდან წლამდე აკეთე და
აშენე, ხომ გვირგვინი არ დაედგმე-
ბოდა და ხინველი დღემდე უცოლშვი-
ლო და შენზე შემოჩერებული არ იქნე-
ბოდა...“

„მაშინ შური რაღად ვიძიე“.

„თავს ნუ იკატუნებ-მეთქი, გითხარი
მე შენ! შური იძიე იმიტომ, რომ ხინ-
ველი ამას შენგან მოითხოვდა. მოით-
ხოვდა, თუ მართლა შენ იყავი ის, ვი-
საც ის ესაგდა და ხატად მიაჩნდა (თუ
უხერხული არაა ღმერთის წარამარა
შეწუხება), გაღმერთებდა, ბარემ ჯვარ-
ზე გაკრულიც ენახე, რომ დაეჩოქა და
შენ, გამწარებულმა, რომ შენ რაც გაა-
კეთე, არ გაკმარეს და ახლა ჯვარცმაც
მოგთხოვეს, შურისძიებად შეპყრობილი
გახდი ნოეს ცოლი. შიშითაც, რა თქმა
უნდა, რომ თუ მას დაჟარგავდი — ყვე-
ლაფერს დაჟარგავდი. შიშითა და სიმხ-
ნელით, რომ სიყვარული ხელიდან არ
გამოგცლოდა, რაკი შენ, დედაშენივით
უნიათოსა და უსუსურს არ წაგქცეოდა
კედელი, ფუძე, საყრდენი, სიყვარუ-
ლი, რაკი უმისოდ არარაობად იქცეო-
დი, გუდაფშუტად, ნაცარტუტად“.

„ჰო, მართალია, შენ მშიშარაცა ხარ...
ხალხთან და ქვეყანასთან კი არა საკუ-
თარ თავთანაც თრთი და კანკალებ, იმ-
დენადა ხარ შენივე რწმენის ერთგუ-
ლი... გითხარი ამის თაობაზე, შენივე
ერთგულების ერთგულება გლუპავს.
იგი ისეთ და იმდენ ექვებს გიჩენს, ში-
შით შენივე თავს ვერ უტყდები. შენ-
შივე აღმოჩენილი შენი მოწინააღმდეგე
გაფეთებს და გაორების აჩრდილი გზა-



რავს. ამას უთუოდ გრძნობდა ხინველი და შენი მთლიანობა და შენივე თავის-ადმი ერთგულება ხიბლავდა. მართლა ძნელია დღეს ასეთი ადამიანის და ისიც ქალის პოვნა. მით უმეტეს, იგი სპორტით გატაცებული ბიჭი იყო და ქუჩაში და გზა-შარად სატანტალოდ არ ეცალა. თუ მაინც ვინმე-ვინმეებს ხვდებოდა, მათი ამოსაცნობი და ამოსაკითხი დრო და მოცალეობა სად ჰქონდა“.

„რომ გეგონა, ნატას მაინც შენი სი-ახლოვე უშლიდა ხელს...“

„მაინც ვერაფრით ვერ ვირწმუნებ, რომ მე ნატას მეტოქეობას შევძლებდი“.

„ესეც შენი ღირსებაა, თვითდაჯერებული და თვითკმაყოფილი არასოდეს ყოფილხარ, ნატა ხედავდა თავის უპირატესობას, რაც ხელს უშლიდა შენი და-ენახა. ლაშა კი ფეხის ფრჩხილებიდან თმის ღერამდე ორივეს გიცქერდათ. ხე-დავდა, როგორ შიშვლდებოდა შენი და-ქალი და გაშიშვლებდა შენ. როგორ აგებდა ის და ზეიმობდი შენ“.

„როგორ, რაც მეგონა კარგი მქონდა და ვიოთ უანგაროდ ვაკეთებდი, ყვე-ლაფერი ჩემს წინააღმდეგაა?!“

„ნატა თუ ჩაიდენდა იმას, რაც შენ გააკეთე?“

„უმაღლ... ჩემზე ადრე და ჩემზე უკე-თესად“.

„არა. იმას შენსავით თავის გამეტება არ შეეძლო. იგი უსიყვარულოდ და ისიც მურთხებს ვერ დაუწვებოდა. ამო-დენა არ იყო ნატა, სიყვარულისთვის ამხელა მსხვერპლს ვერ გაიღებდა, მის მშვენიერ სხეულს ქუჩეში და ტალახში ვერ ამოსვრიდა. ამას ხედავდა ხინ-ველი“.

„ხინველი თუ ხედავდა, ნატა უნდა დაენახა...“

„მაგრამ რა ექნა, როცა, საუბედუ-როდ, იქვე იყავი შენ!“

„მეე?!“

„შენ, შენ, შენ! ნუ გავიწყდება, რომ ქუჩაში ხარ და ხმაძალა ნუ წამოიძა-ნება!.. და, ამას გარდა, თუ ხედავ, რომ ისევ იქით მიდიხარ...“

„რომ არ ვიცი, სად ჯანდაბანაში ჯარხანაში...“

„არც მაშინ იცოდი...“

„არ ვიცოდი. თუ რაიმე მაინც მარ-თალია, რაშიც მე ბრალი მედება, მე ხომ ძირის კიდეზე არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი და რას ჩავდიოდი. მე მას-წავლიდნენ და მმართავდნენ ნატა და ლაშა, გარემო, სამყარო, გენი. მე მღვრიე მდინარეს მივქონდი და რამდენ ქვასა და ლოდს შემახეთქა, ხომ არ შე-იძლება ყველაფერი კისერზე ცოდვად დამაწვეს“.

„ნატამ მართლა იცოდა ერთგული და დიდი სიყვარული, შენც უყვარდი, რა-კი ქალს არ უერთგულია ქალისთვის, როგორც შენ მას. მაგრამ ხინველიც რომ ამას ხედავდა! რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ის რაღა იყო, მეგობრის ერთგულებას სიყვარული რომ შესწი-რე და მთავი გადაიხვეწე“.

„მე ხომ ეს ნატასთვის... ხომ მთე-ლი სულითა და გულით...“

„სულითა და გულით რომ იყავი მარ-თალი და ჭეშმარიტი, ეს იყო — ხინ-ველს რამდენს შორდებოდი, იმდენად მის სულს უახლოვდებოდი...“

„რა ვიცი, მთავი წელიწად-ნახევარი ვიყავი და ერთხელ არ ამოსულა!“

„ელოდი!“

„ღმერთო, დამიფარე! არა, მაგრამ თუ ასე იყო?“

„იცი, იგი არ იყო ამის კაცი, შენზე სანადიროდ მთავი წამოსულიყო, რო-გორც ამას მისი „მეგობარი“ აკეთებდა. და, ამას გარდა, ნატას თანაგრძნობა შენს გამო არ შეეძლო, თორემ სასიკე-დილოდ კი არ ემეტებოდა. იმას რომ იქ, მთავი ჩამოეკითხა და ნატას ეს გა-ეგო, რა ჯოჯოხეთი იქნებოდა? ხინველ-მა მეტოქე ხალიჩაზე წასაქცევად ვერ გაიმეტა და ნატა იმაზე კარგი მეგობა-რიც იყო და იმაზე ახლობელიც, გასაწ-ირავად მოიძულებდა? ან შენ, ამისთანა კაცს რა თვლით შეხედავდი... მის თვა-ლში ასე ამაღლებული და გაღმერთე-ბული...“

„ხინველს სულ ჩემ გასაღმერთებლად

ეცალა... მით უმეტეს, მაშინ, ყოველი მეორე გოგო მასზე იყო შეყვარებული, თვალში და პირში ბუზებივით უცვივდებოდნენ....“

„ისე ამაყი და ჰკვიანი ნატაც კი... და შენ?“

„მე რა, ფეხებზე მომეკიდებინა ქვეყანა, სინდის-ნამუსი, მეგობარი... და კალთაში ჩავჯდომოდი?“

„ჰო. ჰოდა, შენც იმათ დამგვანებოდი, ერთადერთი ხსნა ეს იყო და არა ის, რაც შენ ჩაიდინე.“

„განზრახ არაფერი ჩამიდენია, იცოდეს ღმერთმა!“

„განზრახ რომ ჩაგედინა, ყალბად და ყასიდად, გგონია, გამოეპარებოდა და იმათ რიგში არ დაგაყენებდა?“

„მაშინ არ ყოფილა საშველი“.

„არა, შენ უყვარდი ხინველს და სხვა საშველი არ იყო“.

„ეუ, დაღამებულა...“

„რა უნდა ამ კაცს და ახლა ამის თავი გაქვს შენ?“

„დაანებე, თუ ძმა ხარ, თავი და შენს გზას ეწიე. ქალს, აგერ, თავი წყალში გადასაშვებად აქვს და შენი ხელშეშობისა და ვნებების რა გაიგოს?!“

„კიი ერთი, მამა გიცხონდა... რა მოხდა, ქალმა სანაპიროზე არ შეიძლება გაიაროს? იქნება მდინარის ცქერა უყვარს, როგორ ირეკლება ლამპიონების ათინათები, ან იქნებ წყალში კენჭების დათვლას აპირებს. მაინცდამაინც შენი „სიყვარულისთვის“ მოიცალა, გგონია? არ ჩანს და ნუ ჩანს, იქნება მთლად ფსკერზე აპირებს ჩაყუჩუშმელავენას...“

„მით უმეტეს, ვერ მიატოვებ და მთელი ღამე უდარაჯებ? გულში ჩაიკრავ და წყალს კი არა, ცივ ნიავს არ მიაკარებ? შენი ვნებები რომ დააცხროს, მერე გადაიფიქრებს, გგონია? შენ თუ ასეთი წადილი არ გაგიჩნდებოდა, მაგის დარდი ჰქონდა და ამიტომ აპირებდა თავის დასრჩობას თუ?..“

„წადი, ოჯახაშენებულო, და, მეც მიხედე, რამაც ასე ქუჩა-ქუჩა და წყალ-წყალ, წყალწაღებული ქალი საძებარი გაგინადა.“

„ლამა ხინველთან მიდიხარ ახლა შენი?“

„აჰ!“

„კი. კი.“

„მაშინ ბაწრით შემკოჭეთ, ჯაჭვებით დამაბით!“

„ჰო, ასე რომ შეიკვირვე და შეიცხადე...“

„სახლი...“

„იცი, სახლიც იცი და კარიც. სამსახურიცა და სარბიელიც...“

„არა...“

„მაგ არაა, რომ დაგლუპა და გლუპავს, მაგ ჭიუტი ერთგულება და გაუნალიზებელი უღალატობა... მაგრამ, მეონი, გასწავლეს ჰქუა და ჩაგახედეს გულში, მუდამ ქვასა და ლოდს რომ აყრიდი, ცოცხლად მარხავდი და ასამარებდი“.

„გულის კარნახით, ყოველთვის მხოლოდ გულისა და არა...“

„გულის კი არა, ჰკუისა და სინდის-ნამუსის. ერთი ცივია და მეორე იმდენად ზოგადი, ყოველი კონკრეტული ვითარებისათვის და პიროვნებისათვის არ გამოდგება“.

„მისი ასავალ-დასავალიც არ ვიცი, ხომ ვთქვი, მას მერე თვალითაც...“

„მერე რა, რომ თვალითაც არ გინახავს, განა გული უფრო კარგად და შორს არ ხედავს? რა ვუყოთ, რომ თერთმეტი წელიწადია არ გინახავს. თერთმეტი წელიწადი ბევრია, მაგრამ მთელი სიცოცხლაც არაა... დღეს ეს ასე რომ არ მომხდარიყო და ასე წელი არ გენახა — მთელი საუკუნე, ასევე მთელი არსებით არ გეყვარებოდა და არც ის ინდომებდა შენს გარდა არავის?“

„არ ინდომებდა!“

„რა გაივლებს. კიდევ კარგი, აქ მან-

ქანების მეტი არაფერი ქაქანებს და მათ სრბოლაში და გუგუნში არავის ესმის...

„მე ენაჩასაცხებელი, კვივი?! მაგრამ, „არ ინდომებდაო“ და...“

„რავა, ინდომა, თუ?“

„ეს ნატოს გამო...“

„ნატას გამოც... შენი ქმრის... მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ შენი გამოისობით“.

„თუ ნატასა და „იმის“ გამო... მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გამოისობით?..“

„ნატაცა და ნოეც თქვენს გზაზე იდგნენ და იმიტომ, თორემ შენს იქით სხვა გზასავალი რომ ჰქონოდა, ვინ აკავებდა“.

„ნატას ავადმყოფობა და ისე უღვთოდ დალუპვა... ჩემი, რატომ არ დაიქცა ის დღე და საათი, გათხოვება“.

„გათხოვებამ, შენმა გათხოვებამ იყო, რომ მოუთავა ხელი...“

„და არ შემძულა, არ შემაჩვენა!“

„ქუჩაში, მარტოხელა ქალის, ხმამალა ლაპარაკი და ქაქანი?..“

„გიყი ვარ... არა ვარ თუ? მართლა, ნეტავ საავადმყოფოში მომათვასონ“.

„ოლატისთვისა და სიყვარულისთვის რომ ქალები საგიჟებში მოათავსონ, ნახევარზე მეტი, დიდი ხანია რკინის გისოსებისა და უსახელურო კარების მიღმა იქნებოდა გამოკეტილი“.

„იმ დასაწყვავი და დაფერფლილი დღის მერე მაინც, ჩემზე რა გული უნდა ჰქონდეს“.

„იმ გათხოვების მერე იყო, რომ ყველაფერზე ხელი ჩააქნევინე“.

„და ჩემზეც... ჩემზეც, ყველაზე და ყველაფერზე მეტად...“

„ყველაფერზე და ყველაზე“.

„ვიკივლებ!“

„ჰო, მაგრამ ეს მაინც ასეა!“

„ხმა, ხმა აღარა მაქვს, ხმა დავკარგე...“

„ეს კიდე უკეთესი... მაგრამ რომ გათხოვდი, მან არ იცოდა, რატომ ჰქენი?“

„საიდან?.. ან ყველაფერი?..“

„რა გითხრა მურთხმა, იმ გულზე თარში მთავი პირველად რომ ამოვიღე თხა. მთელი დღე იწრიალა და სანუგეშო ერთი სიტყვა ვერაფერი დაგტყუა. მართლა ფოჩიანი კანფეტებისა და ბისკვიტების ბალლი ხომ არ იყავი. როცა ვერც იმ დიდთოვლობისას და ვერც მერე, როცა ნოე ამოდ დაშვრა... სულ ბოლოს ის თავხარდამცემი ამბავი მოგჩანა: ნატას კიბო აღმოაჩნდაო... — ჰო, ეს მეორე წელიწადს მოხდა და მურთხის ბელიც გადაწყდა. შენ, დარღისაგან და შიშისაგან დაზაფრულმა, მაშინვე ყველაფერი მიატოვე და, რაც გეცვა, იმის ამბარა მურთხს გამოეციდე. როცა მკერდში სიკვდილჩასახლებულმა შენმა ნატამ ვედრებით შემოგხედა, ისე რომ თვალთაგან კურცხალი ცრემლი არ გადმოვარდნია: ვკვდები, შენი და ჩემი ლაშას საბედნიეროდ...“

„მითხრა?“

„ზუსტად ეს გითხრა.“

„ასე, სიტყვასიტყვით?“

„რა, მაინცდამაინც სიტყვასიტყვით უნდა ეთქვა? თუ შენსავით ქუჩაში ევილა და ეწივლა?“

„ჰო, ასე „მითხრა“.

„და, შე მართლა საწყალო და უბედურო, შე მართლა ბრმა ერთგულო და უღალატო, რა უთხარი?..“

„აბა, რა მეთქვა, სხვა რა შემეძლო“.

„არაფერი. არც შენა და არც დედამიწის გულზე არავის, სხვა არაფერი. სიცოცხლით სავსე, ჰკუთითა და გონებით, ერთგული სიყვარულით გულდამძიმებული ადამიანი და მეგობარი, მეცნიერი და მშვენიერი ქალი თვალსა და ხელს შუა ილუბებოდა. არაფერში, არაფერში რომ მისხალი, იოტისოდენი დანაშაული არ მოუძღვოდა, ისჯებოდა კაცისმკვლელისა და კაცის ხორცის მკამელის სასჯელით — სიკვდილით“.

„მე, მის უკან, ცოცხალი ვრჩებოდი...“

„გეგონა, რჩებოდი, თორემ რომ ახარე, გადაწყვიტე, ნოე ხინიკაძეს ცოლად წავეყვო, შენი სიცოცხლის ფასად მისი ორი დღის წუთისოდელს იმედი



გაუჩინე, სანამ ტანჯვით კიდევ ილა-
ლილებდა, მანამ მაინც არ მოკალი და
მიწაში არ ჩაატანე საფლავში დაუტევ-
არი ბოლმა. გაუადვილე ამქვეყნიდან
წასვლა და იმოღენა, ორი მეტრი, მიწა
ზემბულად უქცეო. ადამიანის, მეგობ-
რის რწმენითა და იმედით აავსე სა-
ქაოდ და საიჭიოდ... ამას რად უნდოდა
ხინველის ჭკუა და რაინდული სამყარო.
თავი რომ გაენძრია, ხინკაძეც მიხვდე-
ბოდა... მერე იმან აგაფორიაქა, ეგ ლი-
ტონი სიტყვები არ ეგონოს, სიკვდილი
შევეუსუბუქე — არ იფიქროსო და ისე
სულსწრაფად ხელიც მოაწერე, ნატა
მეჭვარედ გყავდა. იქნება ადამიანისაგან
ადამიანის ასე თავგანწირული ერთგუ-
ლება და სიცოცხლის ფასად მტლედ
დადება მართლაც თავისი თვალთა რომ
არ ენახა, არც დაეჯერებინა. მაშინვე
ბავშვი აიყოლე, რომ მის სიკვდილამდე
მოგესწრო, მღვდელი სასთუმალთან მი-
უყვანე, ფეხზე დგომა და მოძრაობა
რომ წაერთვა, და მოანათელინე...”

„ლაშას შენ აღარ ხვდებოდი, თო-
რემ, უკანასკნელ დღეებში, ყოველდღე
დადიოდა სულთმობრძვე, ნატასთან...
მის თვალწინ ამდენს გააკეთებდი და
ამის დამნახვი ხინველი კი არა, სატა-
ნა მოიქცეოდა ქრისტეს რჯულზე. იგი
შენოდენა იყო და იმიტომ შეეძლო შე-
ნი დანახვა, თორემ მურთხი, ქე ხედავ,
როგორ გიყურებს და რასა და ვის ხე-
დავს.“

„მწვერვლები არწივების საბუდარიო
და არა ქურბაცაცა ბელურებისა და
ნესკიების“.

„არწივებსა და შევარდნებს როგორ
შეეებდავ. ნეტავი, ღმერთს ერთ საცო-
დავ ლობემძვრალად გავეჩინე, ოღონდ
ფრთები მქონოდა და ასე ძალღივით
მიბმული არ ვყოფილიყავი ამ ცოდვით
ალუფხულ მიწაზე“.

„დღეს, მგონი, გაწყვიტე ეს საბე-
ლი?...“

„გაწყვიტე?...“

„გაწყვიტე. გაწყვიტე და უკან ნუ
იხედები!...“

„ავიღო ხელი სინდის-ნამუსზე? მი-

ვაფურთხო სოფელ-ქვეყანას? არა, არა...
ქენდე და თავზე ნაცარი დავიყარო?
გავხდე ყბადაღებული და ლაფითა და
წუმბით მსვარონ? ვულალატო მოღალა-
ტეს და დავემგვანო, ვინც გამამწარა?“

„გითხარი მე შენ, ტყუილად რომ გი-
ლალატეს“.

„მაშ ის რა იყო?!“

„იმას არ შეეძლო შენი ლალატი,
ვინც შენი არასოდეს ყოფილა, ვისიც
შენ არ ყოფილხარ. დღევანდელ დღეს
ხელის აქშევა თუ დაერქმევა ყოველ
წამს ასაფრენად შეწყვიტულსათვის“.

„არც გაუცხოება?“

„უფრო ტყვეობიდან გაქცევაა, შინ
დასაბრუნებლად. და ეს ტყე-ლრე ჰუნ-
ძული, უგზო-უკვლო უდაბნოდან თავის
დაღწევისა და სამშობლოს ხილვის
გზაა — შენი მიწის ძახილი“.

„ღმერთო, ნუთუ ისე გამიმეტე. ერ-
თი დღე, ერთი საათი არ მიცხოვრია?“

„უცხო ტომთან ტყვედ ყოფნა იყო
დღემდე შენი ყოფა. მათ რომ შენი ენა
არ იცოდნენ და შენ იმათი ერთი სიტყ-
ვა ვერ ისწავლე. ფესვებს მოგლეჩილი
ყვავილივით, შაქრიანი წყლით სავსე
ლარნაკში რომ დევს და პატრონი წვი-
ნტილიან ცხვირს ჩრის შიგ და სურნელს
სტაცებს.“

შენ დღეს თავს უბრუნდები, ფეს-
ვებს, ეს ქაოსი და გაუდაბურება თვით-
გამორკვევია და მტკივნეული, როგორც
პირველი ჩასუნთქვა-დაბადება. გაქცევა
ის იყო, სადაც ამდენ ხანს იყავი. ეს
მოქცევაა იმად, რადაც იქმენ.

„ვინც იბადება, იმის ცალიც იბადება
მაგრამ, საუბედუროდ, ათიათასებში იმ
შენი ტოლფასის პოვნა ჭირს. არც ის
შენი ნამდვილი ნახევარი არგია სხვას
და არც შენ — სხვის ნახევარს. ორივეს
ლარლილი წამებაა და ძებნა უპოვარ-
ისა. ხანჯლით შუაში გაჩეხილია ადამი-
ანები და სხვა სხვის ნახევარს სახელ-
დახელოდ, ნაჩქარევად მიკერებულნი.
ვერ გუობს სხეული უცხო სხეულს და
ერთმანეთს უცხოობს და წამლავს. ათ-
ასში ერთს თუ გამართლებია და თავი-
სი ნახევარი დატოლებია.“



„წადი, წადი! ფეხს ნუ ითრევ. წადი. იცი, რომ გელოდება... არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი წელიწადი გავიდა, აქ დრო და ხანი შეჩერებულია. მიდი, მიდი და შენი თვალით ნახავ... შენი ყურით მოისმინე, რასაც გეტყვის...“

„შეგძლებს ამას? გადავრჩები? ისევ დავინახავ და მის ხმას გავიგონებ? და ისევ... იმის შერეც ვიცოცხლებ?!“

„და ბევრს კი არათერს, ერთ... ერთადერთ სიტყვას. გეტყვის: „მოდი?““

„თითქოს დილით გასულიყო სახლიდან სამსახურში, ბაზარში თუ იქვე, ახლომახლო“.

„მაშინ, რატომ თავიდან არ დავადექი ამ გზას...“

„შეუძლებელი იყო. შენ ამ დილით, ამას ელოდი თუ არა, იცოდი და გინდოდა თუ არა, თვლნათლივ პირველად, დაინახე არა მარტო მრუშობა, ლალატი და გაუტანლობა. შენ, ერთგულებამ და სიკეთემ ასე რომ დაგსაჯა და არაარობად გაქცია, არ შეგეძლო ისევ სიკეთეზე და სიცოცხლეზე გეფიქრა. რატომ ჰკლავს კაცს კაცი? და რატომ აქვს მნიშვნელობა — რა დროს მოკლა. მოიფიქრა თუ უცაბედად, ცხელ გულზე, აფეთქში... ის, ვინც მოიფიქრა და მოკლა — მკვლელია, მაგრამ ვინც თბილ სისხლს სისხლი მიაგო — შურისმაძიებელი. შენ, ყველაფერი რომ შეგიგინეს და წაგბილწეს, მაშინვე შეგინებოდა და წაბილწვით მოინდომე შურისგება, რაკი სიკეთე ბოროტების წილ სიბრძნეა და ამას დაღვრილ სისხლთან კი არა, უმრავლესთაგან უმრავლესი, საკურთხეველის წინაც ვერ ხედავს... და სანამ შურისგების ბოროტი დემონი ქუჩა-ქუჩა დაგატარებდა და ხელში თავის სისხლიან მახვილს გჩრიდა, არ შეგეძლო ხინველზე გეფიქრა. უბრალოდ, არც კი გაგახსენდებოდა, რაკი ის არაა რაიმე, თუნდაც ბოროტების წინააღმდეგ სახმარი ბრმა იარაღი. მასთან მისა-

სვლელი ერთადერთი გზა სიბრძნეა. ამიტომაც იგი ასე ეუღლი და მარტოდ-მარტო, რაკი ეს ნამდვილი, მართალი გზა ვერავინ იპოვა და თავისივე კაცობა და სინდისი დილეგად ექცა. შენ იყავი მისი მხილველი და რჩები. მიხვალ თუ არ მიხვალ, შენს თავს ვერავინ დააშორებს. ნატამ — მკვდრებში და ცოცხლებში ერთადერთმა მან, იცის ამქვეყნად შენი ფასი.“

„წადი, წადი... შენ ორგულობისა და გაუტანლობისათვის არა ხარ გაჩენილი. ახლა ხომ ისიც იცი, რომ არაა ეგ ამბავი ნატას ლალატი... მაშინაც იცოდი, მაგრამ აქამდე ქმარსა და შვილს ერთგულებდი...“

„ქმარს?!“

„ქმარს თუ არა, მოვალეობას... შვილი შეილია, რამდენად შენ მართალი და ჭეშმარიტი იქნები, შეილი უფრო შენი იქნება...“

„სახლი, კარი, კედელ-ყურე...“

„ტყუილია, არ გქონია შენ სახლი და კარი. შენ შენი ბინა ჯერ არ ავიგია და ჯერ არც გიცხოვრია. და, ამას გარდაც, ვისაც შენ ლალატს უპირებდი, იგი მაგადაც არ ღირს. პეშვით რომ ლაფი აიღო და თავზე დაასხა, თუ ვერ დაინახავს, რა გამოვა, ხელებს ტყუილად დაისვრი. მუტოხები მუტს ერთი პეშვი წყლით ჩამოირეცხავენ, შენ კი ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი ვერ მოიცოცხლებ.“

„წადი, წადი. იცი შენ, საით და რომც არ იცოდე, ახლა გული მიგიყვანს, თავისთავად მიხვალ. არ შეიძლება ერთადერთ გზას ასცდე. მატარებელი ლიანდაგს ვერ გადასცდება“.

„მიდი და გეტყვის... აი, ნახავ, თუ ერთადერთი სიტყვის მეტი გითხრას: „მოდი?““

და შენც ასევე ერთადერთი სიტყვით შეგეძლია უპასუხო:

„მოვედი.“

სანაბ ცეცხლი დაიბადება...

მინდი, ეწურო ფორმის გარეშე...
გამოეტყვა, ამოვანთხო ის, რაც
ძლიერ მალეღვებს.

ლ. ნ. ტოლსტოი

პოეზია

1.

რა ფორმა უნდა მოეძებნოს იმ ხმას,
ტკივილებით დაღარული
გული რომ გამოსცემს?

ერთი მითხარი,
რა ფორმისაა ბავშვის ამოკენესა შუაგულ ძილში?
მას ხომ ჯერ არ უნახავს
მწუსარება ამქვეყნიური,
მაგრამ იდუმალი არსებით, საიდუმლო შესასვლელებით
შეაღწია იმის გულში ქვეყნის ვარამმა.

რა ფორმისაა ჩიტის გალობა
პეპლაობის თვეში,
ანდა უფრო გვიან,
როცა სიმწვანე ჩაიწურება
და ველმინდვრებში რჩება მარტო ზაფხულის ჩენჩო —
მკვდარი ფოთოლი, ჩამოვარდნილი...
იმას ფორმისთვის თუ სცალია,
ვინაც ამბობს ბოლო სიტყვებს ამქვეყანაზე?
ცხოვრების ტვირთს
ვინც საბოლოოდ ეჯაჯგურება,
რომ კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, —
ეს მართლა მისი ტვირთი იყო,
თუ, მუხლჩაზრილს, ყველაფერი ეჩვენებოდა.

ან რა ფორმა აქვს ღმერთის დუმილს,
როცა ხვეწნით ყელს ვილაღრავთ,
როცა ხელგაწვდილები შევთხოვთ,
ხოლო იმას,
ჩვენთვის თვალის შევლებაც კი არ უნდა,
რადგან კარგად იცის, რა ხვითოც შექმნა
იმ მშვენიერი თიხისაგან თავის გიჟმაჟ სიჭაბუკეში,
როცა ძიების ცეცხლი ბუგავდა...

ესლა კი თავის გრძელ დუმილში,
რომელსაც არცერთი ფორმა არ მოერგება,

ის ფიქრს იხვევს სინანულისას...

იგი დუმს.

მისი დუმილი არცერთ ჭურჭელში არ ჩაისხმის,
და არცერთი სამოსელი არ მოერგება...

განა შეიძლება, რომ დავარცხნილი იყოს
წარღვნის წინ ნათქვამი სიტყვა,
წინაღღეს ნათქვამი სიტყვა,
როცა საცაა ცას პირი მოტყდება,
როცა თვალს ახელს ულტრათანამედროვე ცეცხლი,
როცა ჟღარუნობს ჩვენს თავზე დაკიდებული მახვილი.

განა შეიძლება, რომ პოეტმა,
ვინც სამყაროს დაჰკანკალებს,
დაწეროს ლექსი, რომელსაც ერქმევა „აპოკალიფსისი № 2“.

მე დავწერე. მე დამნაშავე ვარ.
მაგრამ თავის დაძვრენას ვცდილობ.

ჯერ კიდევ იოანეს აღმოხდა ეს ქვითინი.
მერე გუტენბერგმა წიგნებად აკინძა...
და დათესა მთელს სამყაროში,
როგორც სევდის შავი მარცვალი,
რომელიც აღმოცენდა პირქუშ მიწენარედ.
მისი ფოთლები, მისი შხამიანი ფოთლები
შრიალით ცვივა ჩვენი ტვინის ხვეულებზე,
ლპება და იხრწნება
ჩვენი გულების გვირგვინოვან არტერიებზე...

ხოლო თვითონ წყნარადა წევს
გუტენბერგი — დიდი მებაღე...

მე დავწერე.

მე ვამბობ, რომ არცერთ ფორმას
არ მოირგებს ჩემი მოლოდინი,
არცერთ სამოსელს არ ჩაიცმევს,
ტიტველია ის კენჭივით,
ობლად გდია ღამის გულმკერდზე.

2.

ჩემს ტკივილს ეხლა არაფერი არა სჭირდება.
არც გული სჭირდება, არც ცნობა სჭირდება,
არც სახელგატეხილი გონება სჭირდება...

სიტყვა ისე უნდა დაიბადოს,
როგორც ქვა ჩნდება უკაცრიელ პლანეტაზე,
რომლის დაბადებაშიც არავისი ხელი არ ურევია.

მას საკუთარი ტკივილი შობს
და ამუნჯებს იმ წუთიდანვე,

როგორც კი მიწას დაეცემა
და ამუნჯებს სამარადისოდ...

ჩემს ტკივილს ესლა არაფერი აღარ სჭირდება,
არც ტელეფონის შავი ლამე,
არც ტელევიზორის ოთხკუთხედი ცა,
არც თამაში
და აღარც ლიფლიფა ჭიქების ტრიალი —
არც სხვა რამ ჭურჭელი სჭირდება...
მხოლოდ ერთს ელის იგი —
ცეცხლით გასპეტაკებას...

იოანეს ენამ უყვილა,
ის ყვირილი გუტენბერგმა გადაამრავლა.
ესლა მეც ვიმეორებ და ვწერ დამარცვლით —
„ა პ ო კ ა ლ ი პ ს ი ს ი №2“.

პირველად იყო წყალი
(აპოკალიპსისი № 1),
მერე დაიბადა ცეცხლი
(აპოკალიპსისი № 2);

წყლისა და ცეცხლის შეჯიბრი.

წყლით გასპეტაკებული სული დაიღალა,
წყლით გასპეტაკებული ტკივილი
თავისთავს ველარა სცნობს...
ელის ცეცხლით გასპეტაკებას.
ელის ცეცხლით გასპეტაკებას...

წყლისა და ცეცხლის შეჯიბრი.

მე ვწერ.
მერე ზღვის ნაპირზე გავდივარ,
რათა დავინახო დაღლილი,
დამდორებული და ერთ ალაგას დამდგარი
წყალი — წარღვნის მთავარი გმირი.

მას უკვე სძინავს. ესიზმრება მომავლის ცეცხლი,
ესიზმრება მახვილი, ჩვენს თავზე რომ პკიდია,
ესიზმრება მომავლის ცეცხლი,
ყველაფერს რომ გაასპეტაკებს...

მას ესიზმრება და ელის...
და ვინღა არ ელის,
და ვინღა არ ელის,
და ვინღა არ ელის...

ელის პოეტიც,
ვინც ეს-ესაა დაწერა ლექსი...

და ვინღა არ ელის...
და ვინღა არ ელის...
მას ელის წარღვნის მთავარი გმირი —
წყალი,
ხელედაკრეფილი, დამდორებული...
ელის, რათა გადასცეს ესტაფეტა,
თავისი გამოცდილება გაუზიაროს...

რომ ცეცხლმა აღარ გაიმეოროს
წინამავალის შეცდომები —
იმ კიდობანში, რომელიც შენს ყურადღებას არ იქცევს,
შესაძლოა, სამყაროს მთავარი დამნაშავე ზის
და ცდილობს იგი თავის დაძვრენას...

არა, შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს.

მაგრამ ცეცხლს რაში გამოადგება
წყლის ძველისძველი გამოცდილება!..

წყლისა და ცეცხლის შეჯიბრი.

წინამავალის შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს...
კიდობანში, რომელიც შენს ყურადღებას
სულაც არ იქცევს,
შესაძლოა, სამყაროს მთავარი დამნაშავე ზის
და ცდილობს იგი თავის დაძვრენას...

3.

ამ სიმღერაში არაფერი არ იწყება.
ამ სიმღერაში არაფერი არ მთავრდება.
ამ სიმღერაში არავინ არავის არ ებრძვის,
მახვილს არ უღერებს,
მკლავის გადაწევაში არ ეჯიბრება...
ყველა ბრძოლა დიდი ხნის დამთავრებულია
და მხოლოდ ექო თუ გაისმის,
ერთ კივილად ან ერთ კენესად შემკვრივებული...

ექო, რომელსაც არ მოერგება
არცერთი ჩოხაახალუხი,
არცერთ ჭურჭელში რომ არ ჩაისხმის,
ექო, რომელიც თანდათან კი არ ეჩვევა ამ მიწისპირს,
ფეხს თანდათან კი არ იდგამს, რომ არ წაიქცეს,
არამედ ინთხევა, იკლავება
და დაფორთხავს
ისტორიის სისხლიანი ფენისგულის ანაბეჭდებზე.

ის ჩემი უფროსი ძმა იყო,
ვინც ჩაიდინა ისეთი გმირობა,
თვით პერაკლესაც შიშით რომ აბურძგლავდა —
მან, სულ პატარა ბიჭმა,
17 წლის სოფელელმა ბიჭმა,
თავისი ძვლებით, სისხლძარღვებით
და თავისი გულის ქსოვილით
დაიჭირა გატყორცნილი ყუმბარის ნამსხვრევი —
იმდენხანს,
რომ გავარვარებული რკინა გაცივდა.

ეხლა პოლონეთის გულუხვ მიწაში წევს.

და ექო, რომელიც არცერთ ჭურჭელში არ ჩაისხმის,
რომელსაც არ მოერგება არცერთი ჩოხაახალუხი,
ინთხება, იკლანება
და დაფორთხავს
აპოკალიპსის სისხლიანი ფეხისგულის ანაბეჭდებზე.

ექო იკლანება, როცა ოთხმოცი წლის დედაჩემი
ჩამქრალი თვალებით
დაჰყურებს რუკას პოლონეთისას...
დედაჩემის ცრემლი პოლონეთის რუკას ეცემა.
წარღვნის მონასხლეტი ცრემლი
პოლონეთის რუკას ეცემა...
წარღვნით გასპეტაკებული ცრემლი
პოლონეთის რუკას ეცემა...

შორეულო პოლონეთო,
ცეცხლით გასპეტაკებულო!
მე შენზე ჰიმნი როგორა ვთქვა,
როცა ჩემი სიტყვები
უკანასკნელი დღის ჩრდილიდან
ძლივს გამომყავს ხელისკიდებით...
ხვალინდელი ცეცხლის შიშით მონუსხულები,
სუყველას რომ ატყვია
მოლოდინის მტანჯველი კვალი.
მწუხარების ნაბწყლელები...

სამყაროს ღულღულიდან როგორ გამოვარჩიო
ის ხმა, რომლითაც შეიქმნება შენზე სიმღერა,
კავკასიონის გრესილებს რომ გადმოივლის
და ევროპის ტრამალებზე გაიფინება...

დედაჩემის ცრემლი,
წარღვნის მონასხლეტი ცრემლი,
წარღვნით გასპეტაკებული ცრემლი
პოლონეთის რუკას ეცემა...

4.

ცეცხლი, სადაცაა, უნდა დაიბადოს.
ჯერ კი ისევ შეშაში სძინავს.
სადაცაა, უნდა დაიბადოს...

მე კი ცრემლით უნდა დავნამო,
რაც დარჩება იმის კვალზე —
ყველა აგურის ნამტვრევი, ნახშირი...
ყველა ხის ნაფოტი. ნახშირი...
აღგვილი ქალაქი. ნახშირი...
გადატუსვილი მთები. ნახშირი...

უნდა ვიტყვო მომავალში ჩემი წარსული.

მაგრამ ცეცხლი ჯერ არ დაბადებულა.
და სანამ დრო გვაქვს,
სანამ ცეცხლისთვის მოედანს ვამზადებთ,
რათა ღირსეული მასპინძლობა გავუწიოთ,
სანამ დრო გვაქვს —
მაინცდამაინც ნუ ვიქნებით ხელმოჭერილნი.

ამ ნაღვლიან დღეს —
სამყაროს გასპეტაკების წინააღმდეგ —
ყური მივუგდოთ არა იმას,
ვინც წინ გვირჭობს ამკრძალავ ნიშნებს,
არამედ იმას, ვინც ერთადა გვკრებს,
ვისაც ერთიმეორისაკენ მივყევართ,
ვინც ჩვენს დამდორებულ გულისცემას,
ვინც ჩვენს დამდორებულ სისხლს მათრახით მიერეკება.

მოდი, ავდგეთ და ნახშირით წავაწეროთ თავფურცელზე,
რომ სიყვარული საუკუნის პანაცეაა...

და ის არის ერთადერთი აჯანყებული,
რომელიც უღმობლად ანგრევს მორალის ჯებირებს,
ამკრძალავ ნიშნებს ამსხვრევს გზაზე
და წინ მიდის თავაწეული.

სიყვარულის გაცემის დრო.
სიყვარულის ავსების ჟამი,
როცა წარღვნის მთავარი გმირი დაიღალა,
როცა წარღვნის მთავარი გმირი შენს მუხლებთან კენესის...

ხოლო მეორე ჯერაც არ დაბადებულა,
და მისი სახელი ჩვენს ზემოთ ჟღარუნობს —
ქანაობს ულტრათანამედროვე მახვილი...

ჩემი თავისქალა — პრეისტორიული კრამიტი,
დღემდე ღირსეულად რომ იცავდა.
უსსოვარ დროთა მოგონებებს და უცხო სიზმრებს,
ვნახოთ, ეხლაც თუ მიერთგულებს,
თუ აღასრულებს თავის მთავარ მოვალეობას...

ქანაობს ულტრათანამედროვე მახვილი.
და არავის არ უნდა იმის ქვეშ დგომა.
არავის არ უნდა, რომ თავის კუთვნილ ალაგას იდგეს
მოკრძალებით, ბედსშეგუებული კაცივით...

სუყველას მეზობელი ღობეებისკენ გაურბის თვალი,
თითქოს იქ უფრო ნოყიერი მიწა იყოს,
თითქოს იქ უფრო კარგ ხილს ისხამდეს...
ხოლო სხვისი ცოლი ხომ...

ღმერთო, ამარიდე ეს დაწყევლილი ფიქრი,
უთვალავ გულში გამოვლილი,
ურიცხვ თავისქალაში გამონაყილი...

ქურდი ფუტკარი
რალა სხვა სკის შესასვლელს მისჩერებია
როცა ველ-მინდვრები თაფლითაა სავსე?

5.

ვერავენ გვეტყვის, თქვენი ბოლო დღე არ შეიყვართო,
როცა ყველაზე ტკბილი არის
აკრძალული ნაყოფისკენ ხელისგაწვდენა.

ამ ბოლო დღეს ტკბილი არის
აკრძალული ნაყოფისკენ ხელისგაწვდენა.

სიყვარული უნდა დაიხარჯოს,
ამ ბოლო დღეს სიყვარული უნდა დაიხარჯოს,
უნდა მოემზადოს, უნდა გასპეტაკდეს...

ქანაობს ულტრათანამედროვე მახვილი.

პირველი მხოლოდ უღიმლამო ცდა იყო,
პირველი მხოლოდ რეპეტიციად ჩაითვლება,
ხოლო მეორე
იმ შეცდომებს აღარ დაუშვებს,
კარგად ხედავს წინმავალის გამოცდილებას —
შესაძლოა, კიდობანში
სამყაროს ყველაზე მთავარი დამნაშავე ზის
და ცდილობს იგი თავის დაძვრენას.

არა. შეცდომა აღარ უნდა განმეორდეს.

მე დავწერე...
მეც დამნაშავე ვარ.
და მე ვტირი შენს თავს, ქალაქო.

შენი ამღვრეული სისხლი.
შენი დაქცეული გოდლები.
შენი ქერათმიანი ანგელოსები, მზად რომ არიან,
რათა გაშიშვლდნენ ამ უძლები ზღვის წინაშე,
ლამის წინაშე...

ისინი, დილით ცეცხლს რომ ანთებენ,
სალამოს მდორდებიან, ითენთებიან,
რათა უმტკივნეულოდ,
ულალატოდ და დაუნანებლად
შეერიონ მარადიულ, უძლებ მდინარეს,
შენი მიწისქვეშა წყლებით,
შენი სალამური დინებებით რომ იკვებება.

მე ვტირი შენს თავს... ხოლო მერე ჩემს შვილებს ვუშხელ,
რომ არსებობს ამქვეყნად ცეცხლი —
ულტრათანამედროვე მახვილი,
ჩვენს თავზე რომ ჰკიდია და ჭლარუნობს განუწყვეტილად,
ქარის წამოქროლაზე ირხევა.

ყველამ უნდა იცნოს ხვალინდელი დღე.

მე ჩემს შვილებს ვუშხელ და ისინიც
სახლის კედელზე თავშესაფრის მაკეტს ხატავენ
და ჰგავს იგი ნოეს კიდობანს
და ისე პატარაა,
რომელშიც მხოლოდ მტრედი თუ ჩაეტევა...

დედამიწის ეს პატარა გადამრჩენლები
ნახშირით ხატავენ თავშესაფრის მაკეტს
და ჰგავს იგი ნოეს კიდობანს...

ვერავინ იტყვის,
რომ გულზე ხელდაკრეფილები ველოდით...

ჭლარუნობს ულტრათანამედროვე მახვილი.
ჭლარუნობს ქარის წამოქროლაზე,
იმის ხმა გვალვიძებს,
ალვიძებს ჩვენს შვილებსაც
და ისინი,
უზრუნველი სიზმრებიდან გამოსულები,
თავშესაფრის მაკეტს ხატავენ.

თუმცა კმარა! რა სისულელეა გულის აჩუყება,
ჯერ ხომ მდინარე ისევ შხუის,
ჯერ ხომ ბავშვები ფეხბურთს თამაშობენ...

6.

წინაღღეს მეც ხომ თავს ვიქცევდი,
და მინდოდა, რომ ბოსელი,
სადაც გავჩნდი,
დამეხატა რომელიმე კომედიის თავფურცელზე,
გამომეჭრა
სიჭმრის ლურჯი ფოთლებიდან, ზმანებებიდან...
ყარტით გადახურული,
არახიჯის ნისლში რომ დარჩა...

მაგრამ წინაღღეს აღარავინ არა ცდილობს
სხვის გაცინებას,
არც კომედიები იდგმება...
წინაღღის სურათი სულაც არაა ნაღვლიანი
და არავინ არა ცდილობს სხვის გაცინებას.

ის ყარტით გადახურული, საბძლიანი,
დავივიწყე ცათამბჯენების კიბეებით დაღლილმა.

მე ხომ იმას ვუმღეროდი,
რაც მხვდებოდა გზისნაპირებზე...
ჩემი ჰიმნებიც მისთვის მითქვამს,
ვინც ღამეში ხელი შემახო
და დამაჯერა, რომ ამ გზაზე მარტო არა ვარ.

აჰა: კეთილ ხარ —
რადგან, როცა გვერდზე ჩამივლი.
ხელს არა მკრავ, მოყვასო ჩემო...

მეც არ ველოდი გულზე ხელებდაკრეფილი...
ხომ ხედავ,
მინდა მოგაჩვენო, რომ მამაცი ვარ,
რომ ჩემი ძველი ჯაჭვის პერანგი
ჟანგმა კი არა, მოქნეულმა მახვილმა დაფქვა.

ვიცი, მზადა გაქვს:
გულოვანი, გამოჩენილი...
ჩემს კოჭლ სახელს ამ ყავარჯნებს მიაჩეჩებ,
და ისიც ვიცი,
რომ ოხერი ვინმეა სიტყვა
შემოგირჩნდება, დაწყევლილი,
აგაყბედებს და პირს მოგირღვევს...

და შენ არ უნდა დაინახო,
რომ წუხილის ლოდებს ვმალავდი,
სიცხლის ქვიშას ვაყრიდი მე და ზვაობა იყო ის ფარი,
ჩემს სილაჩრეს რომ ხელს აფარებდა.

7.

№ პირველსა და № ორს შორის
მთვარის ავსების ჟამი,
სისხლის დაღვრის ჟამი,
ტვინის გახურების დრო — წამი...

N პირველსა და N ორს შორის
ჩემი 17 წლის ძმა...

ჩემი 17 წლის ძმა
პოლონეთის მიწაში მღერის...

№ პირველსა და № ორს შორის
შეშის შეგროვების დრო...
რათა ღირსეულად აგიზგიზდეს,
რათა თავი არ შეირცხვინოს
ცეცხლმა, ჩვენს თავზე რომ ჰკიდიან...
მახვილმა, — ჩვენს თავზე რომ ქანაობს...

შეშის შეგროვების დრო...

თუ თიხა არ დაიწვა,
სული ვერ გასპეტაკდება...

თუ კედელი არ წაიქცა,
დამწვდელი სივრცე ვერ განთავისუფლდება...

თუ შმორი არ აღიგავა,
ქუჩებში ღმერთი ვერ შემოვა.

თუ თიხა არ დაიწვა,
სიყვარული ვერ გასპეტაკდება...

და მე ვწერ...
მე ვიმეორებ იოანეს საშინელ სიტყვებს...
ვაი, ვაი, ჩემო ქალაქო!
ჩემო ქალაქო, დიდო ბაბილონო!
წინადღეს თავი მოგწყენია,
წინადღეს გულს გირევს შენი სხეული.
წინადღეს შეგძულებია შენი თიხა —
შენი პატრონი...

მღერის 17 წლის სოფლელი ბიჭი,
პოლონეთის მიწაში მღერის,
მღერის 17 წლის ძმა...

ვაი, ვაი, დიდო ბაბილონო!
წინადღეს თავი მოგწყენია,
წინადღეს მოგწყენია დიდი მდინარე,
ამღვრეული მტკვარი მოგწყენია,
მოგწყენია შენს ულტრათანამედროვე ხეობებში —
შენს ქუჩებში გაფენილი თიხა,
მცოცავი თიხა, აგორებული თიხა...

თუ თიხა არ დაიწვა,
სული ვერ გასპეტაკდება...

შემის შეგროვების დრო.

თუ თიხა არ დაიწვა,
სიყვარული ვერ გასპეტაკდება...

ელარუნობს მახვილი,
ჩვენს თავზე რომ ჰკიდია,
ელარუნობს ქარის ჩამოქროლაზე.

თუ თიხა არ დაიწვა,
ცრემლი ვერ გასპეტაკდება...

80 წლის დედაჩემის ცრემლი
ეცემა სამო საფლავების მხარეს,
ეცემა პოლონეთის რუკას..

ის ცეცხლი მხოლოდ შესავალი იყო.
ის ცეცხლი მხოლოდ წინადღეს ეკუთვნის...
ამბავი შემდეგ დაიწყება...

და ჩემი შვილები
ნახშირით ხატავენ თავშესაფრის მაკეტს,
ნახშირით ხატავენ ნოეს კიდობანს,
რომელიც ისე პატარაა,
მხოლოდ მტრედი თუ ჩაეტევა...

წინადღეს მე ვწერ.
მე შიშს ვუმკლავდები.
ელარუნობს მახვილი.
მე მოვდივარ შენთან შესახვედრად.
მე ვწერ.
აპოკალიპსისი № 2.
ჩვენი ხელები ერთდებიან.
აკრძალული ხილი...

ტკივილი, რომელსაც ვხატავ, უფორმოა.
ცრემლი, რომელიც იღვრება, უფორმოა.
ქვითინი, რომელიც გაისმის, უფორმოა...

ჩოხახალუსისათვის აღარავის სცალია.

ჟღარუნობს ულტრათანამედროვე მახვილი.
ჩემი და შენი ხელები.

აქრძალული ხილი...

მე ვწერ.

მეც დანაშაულის მონაწილე ვარ,
მაგრამ თავის დაძვრენას ვცდილობ...

P. S.

ხოლო.

მეორე დღეს

აპოკალიპსის ნახშირით

შენს კედელზე,

ჩემო ქალაქო,

შენს გარუჯულ კედელზე

თეთრი მტრედი უნდა დაგხატო

ზეთისხილის ტოტით —

იმის ნიშნად, რომ ბაღი გადარჩა...

მტრედი.

ბაღი.

და მეზაღუე. —

ეს სურათი უნდა დაგხატო.

1983.

აღმოსავლური ტკბილეულობა

მოთხრობა

მე ის შორიდანვე დავინახე, არც გასაკვირია, ყველას უმალ მოხვდებოდა თვალში. შეხედავ ასეთებს და შიშნარევი მორჩილებით გაიფიქრებ, ზვალთუ არა, გაისად მაინც ქალაქი ასეთი უცნაური ქმნილებებით გაიცვებო... ძნელია ამ აზრთან შეგუება, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია იმის აღიარება, რომ ეს აჩონჩხილი არსება შენი ბავშვობის მეგობარია.

არავის დაუძალებია, მაგრამ ჩემი სინდისის წინაშე მართალი რომ ვყოფილიყავი, უნდა მივსულიყავი მასთან, მხარზე ხელი დამეკრა და მეკითხა:

„ქეთევან, ამ ხილბოსტნეულის მალაზიის წინ რას დადიხარ, ან წარამარა საათს რატომ კითხულობ, ხომ არავის ელოდები?“

ერთი პირობა დავაპირე, ჩაუესაფრდები, ვნახავ, ვის შეხვდება და მერე ვეჩვენები-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე, ის უფრო სასიკირო იქნებოდა, როგორ ეცდებოდა ჩემგან თავის დაძვრენას.

ცოდვას ვერ ვიტყვი, გულწრფელად გაეხარდა ჩემი დანახვა, გადამეხვია და ბევრი მკოცნა, მაგრამ ეს პირველი შთაბეჭდილება იყო, უცაბედი და დაუფიქრებელი, და როცა ამ მღელვარე წუთებში განვლო, ქეთინომ ვილაც კაცის მაჯისკენ გააპარა თვალი და საათს დააცქერდა.

— ელოდები ვინმეს?

— ნეტავ ასე იყოს, — ქეთინოს თვალები უსაზღვრო სევდით დაებინდა. — იდგე ქუჩაში და მუხლების კანკალით ელოდო... რა დიდებული გრძნობაა!

— მართლაც კარგია.

— შენ რა გენალვლება...

— მაინც კარგია!..

ეკ. — ქეთინომ საკუთარი თავი ძალით გამოჰკლიჯა ოცნებას და მწარე სინამდვილეს დაუბრუნდა. — ვილას აღარდებს შენი პაემნები, პარკში სერიანობა, ხელზე ხელის უნებლიე შეხება... პირდაპირ ლოგინში გეპატიჟებიან, მე კი, ხომ იცი, ასეთი რამეები როგორ მეჯავრება.

— ვიცი.

— შენ ყოველთვის კარგად გესმოდა ჩემი, მაგრამ მარტო ეს კმარა? უმრავლესობა იმას იფიქრებს, თითქოს ეს სიფრიფანა კაბა იმისთვის ჩავიცვი, რომ სწრაფად და იოლად გავიხადო. იმდენიც არ ესმით, რომ ამ მიზნისათვის დღუგმებიანი, ბაფთებიანი და ლილკილოში მჭიდროდ ლილგაქედილი, წინააღმდეგობებით სავსე კაბა უფრო გამოდგება. ეს კაბა კი მხოლოდ ბაზრისთვის თუ ვარგა, ძალიან რომ არ გაოფლიანდეს. არადა, რა წამიყვანს ახლა ბაზარში!

ვერ ვიტყვი, ქეთინოს ტყუილებში ეჭვს ვერასოდეს მიიტანდი-მეთქი, მაგრამ ის სისწრაფე, ამ ტყუილებს რომ იგონებდა, ღირსი იყო ქებათაქებისა.

— თანაც ცეცხლი უკიდია ყველაფერს, — განავრძობდა ქეთინო.

— აბა, აბა!

— ვიფიქრე, იქნებ მალაზიაში ვიყო-ლო-მეთქი კარტოფილი, მაგრამ შეხედე, რას ჰგავს.

კარტოფილი არც ისე ურიგო იყო,



მაგრამ მე მეგობრობის გრძნობა ქვე-
მარტებზე მაღლა დავაყენე:

— კარტოფილი კი არა, მუხუდოა.
სირცხვილიც არის მაგის ყიდვა. კიტრ-
ზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, სათამა-
შო ნაკების დასამზადებლად თუ ივარ-
გებს მხოლოდ.

— ოჯახში ხომ კარგად ხართ?

ქეთინოს ამ შეკითხვას ერთადერთი
მიზანი ჰქონდა, შეეხსენებინა ჩემთვის
წმიდათაწმიდა მოვალეობა.

— ჩემს გარდა, ყველა კარგადაა,
ყველა ხარობს, — მიუხედავად. — დე-
ზერტირები! თავი შეაფარეს აგარაკებს,
სანატორიუმებს, მე კი ამ სიცხეში უნ-
და დავიხრუკო. კიდეც კარგი, შენ შემ-
ხვდი, თორემ უსულო საგნებთან ვი-
წყებდი საუბარს.

ქეთინო ბედს შერიგებული მიეყუდა
კედელს. მე ყველაფერი ვიღონე. უბე-
დურების თავიდან ასაცილებლად და
დანარჩენი შენთვის მომინდვიაო, —
აი, რა ეწერა სახეზე.

დიდი ალღო არ სჭირდებოდა იმის
მიხედვრას, რომ ის, ვისაც ასეთი საბა-
ტო მოვალეობა დაეკისრა, უკვე გვია-
ხლოვდებოდა.

ჩემი იმედი გაცრუვდა და, რა მწა-
რედ, როცა თმაქოჩორა ან თუნდაც,
ნადრევად გამელოტებული ქაბუჯის
ნაცვლად, გადმოსასვლელზე ზოია და-
ვინახე.

როცა ბავშვი იბადება, ძნელია იმის
განჭვრეტა, თუ რა დადგება მისგან,
ამიტომ სახელს დაუფიქრებლად არქ-
მევენ და ამაში ვერავის გაამტყუნებ.
მაგრამ, როცა უკვე გაიზარდა ადამიანი
და თავისი ქცევების კონტროლი შეუ-
ძლია, უნდა ეცადოს, ოდნავ მაინც შე-
უფარდოს ხასიათი და გარეგნობა მის-
თვის დარქმეულ სახელს.

დარწმუნებული ვარ, ათნი რომ ვი-
ყოთ და მეთერთმეტეს ვუთხრა, გაიცა-
ნით, ჩემი მეგობარი ზოიაა-მეთქი, ზო-
იას სულ ბოლოს შეხედავს. ამასთან,
გულით საყვარლის დაფიცებაც დამჭი-
რდება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ

მიამიტი გამომეტყველებს ^{ქართული} ~~ქართული~~
რეაქციის მქონე ქალიშვილს
ნამდვილად ზოია ჰქვია.

ცივად მოვიშორე ჩასახუტებლად გა-
მოშვერილი ზოიას მკლავები.

— უჩემოდ ხვდებით ერთმანეთს,
ოჰვე...

ქუჩისთვის მისაღები სიტყვა ვიხმა-
რე. გააფთრებულმა ველარ განვსაზღე-
რე, რომ სწორედ ამ სიტყვამ განტვი-
რთა დაძაბული მდგომარეობა და ჩვენ
სამს შორის დაზავების სუნი დატრია-
ლდა. ამ ერთმა სიტყვამ დამაყარგინა
ის ტკბილი წუთები, ქეთინოს და ზოიას
თავის მართლებას რომ უნდა მოხმარ-
ებოდა.

სამისიოდ ვაოცებულები დარჩნენ,
რომ მე მათთვის მეცალა და იმაზე და-
იწყეს ფიქრი, სად წავსულიყავით. წყა-
ლი არ გაუვიდოდა, ბოლოს მაინც ქე-
თინოსთან წავიდოდით, მაგრამ ჩვენს
თავს უფლება მივეცით გვეფიქრა, თი-
თქოს დიდი არჩევანის წინაშე ვიდექით.
უამრავი არაჩვეულებრივი სანახაობა
გველოდა, ჩვენ მხოლოდ უნდა გადა-
გვეწყვიტა, საით წავსულიყავით, მაგ-
რამ საბოლოოდ ერთხმად ვაღიარეთ,
რომ ვერავითარი მეჭლისი თუ ვარიე-
ტე ერთმანეთის თვალში იკერის სი-
ამოვნებას ვერ შეედრებოდა.

მე და ზოია, მე და ქეთინო, ქეთინო
და ზოია. ცალ-ცალკე ეს წყვილები რა-
ღაცნაირად ვახერხებდით მეგობრული
ატმოსფეროს შექმნას, ზოგჯერ მის გუ-
ლახილობამდე დაყვანასაც კი, მაგრამ
ერთად...

როდესაც ერთხელ წამოიჭრა აუცი-
ლებლობა, ჩვენი ერთობისათვის სახე-
ლი დაგვერქმია, ქეთინომ ოთხი წამი
დახარჯა ორიგინალობაზე. „კოქტეილი,
რომელშიც ნავთობის პროდუქტებისა
და საწამლაღის გარდა, ყველა სახის
სითხე ურევია“. — წამოიძახა უცებ.
ვილაყამ ისიც იკითხა, შუა ნაწილი
ზედმეტად მორიდებულად ხომ არ ჟღე-
რსო, მაგრამ ვინიდან ნავთობის პრო-
დუქტობა და საწამლაეობა არც ერთმა

არ ვისურვეთ, სახელი უცვლელად დავტოვებთ.)

ალბათ, უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე და ორიგინალობა იმიტომ დავწამე ქეთინოს, თორემ ცამდე მართალი იყო. თითქოს მართლაც ერთ ჭურჭელში ვიღვრებოდით. ვითქვიფებოდით და ეღარდა დიდი დარდით იმას, ვინც ჩვენთან ერთად არ ესხა ამ ჭურჭელში.

ხუთი თვის იუბილეზე წარმოითქვა მოსაზრება, რომ ჩვენ უკვე მოვძწიფდით და აღარ შეგვეფერებოდა ასეთი არასოლიდური სახელწოდება. პირველი და უკანასკნელი სიტყვა ამჯერადაც ქეთინოს მიეცა:

— ყველა, ვისაც კი ჩვენთან უხდება დაახლოება, თავისუფლდება ყოველდღიური მომაბეზრებელი პრობლემებისაგან. ჩვენი მსუბუქი იუმორი, ლალი, მაგრამ ამავე დროს ფილოსოფიურად ღრმად გააზრებული მსჯელობა, ტაქტის შეგროვება, სილამაზე და არომატი მისდა უნებურად რას მოაგონებს ადამიანს? აუცილებლად რაღაც ტკბილსა და გემრიელს, ჯანმრთელობისთვის საკლებით უვნებელს. ყველა ზემოაღნიშნული პირდაპირ მოითხოვს, რომ დავირქვათ „აღმოსავლური ტკბილეულობა“.

წინდახედულობა არც აქ დაგვეჩვენებია, დავაზუსტეთ, ზედმეტად ხომ არ დავავალდებულებდა ეს სახელი, მაგრამ ქეთინომ დაგვამშვიდა, ჩვენ ეს უკვე დავიმსახურეთ და თუკი ზედმეტ ბარგად დავაწვა, შევეცვალოთ, წინ რა დავვიდგებათ.

თავს არ დავიღლი იმაზე ფიქრით, თუ რამდენი ხანია აღარ შეგვედრავართ ერთმანეთს. იმაზე კი თავს დავდებ, რომ არც ერთ ჩვენთაგანს გაუცხოების გრძნობა, სკლეროზის უმძიმესი ფორმით დაავადებამდე, არამც და არამც არ დავებადებოდა.

ნუ იფიქრებს ვინმე, თითქოს ამ საქმეში ქეთინოს ოთახს რაიმე წვლილი მიუძღოდეს. შეუძლებელია შინაურულად იგროვო თავი ბინაში, სადაც სკამის ხსენებაც არ არის. და სრულებით

თავ არ არის აუცილებელი კედელზე წარწერის გავკრა: „არ მოგწონს ნოხზე ჯდომა? ადგილი და წადი“. ეს ისეღაც ნათელია.

შეიძლება ამ დროს განიერი ტახტისკენ გავებართოთ თვალი, მაგრამ, როცა მასპინძელი აგისხნით, რომ ამ ძვირფას თეთრეულსა და გადასაფარებელში მაშაპაისეული მემკვიდრეობა დახარჯა, სულაც წინაპართა ხსოვნის პატივსაცემად ნოხზე მოეწყობით. დადიან ქვეყნად უმადურები, რომლებიც გულში გაივლებენ, ქეთინოს წინაპრებს ნაკლებად რომ ეზარმაცათ, სკამების შესაძენად დაუტოვებდნენ ქონებასო. მე და ზოიას კი მსგავსი რამ აზრადაც არ მოგვსვლია.

სიზარმაცე მემკვიდრეობითი, არ არის. ათიდან ცხრა შემთხვევაში გამრჩე მშობლებს წელმოწყვეტილი შვილები ჰყავთ. აქედან გამომდინარე, ქეთინოს მშობლებს დღე და ღამე შრომაში უნდა ჰქონოდათ გასწორებული. სად მიჰქონდათ ნაჯახარი, ჩვენ არ გვეხებოდა და არც ვკითხულობდით, და რადგან არ ვკითხულობდით, ვსწავლობდით კიდეც ნოხზე.

საწვავლებელი იყო უსკამიბა, მაგრამ გაუგებარი არ ყოფილა. გაუგებარი და დღემდე საიდუმლოებით მოცული ჩემთვის და ზოიასთვის სხვა იყო: საღინახავდა ქეთინო თავის კაბებს. არც ოთახში, არც შემოსასვლელში და სამზარეულოში კარადის მსგავსი არაფერი იდგა.

ქეთინო, რა თქმა უნდა, ღრმად კმაყოფილი იყო ჩვენი მიუხედრელობით და საიდუმლოს გულის კუნჭულში ინახავდა.

როგორღაც, მარტოდ დარჩენილებმა, მე და ზოიამ იქაურობა გადავატრიალეთ, კედლებსაც ვუკაკუნეთ ფარულ კარადის ძიებაში, მაგრამ უშედეგოდ. ილაჯაწყვეტილებმა ის დასკვნა გამოვიტანეთ, რომ ქეთინოს საკომისიო მაღაზიაში ნაცნობი ჰყავდა, ყოველდღილით მიაციტხავდა, ნახმარ კაბას აბარებდა და ახალს იცვამდა.



როცა ამ არასტუმართმოყვარულ ოთახში ორიოდ საათი დაეყავით და სახელდახელოდ საამბოები გადავუშაღეთ ერთმანეთს, ზოიამ ისეთი რამ თქვა, რომ მე და ქეთინო გაოგნებულები დავრჩით.

— მშოა!

ქეთინო სილაგაწულავით მიუტრიალდა ზოიას:

— მერე, ვერ თქვი დროზე? გზად ხელს გამოვავალვდით რამეს. ახლა რომ მარცხვენ და მაინცდამაინც გინდა მათქმევინო, სადილი არა მაქვსო, განგებ შერებო, ხომ? ვატყობ, გაწყინა, შენს ზრდილობას ხოტბას რომ ვასხამდით.

— მაშინ არ მშოდა, — ახლა ზოია გაბრაზდა, — თანაც თუ შენ ზრდილობაზე არ თქმულა არაფერი, ეს მხოლოდ იმიტომ, გვეგონა, ისედაც გეცოდინებოდა მისი ელემენტარული წესი: სტუმრებს გამასპინძლება უნდა.

დრო დადგა, საქმეში ჩავრეულიყავი. ასეთი იყო ჩვენი დაუწერელი კანონი, როცა ორი ჩხუბობდა, მესამეს უნდა გაეშველებინა. უმეტეს შემთხვევაში მესამე მხოლოდ ნავთს ასხამდა ცეცხლზე, მაგრამ ვინაიდან დანარჩენებმა იცოდნენ, რომ მას ეს კეთილი ზრახვებით მოსდიოდა, მისი ხათრით დავას სწყვეტდნენ. ამჯერად მე ვეცადე ქეთინოს მხარე დამეჭირა:

— ქეთინო უბრალოა, ზოია. სწორედ ბაზრისკენ მიიჩქაროდა, მე შევუშაღე ხელი. გვაპატიე.

შენლა მაკლდით, გადმომხედა ქეთინომ, ადგა და სამზარეულოში გავიდა.

— თავზე თუ არ დავადექით, მოგვწამლავს. — ვუთხარი ზოიას და ჩვენც გავყევით.

როცა ძეხვი და კვერცხი შევწვით, სალათა გავამზადეთ, პური დავეჭერით და თეფშებიც დავრეცხეთ, ქეთინომ გამოგვყარა, ხელს ნულარ მიშლით.

დადგა საზეიმო წუთები.

მე და ზოია ვსხდებით საძულველ

ნოხზე. ნარნარად შემოდის ქვემოთაშენი გორგოლაჭებიან მაგიდას მოაგორებს.

პირველი შთაბეჭდილება ამ მაგიდის დანახვასთან დაკავშირებით დიდი ხანია გაფერმკრთალდა, მაგრამ დავიწყებას არ მისცემია.

იგივე მე და იგივე ზოია ამავე ადგილას ვისხედით, ავეჯის ეს სახეობა პირველად რომ დავინახეთ, ქეთინოსგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო და რაღაც ცუდის მოლოდინში, ორივე ედღეს ავეჯარით. შეშინებულები ველოდით, როდის დაგვალეზინებდა ქეთინო პირს, მწარე აბებს გადაგვავალაპებდა, უბეში თერმომეტრს ჩაგვჩრდა და ნემსის გასაქეთებლად დაიკაპიწებდა მკლავებს. სახეც ისეთი გაბადრული ჰქონდა ქეთინოს, თითქოს სწორედ ამის გაკეთებას აპირებდა.

რატომ მოაგორებს ხოლმე ქეთინო ამ მაგიდას ასეთი კმაყოფილებით. დღემდე გამოცანად რჩება ჩვენთვის. მისთვის ძვირფასი და ჩვენთვის უცნობი პირის საჩუქარი რომ ყოფილიყო, სადმე წარწერა მაინც ექნებოდა, მაგრამ ასეთი წარწერა ვერსად ვნახეთ.

მიუხედავად იმისა, რომ არავითარი შეკითხვა ამის თაობაზე ქეთინოსთვის არ მიგვიცია, სულელურ-ბედნიერი გამომეტყველება მაინც ვერ მოვაშლევინეთ. არადა, გაიხაროს, ვის რას უშლის!

ქვემოთა თაროზე, როგორც ყოველთვის, თეფშები, ქიშები, დანა-ჩანგალი აწყვია და ბოთლი დვას, ზემოთაზე — ჩვენი ნაშრომი.

თეფშებს ხელში ვიჭერთ, ბოძებულზე ღმერთს მადლობას ვწირავთ და, უპირველეს ყოვლისა, ვაღდეგრძელებთ ოჯახის ახალგაზრდა, ლამაზსა და გულისხმიერ დიასახლისს, უკანასკნელ პერანგს რომ გაიხდის და მეგობარს ჩააცმევს. მართალია, ასეთ მეგობართა სიაში მე და ზოია არ ვეწერეთ და არც სხვა გვეგულებოდა ვინმე, მაგრამ რომ ყოფილიყო, ხომ უყოყმანოდ იზამდა ამას ქეთინო?! თუმცა აქაც ათასგვარი წინააღმდეგობა იყო მოსალოდნელი:



მოერგებოდა თუ არა ქეთინოს პერანგი იმ ბედნიერს, მოუხდებოდა თუ არა ფერი და, ასე შემდეგ...

ერთი მხრივ, ქეთინო და, მეორე მხრივ, მისი სიკეთის ქმნის უამრავი ხელისშემშლელი პირობა — ბედის უკუღმართობის კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითია.

— არა, მთლად მასეც არ ვარგა, — თქვა ზოიამ, — სწორედ პერანგის გახლის მზადყოფნა, გათხოვებაში ხელს რომ გიშლის. ერთი ციდა ვიყავი, ეს ამბავი რომ მიაშტერდა და მეხსიერებიდან არ გამოდის: თურმე, ერთი სოფლელი კაცი გზაზე მიდიოდა. დაინახა სახლის აივანზე ქალი კაკალს ამტვრევდა. ამტვრია და ამტვრია ამ ქალმა კაკალი, ერთი დიდი თასი აავსო და ნაჭუჭში დარჩენილი ნამცეცეც კი არ შეუჭამია. ეს კაცი ამ ხნის განმავლობაში მონუსხულივით უყურებდა ქალს. მომჭირნე ყოფილო, გაიფიქრა და ცოლად შეირთო.

— იქნებ, ღვიძლი აწუხებდა საცოდავს? — ვიკითხე მე.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? შეიძლება აღერგიათ ჰქონდა, მე რა ვიცი. მე ქეთინოს ყურადღებას კაცების წუწურაქობაზე ვამახვილებ. რომლის რომ ინანებდა ის კაცი, ამაში ეჭვიც არ მეპარება. აბა, ცხვირწინ გროვად ეყაროს ნიგოზი და ნამცეცეც არ გასინჯოს ქალმა? ქოფაკი იქნებოდა ვიღაცა. შენ ასეთებისგან ჯვარი გწერია, ჩემო დაო. გაიხადე პერანგი, გაიხადე, ოღონდ კაცებს ნუ დაანახებ.

— მართალია, ეს ლტოლვას კლავს თურმე, — ჩავუბრუნე მე.

ზოიამ მძიმედ ამოიოხრა. ჩემკენ შემოტრიალდა და მითხრა:

— შენ, ჩემო მოწყვეტილო ვარსკვლავო, ხუთჯერ რომ დაიბადო და ხუთჯერ ას-ასი წელი იცოცხო, კაკლებისა და პერანგის ამბავში ნაგულისხმევ სიბრძნეს მაინც ვერ ჩასწვდები. ამიტომ დამაცადე საუბარი ამ ქალთან, რომელსაც თვალებში ეტყობა, რა კარგად ესმის ჩემი.

— გაუგებარი რა არის, — მხრები

აიჩეხა ქეთინომ, — გადავტყუარა თათას და ტანსაცმელს ტიხარს იქით გავიხდი.

ზოიამ თქვა, ქეთინოს გონებაში არსებული ქაოსის მოწესრიგებას ათი სიცოცხლეც არ ეყოფათ და ღმერთს ათმანეთიანი სანთლის სანაცვლოდ, ჩვენი მეორედ არდაბადება მოსთხოვა.

პასუხად მე და ქეთინომ წარმოვთქვით ზოიას სადღეგრძელო, სადაც მოკლედ ითქვა იმის შესახებ, რომ ზოიას და იუდას სახელებსა და საქციელს შორის სწავობა უსასრულოდ მცირეა. ზოიას შორეულ წინაპარს მატერიალური დაინტერესება ამოძრავებდა და, ასე თუ ისე, გასაგები ხდებოდა მისი უკეთურება, ეს ქალი კი, ვისაც დღემდე (ო, გულუბრყვილობავ!) ჩვენს ერთგულ მეგობრად ვთვლიდით, იქით იძლევა ფულს ჩვენს მოსასპობად. ამასთან, აღვნიშნეთ, რომ თუ არა ზოია, ჩვენს სათნოებას შესაფერისი ფონი ვერ შეექმნებოდა.

განწირულებმა ისლა ვიკითხეთ, ცალცალკე გვიშორებდა, თუ ორივეს ერთ ქოთანში გვყრიდა.

— ცალ-ცალკე, — გადაწყვიტა ზოიამ, — თორემ ერთად ყველაფერს ილონებთ იმისთვის, რათა ჩემი სავალი გზა მკლებით მოჰფინოთ. გამოცდილი მაქვს.

ზოიას ის შემთხვევა ჰქონდა მხედველობაში, რომლის გახსენებაზე მე და ქეთინოს სამართლიანი კმაყოფილების გრძნობა გვეუფლებოდა.

მეათე კლასში ვიყავით მე და ქეთინო, სკოლიდან შეჭირბოვნილი ვიყავით, ვანეს ქალაქკარეთ. არ ვიცი, რა მონაცემების წყალობით მოეხდით ამ შეჭირბოვნილ, მაგრამ გადაწყვეტილ, რაღაც უნდა დაგვეჯდომოდა, ეს ნიღოზი გაგვემართლებინა.

ჩასვლის დღეს იქაურობა დაგვათვალიერებინეს და აგვიხსენეს, ვის რა უნდა გაეკეთებინა. ქეთინოს ადგილი მოუზომეს, აქედან აქამდე გაიქცევი და ესტაფეტის ჯოხს ამ პატარა გაცვინა გადასცემო, ზოიაზე მიუთითეს.



ზოია სკოლაში შეგვინიშნავს, მაგრამ დიდი ყურადღება არასოდეს მიგვიქცევია. ახლა კი ერთ ოთახში მოგვათავსეს, ალბათ, იმ მიზნით, რომ ლამის განმავლობაში ძირფესვიანად გავვეზრებინა მოქმედების გეგმა. ჩვენ ეს საქმე პირის დაბანისას მოვითავეთ და, როცა დავწექით, წრიალი აგვიტყდა. ჯერ უნდა გაგვერკვია, რა სულის პატრონი გვეწვა გვერდით, ამიტომ დიდი სიფრთხილით შევუღდექით მისი ვინაობის დადგენას. პირველი შეკითხვა მე მივეცი:

— რა ნიშნებზე სწავლობ?

შეუძლებელი იყო ზოიას დანახვაზე სხვა რამ გვეკითხათ და მეც ეს ვკითხე. ზოია ზურგზე გადაწვა, საბანი მოხერხებულად ამოიკეცა ფეხებქვეშ და დაამთქნარა:

— მგონი, მეძინება...

ქეთინოს ჯერი დადგა:

— მაშინ, რატომ გაქვს ასეთი სევდიანი თვალები?

ჩვენი თანაგუნდელი სწრაფად გამოტრიალდა, ხელად გამოცოცნლდა:

— მეძინევა, არა? ძალიან კი ვცდილობ, მზიარული და უდარდელი ადამიანის ნილაბი ავიფარო, სულ ვხუმრობ, სულ ვიცინი, თუმცა, ვატყობ, არ დადგება ჩემგან ფარისეველი. თვალები მღუპავენ. ვიცი ეს, მაგრამ ვერაფერი მომიხერხებია. ყველაზე ნებისყოფიანი ადამიანიც კი ვერ შესძლებს თვალის ციმციმი აიტეხოს, როცა გულს ჩემოდენა სევდა შემოაწვება.

აქ ზოია გაჩუმდა და საშუალება მოგვცა, ცხოველი ინტერესი გამოგვეჩინა მისი ბედისადმი.

— რა გაეწყობა, მოგიყვებით. — მოლბა ზოია. — მით უმეტეს, მე თვითონ ვიტანჯები გაუზიარებელი დარდისაგან. განა ამხანაგები არა მყავს, მყავს, მაგრამ მიჯრით და მიყოლებით ენაქარტალები არიან. თქვენ კი წესიერად გოგოები სჩანხართ. რატომ გელიმებათ, გგონიათ, გეპირფერებით? არა, მე მეგობრების გამოცნობის უტყუარი ალღო მაქვს.

ვის არ აცდუნებდა ასეთი მომართვა! თანაც პირველად ვხედავდით მის თანატოლს, „ვის თავზეც წისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა მხოლოდ, თორემ...“, ამიტომ საწოლის კიდეზე გადმოვიწიეთ და მოსასმენად გავეშზადეთ.

ზოიამ თავისი ალღოს შესამოწმებლად ერთხელ კიდეც შეგვათვალერა და მოიმედ მოხსნა გუდას თავი.

მერვე კლასში ზოია, თურმე, სხვა სკოლაში სწავლობდა. თავისი ტოლებისაგან არაფრით გამოირჩეოდა, ისეთივე ბეჭითი და კარგად აღზრდილი იყო. და აი, ამ ჩვეულებრივმა გოგონამ უცბად აღმოაჩინა, რომ კვირაში ორჯერ, ფიზკულტურის გაკვეთილზე იგი სხვას ვერაფერს ხედავდა, გარდა მასწავლებლის ათლეტური ტანისა და მისი ვნებიანი ტუჩებისა. ამ აღმოჩენამ ძალიან შეაშინა და შეეცადა გამკლავებოდა მოწოლილ გრძნობებს, მაგრამ რა უნდა ექნა, ხომ ვერ მოითხოვდა მასწავლებლის შეცვლას! ანდა, რა მიზეზით, მასწავლებელი თავაზიანი ყმაწვილი იყო, ბავშვების სათაყვანებელი.

ცოტახანში ორი დღე კი არა, მთელი კვირა, დღე და ღამე, წელიწადის ყველა დრო ზოიასთვის წამებად იქცა. მოჩვენებასავით დადიოდა, ველარ სწავლობდა, გაზნა და მოკვდებოდა კიდეც, ერთ მშვენიერ დღეს ათლეტური ტანი მიზანშეწონილზე უფრო ახლოს რომ არ ენახა. თვითონ თქვა ასე, ჩემი ერთადერთი ხსნა ეს იყო.

რამდენიმე ბედნიერი თვე გაატარეს ერთად. შემდეგ ჩვეულებრივი სასწავლო მოხდა, ზოია დედა უნდა გამხდარიყო.

მსგავსი თავგადასავალი ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოგვისმენია და, წესით, არც უნდა აველელებინეთ, მაგრამ მოდი და, ნუ უთანაგრძნობ ცოცხალ გმირს, პატარა და გამხდარი რომ გიწევს გვერდით, ჯერ კიდეც ბავშვურ თვალებს განათებს და გულიდან ამოხეთქილი სიტყვების კორიანტელს აყე-

ნებს. როგორ არ დაგმობ იმ გარეგნულად მშვენიერსა და სულიერად მახინჯ მასწავლებელს, გაჭირვების დროს წიხლი რომ ჰქონდა საბრალო გოგოს, როგორ არ შეაჩვენებ იმ მშობლებს, შვილი რომ მოსალოგინებლად სხვაგან გააგზავნეს (იმ ადგილის ცოდნა ჩვენთვის ზედმეტი იყო) და პირველივე წუთიდან მოჰგლიჯეს ჩვილი დედას.

ზოიამ მისი ასავალ-დასავალიც ვერ გაიგო. თვალებში კი უსაზღვრო სევდა ჩაუდგა. რა გაახარებს, როცა სრულიად უცხო ბავშვის ტირილზეც კი გული ათას ნაწილად ეფლითება.

მე და ქეთინო სიმწრით ბალიშებს ვებეჩდით.

ზოია გაჩუმდა, სული მოითქვა და ჩვენს დასამშვიდებლად ოპტიმისტურ ტალღაზე გადავიდა:

— არა უშავს რა, გოგოებო! მე შურს ვიძიებ ყველაზე. არც ისეთი სუსტი ვარ, როგორიც ვჩანვარ. ნებისყოფაც სამი კაცის საკმარი მაქვს, ნახავთ, რასაც ვიზამ.

არ დაგვზარდა, გეგმებიც გაგვანდო.

— ჩემპიონი უნდა გავხდე, რაღაც უნდა დამიჯდეს! — ზოიამ ხმას დაუწია. ყოველ შემთხვევისათვის, რომ არავის განეზარაზა მისი მიზნების ჩაშლა. — იოლი გზა არ ამირჩევია, დამეთანხმებით. რაღა დროს ჩემი ჩემპიონობაა, მაგრამ ეს ჩემს ხასიათშია.

— რაში გჭირდება ჩემპიონობა? — ვკითხე მე.

ზოია ძალიან კმაყოფილი დარჩა ჩვენი მიუხევედრელობით. მხოლოდ მან იცოდა, საიდან უნდა მიახლოვებოდა მიზანს.

— ჩემი სურათები დაიბეჭდება გაზეთებში, ჩემზე ინტერვიუს გადმოსცემს რადიო და ტელევიზია და ერთ მშვენიერ დღეს, არ ვიცი, პროფესიული შურიანობის თუ ძველი გრძნობების გაღვიძების გამო, ის ჩემთან მოვა. ის მოვა ჩემთან მაშინ, როცა კვარცხლებზე ვიდგები და მოსალოცად ხელს გამომიწვდის. მე მის დანახვაზე გრძნობას დავყარავ და მუხლმოკვეთილი მის

მკლავებში ჩავვარდები. მერე, როცა გრძნობაზე მოვალ, ისევ მის მკლავებში, მე მას ჩაეჩურჩულებ, რომ ჩემი ასეთი საორტული წარმატება მხოლოდ და მხოლოდ მისი დამსახურებაა, ყველა მედალი, ყველა სიგელი მხოლოდ მისი საკუთრებაა და ვთხოვ, წამომყვეს ამ სიმდიდრის სანახავად. ჩავვიდებ ხელს და მივიყვან იმ ეზოს ჭიშკართან, სადაც ჩვენი ბატარა ბიჭი მხიარული ყოყინით დააგელვებს სათამაშო ცხენს...

— სად? — ვკითხე მე და მაშინვე ენას კბილი დავაჭირე. ქეთინო ისე მიყურებდა, თითქმის მწყურვალს, პირთან მიტანილ ჭიქაზე ავუკარი ხელი.

ზოიამ დავვაიმედა, იქამდე ბავშვის ადგილსამყოფელს დავადგენო, მაგრამ შემდეგ როგორ მოიქცეოდა, ჯერ არ ჰქონდა გადაწყვეტილი. გული ხან იმას ეუბნებოდა, შეებრალებინა ახალგაზრდულ ცოდვებში ფეხჩადგმული ფიზიკულტურის მასწავლებელი და ჩემპიონი ქალი მისი ცოლი გამხდარიყო, ხან მის შეჩვენებას და განდევნას ბრძანებდა. ზოიას მომავლის ამ პერიოდისთვის რამდენიმე ჰკვიანური რჩევით ჩვენც ვცადეთ მცირე წვლილის შეტანა. ამ კეთილშობილურ საქმეში ვერც შევამჩნიეთ, როგორ შემოგვათენდა.

დილით ძლივს გაგვადვიძეს.

ჩვენს მწვრთნელს დიდსულოვნად შევარჩინეთ ის გამოთქმები, შეჯიბრის შემდეგ სამივეს დასახასიათებლად რომ იხმარა.

აბა, რა იცოდა იმ საბრალოდ, რა შფოთიანი ღამე გავატარეთ. საიდან ეცოდინებოდა, რომ სასტარტო სროლის ხმაზე ქეთინოს ჩვილი ბავშვის ტირილი მოელანდა და ფეხები მოეკვეთა; დიდი ხნის დარღისაგან ერთგვარად განთავისუფლებულმა ზოიამ კი ჩემპიონობა უკეთესი დროებისთვის გადადო და ძლივს მომითრია ჯიხი; დაბოლოს, მე იმიტომ ვერტაკე სხვა გუნდის ფინის დასანებად, რომ ქუთუთოები ერთმანეთზე მეწებებოდა.

ვისმენდით დამამცირებელ საყვედუ-



რებს, წარამარა ვამტკნარებდით და ვცდილობდით, არ შეგკამათებოდით კაცს, რომელიც, აღვილი შესაძლებელია, ახალგაზრდობაში, მსგავსად ზოგიერთებისა, გაიძვერა იყო და მეტი არაფერი. გვიყვირის აქ და, ღმერთმა იცის, რამდენი ჩვენი ტოლის ცოდვა აღვეს კისერზე. იმაზედაც მაღლობელი იყოს, რომ ვენდეთ და ამ ტყე-ლრე-ში წამოვყევით. მტკნარებასა და მტკნარებას შორის ერთმანეთს უსიტყვო ფიცი მივეცით, სიკვდილამდე უკომპრომისო ბრძოლა გაგვემართა ასეთ პარაზიტებთან.

წავაგეთ ასპარეზობა, მაგრამ მოვიგეთ მეგობარი, რომელიც არავითარ რეაგირებას არ ახდენდა ბავშვების დანახვებზე და არც გარდასულ დღეთა გახსენებას ცდილობდა. არც ჩვენ ვეკითხებოდით რაიმეს, არ გვინდოდა მისი ძველი იარების გახსნა. შესაძლოა, სხვა მოზეზიც გვქონდა ამისთვის, მაგრამ ეს მოზეზი რთული ასახსნელია, მხოლოდ ძალზე მგრძნობიარე ადამიანთა ნაწილი თუ ჩასწვდება მას, მე კი ფართო მკითხველისთვის ვყვები.

ჩვენ ელუმდით, მაგრამ არ დაგვეწყენია.

რამდენიმე წლის შემდეგ „აღმოსავლური ტკბილეულობის“ მორიგ თავყრილობაზე ზოია საქმროსთან ერთად გამოგ; ეცხადა.

ვერ გვისაყვედურებენ, თბილი შეხედრ; მოვუწყეთ. ქეთინო მეზობელთანაც კი გარბოდა სკამის სათხოვნელად, მაგრამ არ გავუშვით. სიხარული-სგან დაბნეულმა, სამშითვოდ გამზადებული ლობიოს კონსერვი გახსნა, ხორცი შეწვა, მე ხილზე გამაგზავნა და რელიქვიური გორგოლაჭებიანი მაგიდა დიდებულად გააწყო.

მივირთვით, დავლიეთ და ვიცეკვეთ. საამოდ მოდუნებულები ვისხედით და ვუსმენდით, სად და როგორ აპირებდნენ ახალდაქორწინებულები დასახლებას.

ქეთინომ შემომხედა, დროა, ზოიას ვაზლვევინოთ გულუბრყვილობით და-

ღვრილი ჩვენი ცხელი ცრემლები და სხვათა შორის ჩვენი.

— მერაბმა ყველაფერი იცის შენი წარსულის შესახებ?

ზოიას გაეცინა:

— ჩემი წარსულის ყველაზე ბნელი მხარე თქვენა ზართ, მაგრამ მოვიკრიბე გამბედაობა და გაგაცანიტ კიდეც.

— არა, ფიზიკულტურის მასწავლებელზე...

მე ფეხი წავკარი ქეთინოს და იმანაც ტუჩი მოიკენიტა, ეს რა წამომცდლო. მერაბს ზუმრობის ხალისი წაერთვა. სანამ ზოია გაიხსენებდა, რომელ მასწავლებელზე იყო აქ საუბარი, მერაბმა ცხვირი იატაკამდე ჩამოუშვა.

— აჰ, იმაზე? — გაახსენდა ზოიას და გაელიმა, — მერაბ, მოგყევი, რა გავუეთე ამათ?

მერაბს შეეტყო, აღარ უნდოდა რაიმეს მოსმენა. ზოიამ დაიწყო მოყოლა, მაგრამ დაბნეული და ნაძალადევი ხმა ჰქონდა. ჩვენ მივეშველეთ მეგობარს, ერთმანეთს აღარ ვაცილიდით და, რაც უფრო მეტს ვყვებოდით ათლეტურ ტანზე, ზოიას დაკარგულ მხედველობაზე და წართმეულ ბავშვზე, მით უფრო ელუმებოდა მერაბს სახე. ჩვენც გაგვიფუქდა გუნება. სიცოცხლეში მგონი, პირველად მოვინდომეთ სიმართლის დამტკიცება და სწორედ მაშინ დავემსგავსეთ პირწავარდნილ მატყუარებს. ამას ჩვენ თვითონ ვგრძნობდით.

მერაბმა სცადა ბრაზის მოთოვება, მოგვანენა, თითქოს სჯეროდა ჩვენი, მაგრამ საუბარი მაინც აღარ აეწყო. მალე ერთად წავიდნენ.

აივნებიდან ეუყურებდით მიმავალთ.

— ცუდი ბიჭი არ უნდა იყოს მერაბი, — მითხრა ქეთინომ.

— კარგი ბიჭია, — ვუპასუხე და მაშინვე დავაყოლე, — თუმცა იუმორის გრძნობა არა აქვს.

— მეც ასე მომეჩვენა.

ფიქრებში გავერთეთ. ნელ-ნელა ბრაზი მომერია.

— როგორ გავაყოლოთ ჩვენი ზოია

კაცს, რომელსაც იუმორის გრძნობა არა აქვს?

— ეჰ! — ხელი ჩაიქნია ქეთინომ. — მაგას რომ ვუყუროთ, გაუთნოვარი დაგვრჩენია და ეგ არის.

როგორც შემდეგ გავიგეთ, ზოიას მოუხდა მერაბის წაყვანა თავის ყოფილ სკოლაში და იმის დამტკიცება, რომ ამა და ამ წლებში, ამა და ამ კლასის ფიზკულტურის მასწავლებელი ქალი იყო. მერაბი მაინც ჭიუტობდა, იჭნებ ის ქალი ავად გახდა, ან დეკრეტულ შვებულებაში იყო გასულიო. მაშინ ზოიამ ყოველ შემთხვევისათვის შემონახული ხერხი იხმარა თავისი უცოდველობის დასამტკიცებლად. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გამოგვიტყდა, რა ხერხი იცოდა ასეთი, მაგრამ კარგად რომ ვაპრა, ნათელზე ნათელი იყო. მერაბმა ამის შემდეგ ისიც დაიჯერა, რომ ზოიას წარსულის ყველაზე ბნელი მხარე მე და ქეთინო ვიყავით:

— დიხაბ, ქალბატონებო! — აბუზღუნდა ზოია, — თქვენი გასახმობი ენები რომ არა, მე დღეს უბრალო, რიგითი მეუღლე ვიქნებოდი, თქვენს გამოკი სამაგალითო ცოლებზე გადაღებული რეკლამის მთავარ გმირს დავემგებე. ხანდახან, ერთი საფეხურიტ დაბლა რომ მომინდება ხოლმე ჩამოსვლა, მაშინ ჩაგახედათ ჩემს გულში! იმწამსვე თავს მოიკლავდით, ნამუსი თუ შეგრიხთ კიდეც.

დარცხვნილებმა ჩაკვიდეთ თავი, რა ვიცოდით, თუ საქმე ამ ზომამდე გართულდებოდა. დავაშავეთ კი, მაგრამ ეს მერაბიც კარგი ვინმეა, გადაგვაყოლა ამ უბოროტო ხუმრობას. ნუთუ ორიოდე დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვისთვის თავისი ცოლი დღენიადავ წვიპზე უნდა ედგას და ჩვენც ჭვარს გვაცვას?

— მეტის მოთმენა შეუძლებელია, ეს ნელ ცეცხლზე დაწვას ჰგავს! — თქვა ზოიამ.

— არც შენ მოიქეცი ჭკვიანურად, — მიუბრუნდა ქეთინო, — დროთა განმავლობაში მე იმ დასკვნამდე მივიღივარ,

რომ მერაბს განზრახულიც ჰქონდა ჩვენგან ასეთი სისულელის გაგება და აკი დაგვაცდინა კიდეც. მიხვდა, რომ სხვა გზით ვერ მოგვთოვავდა. შენ არ უნდა აპყოლოდი. აწი რაღას იზამ? ხომ გაგიგონია, გაციების საწინააღმდეგოდ ზოგი ნიორს რომ ჭამს, ზოგიც ჭიბით ატარებს? მაგრამ, აბა სცადე, გაცივდი და მერე ჭამე ნიორი. თუ გინდა, ერთი ფუთი შიირთვი, ბმქტერიებს სასაცილოდაც არ ეყოფათ.

— რა შუაშია ნიორი?

— ხანდახან მაოცებ, ზოია. თუმცა რა გასაკვირია, ასეთი ტირანის შემდეგ გონება რომ დაგირჩუნდეს. პროფილაქტიკა! აი, ამ მაგალითის მოკლე შინაარსი. მე მყავს ერთი მეგობარი, რომლის ქმარი დაქორწინების მეთხუთმეტე დღიდანვე შეუდგა ცოლის ნაკლოვანი მხარეების აღმოფხვრას. დიდად მოუტყელი კაცი იყო, შინ გვიან შემოდისოდა და, ნაცვლად იმისა, რომ კუთვნილი დასვენება გამოეყენებინა, ჩემს მეგობარს დამრიგებლურ გაკვეთილებს უტარებდა. მოთმინებით უხსნიდა, თუ რა საბაბით იყო მისი ცოლობა და როგორ უნდა გაემართლებინა მას ეს ნდობა. შენ როგორ ფიქრობ, ზოია, გამოუვიდა იმ კაცს რამე?

— ვეჭვობ, — უპასუხა ზოიამ, — აღზრდის დაწყებამდე მთელი თოთხმეტი დღე გამოუტოვებია... თვითონ შენი მეგობარი რას ამბობს?

— არაფერი გამოსვლია, — ვთქვი მე.

— დაავიანდა, ხომ?

— არა, სულ სხვა შემთხვევამ მიხსნა ჩემი ქმრის გაკვეთილებისგან.

მე მათ ადგილზე პირში წყალს ჩავიგლები და არავითარ შეკითხვას არ დავსვამდი. როცა ვინმე ორაზროვნად ახსენებს რაიმე შემთხვევას და თქვენი ცნობისმოყვარეობით მომბალი, გაყუჩდება, შეკითხვის მიცემა ყველაზე დიდი შეცდომაა. მე გავჩუმდებოდი, მაგრამ არც ქეთინო და ზოია მოქცეულან მართებულად: ისეთი გულგრილი სახე მიიღეს, თითქოს დედამიწაზე მადნე-

ული ქანების წარმოშობის ისტორიას უფრო დიდი სიამოვნებით მოისმენდნენ. ვიდრე ჩემს მონათხრობს. ზოიამ შეამჩნია, რომ ფრჩხილებქვეშ კუჭყი დაგროვებოდა და ასანთის ღერით მის გამოწმენდას შეუდგა, ქეთინომ ნოხიდან ნამცეცები მოხვეტა. უკეთეს აუდიტორიას კაცი ვერ ინატრებდა.

ეშმაკის პიბრიდები! შუაზე რომ გასკდნენ, ერთ სიტყვასაც ვერ დამაცდენინებენ. ვნახოთ, ვინ ინანებს ბოლოს.

თუმცა, რა უნდა დაენახოთ, როცა არ იციან, რის მოყოლას ვაპირებ. არა, ასე არ გამოვა. სკობს, მოვყე და მერე ხომ მიხვდებიან, რისი წაგება შეეძლოთ თავისი ქარაფშუტობით.

— გახსოვთ, როგორი ავადმყოფი იყო ნატა, ჩემი დედამთილი?

ზოიამ პირი დაალო, მაგრამ ხელით ვანიშნე, დამაყადე-მეთქი.

— ბოლო თვე თითქმის უგონოდ გაატარა. რა დამავიწყებს, ოქტომბერი იდგა, აცივდა და გადავწყვიტეთ მისთვის თბილი ლოგინი დაგვეფინა. დროებით გასაშლელ საყარძელზე გადმოვაწვინეთ. მე თეთრეულს ვაგებდი, როცა ზარი დაირეკა. გია კარის გასაღებად გავიდა.

„გისმენთ!“ შემომესმა ქალის ხმა და მოვიხედე. ნატა ისევ გაუნძრევლად იწვა. ჩვენ ორის გარდა, ოჯახში სხვა ქალი არ ყოფილა და გოცებული ვიხედებოდი აქეთ-იქით.

— აბა, ვინ თქვა გისმენთო? — მკითხა ზოიამ.

— როგორ ფიქრობ, — უთხრა ქეთინომ, — იქნებ ლეტექტივს ყვება და მაგას ბოლოს გვეტყვის? დააცადე ადამიანს. ვინ თქვა, გისმენთო?

— თავი დამანებეთ, ტყუილად დროს მაკარგვინებთ.

— არა, არა, ჰკვიანად ვიქნებით. ზოია, გაჩუმიდი!

— ჰოდა, ვლგავარ ასე გაშტერებული და ვხედავ, ნატას ელიძება.

— მანამდე უაზროდ იყო?

— კარგა ხანს.

— გისმენთო, იმან თქვა? ტელეფონის ზარი ეგონა?

— ხო, ხო, ბარემ თქვენ მოყვეით და მე მოგისმენთ, — ვიდრე სრული მორჩილება არ გამოხატეს, არ განვაგრძე. — გაიღმა და წაიჩურჩულა: „ნუთუ ეს შენა ხარ?“ — დავიწყე ისევ მოყოლა.

თვალდაუქუთული და ასე ბედნიერი სახე მე ჯერ არ მინახავს. ნატა თითქოს ტკებოდა იმით, რაც მხოლოდ მას ესმოდა. ვერც გავიგე, როდის შემოვიდა გია და დედამისს მიაჩერდა.

„როგორი ხმა გაქვს! არა... არა, არც ხვეწდოვანი, არც რბილი... არა, არც მასეთი. ჩამოუყალიბებელი ხმა გაქვს, თითქოს პატარა ბიჭი ხარ და ჯერ კიდევ გაურკვეველია, როგორი ხმა გექნება. შენ ისეთი ხმა გაქვს, თუ არ უყვარხარ ადამიანს, არც მოეწონება... მე? არ ვიცი. მე ის ვიცი, ისე არ მინდოდა მოვმკვდარიყავი, ერთხელაც არ მომესმინა შენი ხმა... ახლა კარგად ვარ და კარგად ვიქნები, სანამ შენ გელაპარაკები... არა, არ მინდა. მე შენი ნახვა ყოველ წუთს შემიძლია. ბოლო შეხვედრისას დიდხანს რომ გაკვირდებოდი, ხომ გახსოვს? შენ მკითხე, ასე რატომ მიყურებო. მე გითხარი, გიმახსოვრებ-მეთქი. ბავშვობისას ასე ვერთობოდით ბოლმე: ნეგატივს ან რაიმე საგანს გაუნძრევლად ვუყურებდით, მერე კედელს ვაშტერდებოდით და იქ ვხედავდით გამოსახულებას.

ახლაც, როცა ძალიან მომინდება შენი ნახვა, ასე ვიჭკევი. კედელი ჯერ შეინძრევა, თითქოს ირკალდება, ინისლება და ამ გაუგებრობაში ნელ-ნელა იკვეთება შენი სახე. ცუდი ის არის, რომ ერთ ადგილზე არ ჩერდები. ხან ერთ მხარეს მიცურავ, ხან მეორეზე და სადღაც მეკარგები. მერე თვალს ვახამხამებ და ისევ თავიდან ვიწყებ. ისე გარკვევით გხედავ, რამდენჯერმე გამოვიწიე კიდეც ხელის შესავლებად, მაგრამ მაშინ უფრო სწრაფად გამიბიხარ. რატომ, ვერ გამოვიკა — შენ ხომ

ისე მოგწონდა, როცა წვერზე ოდნავ გახებული თითებს“.

კარის ხმაურზე მოვიხედეთ. გულმა ცული მიგრძნო და გიას ვანიშნე, რაიმე ილონე-მეთქი, მაგრამ გაოგნებისა თუ ცნობისმოყვარეობის გამო გიას მამამისისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ისიც შუაში ჩაგვიდგა.

ჩემი ხელიდან ვითომდა შემთხვევით ავარდნილმა საბნისპირმა სუსტი ჩქამი გაიღო. ნატა მხოლოდ შეიმშუშნა და ხმადაბლა განაგრძო:

„შენ გაგეცინა ჩემს პასუხზე, ამდენი ხნის მანძილზე ჩემი ყოველი ნაკვთი უნდა დაგეზებოდა. მე კი ჩემივე სიტყვებით გულდამძიმებული წამოვედი და შევეცადე ყველაფერი ჩემი ენისთვის დამებრალეინა, რომელიც თავის ადგილზე არ იყო მიბმული და მხოლოდ სისულელეების როშვა შეეძლო. ისიც გავიხსენე, რა ხშირად გამეცრუებია ავი წინათგრძნობები, მაგრამ არც ამან გაჭრა. წარმოვიდგინე, კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე რაც უბედურება შემთხვევია აღამიანს და რაც შესაძლოა მომავალშიც შეემთხვას, ყველა შენ გემუქრებოდა. გადაგეხლართა ნაწლავები, ყაჩაღებმა მოგგუდეს, სხვისთვის გამოზადებული საწამლავი დალიე და მწვერვალდიდანაც მოსწყყდი; უშველებელმა ხელიკმაც შენი შეკმა მოინდომა! და ყველაფერი ეს ჩემი საზოგადოებრივი ენის წყალობით.“

მე თუ გემუქრებოდა რამე, არც მიფიქრია და თუ ბედს მაინცდამაინც ესაჭიროებოდა ჩვენ ორში ერთ-ერთის მოსაბოძა... გჯერა ჩემი?

როგორ არ მეხერხება ლამაზად ლაპარაკი! დამცინოდი კიდეც, ნუთუ შენს სასწავლო წიგნებში ერთი-ორი სააღერსო სიტყვა მაინც არ ეწერაო? მეტიც ეწერა და ყველა კარგად მახსოვს, მაგრამ შენ არც ერთი არ გიხდება.

აბა, დაფიქრდი, განა უაზრობა არ იქნება, გითხრა ის, რაც, ღმერთმა უწყის, რამდენჯერ თქმულა. დამნაშავედაც ჩავთვლი თავს. შენც შეურაცხყოფილი უნდა დარჩე.

კარგი, რადგან ასეა, მკითხველს გაგებაც გინდა. არა... არც ოდნავ. ოდნავადაც არ მიყვარხარ. მე შენ არ მიყვარხარ, ჩემი თავი მიყვარს შენს გვერდით. სიგიჟემდე ვარ შეყვარებული საკუთარ თავში, როცა შენ გიყურებ, შენ გისმენ, ვფიქრობ შენზე და მესიზმრები.

საკმაოდ რთული ასახსენელია. ვერც ავხსნი, ჩვენი გაცნობის დღე რომ არ გავიხსენო. ეს დღე სრულებითაც არ იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო ფურცელი, მაგრამ ნება მომეცი, გავიხსენო. კარგი?

დგას გაწვრთნილი ძაღლი და მოთმინებით ელოდება, როდის დასვამენ ოთხივე თათზე — დაახლოებით ასეთი შესახედი ვიყავი სტუმრებს შორის. გასამხიარულებლად დაღეულმა შამპანურმა დანიშნულება ვერ შეასრულა, უკეალოდ გაჭრა. მე ერთი სურვილი მქონდა, მეპოვა დიდი გამოქვაბული, ამომეცხო შიგნიდან და ვეჭდარიყავი შიგ, სანამ ისევ არ მომენატრებოდა აღამიანთა მოდგმის ნახვა. ყურებს მჭიდროდ დავიცობდი, როცა ვინმე მოვალეობის შესასრულებლად მომიყავუნებდა.

მე ბუხარში დანთებულ ცეცხლს ვუყურებდი. შენ და ვილაც ახალგაზრდა ქალი ბუხარის წინ ისხედით და მე გავხდი უნებლიე მოწმე იმისა, როგორ გამოართვი ქალს ხელი და ისე ნაზად აკოცე, რომ მე ფიქრებიდან გამოვერკვიე. ქალი ლამაზი იყო და გაიცინა. მე მის ადგილას არ გავიცინებდი, მე გამოქვაბულში ცოცხლად დამარხვაზე ვიტყოდი უარს.

რაც მე მაშინ ვიკადრე, ჩემთვისაც მოულოდნელი იყო: სკამი თქვენთან მოვიდგი, ლაპარაკში ჩაგერიეთ და აღარ მოვისვენე, ვიდრე ქალი არ წავიდა. მე რომ იმ დღეს სრულ ჰკუთხე ვყოფილიყავი, შევამჩნევდი შენს უკმაყოფილებას და შემერცხვებოდა, მაგ-

ანა მხიმიძე

აღმოსავლური ტატილულობა



რამ დამიბტყოს ვინმემ, რომ ასე უცეთესი იქნებოდა!

სალამო დავაგვირგვინე თხოვნით, სახლამდე მიგვეცილებინე:

უბრადა ჩამოვიარეთ კიბე და ქუჩაში გავედით. ცოტა რომ გავიარეთ, მკითხე:

— სად მიდიხარ?

— შინ.

— ვალდებული ვარ ვიცოდე, სად ცხოვრობ?

— არა.

გზაჯვარედინთან ახლოს შეაჩერე მანქანა.

— მაშინ მისამართი მითხარი.

როცა მისამართი გითხარი, ერთხანს ფანჯარაში იყურებოდი, მერე სიცილი აგიტყდა: ჩვენ ხომ სწორედ იმ სახლიდან წამოვედით.

მაშინ ვერც გავარჩიე, ქალაქის რომელ უბანში წამიყვანე. ანგარიშმიუცემლად ამოგყევი ძველებურ სახლში და ბოლო სართულზე, სადაც კიბე ვიწროვდებოდა და არც სინათლე ენთო, ხელი ჩავავლე.

ალარაფერი მახსოვს მანამდე, სანამ უკანდაბრუნებულმა შენობა არ შევათვალე. ბოლო სართული, ეტეობოდა, დაშენებული იყო, მრგვალი და დაბალი მინებით მთლიანად შემინული.

— სინათლე დამჩენია გამოსართველი. არა უშავს, წავიდეთ.

მე სახლს თვალს ვერ ვაშორებდი.

— იქ ახლა მეკლისია. ფანჯრებს ჩრდილი ეცემა. შეხედე, რა მოხდენილები არიან და რა კარგად ცეკვავენ! ის, ალბათ, მსახურია, ლანგარით ხელში, მარჯვნივ, მუსიკოსები სხედან. გესმის? ის წყვილი, აი, იქით, კუთხეში, სიცხეს გამოქცევი.

შენ შემომხედე, მერე ფანჯრებს დააკვირდი და ღიმილზე შეგატყვე, როგორ გადმოგეცა ჩემი ილუზიები. ხელი მომხვიე და საფეთქელზე მაკოცე. ეს კარგად დავიმახსოვრე.

პირველი სასწაული იმ ღამით მოხდა.

შინ მარტო ვიყავი. ადრე ასეთ ღროს მცირეოდენი ტყაცანის, შრიალის თუ სტვენის ხმა ლოგინიდან წამომავდე-

ბდა ხოლმე. გამოუსწორებლად წავიდა შარა მეგონა ჩემი თავი. იმ ღამიდან მოყოლებული კი იმას ვფიქრობდი, რომ ბოროტმოქმედთა სამყაროს ყველაზე ავი განზრახვა იმით ამოიწურება, შუალამისას ჩემი ფანჯრის ქვეშ დადგნენ და სერენადებით დამიფრთხონ ძილი-მეთქი. მე იმდენად კარგი გავხდი, შეუძლებელია, ვინმეს ჩემი წყენა მოუხდეს. შეიძლება, პირიქითაც, მანამდე მე ვერ ვამჩნევდი, რამდენად კეთილნი არიან ადამიანები.

ხანდახან თითო-ოროლა უკეთური თუ მაინც გამოჩნდებოდა, მე რაღას დამაკლებდა: მე ვიკუნტებოდი, ილლიის ქვეშ გიძვრებოდი და ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, როგორიც, ალბათ, კრუხის ფრთის ქვეშ თავშეფარებულ წიწილას აქვს. ამაზე მყუდრო და თბილი ადგილი მსოფლიოში არ მეგულება. და, საერთოდ, ჩემი ადგილი მხოლოდ შენს გვერდითაა.

მაშაყცების უმრავლესობა ან აღმერთებს ქალს, ან არაფრად აგდებს. შენ კი გამოძებნე შესანიშნავი შუალედი. მე შენი თანასწორი ვიყავი, მაგრამ ფრჩხილებში შეიძლება ჩაიწეროს, მაინც ქალი, და ამისთვის მცირეოდენი პრივილეგიები მეძლეოდა. სწორედ ამ ზომიერი პრივილეგიებისთვის შემეყვარდა ჩემი თავი. მე შემეძლო ოდნავი ჭირვეულობა, ოდნავი ქარაფშუტობა, რითაც მე არავის გავუხეხებოდა და რასაც შენ მოჩვენებითი წყრომით შემინდობდი ხოლმე.

ჩემს მეკრძნე თავმიდებულს გიყვარდა სხვადასხვა ამბის მოყოლა. უცებ იცოდი თხრობის შეწყვეტა, თავს აბრუნებდი და მკოცნიდი. ხანდახან მე საოცარ აღმოჩენას ვაკეთებდი — თურმე, რა ლამაზი ფეხები მქონია, რა ნაზი კანი და საუცხოო ფერი! როგორ ვერ ვამჩნევდი აქამდე და რა უმოწყალოდ ვათრევდი ათასგვარი საქმეების მოსაგვარებლად!

ახლა წარმოიდგინე, რა დაემართებოდათ ჩემს ყურებს, რომლებიც ყოველთვის მოზრდილებად მეჩვენებოდა

და თმით ვფარავდი, რა დაემართებოდათ ჩემს საცოდავ ყურებს, როცა იტყვოდი: არ მინდა, ჩემს გარდა, ვინმე გეფერებოდესო.

მზესუმზირას ყვავილივით მოგყვებოდი ჩემს მზის სხივს და ერთი წამითაც არ მიფიქრია, რომ სწორ გზას ავცდი. არავის შენდობა და პატიება მე არ მჭირდება. პატიება იმან ითხოვოს, ვინც შენზე უარი თქვა, თუკი არსებობს ასეთი სულელი.

მაინც რატომ არ მიჩერდება შენი გამოსახულება? რა მოხდება, ეს ჭირვეულობაც ამისრულო: უთხარი, გაჩერდეს და ისე მომექცეს, როგორც შენ მექცეოდი. უთხარი, ხელში ამიყვანოს და ჩამეკრას, მომიყვებს ქაბუკობის დროინდელ თავგადასავლებს ან კოცნით ცრემლები დამადინოს და მერე ამაზე დამცინოს, ეს ზედმეტად მგრძნობიარე ადამიანთა თვისებაა შენ საიდან გაქვსო. ან... ან... მითხრას, რომ სხვა შეუყვარდა, მე აღარ ვახსოვარ... მითხრას... ჩემთვის ასე უფრო, ადვილი იქნება“.

ნატამ ულონო თითები საბანს ჩაავლო, მოქმუტუნა და წაღრევა დაუწყო.

„მითხარი, ჩემი გულისათვის თქვი“.

მერე თანდათან მიწყნარდა, გაირბინდა და დახუჭული თვალიდან ცრემლი ჩამოუვარდა.

ნატა არც ღედა იყო ჩემი, არც ცოლი და ამიტომ მის ღალატს ჩემი თავმოყვარეობა არ შეუღალავს. ის კი არა და, თითქოს ამაღლდა კიდევ ჩემს თავში. მე, მოგეხსენებათ, ხმას სიყვარულის სასარგებლოდ ვიძლევი, რაგინდ დანაშაულებრივიც არ უნდა იყოს იგი.

სამწუხაროდ, ჩემი აზრი არავის უკითხავს. გია ფერდაკარგული მიყრდნობოდა სკამის ზურგს, მამამისი კი პირიქით, წამოჭარხლებულიყო და შუბლზე ოფლი ასკდებოდა. მძიმედ გაემატა თავისი კაბინეტისაკენ და შიგნიდან ჩაიკეტა.

სამგლოვიარო განწყობა არც მეორე და მესამე ღღეს გაფანტულა, მაგრამ ნამდვილი ტრაგედია მეოთხე საღამოს

დატრიალდა, როცა ნატა ისევ ალაპარაკდა. და ამჯერად თავის სიყვარულს სხვა სახელით უწმო. შიშისაგან გავირინდე, მაგრამ რას ეტყოდნენ უგონო ქალს და გამოსავალი იმაში ჰპოვეს, რომ თავ-თავიანთ ოთახებში ჩაიკეტნენ.

შემატოვეს შერისხული ქალი და მეც ძალაუვნებურად მისი ერთგული მსმენელი გავხდი. თავიდან, ცოტა არ იყოს, მერიდებოდა ყურის გდება, მაგრამ ნატა იმდენად ლამაზად ჰყვებოდა, მთელი არსებით ისე ეძლეოდა მოგონებებს, რომ მალე მის სიჩუმეს ერთგვარი წყენითაც ვხვდებოდი.

ერთი მონაცოლი მეორეს არასოდეს ჰგავდა. იგი ხან გულმოსული იყო ვილაჯზე, ხან ბავშვობის ხანას იგონებდა, ზოგჯერ კი სრულებით აურევდა ყველაფერს. როდის მოასწრო თავისი ბიოგრაფიის ასე შევსება ნატამ, ჩემთვის გაუგებარი იყო. რაც მახსოვს, სულ ავადმყოფობდა და ან ეძინა, ან წამოწოლილი კითხულობდა.

მე ნაზი სიყვარულით შემეყვარდა ნატა. ვგონებ, უფრო იმიტომ, რომ სხვამ ყველამ მიივიწყა. ხშირად მის საწოლზე ვკედბოდი, ხელს ხელზე ვკიდებდი და ამით თითქოს სალაპარაკოდ ვიწვევდი. ასე შეუგნებლად დავმეგობრდი მე და ნატა.

მახსოვს კიდევ, როგორ ვესაუბრეთ კომპოზიტორს, რომელმაც, ეტყობა, ნატას აზრი იკითხა თავის ახალ ნაწარმოებზე:

„ნუ მიიღებ ჩემს აზრს მხედველობაში. ხომ იცი, მუსიკისა არაფერი გაგეგბა, ამიტომ შეიძლება დიდი სისულელე დამცდეს და დაუშასხურებლად გაგიფუტო გუნება. სხვები ხომ ნიჭიერად გთვლიან. შემპირდი, რომ ყურადღებას არ მომაქცევ და გეტყვი.“

არ მომეწონა. როცა გისმენდი, წარმოვიდგინე, რომ ამ მელოდიის შექმნისას შენ ძალიან გიმძიმდა და უსიამოვნოდ გამაყრეოლა.

მცოდნე პირი, ალბათ, იმას მეტყვოდა, ხელოვნება რისაა, თუ რომელიმე ძარღვი არ ავითრკავთ და მართალიც

იქნება. მე მაინც არ მომეწონა. შეიძლება, შენი ნაწარმოები ბრწყინვალეა და ღრმავარდნი, მაგრამ ლამაზი არ არის. მე კი ყველაფერი ლამაზი მიყვარს, სილამაზეს კარგად ვგრძნობ.

ამით იმის თქმა კი არ მინდა, მწერლებმა მხოლოდ სიკეთეზე და სიყვარულზე წერონ, მხატვრებმა ყვეალებზე შემომსხდარი პეპლები ხატონ, მუსიკოსებმა კი „მთვარის სონატის“ სხვადასხვა ვარიაციები შექმნან. პირიქით, ხელოვანმა იქ უნდა დაინახოს სილამაზე, სადაც ყველაზე ნაკლებადაა მოსალოდნელი.

ძალიან უხერხული შედარება უნდა მოვიყვანო და წინასწარ გიხდი ბოდიშს. არა მგონია, ამის შემდეგ კიდევ იკითხო ჩემი აზრი.

ჩემს მეზობლად ერთი მოხუცი დედაბერი ცხოვრობდა, უშვილიძრო და ყველასაგან მივიწყებული. გარდაიცვალა. მივედი სამძიმარზე, ცოტა ხნით სკამზე ჩამოვჯექი. როგორც მოველოდი, ქირისუფლები გასვენების საქმეს აგვარებდნენ, ერთი-ორ სიტყვას წამოისროდნენ წუთისოფლის ამოებაზე და ისევ ერთმანეთში ჩურჩულებდნენ.

ოთახში ცხრად მოკაკული მოხუცი კაცი შემოვიდა, კუბოს თავს შემოუარა და გაჩერდა. ჯოხზე დაყრდნობილი, რამდენიმე წამს დასცქეროდა მიცვალეზულს, მერე ნელა წაიღო მისკენ ხელი და ბუზები აუქშა. სუნთქვა შემეკრა, იმდენად ლამაზი და მრავლისმეტყველი იყო ეს უბრალო ჟესტი.

შენს მუსიკაში არის რაღაც მნიშვნელოვანი, მაგრამ არ არის მოხუცი კაცი.

რა იცოდა საწყალმა ნატამ, რომ დიდებული ბანაშვილივრც მას ეწერა.

ნატას გარდაცვალებზე შემდეგ ოჯახში, თითქოს ვიღაცის ბრძანებით, აიკრძალა მისი სახელის ხსენება. ოთხი თვის შემდეგ მამამთილიც გარდამეცვალა.

წელიწადნახევრის განმავლობაში მათი ოთახები გამოკეტილი გვემონდა, მერე კი გიამ მთხოვა, მამაჩემის ოთახი დააღვეო.

ნატას ოთახში მხოლოდ ამ გაზაფხულზე შევედი.

სიძარტლე გითხრათ, ძალიან შენედა და მისი წერილები მენახა და მსაქმე მსაქმეა და მაგრამ ყურადსაღები ვერაფერი ენახე, გარდა ერთი ძველი, გაყვითლებული რვეულისა. როგორ ფიქრობთ, რა ეწერა იმ რვეულში?

ბრძოლამოგებულებით ვუყურებდი ზოიას და ქეთინოს. ვერ მიხვდნენ.

— ნატას აღსარებები! ქვემოთ კი, მოთხრობების სათაურები და ავტორთა გვარები! უცბად კი ვერ მივხვდი. ვკითხულობ, ვკითხულობ და ვფიქრობ, საიდან მეცნობა ეს სიტყვები-მეთქი. როცა მივხვდი, კარგა ხანი დამჭირდა, ნორმალური ადამიანური თვისებები აღმედგინა. მაშინ რომ ვინმეს დავენახე, ჩემს გათოკვას ეცდებოდა.

აი, რა მოჰყვება, მეგობრებო, ერთის მხრივ, უწიგნურობას და მეორეს მხრივ — იდიოტური მოთხრობების კითხვას და სენტიმენტალობით გატაცებას!

ბოლომდე რომ დავრწმუნებულიყავი, ნატას კარადიდან რამდენიმე წიგნი ამოვიღე და გადავსინჯე. ამოწერილი ადგილები ფანქრით იყო მოხაზული, ძებნა არ დამჭირვებია. მე თუ მკითხავთ, ქალი ისე უნდა დაასაქმო, ასეთი რამეების თავი აღარ ჰქონდეს.

— გია? გიამ რა თქვა? — მკითხა ქეთინომ.

— რა უნდა ეთქვა, — გამეცინა მე. — მაშინვე სამსახურში დაუბრუნე. არ იყო. სანამ დაბრუნდებოდა, მქონდა დრო, დაფიქრებისთვის. გიასთვის არაფერი მითქვამს.

— როგორ?

— რატომ?

მე ვუყურებდი ზოიას და ქეთინოს გაკვირვებულ სახეებს, და უფრო მეტად მეცინებოდა.

— იმიტომ... იმიტომ, რომ... ცხოვრება დიდია...

მე ვიციინოდი, ისინი ფიქრობდნენ. დიდხანს ფიქრობდნენ, დაკვირვებით და გულმოდგინედ.

ქეთინომ წაიფხუჯუნა და ზოიას გადახედა. ზოია თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდა, ბოლოს მასაც გაელიმა და სამივე სიცილით მივაწყდით ერთმანეთს.



მამაშვილობის გზა

... მამის სიმაართეს ვერ გუობს ზოგი,
ურჩევ უკეთესს,
მოიჩინეს რისხვად,
ამაყი მზერით,
უაზრო შფოთით
სიცოცხლე მიაქვს მისხალ და მისხალ.

მაინც ცოდოა,
მიხედვ ღმერთო,
ღირსეულთ გზაზე გავიდეს იქნებ,

რომ გაიხაროს ჰერმა და ერდომ,
ეშველოს ტანჯულ მამების ფიქრებს.

პატარა ნაკლს კი ნუ გავხდით დიდად,
შვილებს ნუ ვუქცევთ
ჩვენს ამაგს შხამად,
ამ გზაზე ადრეც თოვდა და წვიმდა,
მეცა მაქვს ვალი,
მეც მყავდა მამა.

მეგობარი

სიმყუდროვეში ღამის თუ დღის
გიაშობს ჰანგი სევდიან ამბავს,
აშრიალდება ფარდების ჩრდილი
და ჩრდილი სულში სინანულს ღამბავს.

გაუხეშდება ქალური მკლავი,
მოლანდებებთან გამართავ ბრძოლას
და როიალის გატეხილ კლავის
ჩიტის ფრთასავით აიტანს თრთოლვა.

ღიხუმი

ჰერ „ციფყალასთან“ გატეხეთ პური,
კეცებ ღვინოდა ცხელი ჭადები,
რიონს მთებიდან ავსილი ცურით
მოჰქონდა თეთრი განთიადები.

კახიძეების ვიყავ სტუმარი,
მათი ღიმილი ენთო კელაპტრად,
მწვანე მდელოზე შლიდნენ პურმარისს,
პირდაღებული ქვევრი ღელავდა.

და ჩვენც ვჩქარობდით,
მთები გველოდა,
ხელებს გვიწვდიდა ქედი ხვამლისა,
საქართველოში საქართველოდან
ჩიქურ მივყევით ყივილს მამლისას.

ნაპერწყლებს ყრიდა ჩხავერის წვენი
და ამაყობდა ღიხუმის მიწა,
გალაღებული ლექსების ჩქერი
ფრთებით მიმტვრევდა გულმკერდის
ფიცარს...

სიმაღლეს ვგრძნობდი სულით და
ხორციით,
ვგრძნობდი სიტბოს და სოფლის
სიკეთეს
მკერდში ჩავიკარ ბალახი ნორჩი
და ხასიათი გამოვიკეთე.

ორბს მოუხმობდა ყივილით ორბი,
ირემს — ირემი,
ეგერს — ეგერი;
რიონის ტალღებს მთებიდან ბორგვით
ზღვისკენ მიჰქონდა მზე სექტემბერის.

პარტიზანული

ერთი ღარიღი მომიმატე,
რად მინდოდა, ნეტავ,
რად მინდოდა, რად მინდოდა
სულის კბილით კენჭთა.

რად მინდოდა, რომ ჩემს გულში
აფათურე ხელი
და ანახდად სიყვარულის
მიღწევი ზენიტს.

გამიხადე საფიქრალი,
სავალალო მეტად,
რად მინდოდა, რად მინდოდა
ღარდის კბილით კენჭთა...

ნუ გგონია მოგასვენებს
მოგონების სიო, —
მოგანატრებს, მოგანატრებს
არავსა და იორს.

ბლოს ბილიკზე გამოჩნდები
ყორნისფერი თმებით,
გულში ნახად ჩაგიკრავენ
თეთრნაბადა მთებით.

შენთან რაშით მოვევარდები,
გაგახარო უნდა,
ერთგულების სალამურო,
საფიქრო მუდამ.

სევდის ციხე დაიშლება
დაკვანძული გულთან
და დადნება მწუხარება,
როგორც თოვლის გუნდა.

ტყვილები, ტყვილები
გაჰქრებიან წამით,
რწმენის ჭილა გაიფრქვება
ერთი, ორი, სამი...

ოცნებებში შეცურდები
თეთრი ნავის დარად,
მოგწყურდება მოფრება
და არ მეტყვი კმარა.

ჩემს მკლავებში ზამბახით
გაიშლები, ქალავ,
მთვარესავით მომშუქებს
შენი მკერდის ქარვა.

ნუნუ ყალბეგაშვილი

რამ ამიმღერა სიმები სახმო?
მე რომ შენს გვერდით ვცოცხლობ და
ვსახლობ!
ბეჭები შენი მალღებდა ცამდე,

ყოველთვის, ყველგან, მჯეროდე, მწამდე!
რამ ამიმღერა სიმები სახმო?
მიმოიწიეს მთებმა და კრძალვით
მეც დამაყენეს თავისთან ახლო...

საუბარი შვილთან

მაგრად ჩასტიდე ფაფარში ხელი
ყალყზე შემართულ მერანს,
შენ ყველა უნდა გიყვარდეს, შვილო,
რადგან ყველაში მე ვარ!
მოუტყუებლად გათენდეს შენთვის,
გწამდეს პირისპირ შენლა,
წარმოიდგინე, ვითომ ყოველდღე
ბარიკადებზე დგებარ.
შენით იწყება დღე სვალინდელი,

შენ ხარ მამულის მცველი,
გულზე გჩხვლეტავდეს სხვისი
თვალიდან
დაგორებული ცრემლი!
მაგრად ჩასტიდე ფაფარში ხელი,
ყალყზე შემართულ მერანს,
შენ ყველა უნდა გიყვარდეს ჩემით,
რადგან ყველაში მე ვარ!

ლ ხ ი ნ ი

ფიჩტაური, ხელადა, კულა, ჩაფი, თუნგულაჲ
ჭინჭილა და ჭარიკა, ტიკჭორა და ფილა,
— ჰაი, დედა ვატირე, დასცხეთ მაგ დოლს! იალა!
რაო, თქვენი ძარღვები ჯერაც არ გათანგულა?
გადით, გაინავარდეთ! ტაში, ტაში, ბიჭებო!

ალადასტურს თრიასავით ყელში წავეტანები,
გავისისხლავ ბაგეებს, ვიხორხოცებ დაღლამდი,
ანლა მაინც ამოვივსო ღარდის ჭუჭრუტანები,
ანლა მაინც, გულო ჩემო, გახალისდი, გალალდი.

ყველა გულმარხიანთან გადმოვდივარ ალავერდს,
გამოაწვეს სიყვარული გულის გამსკდარ ალარდენს,
როცა გვიყვარს, ღვინოც უფრო ეშხით მოგვიღავანდებს,
დე, ავარდეს ასავარდნი, მაგის ჯანიც გავარდეს!

სუფრას ღვინო უვარგოდეს, ქალს — ნამუსი, კაცს — გული,
ჩვილს — დედის რძე, ყრმას — ანდერძი პაპის დანატოვარი,
ცხედარს — მიწა უნუგეშო, ჭიადუაც ქართული,
და ფარვიდეს ყოველს ღმერთი ჩვენდა მადლის მთოვარი.

დუმტაირა, დიმტაირა, დიმბი-დიმბი-დილილო,
ლხინია და ლხინი იყოს ამ ჩვენს სანავარდოში,
ყოვლადწმინდავ, გაგვიმრავლე კალანდა და ალილო,
შეიწირე ზედაშე და დაგვიმწიფე ოდოში,
გვიმწყალობე, დაგვიფარე შენი ყმები ალალი,
ია-ვარდი შენს ნატერფალს, შემობრძანდი ოდაში,
გადადენე ჩვენი ციდან ყიამეთის ალალი,
ყოვლადწმინდავ, გვამარადე ამ ჩვენს სანავარდოში.

ჯავახეთის ველებზე

ჯავახეთის ველებზე
ისე ხარბად ავროვებენ ყვავილებს,
როგორც ყიზილბაშები
ივერიის ულამაშეს ყმაწვილებს.

ჯავახეთის ველებზე
ერაულადაა საოცარი ყვავილი,

ამაყი და სპეტაკი,
საომარი დროშებივით გაშლილი.

ჯავახეთის ველებზე
წინაპართა ძვლები, ძვლები ყვავიან,
ნოყიერი მიწაა,
დღეს თუ ხვალე ჩვენი მოსახნავია.

დღეს მოკითხვა შემოთვალა აცანამ,
ვიღაც სარკმელს მოდგა, მომიკაკუნა,
გაგხედე და შიკრიკებიც ვიცანი:
ეს ცრიატი და ეს წვიმა შხაპუნა.

ეს ღრუბელი შავი ზღვიდან აფრინდა,
მთა-მთა, ტყე-ტყე იარა და მოვიდა,
ჩემო ფოთო, შენი ცვარიც ვიცანი,
ვიგრძენ შენი მოფერება შორიდან.

რა ამბავი? რასა იქმენ ჩემები?
ვიხარო თუ უნდა ვისამწუხარო?
ოდა ხომ არ ჩაიფერდა ბებერი,
ხომ არ გაწვიმს, ხომ არ გცივა
ბუხარო?

ფოთი ხომ არ წაილეკა? შუქურა
ხომ ისევ დგას — ვიამეთის მახვილი?
ხომ მშვიდად ხარო, ღამით ჭაობებიდან
ხომ არ ისმის გუგუნი და ძახილი?

იქნებ დადგა ჭამი დედამიწიდან
ამოფუშვით მითები და ღმერთები,
იქნებ ნახეს, ნახეს ძველი კვირბები,
შენც, ფაზისო, მალე ამოენთები.

სამების მთის გემსაბმელო, იქნება
ამოიხსნა შენი მწველი ქარაგმა,
ამოყვინთა იქნებ პალიასტომზე
სამი ათას სამასი წლის ქალაქმა.

შესართავთან შავი ზღვის და რიონის
თეთრი ნავი მოდგა ცისფერ აფრითა,
წარსულიდან მომავლისკენ მიცურავს,
მისი ბედი მომავლისკენ გაფრინდა.


მიდის იგი, მიდის თავგამეტებით,
მარადია მისი სვლა და დინება,
დრო დადგება, დაბრუნდება საწმისით,
აღსრულდება რაც განგებამ იწება.

დაუშინე, დაუშინე ისხარო,
შენც, შხაპუნავ, დაუშვი და დაუშვი,
არის რაღაც თანაწარუსდომელი
თქვენს ფერებში, თქვენს ჩქაფში და
ხმაურში.

გამარჯობა, ცვარფერადო ოცნება,
შენი ჭავლის სურნელიც კი მეცნობა,
გამარჯობათ რიონო და აცავრავ,
ჩემო ფოთო, ჩემო ტკბილო აცანავ.

წადი წვიმავ, აწი წადი შენი გზით,
მეც ცოდვა ვარ, მონატრება მწარეა,
მოვა დრო და დავბრუნდები დედულში,
მოვა დრო და მაშინ გაგიხარია...

მანამდე კი აქ ვიქნები, დავუცდი
დიდ მოქცევას მარადიულ ზღაპრიდან,
როგორც ფოთში შესართავთან რიონის
თეთრი ნავი იცდის ცისფერ აფრითა.



ბ ა ბ ო დ ა ჟ რ ე ს !!!

მოთხრობა

ქვეყანა არ დაქცეულა...

წელიწად-ნახევრის წინ გაცნობილ, თითქმის დამძაყებულ ბიჭთან წალაპარაკებას თუ ასეთი მოულოდნელი შედეგი მოჰყვებოდა, ნაღდად ვერ წარმოიდგენდა. ყველაფერი გაცილებით მართლად და სადად მოხდა, ვიდრე ეგონა და გაგონილი ჰქონდა. არც მოქნეული დანა დაუნახავს და არც მოწინააღმდეგის სახე დანის მოქნევის წამს. კიბე უნდა ჩაეელოთ, სადარბაზოდან გასულიყვნენ და გარეთ, ბაღში უნდა დაერტყათ. ეს ჩხუბისწინა გზა თითქმის რიტუალად იყო ქცეული, ამიტომ ჩადიოდა კიბეზე ასე დანდობილად, თორემ იმდენი გამოცდილება კი ჰქონდა, რომ მომავალი პარტნიორისთვის მარჯვენა მხრიდან გაეკეთებინა ზელმკლავი. არც ფოლადის სიცივე უგრძვნია და არც ტკივილი. უბრალოდ, სახტად დარჩა, როცა გვერდით მომავალმა ბიჭმა ზურგი აქცია და ზევით, ლიფტისკენ აირბინა. იქ მას ზურა გადაეღობა ბლავილით, ეს რა ჰქენიო და წიხლი ხეტა მუცელში. ხოლო მერე, უკვე მოკუნტულს და კედელს მიყრდნობილს, მუშტები დააყარა თავზე. თვითონ კიბეზე იდგა და დანიანი ბიჭის ცემას მაყურებლის პასიური გაკვირვებით უთვალთვალებდა. მერე ესიამოვნა, როგორ ვყვარებივარ ზურასა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რაც მოხდა. მუცელზე დაიხედა. არც პალტოს, არც ჯემპრს არაფერი ეტყობოდა, სისხლის წვეთიც არ აჩნდა. უაზრო გაკვირვება შიშის გაუფელელად, გამომთაყვანებელი სიმშვიდით შეეცვალა. შინ წასვლას რატომღაც ზევით აბრუნებდა

არჩია. დანარჩენი ბიჭებიც გამოცვენილიყვნენ გარეთ. ზოგი ზურას აშოშმინებდა, ზოგი ხმამაღლა იგინებოდა. ისე აუარა გვერდი, ვერც კი შეამჩნიეს. კარში ზურას მამა შეეჩეხა.

— რატომ ხარ გაფითრებული?

— არ ვიცი... მგონი შეუძლოდ ვარ. სცადა გაღიმება, მაგრამ რაღაცამ დაჰქაჩა მუცლიდან.

— შედი, წამოწევი.

ტკივილი ნელ-ნელა ეპარებოდა და როცა წამოწევა, გაახსენდა, რომ ღია მწვანე, ადამისდროინდელი მაისური ეცვა და ინატრა, ნეტავ მალე გამიაროს და გასინჯვას გადავურჩეო. მოეჩვენა, რომ გული ხშირად და რომელიღაც ნაცნობ ტაქტში უცემდა. შეეცადა გაეხსენებინა ეს ტაქტი... დღეობაზე წამოსვლის წინ იაპონურ ფილმს უყურებდა ტელევიზორში. დო-დეს-კა-დენ! დო-დეს-კა-დენ!.. ყოველ მარცვალს ზედმოწევნით გამოკვეთილად ისროდა ხმაჩაჩრინწული, უხილავსაჭერაბლუჭული შეშლილი. დედა სამზარეულოში აუთოებდა. ფანჯარაში რუხი ცა მოჩანდა. მაინც რა ავისმომასწავებლად ეღერდა ეს დო-დეს-კა-დენ... ტკივილს უკვე ეკნებამდე დაეპყრო მუცელი...

დიდი ოთახიდან სიმღერა და გოგონების კისკისი ისმოდა.

— ბაბო დაჭრეს!!! — იყვირა ვილაცამ.

ელიზბარს მეტსახელი ბაბო მეხუთე თუ მეექვსე კლასში შეარქვეს...

ეს ის დრო იყო, როცა ჭაზი — კაკა-

ფონიად, ხოლო მისი მოსმენა — უდიდეს ქარაფშუტობად ითვლებოდა. დაშაქრულ-დამტკბარ მელოდიებს ყურმიჩვეულ უფროსებს ახალი მუსიკის უცხო რიტმები და შესრულების უცნაური მანერა ისევე აფრთხობდათ და აღიზიანებდათ, როგორც საკუთარი შვილების მეგობრობა ქუჩის ბიჭებთან. ისინი, რათქმა უნდა, თავს არ იწუხებდნენ მუსიკალური მიმდინარეობებში გარკვევით და ამიტომ ერთნაირად გულგრილად შეეძლოთ მოესროლათ ფანჯრიდან როგორც ელვის პრესლის, ისე ლუი არმსტრონგის რის ვაივაგლახით ნაშოენი, რენტგენის ფირისგან დამზადებული ფირფიტები...

ტყუილად არ ბრაზობდნენ უფროსები. ამ მუსიკას ისეთივე ხიბლი ჰქონდა მოზარდებისთვის, როგორც კევის ლეჭას, გინებას, შატალოზე წასვლას, — ანუ თავისუფლებას. ჰოდა, ისინიც უსმენდნენ თავხედობამდე ლალ, ხან საოცრად დაწმენდილ, ხან ზედმეტად ხრიწიან ხმებს და მოსმენით მიღებულ შთაბეჭდილებებზე დაახლოებით ისეთი აღელვებითა და სიამაყით ლაპარაკობდნენ, როგორითაც რამდენიმე წლის შემდეგ გოგოებზე ილაპარაკებდნენ...

რადიოლასთან გატარებულმა საათებმა, ტოლებისგან გულწახვეულობით გამორჩეულ ელიზბარსაც დააძლევინა სიმორცხვე. ერთ მშვენიერ დილას, მანაც, კლასელებით გარშემორტყმულმა, საკუთარი შთაბეჭდილების გადმოცემა სცადა. სცადა და გამოუვიდა კიდეც, სული განაბეს გოგო-ბიჭებმა. გათამამდა, და როცა ეფექტის სისრულისათვის წაღილინება გარისკა-ბაბობაბობაბობა... დაისაჯა, სიცილი დააყარეს მანამდე სულგანაბულმა ამხანაგებმა. მთელი დღე უძახეს, — ბაბო, ბაბო, ბაა... და ბოლოს ისე მოეწონათ საკუთარი გონება-მახვილობა, რომ მეტსახელად შეატოვეს მათ გასართობად წამომცდარი ორი უწყინარი მარცვლი.

ეს იყო დამოუკიდებლობის პირველი გამოვლენა, რომელიც მარცხით დამთავრდა.

ბიჭებმა საკაცეს არ მიაკარეს ნაშრომის, კაფანდარა სანიტრები. თითოთი სახელურს მოჰკიდა ხელი. მაღლა ასწიეთ, რამეს არ მიაჯახოთო, ბრძანა ექიმმა. ასწიეს, კარადის დამტვერილ თავზე შესკუპებულ თოჯინებს გაუსწორეს და კარისკენ დაიძრნენ. ტკივილი დამწყვდეული მხეცოვით დაძრწოდა მუცელში, მთელი სხეული უზურდა, ერთი დაკვნელება ყველაფერს ერჩია, მაგრამ გოგოების ჩუმი სლუკუნე ესმოდა და როგორღაც ახერხებდა თავის შეკავებას. ჭრილობა უსისხლო იყო, პატარა ხალივით აჩნდა მუცელს, არც ექიმს დატყობია შემოფოთება გასინჯვის შემდეგ... ნეტავ რა ატრებდათ? ალბათ მაღლა აწეული საკაცე ლამაზად დაფერდებულ კუბოს აგონებდათ — გოგოები ხომ გულის აჩუყების ღიდოსტატები არიან. ელიზბარს დაკვირვების კი არა, გვერდზე გახედვის თავი აღარ ჰქონდა, თორემ რომ მიეხედ-მოეხედა, აუცილებლად შეამჩნევდა რა ფრთხილი, გამოზომილი ნაბიჯებით ჩაჰყავდათ კიბეზე, როგორც დილობდნენ ოდნავადაც არ შეეტოკებინათ საკაცე, როგორი ვაჟკაცური, დაძაბული სახეები ჰქონდათ ბიჭებს. შეამჩნევდა და იგზმნობდა ისეთ სიამაყეს, როგორიც მოკვდავებს იშვიათად თუ ეღირსებათ.

საავადმყოფოს მიმღებში აღამიანებს მათი ტანსაცმლის შესაბამის ფერად ლაქებად აღიქვამდა. ჯერ თეთრი ლაქა აღდა თავზე და შეკითხვას შეკითხვაზე აძლევდა, მერე თეთრი ლაქა რუხ-წითელმა შეცვლა. ახალი ლაქა წინანდელზე მკაცრხმიანი და შეუპოვარი იყო. ერთსა და იმავე შეკითხვას სამჯერ-ოთხჯერ უმეორებდა და პასუხებით უკმაყოფილო რომ რჩებოდა. ხმის უარესად გამკაცრებაზე ეტყობოდა.

— ტანსაცმელი გახადეთ! — ბრძანა ეილაცმა.

რამდენიმე თეთრი ლაქა ამოძრავდა, გახდაში დაეხმარა ბიჭს.

— მესამეში ჩაიყვანეთ!

სულ მთლად შიშველს, მოკლე ზეწარი გადააფარეს, საკაციანად გადააწვინეს ურიკაზე და გრძელ, ცუდად განათებულ ტალანში გააგორეს. რამდენჯერმე მოუხე-მოუხვიეს, ერთ ადგილას შეყოვნდნენ, — რაღაცამ გაიჭრიალა, ალბათ კარმა და ბნელ სიგრილეში ამოყვეს თავი. ელიზბარს სიგრილე ესაიმოვნა, ჩაშავებულ ცაზე ვარსკვლავების გარჩევაც შეძლო. ურიკას ორნი მიაგორებდნენ. უკანა პაპიროსს ეწეოდა, ბიჭს სუნი სცემდა. ბოლო ერთი საათის განმავლობაში ყნოსვა გამაფრებული პქონდა, ის სუნიც კი ახსოვდა, მიმღებში რომ იდგა. წინა თავს აკანტურებდა ცხენივით და ჩუმად რაღაცას ბურტყუნებდა სომხურად თუ თათრულად. „სად მიმაგორებენ! ხმა მაინც გამცენ“, — გაბრაზდა და გარემოს შეთვლიერება სცადა. სუსტი ნიავით აშრიალბებული ხეების მიღმა გრძელი შენობის ჩაბნელებული ფანჯრები ენაცვლებოდა ერთმანეთს.

„ნეტავ, რომელი საათია...“

სიგრილით მოგვრილმა შევბამ ცოტა ხანს გასტანა. შესცივდა. შეეცადა ფეხისგულები ერთმანეთისთვის აესჯაჩამოსვა, მაგრამ დროებით გაუჩივებულმა ტკივილმა ისევ შეახსენა თავი და განძრევის საშუალება არ მისცა. სუსტი ნიავი, წელან ზღვის ტალღებივით სასიამოვნოდ რომ ელამუხებოდა მკერდზე და მკლავებზე, — ახლა სუსხავდა. ზეწარი ისეთი მოკლე იყო, ნიკაპამდე რომ წაეფარებინა, ფეხები გაუშინებლდებოდა. გზაც აღარ ილეოდა.

— მალე მივალთ?

წინ მიმავალმა რაღაც ჩაიბურტყუნა.

„უპ, თქვენი!.. — კბილები გაადრჭიალა ბიჭმა და უცბად შეშფოთდა, — ესენი რაღაც ძალიან სერიოზულისთვის მამზადებენ, თორემ ამხელა გზაზე მორიალი რა უბედურებაა!..“

ნეტავ, რომელი საათია, რომელი საათია?... ორი იქნება?

და მხოლოდ ახლა გაახსენდა დედა, რომელიც ალბათ ფანჯრის რაფას ჩამოყარდნობილი, ბნელ ეზოს გადაჰყურებდა...

ელიზბარი დედასთან ერთად სიგრილეში დასაწყისში აშენებულ, მაგრამ საკმაოდ კარგად შემონახულ სახლში, ჩომლის სადარბაზოს მოზაიკით მოპირკეთებულ იატაკზე, ზედ ქუჩის პირას, მოჩანდა მოზაიკითვე გამოყვანილი დიდი, წითელი ასოები „SALVE“. მათი ერთობიანი, დიდფანჯრებიანი ბინა მესამე სართულზე იყო. ფანჯრები ქვით მოკირწყლულ პატარა ეზოს გადაჰყურებდა. იყო დრო, როცა პატარა მეოცნებე ელიზბარს, ავეჯის მეტისმეტი სიმცირისა და სისადავის მიუხედავად, ეს ოთახი სიმყუდროვის გამო უყვარდა. მამის წასვლის შემდეგ კი, მყუდროება დასჯილი ბავშვივით ერთ კუთხეში მიიკუჭნა, იქ, სადაც სავარძელი-საქანელა და წიგნებით სავსე თაროები იდგა და ოთახში მოჩვენებითი, დაძაბული სიმშვიდე გამოედგა. სიმშვიდე დაჭიმულ სიმს ჰგავდა, რომელიც შუალამისას წყდებოდა და დედის საცოდავი სლუტუნით გამოღვიძებული და აფორიაქებული ელიზბარი დილაზე იჯდა ხოლმე ლოჯიაში. იჯდა დამსკდარ ჰერს მიშტერებული და ახსენდებოდა ის მშვენიერი დღეები, როცა ამ პერქვეშ სითბო და ერთსულოვნება სუფევდა...

ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა.

დედამ მუშაობა დაიწყო. მისი ხელფასი გაჭირვებით, მაგრამ მაინც სწავდებოდა ორსულიანი ოჯახის მოკრძალებულ მოთხოვნილებებს. ელიზბარი წამოიზარდა, სკოლა დაამთავრა, უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. თაროებზე ომში დაღუპული დედის ძმის — ცხრამეტი წლის თავგადასობრილი ბიჭის პორტრეტის გვერდით, თეთრწვერ-მოშვებული ჰემინგუეის დიდი ფოტოსურათი გაჩნდა და ოთახში თითქოს ძველებურმა მყუდროებამ დაისადგურა.

წვრილპირიან და ფოლადისტარიან დანას, რომლის ყიდვაც რკინა-კავეჯულის



ნებისმიერ მალაზიაში შეიძლება და მანეთად და ოცდათხუთმეტ კაპიკად. საკმაოდ ღრმად შეეღწია მუცლის ღრუში და ნაწლავი ოთხგან გაეხვირთა.

ზეწარგადახდილ, შიშველ ელიზბარს ექთანნი ქალები დასტრიალებდნენ თავს, საოპერაციოდ ამზადებდნენ. ტკივილებისგან არაქათგამოცლილი და წამლებისგან გაბრუებული, ქალებს ყველაფრის ნებას აძლევდა, ყველაფერზე თანახმა იყო — ოღონდაც ოდნავი შეება ეგრძნო. აღარც სიშიშვლისა რცხვენოდა და აღარც დაკვნესების, მეთედ თუ მეოცედ კითხულობდა, — მალე გამიკეთებენ ოპერაციასო? და ყოველი შეკითხვის შემდეგ გამშრალი, კბილებს მიწებებული ტუჩების ალოკას ცდილობდა. ამოდ, ენაც ტუჩებზე არანაკლებ იყო გამომშრალ-გასივებული და დამძიმებული. როგორც იქნა შეაგორეს თვალისმომჭრელად გაკაშკაშებულ საოპერაციოში. დამშვიდდო, უთხრა ვილაკამ და მარლით შუბლზე ცივი ოფლი მოსწმინდა. მერე სანარკოზო ნიღბით თვალებამდე დაუფარეს სახე და უბრძანეს, ღრმად ისუნთქე და ხმამაღლა ითვალეო. ბიჰს მოეჩვენა, რომ ნიღბის ქვეშ ცხვირი და ნიკაბი კი არა, მთელი სხეული ჰქონდა მოქცეული და ეს ნიღბი შესრუტვას თუ გადაყლაპვას უპირებდა. ხელები მაგიდის კიდეებს ჩასჭიდა, ძალა მოიკრიბა და ისე ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს ნიღბს დაასწროო. ამოსუნთქვას სამამდე თუ ოთხამდე დათვლა ამოაყოლა. მეორედ ჩასუნთქვა აღარ დასჭირვებია, დაეძინა...

ფერხთით მუქი სილუეტი რომ შეამჩნია, თვალები უკვე კარგა ხნის გახელილი ჰქონდა. ჯერ ხედავდა ნისლოვან სითეთრეს, სილუეტი მერე გამოჩნდა, ნისლს გამოეყო და გამკაფიოვდა. მისი მოხაზულობა რაღაც მნიშვნელოვანს გამოხატავდა, მაგრამ რას... გონება ნელ-ნელა, სუსტად ამუშავდა. სილუეტს კითხვის ნიშანივით მოხრილი, უძრავი და მუქი იყო, უძრავი, მუქი და მოხრილი... მწუხარე... ჰო, მწუხარებას გამოხატავდა სილუეტი. გამოხატავდა სადად,

სრულყოფილად... და სანამ მზერა დაწყებულ მინდებოდა, ბიჰი მიხვდა, რომ ფერხთით დედა ეჯდა.

ქალმა იგრძნო მზერა და შემკრთალმა დახედა შვილის გათითრებულ სახეს. თვალები გახელილი რომ დაუნახა, ძლივს შეიკავა თავი საბანზე უმწეოდ დაწყობილი ხელების. დაკონცისაგან. დააცადა, ვიდრე სინათლე ბოლომდე არ ჩაუდგა მზერაში, არ გაინძრა, ზმა არ ამოიღო... როცა ბიჰმა რატომღაც შუბლი შეიკმუხნა, წაიხურჩულა:

— შვილო... შვილო...

ელიზბარი გარკვევით ხედავდა თეთრი კაფელით მოპირკეთებულ კედლებს, კაცის სიმაღლე შტატივებზე თავდაყირა დაკიდებულ წამლიან ბოთლებს და იცოდა, რომ ზედა ტუჩზე პლასტიკით დამაგრებული წვრილი მილი საწოლის თევთან მდგარ ჟანგბადის ლურჯ ბალონს უკავშირდებოდა.

შვილო...

ჟანგბადის გრილი ნაკადი სასიამოვნოდ უღიტინებდა ნესტოში. ცდილობდა ხშირად ესუნთქა. ოთახი ვეებერთელა იყო და ფანჯრებიც ვეებერთელა ჰქონდა. მზით იყო გაკაშკაშებული ყველაფერი.

— ზომ არ დაუქვრიათ? — იკითხა უცებ და საკუთარი ხმის გაგონება გაუქვირდა.

ფიჭრის თავი აღარ ჰქონდა, თორემ, ალბათ ისიც გაუქვირდებოდა, რაღა ეს ვიკითხე პირველადო.

დედამ თავი გააქნია.

ბიჰმა თვალები დახუჭა. ქუთუთოებზე სითბო იგრძნო, ესიაშოვნა.

— თქვენ ზომ თითქოს მეგობრობდით... — ჩაესმა ძილბურანში წასულს.



იმ გზაჯვარედინზე, სადაც აკაციებით დაბურული და ქვით მოკირწყლული ქუჩის გავლით, დიდუბიდან მომავალი ტრამვაი ჩერდებოდა, იდგა თეთრკედლებიანი, დილა-საღამოს მტრედებით გუმბათებდახუნძლული რუსული ეკლესია, ხოლო ეკლესიის პირდაპირ კი —



მთელ ქალაქში ცნობილი საკონდიტრო, რომლის საცხოვრებელიც შუალამედე იყიდებოდა ცხელ-ცხელი, დაბრაწული ფუნთუშები. საცხოვრებელიც, გვიანი მუშტრები იყვნენ შეყვარებული წყვილები, ახლომანლო ბინებში ქირით მდგარი სტუდენტები და მთელი დღის უთავბოლო ხეტიალით დაღლილი და მოშვიებული უბნის ბიჭები. სტუდენტები თუ შინ მთავრები იყვნენ გახეთის ნახევში გახეთულ ფუნთუშებს, შეყვარებულები თუ ლუკმვა-ლუკმვით აგრძელებდნენ ბნელ ქუჩებში გზას, ბიჭები იქვე, ეკლესიის დაბალ გალავანზე სხდებოდნენ და თავ-თავიანთი წილის გადასანვლის შემდეგ, დიდხანს, გვიანობამდე ლაპარაკობდნენ. იქნებდნენ ხელებს, ძალით იბოხებდნენ ჭერ ისევ ბავშვურ, ხრინწით ოდნავ გაუხეშებულ ხმებს, ცდილობდნენ ეარგონით ელაპარაკათ...

ეარგონი, ქუჩის პირში, ახლად ენადგმული ბავშვებით თავის მოგონილ სახელებს არქმევდა საგნებსა და მოვლენებს. სახელების უმრავლესობა სხვა ენებიდან ნასესხები, ცუდად ყურმოკრულივით გადაკეთებულ-დამახინჯებული სიტყვები იყო. ზოგიერთი კი მართლაც ბავშვური აღქმის დაუნდობელი სიზუსტით და სისხარტით გამოირჩეოდა. ერთ-ერთი მათგანი, ერთმანეთის გამომრიცხავი ორი მცნების, უასაკობის და გამოცდილების დამაკავშირებელი, ირონიული ძველი ბიჭი — ზუსტად ასახავდა ეკლესიის დაბალ გალავანზე ჩამოსხდარ, თუ სადმე სხვაგან, ვთქვათ, ჩაბნელებულ სადარბაზოსთან აყუდებული ბიჭების დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან. ბიჭებისა, რომლებსაც ეგონათ, რომ ცხოვრების შეცნობა და მასში ფეხის მოკიდება საკუთარი გამოცდილების გარეშე, ქუჩის გამოცდილების ხარჯზე შეიძლებოდა. საკუთარი ძალების გაუთვალისწინებლობა და ქუჩის მიერ გულუხვად შეთავაზებული მზამზარეული ქცევა-გამონათქვამების ბრმა რწმენა იყო მიზეზი მათი ქცევის გამაღიზიანებელი სიყალბისა, დაწყებუ-

ლი ხმის მოთენთვა-დაბოხებები და მთავრებული ხშირი და უსამართლო ჩხუბებით... თუმცა, ძნელი იყო მათი გამტყუნება, რადგან უმრავლესობა ქუჩაში იმას დაეძებდა, რასაც შინ ვერ პოულობდა. თავგადასავლების მაძიებლებს დაუგეშავი ლეკვები სჭარბობდნენ...

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ეს მშვენიერი დღე ყველა ბიჭის ცხოვრებაში ადრე თუ გვიან დგება, ელიზბარმა იგრძნო, რომ მყუდრო კუთხეში განმარტოება, კითხვა და დროაღირო ჰემინგუეის ფოტოსურათისკენ თვალის აპარება არ კმარაოდა, საჭირო იყო რეალური ძალა. იგრძნო და, ზედმეტ სახელთან დაკავშირებული ამბის შემდეგ ხელმეორედ გაბედა რისკის გაწევა...

უბნის ბიჭების გვერდით ყოფნის ღირსი რომ იყო, ეს მან პირველივე ჩხუბში დაამტკიცა. მართალია, მუშტის წესიერად მოქნევაც ვერ მოახერხა, რამდენჯერმე საშინელო ტყვილმაც დაუბნელა მზერა, შიშმაც აიტანა, როცა აპრილებულ დანას მოჰკრა თვალი, მაგრამ არ გაიქცა, არ მიატოვა თავისიანები. არც ბიჭებმა დაუკარგეს ერთგულება, ჩხუბის შემდეგ ყველამ სათითაოდ შესთავაზა ცხვირსახოცი გასისხლიანებული სახის მოსაწმენდად...

დღე

ონ

ქი

სარეანიმაციო ბლოკში გატარებული ერთი კვირა ყოშმარული ჩვენებებით აღსავსე სიზმარს ჰგავდა, რომელსაც მხოლოდ გამოღვიძებით თუ დააღწევ თავს.

დღის განმავლობაში, როცა პალატას ჭერ მზე და მერე მძლავრი ნათურა ანათებდა, მძლავრი სიციხისა და წყურვილის ატანას როგორღაც ახერხებდა. საშინელი იყო ღამე, განსაკუთრებით პირველი ღამეები, როცა გვერდით მყოლიარე ორი ნაავარილი გინვას იწყებდა. ერთი მისი კბილა იყო — სქელმკლავებიანი სვანი ბიჭი. მეორე, შუახნის სახედაბინტული კაცი. სანიტა-

რო გოგონები, რომლებიც ყოველ ღამე ცვილიდნენ ერთმანეთს, ხან ერთს დასტრიალებდნენ თავს და ხან მეორეს. ელიზბარს რომ მოაქითხავდნენ გამშრალი ტუჩების სველი ბამბით დასაღბობად ან წვეთოვანი გადასხმის სისტემის შესამოწმებლად, ბიჭი ხვეწნას უწყებდა — ერთი ყლობი წყლის გულისთვის დაიკოებს ეძახდა, საუკუნო სიყვარულს ჰპირდებოდა. ხვეწნა რომ არ ჭრიდა, — აგინებდა. ვერც გინებით აღწევდა მიზანს...

აი, მაშინ მოუწოდებოდა ხოლმე შუარისძიება. მოუწოდებოდა ისე, როგორც ამ გოგონების ხელით მოტანილი ერთი ქიჭა ცივი წყალი...

მესამე თუ მეოთხე ღამეს, შუახნის კაცის მხრიდან კვნესის ნაცვლად ქალების მოთქმა გაისმა. გაუკვირდა, — ახლობლებს მკაცრად ეკრძალებოდათ აქ შემოსვლა...

დილას სევანმა გმინვას უკლო, თვალეზი გაახილა და ნატანჯ სახეზე შეება დაეტყო. შუახნის კაცის ცარიელ საწოლზე კი სილურჯემდე თეთრ ზეწარს გაჰქონდა ქათქათი...

მეექვსე დღეს ნაწლავების ფუნქცია აღდგა. მეშვიდე დღეს სიცხემ დაუქლო და... სიზმარიც მორჩა.

იმღანინდელ საუბრამდე უბნის ბიჭები ელიზბარს თავიანთი ამქრის თითქმის სრულუფლებიან წვეკრად თვლიდნენ. ამქრისა იმიტომ, რომ მათი ერთად ყოფნა, ერთმანეთთან მკაცრი ვალდებულებებით დაკავშირებული ხალხის ურთიერთობას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიყვარულზე დაფუძნებულ მეგობრობას...

სამნი ისხდნენ ეკლესიის დაბალ გალავანზე — ვანო, სიომა და ელიზბარი. უფულოები და მშვივრები კბილების კაწკაწით ელოდნენ საკონდიტროსთან სტუდენტების გამოჩენას. მათ ჯიბრზე კი სულ შეყვარებულები მოდიოდნენ... იმათ ხომ არ წაართმევდნენ

ფულს, ბოლოს, როგორც იქნა, ერთი დიდქოჩრიანი ბიჭი „შეაყენეს“ და სიომამ მოპირდაპირე მხარეს, ელიზბარი მარტო დარჩა. ეკლესიის ეზოდან შავი, ტანმოჩრილი ლანდები გამოვიდნენ, ტრამვაის ხაზი გადაჭრეს და სიბნელიდან გამოსულები, ისევ სიბნელეს შეერივნენ. ელიზბარმა თვალი გააყოლა მათ. დილაობითაც ასე ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ ეკლესიისკენ შავ, ფართხუნა კაბებში ჩაპარგული, ჯარისკაცური ჩექმებით ნაბიჯდამძიმებული მოხუცები. მოდიოდნენ კი არა, ნოისწრაფვოდნენ, ვერავის და ვერაფერს ამჩნევდნენ ირგვლივ თავიანთი ჩექმების მტვრიანი ჰვინტების გარდა. ერთი ბეწო, არაბუნებრივად ფერმკრთალ სახეებზე არაბუნებრივი სიმშვიდე და მორჩილება ეხატათ. მათი დანახვისას ელიზბარს ყოველთვის გული ეკუმშებოდა და ხან ფეტრის შლაპიან მედიდურ მღვდლებზე ბრაზდებოდა, ხანაც ამ საცოდავ მოხუცებზე...

ვანომ და სიომამ ფუნთუშებს „პრიმის“ დაჭმუჭნილი ღერებიც მოაყოლეს. შიმშილი რომ მოიკლეს, გააბოლეს და ლაპარაკის ხასიათზე დადგნენ. ვანომ ელიზბარს ჰკითხა, ის გალმელები თუ ნახე, გუშინწინ რომ „ეშუხურეო“. ელიზბარმა თავი გადააქნია უარის ნიშნად.

„გეძებენ...“ — დაუმატა სიომამ.

„მეძებონ...“ — მხრები აიჩეჩა ელიზბარმა.

„მარტო რო გადაეყარო...“ — არ მოეშვა ვანო.

„გადავეყარო, რა...“

„რო გაილახო...“

აქამდე დაუფიქრებლად პასუხობდა, ახლა კი, როცა დააპირა ეთქვა, გავილახო რა, ერთხელ ხომ მაინც მოვიქნევეხელსო, გაჩერდა, მიხვდა, რომ ვანო და სიომა მისგან სხვანაირ პასუხს მოელოდნენ. მიხვდა იმასაც, თუ რას მოითხოვდნენ ბიჭები და წარმოიდგინა, რა ყალბი და ნაძალადევი იქნებოდა მისი პასუხი. ყოველი სიტყვის უკან საქმე რომ იდგა და ეს საქმე რომ არ აძლევ-

და სიტყვის თქმის უფლებას, ბუნდოვ-
ნად გრძნობდა.

„ჩაიგდე რა, დანა ჯიბეში...“ სიჩუმეს
ველარ გაუძლო სიომამ.

ელიზბარს ძალიან უნდოდა დამაბუ-
ლობის განმუხტვა, ძალიან უნდოდა
ისევ ისე ლაღად, დაუფიქრებლად ერა-
ტრატა ბიჭებთან, როგორც გუშინ,
გუშინწინ... იცოდა, რომ ამის მისაღ-
წევად უნდა ეთქვა, ჰო, თუნდაც სულ
ჩუმად, ძლივგასაგონად, ანდა თავი და-
ექნია, მაგრამ მაინც ჯიუტად დუმდა.
დუმდა იმიტომ, რომ გრძნობდა, —
ჯიბეში დანას ვერ ჩაიდებდა, მერე იმ
დანას ვერ გახსნიდა და იმ გაღმელებს
ვერ მოუქნევდა.

„მე დანას ვერ ჩავიდებ...“

ეს სიტყვები საკუთარი დუმილით
გალიზიანებამ ამოადრღინა და არა ბი-
ჭების ჩაცეხებამ. ვანოს ცუდლუტი
მოსწავლის მიერ ვერმოტყუებული მას-
წავლენილით ჩაელიმა და წამოდგა,
გალავანზე გაფენილი ცხვირსახოცი
გაფერთხა. წამოდგა სიომამც.

ხელის აწევით დაემშვიდობნენ და
წავიდნენ, ტუჩებზე დაკერებული ირო-
ნიული ღიმილი წაიყოლეს.

მოულოდნელი წასვლა და ეს უშნო
ღიმილი ნიშნავდა — დაქერის გეში-
ნაო...

სიხარულით და თავის ნებით არავინ
ბარდებოდა მილიციას, მაგრამ ელიზ-
ბარისთვის ყველაზე შემზარავი და დამ-
თრგუნველი იმის გაფიქრება იყო, რომ
დანის დარტყმისგან მხოლოდ ციხეში
მოხვედრის შიში ამუხრუჭებდა, სხვა
არაფერი... ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ
ის უკანასკნელი ნაძირალა იყო...

დამოუკიდებლობის მეორედ გამოფ-
ლენაც მარცხით დამთავრდა... და ეს
მარცხი უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე
პირველი, ზედმეტ სახელთან დაკავში-
რებული.

ვაგონივით ვიწრო და გრძელი, ორსა-
წლოიანი პალატის ერთი კედელი თით-
ქმის მთლიანად მალალ, თლიან ფანჯა-

რას ეჭირა. ფანჯრიდან ჩანდა აკაციის
მოშავო, გაბარჯილი ტოტები, ^{მთელი} ~~მთელი~~
ებს მიღმა — წითელი აგურით ნაშენი
ყრუ კედელი და ცის ნაჭერი. ელიზბარს
მთელი დღის განმავლობაში თვალის
მოუცილებლად შეეძლო ეცქირა ამ ხე-
ლისთვის, ეცქირა როგორც ნახატის-
თვის და ეფიქრა. გადარჩენისათვის
ბრძოლაში დაღლილ, გამარჯვებულ
სხეულს სიწყნარე და მოსვენება სიამ-
ოვნებდა. რამდენიმე დღით იძულებით
დასვენებული გონება კი ამოძრავებდას,
ამუშავებდას ესწრაფვოდა, მაგრამ სხე-
ული ჯაბნოდა... ძველებურად ველარ
ფუთფუთებდნენ მტანჯველი ფიქრები.

მნახველები, რომლებიც თითქმის
ყოველდღე მოდიოდნენ, თავიანთი გა-
მორჩეული ყურადღებით პატივმოყ-
ვარეობასაც უკმაყოფილებდნენ და ხა-
ლისსაც მატებდნენ. ბიჭები ძუნწ სა-
უბარში ძველ და მხოლოდ სასიამოვნო
ამბებს იხსენებდნენ. გოგონებს კი, პილ-
პილიან ჭორებთან ერთად, მინდვრის
ყვავილებიც მოჰქონდათ, რომლებსაც
დედა არაჟანის მომცრო ქილებში აწ-
ყობდა.

შურისძიება მხოლოდ მაშინ ახსენ-
ებდა თავს, როცა დედა ან სანიტარი
ქალი ლამის ჭურჭელს უდგამდა ლოგ-
ინში. მაშინ ის კბილების ღრქილას გი-
ნებით აბოლოებდა ხოლმე და ერთხანს
კრიკაშეკრული გაჰყურებდა ფანჯარას.
თუმცაღა, შურისძიების სურვილი სწრა-
ფად ფერმკრთალდებოდა და მის ად-
გილს ახალ პალატაში გადმოსვლის
დღიდან აკვიატებული მონატრებები
იკავებდნენ.

ენატრებოდა ლუდი. რომ წარმოიდ-
გენდა, როგორ წაუსვამდა ჭიქის პირს
მარილს, რა სიამოვნებით დაღევდა
ქაფმოკიდებულ, მომწარო სითხეს, შუ-
ბლზე სულ ცივი ოფლი ასხამდა კაი
ლოთივით...

ლუდი ის იყო თუ იყო; შენაქოვლებ-
თან რომ სვეს აგიურთობაზე...

სვინარევე, პირის დამშუშხავ თაფ-



ლისფერ სითხეს ვეებერთელა ქვაბიდან თუნუქის ტოლჩებით იღებდნენ, ყან-წებში ისხამდნენ და ისე იყუდებდნენ. თავზე ადგათ მზით კვლევბაპრიალებული ნანგრევები. იყო შულტის რობრო-ხი, ზარ-ზანზალაკების ქლარუნი და მთვრალეების გნიასი...

ელიზბარი ტყვეობიდან გამოქცეულ იმ ლტოლვილს ჰგავდა, სატუსალო ყოველ წუთას რომ ახსენებს თავს და თავისუფლებით ტკბობაში ხელს რომ უშლის. ერთი პირობა მოილხენდა, სად-ლეგრძელოს იტყოდა, თუშებს გამოელაპარაკებოდა. მერე გაირინდებოდა, სათიბებს იქით წამომართულ მთებს უაზროდ გაუშტერებდა მზერას... ამ ალალმართალ ზალხთან ჭდომის ღირსად არ ნიაჩნდა თავი. საკუთარი უღონობით და გულდღელობით გაღიზიანებული, ზურას წინაშეც დამნაშავედ გრძნობდა თავს. ფიქრობდა, რას წამოვეყვი, რატომ ჩავუშხამე ამ კაცს მთაში ამოსკლოა...

არადა, რა იოლი იყო ზურას გვერდით ყოფნა. ამ ბიჭს, რომელსაც ყველა სიტუაციაში იმედისმომცემი, ნათელი ღიმილი ჰქონდა, — არც მისი ძალა აინტერესებდა და არც მის მიერ ქუჩაში მოპოვებული წარმატებები. ვანოსთან და სიომასთან იმღამინდელი ლაპარაკის შემდეგ ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ჰკითხა, მთაში თუ წამოხვალა? ელიზბარს მთაში ხეტიალი არასოდეს იზიდავდა, მაგრამ ქუჩიდან გამოყოლილი მტანჯველი ფიქრებისგან თავის დასაღწევად მთაში კი არა, ჯანდაბაში გადაიხვეწებოდა... გამოცდები ჩააბარეს, ზაფხულის სტიპენდიები აიღეს, ზურგჩანთები კარგად დატენეს და თელავისკენ მიმავალ აეტობუსს გაჰყვნენ...

მისი მომავალი „მტერიც“ ზურამ გააცნო...

ჭრილობა რომ შეუხორცდა, ექიმებმა წამოჭდომისა და ფეხების ამოძრავების ნება რომ დართეს, მაშინ იგრძნო

პირველად, თუ რა დიდი ბედნიერება ისეთი უბრალო რამ, — როგორც ნაბიჯის გადადგმა. დაჰყურებდა დაწვრილებულ, ავადმყოფურად გათვრებულ ფეხებს, ბალიშს მიყრდნობილ, ძძიმედ აქოშინებულ ტანს და წარმოუდგენლად ეჩვენებოდა საკუთარი სხეულის არარსებობა. იმდენად წარმოუდგენლად, რომ ამაზე ფიქრის უფლებას არ აძლევდა თავს, ივიწყებდა, როგორც ფუქს და დამლელს...

მართალია, ძალიან უჭირდა, თავბრუ ეზვეოდა, კეფა სტკიოდა, მაგრამ მაინც ახერხებდა, ერთი საათი მჯდარიყო და ფეხები მდინარის პირას ჩამოსკუპებული ბალღივით ექანავებინა. ბოლო დროს მეზობელი პალატიდან ხშირად ისმოდა ტრანზისტორის ხრიალი. ელიზბარი თავის „ვარჯიშებს“ მუსიკის დაწყებას ამთხვევდა, ასე უფრო მხიარულად გრძნობდა თავს და ძალაც ემატებოდა. ადგილზე ირწყეოდა, მხრებს და ხელებსაც აყოლებდა ხან როკ-ნ-როლის მკაფიოდ გამოკვეთილ რიტმს, ხან ვირტუოზი გიტარისტების თავბრუდამხვევ პასაჟებს. კიდევ კარგი, მარტო იყო პალატაში, სხვა ავადმყოფებიც რომ წოლილიყვნენ, ასე თავისუფლად ხომ ვერ იქნებოდა. მადაც მოემატა. ადრე თუ ინაზებოდა, ახლა სიამოვნებით ხვრებად დედის მოტანილ ცხელ, სურნელოვან ბულიონს და თან ცდილობდა, წარმოედგინა, როგორ გაივლიდა უნივერსიტეტის ბალში შავ შარვალსა და თეთრ პერანგში გამოწყობილი, ძველებურ, პაპისეულ ტროსტს ჩამოყრდნობილი...

ზურას დღეობაზეც შავი შარვალი, თეთრი პერანგი და სქლად ნაქსოვი, გულამოჭრილი ჯემპრი ეცვა. ერთხელ, ერთმა გოგომ, ასე ჩაცმული, ერთ ძალიან ცნობილ და საყვარელ მწერალს მიამსგავსა... მას შემდეგ არც ერთ წვეულებაზე სხვანაირად ჩაცმული აღარ მისულა.

ბევრი სვეს...

„ბიჭო“, მოესმა.

მიიხედა.

მის წინ მჯდომი ზურას ძმაცაი მე-
ზობელ გოგოს რაღაცას უყვებოდა სი-
ცილით და დროდადრო მისკენ იხედე-
ბოდა. გოგოც გულიანად კისკისებდა...

წამსვე ვანოს და სიომას იმლამინ-
დელ, ირონიულ ღიმილს დაუკავშირდა
ეს სიცილი...

დაუკავშირდა და ტალღასავით მოვ-
არდნილმა ბრაზმა თავისი ჰქნა...

ისე წამოხტა სკამიდან, თითქოს ხე-
ლი უბიძგესო.

გავიდეთო, უთხრა ბიჭს.

იმან ახედა, გოგოს გაოცება დაეტყო,
მაგრამ ელიზბარი ველარაფერს ამჩ-
ნევდა.

„გაგედი, ბაბო?“ — ჰკითხა ბიჭმა.

მაგაზე გარეთ ვილაპარაკეთ, —
სკამი უკან დასწია.

ბალტოებს რომ იცვამდნენ, ველარ
მოითმინა და შეაგინა.

მერე კარი გააღეს და გარეთ გავიდ-
ნენ. ქვევით, ბაღში უნდა დაერთყათ...

საავადმყოფოდან გაწერის მოახლო-
ებამ ისე ძლიერად უბიძგა საკუთარ
თავთან უღმობელი გულახდილობისა-
კენ, რომ წამოდგომის, შინიდან მოტა-
ნილი ტანსაცმლის ჩაცმის და პაპი-
სეულ, სახელურმოჩუქურთმებულ ტრო-
სტზე დაყრდნობის სიხარული, წოლის
დროს ოცნებად რომ ჰქონდა გადაქცე-
ული, თითქმის არ უგრძვნია.

ღლისით დადიოდა დიეტური ბორშ-
ჩისა და წამლების სუნიტ გაჟღენთილ,
გრძელ და ნათელ დერეფნებში, ჩერ-
დებოდა ღომინოს თამაშით გართულ,
თივთიკის ხალათიან ავადმყოფებთან,
სტენდებთან, კედლის გაზეთებთან; სა-
ღამოობით ბოლოს სცემდა თავის ვიწ-
რო პალატაში და ფიქრობდა, შეუსვე-
ნებლად ფიქრობდა.

ჩქარობდა, გონებას მოსვენების საშ-
უალებას არ აძლევდა, ცდილობდა ერ-
თმანეთში გადახლართული მოგონებე-
ბი და შთაბეჭდილებები — ძველები

და ახლები, საავადმყოფოში წყურველი
დროს წამოტივტივებულები, — მხოლოდ
ესრებიზნა, ერთმანეთისთვის დაეკავ-
შირებიზნა, აეხსნა, სახელები დაერქმია.
ის ახლა ჭურჭელში სანთლით მობო-
რიალუ კაცსაც ჰგავდა და, კულისებში
გარინდულ ახალბედა მსახიობსაც,
რომლის სცენაზე გამოჩენას სულგანა-
ბული მაყურებელი მოუთმენლად მო-
ელის.

გრძელ დერეფნებში და პალატაში
ნაბიჯ-ნაბიჯ ათვლილ დროს თავისი
გაჰქონდა და განუწყვეტელი ძალდატა-
ნებისგან მოთვინიერებული ფიქრები
თანდათან ემორჩილებოდნენ მშვიდ
განსჯას.

როგორც კი სამაგიეროს გადახდაზე,
შურისძიებაზე იწყებდა ფიქრს, მაშინ-
ვე თვალწინ წარმოუდგებოდა ეკლესი-
ისკენ მორჩილად მიმავალი ლანდად
ქცეული მოხუცი ქალები. ახლა ხედე-
ბოდა — მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა
მათი შეცოდება, უფრო სწორად, მათი
სწრაფვის შეცოდება, თუკი ისინი
ბრმად, გაუცნობიერებლად, უსიყვარუ-
ლოდ მიისწრაფოდნენ ეკლესიისკენ, და
თუ ყოველივე პირიქით იყო, თუკი მათ
სწრაფვას აზრი და სიყვარული ასულ-
დგმულებდა, მაშინ მათ შესაცოდი არა-
ფერი სჭირდათ. თვითონაც საცოდავი
იქნებოდა, თუკი ჯიბეში დანას ჩაიდებ-
და და სამაგიეროს გადასახდელად წა-
ვიდოდა, საცოდავი და რაღაც კანონებს
ბრმად დამორჩილებული, რადგან
მიზნისკენ სიძულვილს უნდა წაეყვანა,
სიძულვილს... რომელსაც ოდნავადაც
ვერ გრძნობდა. იწყებდა ჩხრეკას, რა-
თა მცდარ დასკვნებს არიდებოდა და
ბოლომდე გულახდილი დარჩენილიყო
საკუთარ თავთან. აღარ ეშინოდა სამარ-
ცხვინო სისუსტეების აღმოჩენის, რად-
გან გრძნობდა, სხვანაირად ჭეშმარიტე-
ბას ვერ მიაკვლევდა... იმ საბედისწე-
რო საღამოს, ის ბიჭი საჩხუბრად რომ
გაჰყავდა, საკუთარი თავი სძულდა, სა-
კუთარ თავს ეომებოდა, მისთვის სულ

ზაალ სამაფაშვილი

ბაბო დაბრუნდა!!!

ერთი იყო, ვის გაიყვანდა საჩხუბრად, იმიტომაც არ დაუწყია რკვევა, მართლა შეულახეს თავმოყვარეობა, თუ მოეჩვენა... მაგრამ, ხომ იყო წუთები, როცა თავისი „მტერი“ სძულდა? — იყო... როცა სწყუროდა, როცა ღამის ჭურჭელს უდგამდნენ ლოგინში... მაშინ რომ სჭეროდა ღანა? — მაშინ ალბათ მოიქნევდა, მოიქნევდა და ინანებდა, რადგან არ შეიძლება მოკლა კაცი იმის გამო, რომ ერთი ჭიქა ცივი წყალი გინდა, ანდა გეჩოთიერება ღამის ჭურჭელს რომ გიდგამს სხვა. მისი „მტერიც“ ნანობდა ალბათ, მყისიერ სიძულვილზე მაღლა დადგომა რომ ვერ მოახერხა. ელიზბარს სჯეროდა, რომ ნანობდა. ბოლო-ბოლო ის ხომ ზურას ძმაცაი იყო...

გაწერის წინა ღამით ღრმად, უჩვეულოდ მშვიდად ეძინა და ეს უჩვეულო სიმშვიდე — გაღვიძებისას, ჩაცმისას და გარეთ, დერეფანში, ექიმებთან გამომშვიდობებისას განუყრელად რომ ახლდა თან, საღდაც უკვალოდ გაქრა მაშინვე, როგორც კი უქან, პალატაში შედგა ფეხი და ცარიელ ოთახს მოავლო თვალი.

იმის წარმოდგენაც კი გაუჭირდა, — როგორ უნდა აეღო ალაგებულ, ზამბარებგაშიშვლებულ საწოლზე დადებულ სპორტული ჩანთა და როგორ უნდა დაეტოვებინა აქაურობა სამუდამოდ.

ჩამოჯდა, ფანჯრისკენ გაიხედა.

აქ, ამ ოთახში იძულებითმა გაწმენდა ტოებამ, ამ მაღალმა თალიანმა ფანჯარამ ბევრი რამ ისევ მკაფიოდ და ნათლად დაანახა, როგორც მზე, წვიმა და ქარის ქროლა.

ძვირად უღირდა აქაურობა.

ქვემოდან დაუძახეს.

არ უნდოდა ადგომა, მაგრამ მაინც წამოდგა. ბოლო-ბოლო ხომ უნდა ამდგარიყო.

ჩანთას დაავლო ხელი და მაშინვე წელანდელი უჩვეულო სიმშვიდის შეგრძნება დაეუფლა. უკვე კართან იყო მისული, რომ შედგა. შედგა მოულოდნელი აღმოჩენით ხელფეხშებორკილი...

ეს უჩვეულო შეგრძნება სიმშვიდე არ იყო. ეს იყო თავდაჯერება — მონავალი ხიფათების და დაბრკოლებების გამოიღლებელი, აქ, ამ კედლებში მოპოვებული გამოცდილების შედეგი. გამოცდილებისა, რომელიც სხვა არა იყო რა, თუ არა ჯიუტად, შეუპოვრად გადახარშული ნანახ-განცდილი.

...და ელიზბარმა უსაზღვრო მაღლიერება იგრძნო ბედისწერისადმი, რომელიც უღმობლად გაეთამაშა და გადაჩენის შანსი დაუტოვა...

ის ქუჩაში გადიოდა...

გადიოდა და გაჰქონდა ქეშმარიტება... სხვათა დაუხმარებლად, — საკუთარი ტანჯვის და სისხლის ფასად მიკვლეული ქეშმარიტება...



დედას

დაგმანულია შენი სამარე
 ბლუჯა ბალახის სუსტი ფესვებით,
 ოცდამესამე წელიწადია
 ამ ბალახებით მებაღერსები.
 მაგრამ მე ახლა თერთმეტი წლის ვარ
 და ყვავილებთან მინდა თამაში;
 ვინ მეტყვის ძვლები როგორ იფშენება
 ქვისკბილებიან მიწის ხახაში,
 ყალყზე შემდგარი მყავს ჯოხის ცხენი
 მე შენი თბილი უბე მიფარავს.
 ამოვამლერებ ლერწმის სალამურს,
 ტყიდან მომბლავის ჩემი წიქარა.
 ხან თოვლი მოდის, სტუმრად ჩამოდის
 თოვლის დევებით, თოვლის მითებით

გამოხეული ფეხსაცმელიდან |
 დაწითლებული მიჩანს თითები,
 ეს ბებოჩემიც გამომდევს კუდში,
 თოვლის დევებთან მინდა თამაში,
 ვინ მეტყვის ძვლები როგორ იფშენება
 ქვისკბილებიან მიწის ხახაში.
 მაგრამ ბავშვობის ლურჯი სამყარო
 კაი ხანია გადარაზულა,
 დაობლებული დგას ძველი სახლი,
 ვინც მე მიყვარდა ყველა წასულა.
 გავიდნენ წლები, მე დავრჩი ბავშვად,
 სულმა ჩაკირა ცრემლის ჭურები,
 ოცდამესამე წელიწადია
 ამ ბალახივით შეჩურჩულები.

ოცი წელია იყვნენ ჩემთვის
 არ დავდიოდი მე იების
 განკარგულებით;
 სამი წელია მაქვს ღვთიური შენგან
 პატივი
 იგივე იები მისვენია სულში ხატივით.

მოვდივარ მათთვის უბატონოდ ხმის
 არ გამცემო
 იები, შენი სრა-სასახლის კარისკაცები,
 მიცნობენ... ბედის შხამიანი ამცდა
 ისარი
 სამი წელია ვარ იებით ნამეჯლისარი.

იელის ბუჩქო, ხიდის თავს
 ხარ მომლოდინე ვისი,
 რისად ჩაგიცვავ ფერადი,
 კიდევ ნისლი და ნისლი.

მდუმარედ აგივლ-ჩაგივლი,
 ვერ შემოგბედავ ვერას,

ისე ეგ შენი ნათელი
 ჭრილობებს ჩემსას კერავს.

იელის ბუჩქო, გადმოდი,
 ვიდრე წამაქცევს მეხი,
 ემაგ შენ ქვალორლიანად
 მკერდზე დამადგი ფეხი.

შენდაში

ვისთვის უჩინო, ვისთვის საჩინო
 სულმზიანობით შენით — საწყალო,
 ან უნდა მომკლა ან დამარჩინო,
 ხარ საკუთარი ჩემი ფშა-წყარო.

რისთვის ამდენი ცრემლი მართალი,
 ვით უმკურნალე ამ ჩემ სიბუცეს,
 თუ გიერთგულე, კაცად ჩამთვალე
 თუ გიორგულე, მეწყერს მივეცე.

გული უზინჯო რას მახედვინებს,
რა მშვენიერი დგება წუთები,
მაგ შენს ბუერას მწვანე მერდინებს,
მე ძველებურად ვესაუთუები.

ბრიყვთ შეგაყარონ თვალში ნაცარი,
შესაძლებელი არის სრულდებოდეს
არ შემიშინდე, შენ გენაცვალე,
მე დაგიფარავ ხელისგულებით.

მზის ნატეხივით იბრიალე,
ნათელი შენი მიზიარე,
ბორბალა თავი მომიწიე,
ძველი ჭრილობა მომიძიე.

მოდო და გულზე დაშეცერი,
ნატვრას გაუყავ სარეცელი,
გვირილავ, მეტისმეტი არი
ამ ქარში შენი ხეტიალი.

ორ მზეს შუა
ქარი ქშუა,
ქარიც ტრფობით მთვრალია.
ორ მზეთაგან ერთი მართლა
საოცნებო ქალია.
ორ მზეს ვგუობ,
განა ვცრუობ,
გულო, გაგიხარია,

ქალი მითქვამს, თორე იგი
ჭირსა შიგან ფარია.
აგრე ვრაცხე,
ჯავრი ვფარცხე,
ჭირი ღზინად მქცევია,
კაცი მქვია: შავისაგან
თეთრი გამირჩევია.

იზა ჯაჭვადი

შულამისას, ჩემო დედილო,
მიასლოვდები დაღლილი მგზავრი,
კალთით მოიწმენდ ცრემლიან
თვალეებს...
ხმას შეჰპარვია სევდა და ბზარი.

როცა მტრედისფრად ინათებს ზეცა
და დაიღვრება მიწა ფერებად —
მიდგება-მოდგება ციდან ნათელი
და შენი ხელით მომეფერება.

ა ა ა

გატეხილ ღამეს,
გაფრენილ ღამეს,
დარდს შემოწვეულ
ნუგეშს ნებდები,
მიყურებულხარო ერთი ლოდის ქვეშ
შენა და შენი მთის ლეგენდები.
დაემშვიდობეთ დღესა და ღამეს,

იმედად გაგყვა
ოცნება ლექსის...
წევხარ ჩუმად და
თან წაყოლილი
წიგნი სათუთად
გიპყრია ხელში.

შენი თვალის
სირინოზებს
კეფურები,
თვალციმციმა,
პირლიმილა პაწია!
აკვნის პირას,

აკვნის პირას იავნანამ
სახლის ჭერი ასწია...
თვალეებს შუქი
უფინება ვარდის ფერი
დედის გულში
თაფლია და მარწყვია.

მერი ბიწაძე

თუ ეგ ღიშილი არ მავიწყდება,
ჩემი აქ მოსვლაც შენი ბრალია,
ყაყაჩოს გზისკენ თვალეები სწყდება
და მე მგონია ისიც ქალია.

შენზე ოცნებას თავი მივეცი,
ტყე რალაც უცხო ზღაპარს მომიყვა,
უცებ აჩქროლდა გული იმედით,
რომ გაზაფხული შენც არ მოგიყვანს.

მე აღარაფერს ვეძებ ზეცაში,
კარსკელავთ სიშორე გულს აღარ
კენწლავს,
ძვირი ღასი აქვს ახლა ჩემს თვალში
პატარა ცვარში მოქცეულ ზეცას.
აღარ მადარდებს ფრთები ორბების,
მწვერვალთა წვდომით არ გავწვალდები

ყოვლისმძლე კვარტებს დაველოდები,
შევახებ თითებს და დავწყნარდები,
დე, შემოდგომის უგულო ქარმა
მე ბალანივით მუხლში მომცელოს, —
მშობლიურ მიწას ვეკვრები ხარბად,
რომ დავემსგავსო ომში დაცემულს...

ჩემი რა შეგშურდა,
იებს ვამრავლებდი,
სხვა ხომ არაფერი,
თბილი სიტყვა მსურდა,
მინდვრის ყვავილივით
გულზე დასაყრელი,
სხვა ხომ არაფერი...

შენთვის სიყვარული
მქონდა გასამხელი,
სხვა ხომ არაფერი...
ჩემთვის რალა დამრჩა,
გავვე, რაც მეებადა,
სხვა ხომ არაფერი...

მისთვის თუ ახელს თვალს ჩიტისთვალა.
რომ ქართულ მინდვრებს სანთლად შემორჩეს?
ფრთა გაუშლია თეთრგულა მერცხნალს
და თავს მოიკლავს საქართველოსკენ...

სანამ მოხსნა სარ, არ გაგმოდო სიკვდილი

მ ო თ ბ რ ო ბ ა

ოთახი საღამო ხანს გამოვიყვეს. სახლიდან წამოდებულ ნივთებს ადგილი მივუჩინე თუ არა, აივანზე გავედი, პატარა, დეკორატიულ ბაღს თვალი მოვაველი, მოშორებით, ბინდბუნდში, ტყე-პარკიც დავინახე. სივარტეს მოვუყიდე, ორი ნაფაჩის შემდეგ გულმა შემახსენა თავი: ოთახში შევბრუნდი, საათს დავხედე — ცხრა სრულდებოდა. ვიქლინოს წყნარი, სევდიანი ხმა შემომესმა.

მივაუარაღე. მუსიკას კედლის მიღმა უკრავდნენ. მესიამოვნა. წარმოვიდგინე დაახლოებით ჩვენი წლოვანების, მაღალ-მაღალი, გამბარაი, მუდამ სუთთად გაპარსული, გახანებულ პერანგში გამოწყობილი მევიოლინე, რომელსაც ცხტვრებაში არ გაუმართლა და დარჩენილ დღეებს მარტოობაში ატარებდა. გადავწყვიტე დაუყოვნებლივ წარვდგომოდი და დავმეგობრებოდი კიდეც. კარზე მორიდებით მივაკაკენე.

„შეშრბანდიო“, — ქალის სევდიანი, გაბზარული ხმის გამოვინე, დავიბენი. კარი კრძალვით შევაღე.

აივნას ოდნავ მოდებულ კართან სამოცდაათ წელს მიღწეული ქალი იჭდა. ბეჭებზე შალი მოესხა, ლურჯი ნაქსოვი კაბა ფერბთამდე სწვდებოდა, ვიოლინო იქვე მდგარ პატარა მაგიდაზე გადაედო და გაოცებული მიმწერდა.

— გისმენო, ბატონო.

ხმამ შემეკრო, უნებურად თვალი თვალში გავუყარე, იქ კი წლოვანი ქალის ისეთი უზომო დარდი დავლანდე. რომლის აღქმა მხოლოდ მარტოებმა მოხუცს თუ ძალუძს.

— მომიტყევე მუდროვება, რომ დავირღვიეთ, მაგრამ, დამერწმუნეთ, ბრალო თქვენს ქაღალსურ ხეშს მიუძღვის, — ბუტბუტით წარმოვთქვი.

შევაშინე, თვალები გაუცივდა, არაფრის მოქმედი დადებითი შეიკრა მომაპყრო, ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა.

— თქვენ აღზახ, ახალი შეზობელი ბრძანდებით.

— დიხ, გადამდგარი ოფიცერი როსტომ თაყაიშვილი გახლავართ.

ჩაეღიმა.

— ანეტა თვალაძე... — შეუცვნდა, კვლავ

გაიღიმა, — მეც თქვენი მხედრული ტერმინი რომ ვიხმარო, გადამდგარი პედაგოგი გახლავართ.

ნელ-ნელა საუბარი აეწყო.

პენსიამდე ლიტერატურის მასწავლებლად ემუშავა. საერთოდ, მთელი ცხოვრება მარტო გაეტარებინა და ახლა, წლებში შესულს, აქ ეპაჟნა ნავსაუდელი.

მაღე შევინწე, საცხოვრებელში ხაზგასმული პატრიისციმით სარგებლობდა. თავადაც უურადდებოდა, თავაწიანი, კორექტული გახლდათ, თუმც არავისთან მეგობრობდა. არ მსურს მარტოობის მძიმე ლოდი ვინმეს უფრო დავუმძიმო, — ამბობდა.

გამოწყალის მხოლოდ მე გახლდით. სხვაგვარად ალბათ არც შეიძლებოდა. მე ხომ ის კაცი ვიყავი, ვინც უნებურად თვალი ჰქიდა მის უნილბო სახეს.

მხანველები რომ არ დავდიოხდა. ამან უფრო დავგაბლავა. ხშირად ვსერირობდით ტყე-პარკში, რამდენჯერმე ჩაიწეც მიმიწვია. ცხოვრებაზე, ზელოვნებაზე, პოლიტიკაზე ვბაალობდით. არ უფილა შემოხვევა, დიალოგი ინტიმურობის იდუმალ ზღურბლს გასცდენოდეს. ვიოლინოს ხომ ტაბუ დაადო. ერთხელ როსტომლაც შევპარე თხოვნა — დაეკრა. თითი დამიქნია, დაწვები შეეფაჟა.

— რჩსტომ, ნუ ეშმაკობთ. ისიც გეუფათ, რაც მოისმინეთ.

ამ იდუმალეობით მოცული ქალის ტყვედქმნილი შევიქნე.

საქამო დრო გავიდა. ერთხელ მის სავარძელს ფეხი მოერყა და ღურჯაობა გავწე. სამუშაო რომ დავამთავრე, ანეტას ოდნავ ირონულ, ცნობისმოყვარე ღიმილს შევასწარი თვალი.

— ოფიცერო, რა ჩინის ბრძანდებოდათ არ მიაში?

— გაჩნია, რომელ არმიას გულისხმობთ. მეფისაში პორუჩიკი გახლდით, წითელში პოლკოვნიკის წოდება მქონდა.

— ომ, მე, სულ ცოტა, არმიის გენერალი მეგანეთ.

ანეტას ირონია წინევიით მაწვებოდა და მთრგუნავდა. წყენა არ შევიმჩნიე, ხელი გავუ-



წოდებ. საჯაროელი მიგურონი და მთელი სერო-
სულაბით მივუდგა:

— გენერალბრძოლი რომ იტყვიან, ერთი ნა-
ბიჯილა მკლდა, მაგრამ დღუფიკრებლად წა-
ქვამმა ფრანგმა საკმაო დროით იწმინდაცააში მო-
მასხვედრა (დროს მძიმე იყო, ამიტომ აჩაფის
ვაშტუენებ). ჩემილდეტის შემდეგ ახალგა-
ზრდებს სამხედრო საქმეს ვასწავლიდი. რა-
გორც ხედავთ, მრავალმხრივი განვითარება
მაქვს მიღებული.

— თქვენ უფრო საინტერესო კაცი ბრძანე-
ბულბარტ, ვიდრე მეგონათ, გიბრძნობთ?

— დიახ, გენერალ სამხროვის არმიასი ავ-
სტრელებს ვებრძოდა (მძიმედაც დავიჭერი),
პოლკოვნიკს წოდება კი სადბინ-გოლთან მი-
ვიღე.

— ოკაბი თუ გქონდათ ოდისმე? — როგ-
ორც იქნა, ის წყურული ირონია გაუქრა.

— ქალი, რომელთანაც შეიღო შემეძინა,
ჩემი მეუღლე არ ყოფილა, შეიღოშვილს კი არ
შეგვხვდრივარ. გავიგე, რატომცმე რქმევია. სი-
მართლე გითხრათ, ამ ცნობამ დიდა ხიამოც-
ნება მომწინა.

— ნუთუ არავინ გიუვარდათ? — ქედმალ-
ლური, ცივი თანაგრძნობით მკითხა.

— როგორ არა, — ღიმილით მივუდგე, —
„ოცნება“ მიუვარდა, ნაგრამ, სამწუხაროდ,
„ოცნებას“ როგორღაც ვერ შევხვდი.

თვალეში ჩავეხდე. სადღაც შორს, ნაცნობ
უძირო სევდას ვავლი თვალი. მაგრამ ეს იყო
მხოლოდ წამით. თავს სწლია, თვალეში უძირო-
ლის სქელი ღიბით დავფარა. ძლივსავაგო-
ნად წარმოთქვა:

— ბედნიერი კაცი ბრძანდებით, ამ წუთი-
სოფელს უღარდებდა დატოვებთ.

ჩემი შევხედე. ვითბე:

— ვითომ?

რატომღაც აიღეწა, ნიშნულიწინარევი ცინი-
ზმით გამოსცრა:

— რა თქმა უნდა, თუშე, მაპატიეთ, დამა-
ვიწყდა. გამოუქვეყნებელი შემუარების დარდი
გაგუებათ.

ვერაფრით მივხვდარიყავი ანეტას ასეთი
ცვლილების მიზეზს. გაუბედავად ჩავილულ-
ულულე:

— ორიგინი ვალმოხდილია წავალით ამ ქვე-
ყნიდან.

გამწარებით შემოხმედა და ცივად მითხრა:

— როსტომ, რაღაც შეუძლებელ ვერძნობ
თავს, თუ შეიძლება, მარტო დატოვებ.

გამოსვლა ვერ მოვასწარი, საეტბო რომ გა-
იხსაქუნა, ანეტა არახსდეს ეტბადა კარს და
ახლა ამ ხმამ უფრო დაახანა. წიგნი ავიდე,
საწოლზე მივწეკი. გვერდის ჩათავებაც ვერ
მოვასწარი, ვიოლინო ახმინდა.

სწენად ვიქეცი.

ვიოლინო ნერვიულადა, წვალობდა, გულ-
ის გამაწვარიებლად მოთქვამდა. შერე უც

ხად ახალგაზრდებოდა და ქვეყნიერებას წა-
ღიკვას უქადა. დიდხანს ვერ გაუფრთხილ-
ვარ გოდებას, ოთახიდან გავდე.

გვიანობაზე ტუე-პარკში ვიხიდილი.

დღისით იმდენად ვიყავი გათანჯული, თავი
ვერ ვწეე. კარზე რომ დააკვეთეს, ძლივს წა-
სვდიქი. საღათი შემეცვიცო, კარა გავადე-
გაოცებისაგან გავშეშდი. ჩემს წინ ანეტა იდგა.
მთელი ჩვენი ნაცნობობის განმავლობაში ეს
მისი პირველი ვიზიტი გახლდათ.

— შეიძლება? — შემპარავი ღიმილით მკი-
თხა.

— კი, კი, ბატონო...

შემოპატიებთ ახლადა მოვიფიქრე, სკამი
შევთავადე და არეულად ვთქვი:

— ამწუთას, თავს წესრიგზე მოვუყვან და
გეახლებით.

საპირფარეშოში გავდე.

— ბონაპარტისტი ბრძანდებით? — გამომ-
ძანა.

მივხვდი, ასეთი აწრი კედელზე გაკრულმა
უკლუი დავიდის ცნობილმა რეპროდუქციამ
უკარნახა.

ოთახში დავბრუნდი. ანეტა რეპროდუქციას-
თან იდგა და ურუადლებით ათვლიერებდა.

— როგორც ყველა ჯიციერს, მეც მჭირს
ეს სენი.

— შე კი არ მიყვარს ეს თქვენი ბონაპარტი-
— რატომ?

— თქვენსავით უკულო იყო და იმითომ.

— ოოო, ასეთი შედარებით მანებერებთ,
ქალბატონო ანეტა, — გავიბადრე.

— ღიქიროს თუ სვამთ? — მკითხა მშულო-
დნელად.

— გაანია, როგორაა მომზადებული.

— ჩემი მოგეწონებათ. ხვალ ოცდათერთ-
მეტი დეკემბერია, ახალი წლის შესახვედრად
ჩემთან გავწევთ, რა თქმა უნდა, თუ ოფიცერს
აქვს ამის სურვილი. — მოთხრა დაცივით. —
იქნებ ოფიცერს მუსარტა სტილში გამართული
ვაკხანალია ურჩევნია. დამიჭერეთ, თქვენს
წილეში უკვე გვიანა.

ეს უკვე ნაშვლილი სიურპრიზი გახლდათ.
მხედრულად გავიქმე, ხელზე ვემთხვი.

— დიდ პატივს მღებთ.

ანეტამ ძველი მეგობარივით გამიღიმა.

— საუზმეზე რატომ არ ბრძანდებოდით.

— შეუძლოდ ვიკარტნი თავი და წოლა ვა-
რჩი.

შემომხმედა, სახეზე ბრაზი მორეოდა, მკაც-
რად მითხრა:

— ნუროდეს შეეცდებით სხვის სულში ბე-
ლის ფუთურს და, პირიქით გაძლევეთ, არაფე-
რი შეგაწუხებთ.

ისე გავიდა, დამშვიდობების ღირსიც არ გა-
მხალა.

ოცდათერთმეტი დეკემბრის გათენებას ძლივს
დაადგა საშველი. ავტობუსს ქალაქში გავე-



ვო. ანდრეასი წინასაადღესასწაულო განწყობა
 ატყუებდა. ადრიატიკულმა ქალაქმა შესანიშ-
 ნავ გუნებაზე დაამყენა. ღიბანს ვიბრტილდე-
 ჭერებში. მშვენიერი ვარდების თაიგული შევი-
 ძინე, შამანურად ვიშოვნი. შინ მოსაღამოებ-
 ულს დაფრუდნი, პოლკოვნიკის მუნღირი ჩა-
 ვიცვა, მხნეობა მოვკრიბე და ხაღამის ცხრა
 საათზე ანეტას კარს მოარადებით მივუკაყუნე.

— როსტომ, შემოდი, ჭილღადები, — ცოტა
 დავიბევი, დღემდე ანეტას „შესობით“ არ მო-
 გმირათ.

კარი შევადე და აღმოცნობისაგან გავიჩინდე.
 ნათესი ზესთან თვალგაბრწყინებული, ღურჭი
 ბლანის კაბაში გამოწყობილი (იშვიათი კაბა
 რომ ამშვენებდა), წლებში შესული სიღამაზე
 იდგა.

შამანური ტბილუღითი გაწყობილ მაგიდა-
 ზე დავდგი. თაიგული გავწოდე. ლაღად გა-
 მიღიმა.

— ვზედავ, დროს ოფიცრის მუნღირისათვის
 ვტრავირე დაუღია.

თაიგული ფანჯრის რაფაზე მდგარ ღარნა-
 კში მოათავსა.

— ნაძვის ბის გაწყობას ახლავე მოვრჩები
 და თქვენც მოგზადეთ.

— თუ ნების მომცემთ, მოგებმარები.

— თუ გნებავს, კი ბატონო!

— რას ბრძანებთ, სულ ცოტა, ნახევარი სა-
 უთუნი შანიც ვოცნებობდი ერთხელ კიდევ
 მომცემოდა ამის საშუალება.

— ნუთუ მართლა?

— იცოდა, რა, ბავშვიბიდან მჭერა, ყოველი
 სათამაშო, რომელსაც ჩამოვიდებ სახალწლო
 ნაქვის ბეზე და წინა წლის აუხდენელ ოცნე-
 ბას ჩავუთქვამ, იმ ოცნებას აუცილებლად ამ-
 ასრულებს.

— ახსრულებია კი ხდებოდა?

ცეცხლისფერი ბურთული მომწიფა.

— ამ ჭადონურ ღამეს შეჩვენება, რამე აუ-
 ცლებლად ასრულებდა.

— შემდგომ?

— შემდგომ ცხოვრება თავის კალაპოტში
 ღებდა, ზღაპრები მთელი წელი უკან პლან-
 ზე იწავლებენ.

— სენტიმენტალურიც ბრძანებულხარ.

ბურთული ჩამოვიდე.

— ახლა რა ჩაუთქვით?

— მთელი ჩემი ცხოვრების ნაოცნებარი.
 დავიბევი, ყუთიდან ბურთული ამოვიდე. ნა-
 დვლიანად გაიღია, ბურთული გამომართვა,
 ერთხანს დაჟუჯებდა.

— მართლაცდა, უნდა ვიჩქაროთ... თორემ,
 ვინ იცის, დროს რას გვიქადის.

დაღბანს უბოლო ვრთავდი ოცნების ზეს.

სუფრას მიუხსნედი. ანეტამ ლიქიორი ჩა-
 მწახსა, სიარა ასწია, გაშიღმა.

— ახა, ბატონო როსტომ, თამალობას გილ-
 ცუცხ.

ლიქიორი მოვსვი. შესანიშნავად იყო მომ-
 წადებული, ბოკლები შამანურით შემოვსნი-
 ძვის ზეს გაზედნი და ვთქვი:

— თქვენს ბურთულას გაუმარტოს.

რაღაც დარღიოთ გამიღია, შამანური მოხვა,
 თვალში ცრემლი აუკიფდა, ფანჯარას გაზედა.

— ბარდნი, — ცრემლი გადუღა.

წამოღვა, საროდან შანდლები ჩამოიღო, მა-
 გიდაზე დადგა, ხანთლები ანთო, ფანჯრები
 ფართოდ მიაღო, შეუქი გამართო.

თვლის ფიქვები შემოიჭრნენ, სანთლის შე-
 ქზე თერთად მოციმციმე ჩრდილებად იქცნენ
 და ატყვდნენ.

ზღაპარი მოვიდა.

ანეტა შემობრუნდა...

იმის აღწერა მიჭირს, რაც მაშინ დავინახე
 და აღვქვი.

ღარანაკიდან ვარდების თაიგული ამოღო და
 მკერდზე მიესუტებინა. სახეზე თეთრი ჩრდი-
 ლი აქვროდა და წელთა ნაოჭები სადაც
 გაქრო. ფიქვები ვარდის კონას დასტრიალ-
 ბდნენ და აელვარებდნენ. საღა იყო მხოცი
 ქალი ანეტა თვალზე. ჩემს წინ ღვთაებრივი
 ქალი იდგა და სევდაშეყრილი მიუარებდა.

ცივიბანისთი ავცხახახდი, სხეულშიც ის დე-
 მონური ძალა გამიქდა, რომელიც ბრძლის ვე-
 ლზე სკვდოდა მაგაფინებდა. არ ვიცი შევყვი-
 რე, შევძახე. თუ შევლაღე:

— ოცნება, გეძებდი და, ოცნება. გნახ-
 ვარ ბედნიერი, ისე არ ვტოვებ წუთისოფელს,
 თვალში რომ არ შემევილო შენთვის. ეს ბოშ შენ
 ხარ, ვინც სისხლით დაცლილი გადამარჩინე,
 მარტოობა დამთრგუნინე და დღემდე მომალ-
 წევინე.

კედლიდან ვიოლინო ჩამოვხსენი, გავუწოდე.

ვარდების კონა ფანჯრის რაფაზე გაშალა;
 ვიოლინს ჩამომართვა. არც იმის თხრობა ძალ-
 მიძს, რაც მაშინ აუღერდა. ალბათ ეს იყო...
 არა არ შემძლია. ერთი კარგად მახსოვს ძვლე-
 ბმა ტეხა დამიწყო, კუნჩხვამ ადგილიდან წა-
 მშმაგლო, ვიდაც თუ რაღაც ყელში მწვდა,
 უბეში ბრჭყალები წამიჭირა, ვიბრძოლობდი, სი-
 ტყუას ვერ ვტრავდი, სულის უფსკრულის ყვე-
 ლაზე მიუწვდომელ კუნწულში კი უშმაღლეს
 ნეტარებას განვიცდიდი.

დაკვას რომ მორჩა, საშინელი უძლურება
 ვიგრძენი, არ მითქვამს, მთელი ის დრო, რომ
 კედელს ვიყავი აკრული, სკამამდე ძლივს მივა-
 დრე, შევბედე.

სარკმელთან დარღადქციული დედაბერი იდ-
 გა, სახე ნაოჭების ქაოხად ქცეოდა, ჭაღარა
 ასწიწოდა.

გულზე რაღაც ისე შემომეჭო, სუნთქვა
 შემიჩერა. მივხვდი, ეს მარად დაჟარული იმ-
 ედები მართობდნენ და გატეხილს, არაფრის
 ძალა აღარ შემწევდა.

ერთხანს მიუტრა, ალბათ ნადევლს ებრძოდა,
 მერე მოიხრა:

— მუსიკა ბერდებო: ჰმ, ბილისწირას
სიღიმება ჩასტყარი საუკუნის წინ დაწერილი
ხიუფარული მისი, დღეს პირველად აღდგრა.
ბუღიყა, თუმცა, მე შგონი, მაშინ სხვა ტონა-
ლიზმა ჰქონდა. არცაა გასაკვირი, მთელი ამ
დროის განმავლობაში ჩემი ქვეცნობიერება
ხოშ თავის უაიდაზ ამუშავებდა ბედნიერი
დღისათვის შექმნილი.

თვალეში ჩამხედ რაღაც თანაგრძნობით
გამოიღმა.

— წელან მოთხარი, ოცნება, ვნახე. აქ,
ამ თუშესაფარში მოკჩენა, წამის მეთაილ-
ლი იმას ჩაავლე ხელს, რისთვისაც გგონია,
დღემდე ცხოვრობდი. ცდები, ამით გზურს შენს
არსებობას გამართლება მისცე, არ გინდა გა-
მძტყდე ჩრდილებად რომ ვიქცეო.

დადუმდა. შევატყვე რაღაც აწვალეხდა,
„ახლათ წარსული ცხოვრების იარება“, — გა-
ვიფიქრე.

— დედა, დიდი ომი! დროს ტიფით გარდა-
მეცვალა და ჩვენი ოჯახიც აირია. მიმხედ და-
იწყო ანტემა.—მამა მეტილდენ იყო და თუ
არა ის წვეული ომი, სამხერატორო თეატრში
ხოლისტის ადგილი განადგურული ჰქონდა. დედის
გარდაცვალების შემდეგ ორკესტრი შიატოვა.
ამბობდა: სული მეხოვრება იმ ჩინოვნიკებში.
ვითომ კონცერტი უნდა დაეწერა, სინამდვილე-
ში კი გალიოდა. მე დე ვასთან გადავსახლდი,
იმ წელს გიმწაიას ვამ აკრებდი და მთელ
დროს მეცადინეობას ვანდენებდი, მაშასაც ისე
ზნირად ვეღარ ვნახულობდი. არადა, სხვიფე-
დე ვუყვარდი. ხომ ღმთა იყო, ხომ გროშებს
მისდევდა, მაგრამ დამინახავდა თუ არა, ვარ-
დების ლაიგულს გააჩენდა. აუცილებლად დაუ-
კრავდა, რაღაც ფრაგმენტებს მომამშენებდა,
თან დაჟოყლებდა: ჩემი ახალი კონცერტიდან
არის, სადაც პარტნიორმა შენ უნდა გამო-
წიო, ამჟამ იყო.

დავინახე, თვალეში როგორ აევსე ცრემლით.

— გიმწაიიდან ვბრუნდებოდი, ტრამვაის
გაჩერებაზე მამა შევნიშნე ვიღაცას გაცხარე-
ბულით ეკამათებოდა. უცნობი ორმოც წელს
მიწწეული კაცი იქნებოდა. პალტო ერთ ღლი-
ზე შედგო, პერანგის საუკუნის წვერები სვიტ-
ერში ჩაეტანებინა, ხელემა უკან შემოეწყო და
ისე უსმენდა.

მამამ, შეშინწა თუ არა, წამს სახე გაეხად-
რა, მაკოცა, ხელი გადამხვია, უცნობს მიმართა:
— ლევან, იცნობდე, ჩემი კუდრაქა ქალი-
შვილია.

ლევანი პირველად შეაციო, სასტიცი მერვე-
ნა, მაგრამ ღიმილმა ისე შეუცვალა სახე, რო-
გორც სამავშეო კალიდოსკოპის გადაბრუნე-
ბისას იცვლებიან ფიგურები.

— ლევან გეგნავა, მხატვარი. — ხელზე
მეშოვია.

ორიოდე კვირის წინ შემთხვევით გაიცნოთ

ერთმანეთი, მაგრამ, როგორც ჩანს, შეგნებდა
მთელ ეპოქათ, რადგან ძველი შეგნებდა
საუბრობდენ. ახლა ლევანი საბელოსნოში
პერსონალურ გამოყენას ხსნიდა და იქ მიდი-
ოდენ.

მიიწვია.

ანტემა ისე ამოიშტრა, გული ამოაყლიდა.

ლევან გეგნავას საბელოსნო ნამდვილი ბო-
გება იყო. ვის არ შეხედებოდი იქ: პოეტს,
პროზაიკს, რევოლუციონერს, მხანარტისტს,
მხატვარს, მკჟანდაკს, ექიმს, ქურდს, ლოპს,
შეუვარებულს... მოკლედ, ყველა ჭურის აღმა-
ნი იყრდნო თავს. მათთვის საბელოსნოს სიღრ-
მეში, კედელთან დიდი მაგიდა იყო გამოყრდი-
ლი. აქ მოსვლის უფლება ყველას ჰქონდა.
არავინ გეციხებოდა, ვინ და რა იყავი, ოღონდ
ერთ დაუწერელ კანონს უნდა დამორჩილებო-
დი, — პატივი უნდა გეცა შენს არგვლივ მეოფ-
თა ღირებნისათვის. გამასპილებაც თავისებუ-
რად ზებოდა. ერთი დღისნ მოიტანდა, მეორე
ცდცხალს, მესამე ყველს. მეოთხე კეთილ გულს.
მეხუთე ბოლმას, მეექვსე გაცრუებულ იმედებს,
მეშვიდე აღმშურენას და დუღდა ცხოვრება.
მამამ ხომ იქ დაიდო ბინა.

საბელოსნოში სიარულის მოუხეზირე, სა-
ბაბად მამის მონახულებას ვიზიწეხბდი, სინამ-
დვილეში კი ლევანთან მივდოდი. ქალაქში
ლევან გეგნავაზე აოხგვარ ვორს მუცხობდენ:
მხოფლიო ფეხით აქვს მოვლილი, ივროპის ვარ-
ჭმულთ დონ ეუანია, ღამის კლუბებში კარტს
თამაშობს და ხალხს ტყავს ძირბს, ვიდაც
უპატრჟნოს ათასი მანეთი აჩუქაო და რა მო-
იჯონებს ყოველივეს, რაც მამა შენმოდა. გა-
წეთებმა მისი ნაბატების გამოყენა ცაში აი-
ყვანეს, მოდა, ჩემი მაწინდელი საქციელი როც
იყო გასაკვარი. ჩვიდმეტი წლის ქალშვილ-
სათვის ლევან გეგნავა ხომ რომანტიული ბუ-
რუსით იყო დაფარული.

საბელოსნოში მისული მამას მოვიცხთავდი,
მერე ლევანთან ჩამოვდებოდი და დიდბანს
ვსაუბრობოდი.

სამხატვრო აკადემია პარიზში ჰქონდა და-
თავრებული. შემდეგ ფეხის ხმას აყლილთ,
კლონდაიქში ამჟყო თავი, იქ ნაშოვნი პრიო-
დე გროში ნიცის კაზინოში წაეგო. ბალკანეთის
ოში დაეჭრათ. ომის შემდეგ კონსტანციის პარ-
ტში მუშად ემუშავა, რათა სამშოლოში და-
საბარუნებელი ფული ეშოვნა. შემდეგმ რუ-
ლეტში გამართლებია. თბილისში ერთი წლის
დაბარუნებული იყო.

ერთ დღესაც ლევანმა ხელკაცი გამოშდო,
სოფთა ტილოსთან მიმოყვანა და მონოვა უფ-
ლება მიმეცა ჩემი პორტრეტი დაეხატა.

სადღაც აღლომ მიკარნახა — პორტრეტი,
ჩვენი ურთიერთობის დუღაბად იქცოდა.

იმ წუთიდან ყოველდღე ლევანის პირდაპირ
ვიქეცი.

თვალეში ალტაცების სხივი ჩაუდგა.



დალაღს ან მოწყენას როგორც შემატყობდა, ხალხებში მოთხრობი ხელებით მაგიდას მსუბუქად დაეურდნობოდა, თბილად ჭამილობდა და გაზარული ზმით, აუჩქარებლად ათასგვარ ამბავს მიუყვებოდა.

ვუსმენდი და ჩემი ვნებები ძრწოლდნენ. ყოველი სენასი დაშთავრება უსწავლად მანაღვლიანებდა, ლევანს არ ჩაჰარბოდა, და ვინ მოთვლის, რამდენჯერ შემოგვლამებია.

შინაგანს მამა მეუბნებოდა, ლევანს ვუყვარდი. ჩემს ქვეყნობიერება, უკვე დაშთავრებდა მას და მეც რაღაც მეტად, თავდავრეყნით შემეყვარდა. მამა გამოიცვალა, მამა უმეტესად გამოქვეყნდა, ჯიშვრად, ზმირად ბავშვით ახირდებოდა, ჭინჭულბოდა.

ახეთ საბრეკლილებას მალე ვუპოვე ახსნა. ჩემს სამართლში ფრანგად საბოლოოდ დამარწმუნა. საუბარში გარეთული ხერ მოგვიანდებოდა, ვერაფერი გავიგებდი. ლევანს მთვრალი, ანთებული თვალები მინათა მას გამოცხვრად; ლევან, შვილს ნუ მარამეცო.

მამან ვიფიქრე, ეკვიანობის-მეთქი. ომ, თურმე როგორ ვცდებოდი! — ანეტას გმინავში გარდასული ოხვრა აღმოხდა. — ჭეშმარიტებას რადესი ჩაქვდით, უკვე გვან იყო. მე ზომ ისეთი კაცი შევიყვარე, რომელიც ბევრს გადაიტანა და მანც გამოჩვეული გამოსულიყვი ცხოვრებასთან კიდილიში. სწორად გამოვი, ჭერ კიდე უმწიფარი, წელში გაუმართავი უმწიფილი, რომ შემეყვარებოდა, ანწუნც არ ჩაადებდა, პირიქით, მზარშიც ამოგვადგებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა იყო. მე მასზე ძლიერი კაცი მიყვარდა, ეს კი მის ღირსებასაც აკინებდა, ნაკაცარს ზდიდა და რბილად განადგურებულს, საბოლოოდ ანადგურებდა.

მამა თავის კაცური კაცობის ინდიკატორად მშვიდობა.

სახელოსნოს ბინადარი უკვე დიდი ხანი იყო ჩუმად გვითვალთვალებდნენ და მოუთმენლად ელჩდნენ, რით დამთავრებოდა ყოველივე.

მამამ ლევანთან სიარულს უკლო. კაციშვილმა არ იცოდა, მთელი დღეები სად იკარგებოდა. სიყვარულით გაბრუნებულს, ამისათვის ყურადღება არ მიმიცევია. არ მეფიქრია, რომ სწორედ მამან სჭირდებოდა თანადგომა.

პორტრეტი მალე მზად იქნებოდა. გუმანი მკარნახობდა, წერტილის დახმის დღეს ლევანი ბოლოს მოუღებდა ჩემს ტანჯვას და ხელს მოთვოდა. მეც ჩემებურად ვეშაღებოდი იმ დღისათვის. ჩვენი ბედნიერებისათვის მიძღვნილ ჰიმნს ვწერდი. — ანეტამ თავი ნერვიულად დაიჭინა — ჰიმნს, რომელსაც შესრულება დღეს ექნება... — შეუძნდა — მუსიკაც ბერდება, თორემ როგორ შეიძლება სიყვარულის ჰიმნი ასე უღერდეს.

ანეტამ ამოიხარა, სუსტი ნიჟა შემოიხრეწა წავდა. შერა ცვლავ სახელსებს მოაქვდა.

— ახლაც თვალწინ მდგას ის სურათი: — სახელოსნოს კარა მწერის ვიდი და მამა შემოვიდა. მთვრალს კარ ჰგავდა, თუმცე თვალები მთვრალივით უბრწყინავდა. სახის ნაკერები დახტილობდა, კნესალებდა, ხელში ვილინო და რაღაც ფურცლები ეტარა.

სამარისებული სიჩუმე ამოვარდა. შორიანოდ მდგარ მანქანე ფურცლები პირამიდის მსგავსად დააწყო შემოხეიდა. თვალები უღელავდა, კინაღამ გრძნობა დაეკარგე. იქ მყოფი შერა მოაქვდა. ბავშვზე შორის მგებლის ავმა ღიმილმა გადაურბინა, გამოაცხადა:

— თქვენ ახლა მოიხმეთ ღოთი მგვილინის პარველ ზოლო კონცერტს.

სიტუციის დამთავრება და ვილინოს დაქუბება ერთით იყო. — ანეტამ ზედიხე დაიჭინა, თითქოს ზემი მთელი ძალით ჩამოგება სიშებსო, — შემდეგ დაქვრივებული ქალივით აკივლდა. ტემპმა შეუმჩნევლად იცვლო, ვილინო ახრიალდა, ბრიალი ტანჯვაში გადაიზარდა — ვილინოს უგონოდ აწამებდნენ, ისიც ცხოვრებისგან დაიკარგული მორჩილად მიჰყვებოდათ. შორიდან ძახილი მოისმა, ძახილი განმეორდა, მაგრამ ვისაც უბნობდნენ, მკადრულად დუმდა. ძახილი ვედრებდა იქცა, არე წვივდა. წვივებს ჩურჩული მოჰყვა, ვილინო ღოცულობდა, ომში წახლდ შვილზე ღოცულობდა. წამით ყოველივე მიწყნარდა, მაგრამ მზალოდ წამით, ვილინო ისევ აუფლდა. შემდეგ მარში გაისმა, დამარცხებულის მარში. ქვემეხები გუგუნებდნენ და საშუალოდ ეშვებოდადებოდნენ განდევნილს. გემში ღუშა აუქვა, გაისმა საუვირების გაბმული ხმა — მშვიდდებო!

კონცერტმა გრანდიოზული შთაბეჭდილება მოახდინა. გაუგებელი შევეუბრებით და ხმას ვერ ვიღებდით. უნებურად თვალი ნოტებს შევავლე, სისხლი გამეყინა. მუსიკა ჩვეულებრივი, უველასათვის ცნობილი ნოტებით არ იყო ჩაწერილი. ფურცლებზე ისეთი ქაოსი სუფევდა, ბავშვის რ შეშლილის ნაქალბი გეგონებოდათ. ყოველივე უამრავ ფიგურას, წრეებს, ისრებს დაეფარა, ფიგურებში ისრები დაძრწოდნენ, წრეები ჭაჭურით რუქციის ფორმულებს ჰგვანდნენ, ზოგან კი საერთოდ გონებისათვის მოუწვდომელი, მხოლოდ შემსრულებლისათვის გასაგები სურათი იხატებოდა.

გამაგრეულა. მამამ ყველას გამარჯვებულის სარკაზმნარევი ღიმილი გვეჩროლა, „ნოტები“ მოკრეფა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

ჩამოვარდნილი სიჩუმე ალბათ ჩვენა შეუცნობლად, უსასრულოდ გაგრძელდებოდა, ჭურჭიდან რომ საშინელი ღრიალი, ცხენთა დამყვ-

როსხალი ჰიზინი, შეიკვლება და შეძახილები
არ შემოჰრილიყო.

გულში მიგრძნო, საშინელი, გამოუსწორე-
ბელი რამ მოხდა. კურჩაში გავიტყვი, ეტლთან
შეკუჩრებული ბრძოლა! გავარდეთ და... ანეტამ
თვალები დახუჭა; ძლივს გახაგონად გააგრძე-
ლა: — მაშის სისხლით მოთხვრილ უსულო
სხეულს ჩავეცინე. არ ვიცი, რაშდენ ხანს
ვთავაზი ასე, უცხად შევიგრძენი ვიდაციის ხე-
ლები ჩემს წამოყენებას ღამობდნენ, რაღაც
სიტყვებსაც მოვყარი უური, თავი ავწიე.

ცალ მუხლზე დაჩოქილი ლევანი დავლან-
დე. ამბურძღლა, თვალებში არნახული სიძუ-
ლვილი ჩამიდგა, ამ გრძნობამ მთლიანად შემ-
ბოჭა.

ახლაც ცხადდოდა მახსოვს, სახე როგორ
შერეო, შეეშალა, ხელები მოუდუნდა, გაშე-
შდა.

გრძნობა დავყარე.

შემდეგ დღეებს ძლივს ვიხსენებ. თვალ-
დან ჰრ მოზრდებოდა მაშის სისხლით მო-
ხვრილი სხეული და ლევანის სახე. მალე ახა-
ლი დარტყმაც მივიღე, ლევანი დემონსტრა-
ციის დროს ტყვიამ იმსხვერპლა.

თუ გკუდიან არ შევიშლებოდი, არ მეგო-
ნა. მჭერქდა და ახლაც მჭერა, ლევანმა ის
ტყვია თავად მოქმენა. თვითმკვლელობისაგან
ერთმა აზრმა მიხსნა. გადავწყვიტე, რაც შეი-
ძლებოდა დიდხანს მეცოცხლა, რათა ჩემი
ცოდვა ტანჯვითა და მარტოობით მომენა-
ნიებინა.

უველასგან გავირიყე. წლები მიდიოდნენ,
ჩემს გადაწყვეტილებას თითქმის შეუვალად
ვიცავდი, მაგრამ მთავარი გამოშეპარა. გამო-
შეპარა ის, რომ დროის სტაბილური რიტმი,
არა მარტო მე, არამედ ჩემს გლოვასაც ნა-

ცარტუტად აქცევდა. ხომ უნდა შეიშლებოდა
დამდგარი წყალი აუცილებლად ქაობად რომ
იქცეოდა და აუროლებოდა.

გამოვიფიტე, გულაც დაიღალა ამდენი გლო-
ვით. ბოლოს სულ მოვეშვი, დინებას მივეცი
და ასე ნელ-ნელა აჩრდილად ვიპყე.

რა უმადურად მოვეცეცე ბუნებას. უარი
ვთქვი ქალობაზე, დედობაზე და დავრჩი მარ-
ტო დაბერებულ მოგონებებთან. სიცოცხ-
ლე მომრევია, ძარღვებში სისხლი გაშუიწვია, გა-
ვთჟმეილვარ, თანამგრძნობი კი არსად ჩანს.

ანეტა ფეხზე იდგა, თვალები ამღვრეოდა.

— როსტომ, დღეს ბურთულას ერთი რამ
ჩავუთქვი, რა უკნა, მეტი აღარ შემიძლია,
აღარ შემიძლია...

ცრემლებმა დაუფარა სახე, გონს მოსვლა
ვერ მოვასწარი, მუხლებზე დეშეხო.

— როსტომ, როსტომ, მიუვარხარ, მიუვარხარ...
ლევან, ლევან, ძვირფასო, ხანატრელო რამდენი
ხანი გელოდი, მცოცა, ლევან, მცოცა, გვედრებო,
ნუღარ დამტოვებ, ლევან, ლევან, გვედრებო!

ჩამართველი გადავტარიადე, ოთახი ვანათ-
და. დანახულმა შემძრა: ჩემს წინ მარტოდ
დარჩენილი, თვალზე ცრემლშეყინული არ-
სება ჭაჩოქილიყო და უაზრო თვალებით
შემომჟურებდა.

წამოსაყენებლად დავიხარე. ლოგინზე და-
ვაწვინე, მომველეის დასაძახებლად გავიქეცი.
ანეტა სამი დღის შემდეგ ფილტვების ან-
თებით გარდაიცვალა; გონს არ მოსულა.

თავშესაფარის სასაფლაოზე დავკრძალებდი.
დაკრძალვას სულ სამი ვეწერებოდი. მთა-
ვარი ეკიმის მოადგილე ადმინისტრაციულ-სა-
მეურნეო დარგში, მომველელი და თქვენი მო-
ნამძრჩილი.

ბათუ დანელია

ქარი, წვიმა, თოვლი, შენ და მე

1.

დადიან ქალაქელები პროსპექტზე ისე, თითქოს საცაა აფრინდებიან.
მელოტ მოხუც კაცს ქუდი გაეჭვა.
მოხუცი ქალი კი ასფალტზე დავარდნილი ფოთოლივითაა. —
სურს გაჩერება, მაგრამ ამაოდ, — ძალაუნებურად მიდის. —
გაცდა საწყალი ტროლეიბუსის გაჩერებას.
ხარხარებენ ფოთოლდაცვნილი ხეები შემლილივით.
მარაოებია თითქოს ქალიშვილები. —
იშლებიან და თავის თავს თვითონვე აცეკვენ...
ცარიელია ბაღი, ფოტოგრაფიც კი წასულა.
ტოტების ჩრდილები ეკლებივით მჩხვლეტენ.
ბავშვობაში ყოველივე ამას ხეებს ვაბრალებდი.
მეგონა, ხეები რომ არა, ყველაფერი რიგზე იქნებოდა.
დღეს კი ხეები არაფერ შუაშია.
გააგიჟეს ისინი და რა ქნან!
იქნებ ამ საოცრების სათავე შენა ხარ!
იქნებ ეს შენი ერთი ამოცხვრაა!
გიპოვნი, მაგრამ როგორ? —
მიწაზე ფეხი არ მიდგას.
ცაზე ხელი არ მიკიდია.

მოვვარდი სახლში გვიან ღამით.
კანკალებენ კედლები, — ოთახში ველარ ვეტევი.
გადავწიე ფარდა და ფანჯრიდან გავიხედე.
ქანაობს ღამე, ხეები ღამის წელში გადატყდნენ.
ჩემი ძარღვები მათ კენწეროებზე გამობმულან.
ნეტავი შენ რომელიმე მათგანი იყო! —
გავიდოდი გარეთ და იმ ხეს ოთახში გადმოვრგავდი.
ვიღაცისთვის ეს ყოველივე უხმო ფილმივითაა...
მე კი მთელი ტანი პატარ-პატარა ყურებით დამეფარა...
გავყვებოდე, ნეტავ სადმე ქარს!
წამიყვანდეს, ნეტავ ქარი სადმე!

2.

დადიან ქოლგიანები ისე ნელა, თითქოს არაფერი.
უქოლგოებს კი ტყვია ვერ დაეწევა.
მივსეირნობ მე ქოლგიანების ჯინაზე.
უშველის ქოლგა მას, ვისაც სული ცრემლებით უსველდება?
შემომეტმასნა უკვე პერანგი მკერდზე, მკლავებზე.
მოვა გაზაფხული საცაა...
წარმოვიდგინე კიდევ ასფალტზე კალიებივით მოხტუნავე შენი ღილები...

მინატრია ჩემი თვალების გადაქცევა იმ ღილებად.

განსაკუთრებით იმ წყვილ ღილად, საყულოსთან რომ გეზნია...

მივსერიანო ტროტუარზე. ქალაქი თითქოს აჟღერებული არფაა...

სცივია ჩემს ხელებს ცრემლის კურცხლები ხუთ-ხუთად.

ტაქსმაც წყალი შემომასხურა...

დგანან ხეები მტირალ სიმარტოვეში.

გიპოვნი, მაგრამ როგორ? —

ცაზე ხელი არ მიკიდია.

მიწაზე ფეხი არ მიდგას.

შემოვიწუწუ სახლში გვიან ღამით.

ეშინიათ ნივთებს ჩემი, მოწყენილობა რომ არ გადავდო.

მიკაკუნებენ ფანჯარაზე... ის არის.

ის სახლშიც არ მასვენებს.

აკაკუნებს თავის მრავალთითიანი ხელით ფანჯრის მინაზე.

ფანჯრის მინა კი არა, მტირალი ანგელოზის ლოყაა...

წამიყვანდეს ნეტა წვიმა სადმე!

გავყვებოდე ნეტა სადმე წვიმას!

3.

მოდებია ქალაქს სიცივის ქათქათა ხავსი.

მადნებთან ტუჩებზე ბამბისფერი პეპლები.

ხეები! — მაღალი ჭიქებიდან ლუდის ქაფი გადმოსულა.

ფესხაცმლები ნაკვალევში ჭრაჭუნს ტოვებენ.

ტვირთავენ ძარებს შედედებული სინათლით ქუჩის კუთხეში.

გავაჩერე ტაქსი და მთაწმინდაზე აყვანა ვითხოვე.

არაო, მძღოლმა, უჯაჭვებოდ ვერ ავალო!

საბაგიროზე გრძელი რიგია.

ბავშვებს ციგები მიაქვთ.

მთელი დღე ნაფხურებს ვათვალიერებ.

ვიცნობდი შენს ნაფხურს, ქუჩაში რომ გავველო.

მომდევენ უკან ჩემი ნაფხურები გოშიებივით.

გიპოვი, მაგრამ როგორ? —

მიწაზე ფეხი არ მიდგას.

ცაზე ხელი არ მიკიდია.

მოვქათქათდი სახლში გვიან ღამით.

გადავიფერთხე თმიდან მთელი დღის ჭალარა...

მეშინია ფანჯრიდან გახედვის. —

გარეთ იანვრის ქვაბიდან რძე გადმოდის.

ოთახში კი უშენობა ნუშივით ჰყვავის.

წამიყვანდეს ნეტა სადმე თოვლი!

გავყვებოდე ნეტა სადმე თოვლს!

4.

შენ პურის ძნასავით იყავი.

მე მკლავები ულოს მიგავდა.

საოცარია, ერთმანეთს როგორ დაეშორდით? —

ერთ კალოზე რატომ არ მოვხვდით?

ერთი კევრი რატომ არ გვლეწდა?

წვიმს გარეთ. —

წამიყვანდეს ნეტა სადმე წვიმა!

გავყვებოდე ნეტა წვიმას სადმე!

შეიძლება სიყვარული სხვაგან იყოს? —

ჩარჩენილხარ ჩემში, როგორც ვარდის სურნელი ლარნაკში...

გადმოდიხარ ჩემი თვალებიდან სიზმრებად ღამლამობით.

უბრუნდები თვალებს დილით, როგორც ეკლესიას მოპარული ნივთი...

ზიხარ ჩემს გუგუბში, მაშინაც კი, როცა თვალებში სხვა ჩამყურებს.

თოვს გარეთ. —

წამიყვანდეს ნეტა თოვლი სადმე!

გავყვებოდე ნეტა სადმე თოვლს!

ტყუილია სიტყვები: „ყველაფერი წარსულს ჩაბარდა!“ —

მატულობს ჩემი გულისცემა შენს ხსენებაზე, როგორც თვალის გუგა
სიბნელეში.

სიყვარულზე გადაღებულ ფილმს ბოლომდე ვერ ვუყურებ...

მიყვარს იალკიალი ცა. —

ღრუბლები შენი მოქსოვილი მანდილივით მოფრინავენ.

ჰქრის გარეთ. —

წამიყვანდეს ნეტა ქარი სადმე!

გავყვებოდე ნეტა სადმე ქარს!

5.

ვგავარ მე იმ კაცს, როდესმე კმაყოფილი რომ იქნება? —

ჩამფლეთია თვალებში ცა და მაინც მაღლა ვიხედები.

ჩამდნობია სხეულში ღრუბლები და მაინც წყურვილი მკლავს.

ჩამცვენია სულში ვარსკვლავები და მაინც სინათლე მენატრება.

ჩამვარდნია გულში მზე და მაინც მცივა.

ბედით კმაყოფილი არასდროს არ ვიქნები.

თოვს გარეთ. —

გავყვებოდე ნეტა სადმე თოვლს!

წამიყვანდეს ნეტა სადმე თოვლი!

დაუკრან მხოლოდ ჩონგური, როცა მოვკვდები.

უსმინოს ჩონგურს შეგობარგარდაცვლილმა როიალმა მეორე ოთახიდან.

ამით არც მას და არც მე არაფერი დაგვაკლდება.

დამაკლდება მხოლოდ შენი ცრემლები.

თუმცა მათი კვალი ჩემს თითებზე და ყელზე დარჩა...

დაუკრან ჩონგური, როცა მოვკვდები.

დაუკრან მხოლოდ ჩონგური. — ჩონგური ყველაზე წრფელად ტირის.

ჩონგურია ჩვენი... როიალს ეს არ ეწყინება.

დამიტირებს ჩონგური შენს მაგივრადაც.

გახსოვს, ღამით აბაშისპირზე ჩონგურის ხმამ რომ აგვატირა!

ჰქრის გარეთ. —

წამიყვანდეს ნეტა ქარი სადმე!

გავყვებოდე ნეტა სადმე ქარს!
არაა შენი ბრალი, არც ჩემი ბრალია.
ბრალია ვილაცის, რაღაცის ბრალია.
ჩვენ სომ ერთმანეთი ძალიან, ძალიან გვიყვარდა!
ვუსმენდით გრძნობების ალივით მელოდებს.
ღამით შენი ფანჯრიდან ალიონს ველოდი.
გხედავდი შენ კედლის მიღმაც...
წვიმს გარეთ. —
გავყვებოდე ნეტა სადმე წვიმას!
წამიყვანდეს ნეტა წვიმა სადმე!

იზა გოცაძე

საქართველოს

ო, საქართველო, რა უნდა გითხრა,
ან რა შეგპირდე იმაზე მეტი,
რომ დაგიტოვეს „დავით გარეჯი“,
რომ მოიკვეთეს მარჯვენა შენთვის,

რომ შენ გიმღერეს — „შენ ხარ ვენახი“,
ან პალესტინას წავიდნენ რათა
დაცემა შენი არ დაენახათ,
რომელი ერთი, რომელი ერთი...

ყველა მათგანში საქართველოა,
რაც დაინგრა და რაც დარჩა ზენა,
რა „ჭირსა შიგან გამაგრებით“ შემოინახე
ღვთისმშობლის მიწავ, ღმერთების ენა!

მარადიული მთაწმინდა ბრწყინავს,
შემღერებია საუკუნე სიყვარულს, ედემს...
შენთვის სიცოცხლე მომიცია და როცა მოვკვდე,
უცნობ პოეტად მიმახატე სადმე შენს კედელს!

ჩემი გული ის უზარმაზარი პირამიდაა,
ასე ეუღლად რომ დგას
ამ თვალშეუწვდენელ უდაბნოში,
რომლის ერთადერთი მფარველია —
მზე!

ეს ქარბორბალა აამხედრებს ქუჩებს და შუკებს,
ფოთოლთა ჯარებს ჩაატარებს მძინარ ქალაქში,
კედლის საათი ციფერბლატის უფერო გუგებს

ააციმციმებს,

რათა ეს ღამეც გადარიცხოს დროის ამქარში.

მე კი სხვა სიზმრებს მივამსგავსე ეს პროცესია,
ფარდების იქით მემუქრება ორმოცი წელი,
ახლა ეს ქარი, სხვა ქარებზე უარესია,
სჯობს ჩემს ბავშვობის მოგონებებს

არ ვახლო ხელი.

თითქოს განგებით არ ჩერდება ეს ქარბორბალა,
აღბათ არ იცის,
ან კი ვისით გაიგოს ქარმა,
რომ დღის და ღამის გასაყართან
სულს ვით ვშორდები,
დავიკარგები ამ ფოთოლთა ჯარების დარად
და მერე ქარად განვმეორდები...

სიზმარი

ჩემი ოცნების თეთრი კედელი
აღმართულია სამშობლოს შინა,
როცა ფრესკაში გადავინაცვლებ,
სად სამუდამო მექნება ბინა,
აქ დაიწყება მცნება პატივის,
ამოუსხსნელი მექნება სახე,
გარდვისახები უფლის ხატივით,
აი ისეთად, სიზმრად რომ ვნახე.

ბევრი მლოცველი და ბევრი მწირი,
ბევრი მგზავრი და ბევრიც პოეტი
იტყვის მთისას და იტყვის ბარისას,
ატყდება ერთი მიეთ-მოეთი.

ათი ათასი მხატვართა ფუნჯი,
(არ გაირჯება უქმად არც ერთი),
გადიხატავენ ჩემს ღამაჲ კონტურს —
ყველას სწყურია ახალი ღმერთი.

და ამზევდება ჩემი კედელი,
განათებული პოეტის სულით,
საუკუნიდან — საუკუნეში
გადაფრენილი, მარადიული...

და შეშურდება ყველას იმ მხატვრის,
ვინაც პოეტის იხილა სახე,
ვინაც კედელზე ფრესკად დამტოვა,
აი ისეთად, სიზმრად რომ ვნახე.

ნატვრა

მე პოეზიის ანტიკვარიდან,
გულ-გაბზარული ლექსით მოვედი,
დაბლით მიწა მაქვს, მაღლით კი ზეცა,
ჩემი ოცნების უცხო შორეთი.

ოქრო და ვერცხლი არ მყვარებია,
ამომასრჩობდა ხორცის სიმძიმე,

სხვისი მწვერვალი არ მდომებია,
რას ვინატრებდი? საკუთარ მღვიმეს!

რა მქონდა ქვეყნად, ან რა მექნება,
ჩემს ლექსს არ უნდა სხვა ოვაცია,
ერთ სტრიქონს მაინც თუ ეღირსება,
ყამთა ბნელ სვლაში რესტავრაცია.

ათას ცხრაას ოთხმოცდახუთი — ჩემი წელია,
უნდა დაესტამბო ყველა სტრიქონი,
რაც აქამომდე დამიწერია,
უნდა მოვარტყა ნიშანში სიტყვა,
რომ ცისარტყელა ზეცის წარბია,
რომ წარბის გაშლა —
გაზაფხულს ნიშნავს,
გაზაფხული კი ავგაროზი ახალი ლექსის,
საწყისია ახალ სიცოცხლის,
რომლითაც მე ვარ გვიან აცრილი...
მადევს სამშობლოს ძვირფასი ფერი
და გაზაფხული გვიანაც მათრობს.
კიდევ რამდენი ჩემი ლექსის პწკარი თუ რითმა,
ამავე ხელით შენდობას ელის,
ათას ცხრაას ოთხმოცდახუთი — ჩემი წელია,
აი, გითხარით, მინდოდა რის თქმაც!

შვილს

მე გამოვჭერი ბრჭყვიალა მზის კენტი წრიული
და ჩემი შვილის საწოლის წინ ვით დიდი ბურთი
ჭერზე დაგვიდე...
თათის ეძინა ბავშვური ძილით
და ვარდისფერი სიზმრის ჩურჩულით,
მე კი, ცნობისმოყვარეობით დავლაღე ტვინი,
გამოღვიძებას ჩავსაფრებოდი პაწაწა ჩვილის
და ასე ვიყავ გარინდებული,
რომ უცაბედად ჭრიჭინობელამ
გაჰკვეთა სევდა და სიჩუმის მერიდიანზე
გადმოაფრინა თავის ოინი...
ატირდა ბავშვი იმ ლამაზი ცრემლების ფრქვევით,
ფურნალის ყდებზე რომ ხატავენ სხვების საცქერლად,
ხელები მზისკენ გაიწვდინა: ჩამოდი მზეო,
და მეც ანგარიშშიუცემლად ეს გამოჭრილი
ფერადი მზის კენტი წრიული —
ბებერ სამყაროს უძველესი აღმოჩენა,
მის გონებაში ასე ზუსტად რომ აღიბეჭდა,
სიხარულით ჩამოვიტანე ჭერიდან დაბლა
და გასათბობად ჩავუგორე თოთო ხელებში.



ამირან მექვაბიშვილი

სასურსათო პროგრამა პარტიის აგრარული პოლიტიკის ახალი ეტაპი

თანამედროვე ეტაპზე პარტიისა და ხალხის მოღვაწეობაში მთავარია განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა. უოველივე ამის შესახებ ნათლად ითქვა 1988 წლის ივნისის პლენუმზე: განიხილა რა პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის თანამედროვე ამოცანები, კ. უ. ჩერენეკოზ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე პირობებში პარტიის პროგრამა უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა განვითარებული სოციალიზმის, კომუნიზმის გზით შემდგომი წინსვლის პროგრამა.

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა ითვალისწინებს ფართო მასშტაბის საერთო-სახალხო ამოცანების გადაწყვეტას, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების ბაზისისა და ზედნაშენის არსებით ძვრებს. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც სსრ კავშირის სასურსათო პროგრამას აერთიანებს. სკკ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე აღინიშნა, რომ განსაკუთრებით საჭიროა მოვადგაროთ მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგება მაღალბარისხის ხასურსათო პროდუქტებით, თანაც ისე, რომ ამ მხრივ მოვალეობით მაქსიმალურად შესაძლო თვითურსუნველყოფას. ამ პრობლემის გადაჭრას ისახავს მიზნად ქვეყნის სასურსათო პროგრამა, რომელიც სკკ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის მაისის პლენუმმა შეიმუშავა. ეს არის პერსპექტიული მნიშვნელობის უდიდესი დოკუმენტი, რომლის რეალიზაცია მოითხოვს პარტიის და მთელი ხალხის ერთიანობას.

სასურსათო პროგრამა ქვეყნის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, მეცნიერების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურ-

ნეობების ზედმდევანელების, სპეციალისტების კოლექტიური შრომის ნაყოფია. თანმიმდევრულად ახორციელებდა რა აგრარული პოლიტიკის კურსს, პარტია განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის უზრუნველსაყოფად. რის შედეგადაც უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა აგრარული წარმოების კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაჩქარდა მიწის ქიმიზაცია და მედიორაცია, შეიქმნა მართვის სრულიად ახალი ორგანოები სოფლად — აგრარული წარმოების ორგანოები, კიდევ უფრო განვითარდა სასოფლო-სამეურნეო მაქანათმშენებლობა, ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის მომსახურე ახალი დარგები. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკაში აქტიურად იწერგება მეცნიერების უახლესი მიღწევები, უმკობესდება მეურნეობის უზრუნველყოფა კვალიფიკაციური კადრებით.

მაგრამ, განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, სასურსათო პრობლემა დღის წესრიგიდან ჯერ კიდევ არ მოხსნილა მთელი რიგი მნიშვნელობის გამო.

ჯერ ერთი, მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე უზრუნველსაყოფად წარმოებს მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდის გამო, მეორე, შემცირდა ეკონომიკის აგრარულ სექტორში უშუალოდ დასაქმებული მუშა-ხელის რიცხვი და ამასთან დაკავშირებით იმატა ქალაქის მოსახლეობამ (მიგრაცია); მესამე, წლითიწლით იზრდება კვების პროდუქტების შესყიდვა სახელმწიფო ვაჭრობის ქსელში თვით სოფლის მოსახლეობის მიერ, მეოთხე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკის განმტკიცებაზე უარყოფით გავლენას ახდენს სოფლის მეურ-



ნეობის. მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობის (კაპიტალდაზღაურებათა უკუგების ეფექტიანობის) არასამართლიან ზრდა.

საქვ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა გაითვალისწინა უკვე ეს ფაქტორი და საჭიროდ მიიჩნია შეეშუშავებინა სპეციალური სასურსათო პროგრამა 1990 წლამდე პერიოდისათვის.

ახეთი პროგრამის მომზადება და განხორციელება პრინციპულად ახალი ნაბიჯია პარტიის აგრარულ პოლიტიკაში, მან დიდი სიანდენი შეიტანა დაგეგმვის სისტემაში, სოციალისტური ეკონომიკის მართვაში.

პარტიას მიანიჭა, სახელმწიფო სურსათის სწრაფი მატების მიზნით, კიდევ უფრო გადიდეს კაპიტალური დაზარდებები სოფლის მეურნეობისა და მისი ინტენსიფიკაციისათვის. მეტად უნდა ვიზრუნოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის უკვედნაირად ამოღებისათვის. მიწის, საწარმოო ფონდების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისათვის. შრომის ნაყოფიერებისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, დანაკარგების აღმოფხვრის, ეკონომიისა და მომკირნეობის, კოლმეურნეობებისა და სახეობა მეურნეობებში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

მეთერთმედი და მეორამედი ზუთწლედებში პარტიასა და სახელმწიფოს ცენტრალური ამოცანაა უკვე რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, რაიონში, სახალხო მეურნეობის თითოეულმა დარგმა, ქალაქმა და სოფლის უკვე შრომითმა კოლექტივმა მაქსიმალური წვლილი უნდა შეიტანოს სასურსათო პროგრამის გადაწყვეტაში.

პარტიის მიერ შემუშავებული სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების რაციონალურად გადაწყვეტას ემსახურება ის ღონისძიებები, რომელიც ხორციელდება მართვის პროცესების გაუმჯობესების, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. თანამედროვე ეტაპზე ეს განდგამარტულ-ორგანიზატორული და პარტიულ-სამეურნეო მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება.

მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით ადგილებზე, რაიონებში, მხარეებში, ოლქებშია და ავტონომიურ რესპუბლიკებში შეიქმნა აგროსამრეწველო გაერთიანებები, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებსა და ცენტრში — აგროსამრეწველო კომისიები ან საბჭოები.

საქვ ცენტრალური კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების 1988 წლის აპრილის თათბირზე აღინიშნა:

„ახლა როცა სოფლად მოქმედებენ აგროსამრეწველო გაერთიანებანი, რომლებსაც და-

კისრებული აქვთ სამეურნეო საქმეთა განხორციელება, პარტიულმა კომიტეტებმა მნიშვნელოვნად უნდა აამაღლონ სოფლის შრომით კოლექტივებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონე. როგორც მთელ სახალხო მეურნეობაში, აქაც შეუპოვრად უნდა ვიბრძოლოთ დისციპლინის განმტკიცებისათვის, სოფლის მშრომელებს უნდა ავუმაღლოთ მიწისაღები მეურნეობრივი დამოკიდებულების გრძნობა. ამ მიზნით უფრო ქმედითი უნდა გავხადოთ სოციალისტური შეჩივრება. ფართოდ გამოვიყენოთ ადამიანებთან მუშაობის, წარმოების ორგანიზაციისა და შრომის სტიმულირების უკანასკნელი წლების პრაქტიკით შემოწმებული ეფექტური ფორმები, უკვედნაირად განავითაროთ და განვითაროთ სამეურნეო ანგარიში“.

ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირების არსსა და მიზანდასახულებებს ემყარება საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც სულ უფრო მეტ ინიციატივას იღებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსისადმი მისი სულ უფრო ოპტიმალურად შეთანწყობის სტრატეგიულ და ტაქტიკურ ამოცანათა შემუშავებისათვის.

ამის თვალსაჩინო მაგალითია აბაშის ექსპერიმენტი, რომელიც გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს და მთელ ჩვენს ქვეყანაში გახდა ცნობილი. ამ ექსპერიმენტის არსი და საბოლოო მიზანია შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში. აქედან გამომდინარე, ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსში, ჩვენი რესპუბლიკის როლისა და მნიშვნელობის განსაკუთრებულად ზრდა.

ამჟამად საქართველოს უკვე რაიონში წარმატებით მოღვაწეობენ აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებები — მძღავრი, შავალღარავანი, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე ერთიანი რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის შემადგენელი ნაწილები.

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი სრულყოფისათვის უდიდესი მასტიმულირებელი მნიშვნელობა ქონდა მაღალ შეფასებას, რომელიც საქვ ცენტრალური კომიტეტის მაიის კლენუმმა მისცა ქვეყნის მთელი რიგი რეგიონების, მათ შორის საქართველოს აგროსამრეწველო გაერთიანებათა მიერ შეძენილ გამოცდილებას. პრაქტიკაში ცხადყო აბაშის ექსპერიმენტის სიკაცხილესა და ეფექტიანობა, რომელმაც ხათვე დაუდო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის მექანიზმის ძირეულ გარდაქმნას უწყებრივი ბარიერების დაძლევისა და ცალკეული რეგიონების ეკონომიკურ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების ზეგნით.

რესპუბლიკის მასშტაბით რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებათა შექმ-



ნამ წესადღებელი გახდა ზელმძღვანელობისა და მართვის ერთიან რგოლში თავმოყრილყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, დამზადებისა და გადამუშავების უკვალა პროცესი. ამაში ექსპერიმენტი მოიწონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, იგი ინერტება შეიქცა კვეყანაში. საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმზე, რომელიც სკა ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგების განხილვას მიეძღვნა, დიდი საუბარო გაიმართა აგროსამრეწველო კომპლექსების შექმნისათვის ჩვენს რესპუბლიკაში გაწეული საყოფიერო მუშაობის შესახებ. პლენუმის მონაწილეებს დაურიგდნო სპამური წესით დაბეჭდილი ბროშურა ამაშელთა შესანიშნავი გამოცდილების შესახებ.

რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო მეცნიერებთან ერთად ამუშავებს ღონისძიებათა სისტემას, რომლის მიზანია რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებების მართვის, მათი ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმების, დაგეგმვის, სტიმულირების, სამეურნეო ანგარიშის წარმოებისა და სხვათა სრულყოფა.

ამ ეტაპზე საჭიროა, კიდევ უფრო გაზარდვდეს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის საორგანიზაციო სტრუქტურა, გაუქმდეს ზედმეტი და მადუღიერებელი რგოლები, შემცირდეს მართვის აპარატის რიცხვი, გამოინახოს აგროსამრეწველო კომპლექსის წევრთა ურთიერთმოქმედების ოპტიმალური გზები.

დიდი მუშაობა ტარდება აგრეთვე სამრეწველო, არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან აგროსამრეწველო კომპლექსისა და რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსების პარტნიორობის მოგვარებისათვის, რომელიც დღემდე არადაშკაყოფილებელია, აგრეთვე, დამხმარე მეურნეობებთან რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსების ურთიერთმოქმედების ეფექტიანი გზების გამონახვისათვის. ამ საკითხებზე უკვე შეინიშნება გარკვეული წარმატებები.

აგროსამრეწველო კომპლექსის პროგრამის წარმატებით განხორციელების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, ამიტომ საჭიროა კიდევ უფრო დაჩქარების დადერგოთ აგროსამრეწველო კომპლექსებში მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება. ამათან, უნდა ვიხილმძღვანელო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებებით და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოთ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების ქსელის განვითარებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიღო რიგი ღონისძიებები განხორციელა პარტიული ზელმძღვანელობის გაძლიერების,

რების, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებისა და აგროსამრეწველო გაერთიანებების ფუნქციითა განაწილებისათვის გეგმარებითი მუშაობა წარმოებს კადრების შერჩევისათვის. დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან პარტიის რაიონების სოფლის მეურნეობის განყოფილებები, რომელიც სკა ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე შეიქმნა. შემუშავდა რეკომენდაციები სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სრულყოფისათვის. რესპუბლიკის ზოგერთ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებაში საწარმოო ექსპერიმენტის სახით შექმნილია პარტორგანიზაციის მდივნების საბჭო. მოქმედებენ აგრეთვე მდივანთა ტერიტორიული საბჭოები, რომლებიც ერთი სოფლის ტერიტორიაზე მოღვაწე რამდენიმე პარტიულ ორგანიზაციას აერთიანებენ. მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს მდივანთა ტერიტორიულ საბჭოში ახლა 3 პარტიული ორგანიზაცია შედის. მათ შორის არის კომლემურეობის, სოფლის კომპარტიის, საშუალო სკოლის და სხვა პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც რეკომენდაციას იღებენ მდივანთა ტერიტორიული საბჭოსაგან ამის შესახებ, თუ როგორ იბრძოლონ ერთიანი ძალებით სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, სოფლის მშრომელთა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ მუშაობის შედეგად, რომ წელს საშუალო სკოლის უკვალა ურსხამათვრებული შშობილო კლმეურნეობაში დარჩა სამუშაოდ, სოფელში თითქმის აღარ არის ოჯახი, რომელსაც არ გააჩნდეს პირუტყვი და ფრინველი. მათ შესანახად ოჯახებს გამოეყოფათ საძოვრები, ეძლევათ საკვები და ა. შ. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ორ წელიწადში საშვრ და უფრო მეტად გაიზარდა პროდუქტების შესყვალა პირადი მეურნეობიდან. მართო მეურნეობებზე ბუთწმდნის პირველ წელს კახეთის ამ უწყველისი სოფლის მცხოვრებლებმა სახელმწიფოს მიყიდეს 370 ტონა ხორცი, 700 ტონაზე მეტი ურძმენი, ასობით ტონა ზღარული და სხვა პროდუქტები.

დადი მუშაობა შემოუღდა აგრეთვე ამაში ექსპერიმენტის შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის. მისი მომდევნო ეტაპი გახდა 1983 წლის დამდეგს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შექმნა, რომელმაც სოფლის მეურნეობის მართვის ერთი მობილო ორგანოდ გააერთიანა სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო.

აღნიშნული ექსპერიმენტის უმნიშვნელოვან-



ნების შედეგი ნათლად ჩამოაყალიბა თავის მოხსენებაში სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შვედარდნაძემ. რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეოგრაფიკის ბელშეკრულების 200 წლისთავის გამო გამართულ ზეიმზე მან განაცხადა:

„ექსპერიმენტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებამ უზრუნველყო როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ დონეზე სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მასთან დაკავშირებული სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოო პროგრამების ურთიერთდაცოიონალური შეთანწყობა, მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების კონცენტრაცია წარმოების გადამწყვეტ ჯგუფებზე, სხვადასხვა სამინისტროს, უწყების, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ორგანიზაციათა ერთობლივი შეთანხმებული შეცადინეობის წარმართვა სასურველი საბოლოო სახალხო სამეურნეო შედეგების უზრუნველსაყოფად“.

ახალის ექსპერიმენტით რესპუბლიკის მასშტაბით ფაქტობრივად ახლა იკრებს ძალებს. მისი ფართო სარბილზე გამოსვლა აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის წინაშე მდგარი მრავალი პრობლემის გადაჭრას უკავშირდება. სწორედ ამ ექსპერიმენტის გამოსცდისა ჩამოყალიბებულმა შექანიშმა უნდა შექმნას რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის — ქვეყნის ერთიანი სასურსათო პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის — წარმატებით რეალიზაციის პირობები.

რესპუბლიკის სასურსათო პროგრამა ნათელ პერსპექტივებს საზავს საბჭოთა საქართველოს მრავალდარგოვანი, მაღალგანვითარებული სასურსათო კომპლექსის შემდგომი განვითარებისა და აღმავლობისათვის. პირველ რიგში, ძვირფასი სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების დაჩქარებული განვითარებისათვის. საერთო საკავშირო ფონდში მისი ზვედრითი წილის გადიდებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტებით რესპუბლიკის ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების, კურორტებისა და ტურისტული ზონების უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის.

შომაველ თბუთმეტ წელიწადში ჩვენმა მშენებელმა სოფლის მეურნეობის განვითარებაში მარტო 14 მილიარდ მანეთზე მეტი კაპიტალური დაზანდება. მათ შორის საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას — 13 მილიარდი მანეთი, თითქმის ორნახევარჯერ მეტი, ვიდრე განვლილ თბუთმეტ წელიწადში დაიხარჯა. გასარწყვადება 270 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ძირითადად დამთავრდება კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები, რეკონსტრუქცია გაუკეთდება ამჟამად მოქმედ ყველა სარწყავ სისტემას და ა. შ. როგორც ჩანს, ამოცანები დიდი და კეთილშობილურია: იგი სავსებით შეესაბამება ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ეფექტური მოქმედების ინტერესებს. საქართველოს პარტიული ორგანიზაციების, შრომელთა მოღვაწეობა იმის მომასწავებელია, რომ იგი წარმატებით განხორციელდება.

ეკონომიკის განვითარებისათვის ზრუნვასთან განუზრგლად არის დაკავშირებული შრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. უმჯობესდება შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. პარტიისა და მთავრობის განუზრგელი მზრუნველობის შედეგია, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურებაში პირველადია გათვალისწინებული ბუნებრივ-კლიმატური პირობები, რაც დღემდე მხოლოდ მრეწველობაში ხდებოდა. საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მეცხოველეობის მუშაკებზე ვრცელდება მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის დანამატების მიცემა. მათ უკველწლიურად ეძლევათ დამატებითი ფასიანი შევებულება. საშუალოდ 30 პროცენტით იზრდება საბჭოთა მეურნეობების ზელმძვანელი მუშაკების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების ზელფასი. სპეციალისტებს, რომლებიც მართვის ორგანოებიდან წავიდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ (თუ მცირე რენტაბელურ, წამგებიან მეურნეობებში გადავიდნენ — ხუთი წლის მანძილზე) ეძლევათ საშუალო თვიური ზელფასი, რომელსაც ისინი ძველ სამუშაო ადგილზე იღებდნენ. მათ ეძლევათ ერთდროულად დახმარება 3-5 თვის ზელფასის ოდენობით, დაახულია აგრეთვე დამატებითი შედავათები ახალგაზრდა სპეციალისტები-



ბათვის. დაწინააღმართებელ ნატურალური ანაზღაურება, რომელიც უკანასკნელ წლებში ბელადებით უარყვეს და რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების ინტერესებზე. შეასუსტა პირადი დამამარტ მეურნეობის განვითარების ბაზა, შეამცირა საკოლმეურნეო ბაზრის შესაძლებლობანი. ცხადია, ნატურალური ანაზღაურების პრაქტიკა, რომელიც ახლა ბოროტად იყენებოდა, ამ ნაკლოვანებებს აღმოფხვრის.

უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაუმჯობესდა სოფლის მშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა, სოფლად გაფართოვდა საბინაო, საბავშვო და სკოლამდელი დაწესებულებების, პიონერთა ბანაკების, კლუბების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების, გზების მშენებლობა. წინ უფრო დიდი პერსპექტივებია, რისთვისაც სახელმწიფო ყოველწლიურად გამოყოფს მშ. მშ. მილიარდ მანეთს.

ამჟამად მთავარია საზოგადოებრივი დოვლათისადმი მომჭირნე, უპირატესი დამოკიდებულება, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცება, ორგანიზებულიობის ამაღლება, კონტრაქტის სრულყოფა. რესპუბლიკის

პარტიული ორგანიზაციების უკანასკნელ წლებში მოღვაწეობა ნათლად მიგვანშნავს პარტიის უფელა ეს საკითხი წარმატებით წუდება. რესპუბლიკის ავტორიტეტი უზაზღვროდ გაიზარდა ჩვენი ჰვეყნის მასშტაბით. სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის და რუსეთისა და საქართველოს მეგობრული ბელშეკრულების მშ. წლისთავის აღხანწავად რესპუბლიკა ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. უკანასკნელი 11 წლის მანძილზე მან 10-ჯერ დაიმსახურა ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საქავშირო ალკე ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

პარტიის მიერ შემუშავებული სასურსათო პროგრამა უდიდეს გავლენას მოახდენს ჰვეყნის ცხოვრებაზე, მის ეკონომიკაზე. იგი ახალი ეტაპია პარტიის აგრარულ პოლიტიკაში. მის განსახორციელებლად მთელ საბჭოთა ზალბთან ერთად ენერგიულად იღვწიან საქართველოს მშრომელები, რომელთა ინიციატივასა და თვითშემაჯებულებას წარმართავს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია.



რევას ჯაფარიძე

ლიტერატურული ტერიორიების აღსაკვეთად

პოეზიასა და პოეტურ ნაწარმოებს ერთი ამოცანა და თავისი საკუთარი კანონები აქვთ, ხოლო ისტორიას — მეორე. პოეზიაში შეუზღუდველი თავისუფლებაა და ერთი კანონია — სწრაფვა პოეტისა, რომელსაც მუზეზი წარმართავენ. მას ვერ აუკრძალავ, ჭენებით ატაროს ცხენი შემოსულ ყანაში ისე, რომ ერთი თავთავიც არ გაათელვინოს და მათს ზემოთ იფრინოს.

ლუკიანე სამოხატელი — ბერძენი მწერალი

აღმანახ „კრიტიკაში“, დღიდან მისი დაარსებისა, ჩემი ზედიდან გამოსული არა ერთი წერილი, რეპლიკა თუ ინტერვიუ დაბეჭდილია. არა ერთი წერილი მიეძღვნა ჩემს ნაწარმოებებსაც, უწინარეს ყოვლისა ბოლშევიკების დამხმარე — რომან-ტიტრალიზაცია „მძიმე ჯვარს“. აღმანახის 1983 წლის ერთ-ერთ ნომერში მრგვალი მაგიდაც კი მოეწყო ხსენებული ნაწარმოების ავტორის განხილვის მიზნით. დისკუსიის ყველა მონაწილის დამკვიდრება ერთსულთან იყო. უთუოდ ამავე აზრისა ბრძანდებოდა აღმანახის რედაქცია და სარედაქციო კოლეგიაც, ვინაიდან არც მაშინ და არც მას შემდეგ რაიმე განსხვავებული მოსაზრება აღმანახის ფურცლებზე ან სხვა რომელიმე ბეჭდვით ორგანოში არ გამოუთქვამთ.

გამოხდა ხანი, სულ რამდენიმე თვე. აღმანახმა როგორღაც მკვეთრად შეიცვალა პოზიცია თავის მიერვე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან შენამუხანად აღიარებული და გახმაურებული რომანის მიმართ, ადგილი დაუთმო თამაზ წიგწივამის ნეგატიური ხასიათის წერილს, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა,

„კრიტიკა“ ორჯერ, ორ სხვადასხვა ნომერში გაისარჯა, რათა ახლებურად, ამაჯერად უარყოფით ასპექტში განეხილა რევას ჯაფარიძის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

თ. წიგწივამის ზემოთ მოხსენიებული წერილი უკვე მესამე ცდაა.

რა მოხდა? რა შეიცვალა ამ მოკლე დროის განმავლობაში? იქნებ აღმანახი „კრიტიკა“ ძირფესვიანად გადახალისდა, იქნებ მის სათავეში სრულიად სხვა ადამიანები მოვიდნენ, რომელთა ლიტერატურული შეხედულებები და იდეური მრწამსი რედაქციისა და სარედაქციო კოლეგიის ძველი შემადგენლობის მრწამსისა და შეხედულებებისაგან კარდინალურად განსხვავდება? შეიძლებოდა, რასაკვირველია, ასეც მომხდარიყო, თუმცა ძნელი წარმოსადგენი კია, მაგრამ სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა. რედაქცია უცვლელი დარჩა და სარედაქციო კოლეგიაც. მაშ, თუ ასეა, რატომ შებრუნდა კენი? რატომ და... შეიცვალა რედაქტორი. პატივცემულ კრიტიკოს გიორგი მერკვილაძის მაგიერ დაინიშ-

ნა პატივცემული კრიტიკოსი გურამ გვერდწითელი.

შერე, ეგ რა დიდი ამბავიაო, იკითხავს დაინტერესებული და, ცოტა არ იყოს, საქმეში ჩაუხედავი გულუბრყვილო მკითხველი, ნუთუ რედაქტორის შეცვლა იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ალმანახმა, ყოველგვარი წინასწარ გამოქვეყნებული დეკლარაციის გარეშე, თავდაყირა დააყენოს თავის მიერვე წლების განმავლობაში გამოუმუშავებული ლიტერატურული პოზიცია? ის, რაც აქამდე თავის ფურცლებზე ავტორიტეტულად იქადაგა და რასაც ერის საზოგადოებრივი აზრი უყოყმანოდ და უშენიშვნოდ მხარს უჭერდა, შეიძლება, ერთადერთი აღამიანის, თუნდაც რედაქტორის კარნახით, სხვებთან შეუთანხმებლად და ახალი პლატფორმის გამოუმუშავებლად თავდაყირა დააყენოს? არ შეიძლება, მაგრამ, თურმე ნუ იტყვიო, მაინც შეიძლება. გააჩნია მხოლოდ, ვინ არის რედაქტორი და როგორია მისი პირადი დამოკიდებულება ამა თუ იმ მწერლის ლიტერატურული ღვაწლისადმი.

გ. გვერდწითელმა ცოტა ხანს დაჰყო ალმანახ „კრიტიკის“ რედაქტორად. სულ შვიდი ნომრის გამოშვება მოასწრო. არც მეტი, არც ნაკლები. ამ შვიდიდან სამი ნომერი რ. ჯაფარიძის პიროვნებისა და სამწერლო მოღვაწეობის ახლებურ შეფასებას მიეძღვნა. როგორ ფიქრობთ, ძვირფასო მკითხველო, მეტისმეტი ყურადღება არ გამოუჩენიათ ამ ერთადერთი მწერლის მიმართ? მსგავსი პატივი არც ერთ სხვა მწერალს არ რგებია.

სად უნდა ვეძიოთ ალმანახის პატივცემული რედაქტორის ამ საგანგებო დაინტერესების მიზეზი? რა უნდა ედოს საფუძვლად გურამ გვერდწითელის დაინტერესებულ სურვილს, დაამტკიცოს, რომ რევაზ ჯაფარიძე სრულებითაც არ არის ის მწერალი და პიროვნება, როგორადაც მავანნი და მავანნი აქამდე ხატავდნენ, როგორადაც მას იცნობს მკითხველი, საზოგადოება? რომ მას

საქართველოს ისტორიის საქართველოს ახლოსაც არ გაუვლია, ისტორიულ რომან-ეპოპეას კი გვთავაზობს და მკითხველთა ფართო მასების და ლიტერატურული კრიტიკის მხტრვალე მხარდაჭერასაც აღწევს?

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ძველი კომპლექტების ფურცელა რომ არ მოგვიხდეს და ზედმეტი მტვერი არ გადავცლაოთ, მკითხველს ვთხოვ გადაშალოს ჩემი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების წიგნის „აწონილი სიტყვის“ მეორე, 1973 წლის ქართული გამოცემის 253-ე და 472-ე გვერდები. წიგნში გამოქვეყნებული ორივე წერილი — „დიდი სახალხო საქმე ერთად უნდა ვაკეთოთ“ და „ჩემი შენ გითხარიო“ სწორედ გურამ გვერდწითელის კრიტიკული ნააზრევის კრიტიკულად გააზრებას შეეხება.

წლების განმავლობაში გ. გვერდწითელი თავს არიდებდა ამ სტრუქტურების ავტორთან პირდაპირ, პატიოსან პოლემიკას. როგორც ჩანს, მაქსიმალურად მომგებიანი დროის დადგომას ელოდა. ეს დროც დადგა. იგი ალმანახ „კრიტიკის“ რედაქტორად დანიშნეს...

სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, ჩვენი პატივცემული კრიტიკოსი-რედაქტორი აქაც წინადაცულად მოიქცა. თავად უკან დადგა, ობიექტური კრიტიკის დროშა ააფრიალა და ალმანახის ტრიბუნა, რომელიც ლიტერატურული კრიტიკის განვითარებისა და ქართული მწერლობის შემდგომი აღმავლობისათვის და არა პირადი ანგარიშების სასწორებლად მოგვცეს, სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზით განაწყენებულ სხვა პირებს დაუთმო.

ეშმაკს არ ეძინა, ერთი გაუთვალისწინებელი შეცდომა მაინც მოხდა: საგანგებოდ მოწვეულ ავტორს, პასკვილებზე დასპეციალებულ თამაზ წიგწივამდეს დროზე ვერ ურჩიეს, თავისი განზრახვა სათაურშივე არ გამოემჟღავნებინა. ის ნელ-ნელა უნდა შეეპარებინა მიმნდობი მკითხველისათვის და ნალარა არა თავში, არამედ ბოლოში დაეცა.

შეიძლება ურჩიეს კიდევაც, ვინ იცის, მაგრამ სასპარეზოდ მოედანზე გამო-სულმა ავტორმა არ დაიჯერა, ჩემი სა-ქმისა მე ვიციო და თავისივე გაიტანა.

ასე მოველინა ქვეყნიერებას სენსა-ციური სათაური: „მძიმე ჭვარი“ და ჭვარცმული მკითხველი!

ვერ ვიტყვით, რომ წერილის ავტო-რი თავადვე არ შეიკებუნა საკუთარი ხელით დაწერილმა სათაურმა. ვერ ვიტყვით, რომ ჭკოვანმა არ შეიპყრო. კი მაგრამო, ეტყობა, გაიფიქრა მან, ვილაცა თავზეხელაღებული რომ წინ გადამიდგეს და მიყვიროს, ვინ დაგვით-ნება, ჩემს მაგიერ რომ ლაპარაკობო, რა ვუბასუხობო?

ამიტომ, დამაბრკებელისა არ იყოს, მანაც წინდახედულებას მიმართა: „ჭვარ-ცმული მკითხველის“ ფარგლები შე-აფიწროვა და ერთადერთ კაცზე, საკუ-თარ თავზე დაიყვანა. „ჭვარცმული მკითხველი“, სათაურში რომ ზარ-ზეი-მით მოვიხსენიე, მე თვით ვარო! კეთი-ლი და პატიოსანი. ვის წაართმევ უფ-ლებას, თავის თავს ის დაუძახოს, რაც გაეზარდება? — მეც ნუ დამძრახავს და ნუ მიწყენს, თუ ქვემოთ ამ სახელით მოვიხსენიებ, უფრო მოკლევადი, ადგი-ლის დაზოგვის მიზნით მარტო „ჭვარ-ცმულს“ ვუწოდებ, რადგან მარჯვე სა-ხელია, მოკლევადი არის და პატრონის კა-მათის ფორმასაც ზუსტად ესადაგება.

რას მიზანი ღაცაბა ჩვენმა „ჭვარცმუ-ლმა“? გინდათ თუ არა, უნდა დავამტ-კიცო, რომ „მძიმე ჭვარი“ მხატვრულად სუსტი წიგნია, დამახინჯებულად წარ-მოგვიდგენს საქართველოს ისტორიას და რომანის ავტორის სასიამოვნო აურ-ზაური მის გარშემო სულ ტყუილად ატყდაო.

ა, ბატონო, ბურთი და მოედანი! ალ-მანახის კარი ღიაა, საჭირო გვერდების რაოდენობა — განუსაზღვრელი, მიდი და დაამტკიცე, თუკი მართლა რაიმე შეგიძლია!

სანამ საქმეს შეუდგებოდა, თ. წიგწი-ვაძემ როლები გაანაწილა და სცენა მოაწყო. მკითხველს, მასთან ერთად,

ალბათ, ლიტერატურულ კრიტიკასაც ვისაც რომანი მოსწონს, რომანის ავ-ტორის მხარეზე დადგომა ურჩია, თუ შეგიძლიათო, თანაც დააყოლა, მე კი, ჩემს ლიტერატურულ სინდისთან ერ-თად, ცალკე დავდგები და ხელში „მძიმე ჭვარს“ დავიჭერო.

კი, ბატონო, გეპიროს.

„იქნებ აჯობოს, კონკრეტული მაგა-ლითების მოხმობით ვაჩვენო სარეცე-ნზიო რომანის სისუსტე“?

აჯობებს, რასაკვირველია.

თურმე ნუ იტყვით, ქართულ მწერ-ლობაში „მძიმე ჭვარის“ გამოქვეყნე-ბამდე არსებობდა „ამ სათაურის“ ნა-წარმოები და ამიტომ „არავითარ საჭი-როებას არ წარმოადგენდა წიგნის სა-ხელწოდების განმეორება“.

ხომ არ გვიბრძანებთ, სად არის ის ნაწარმოები? ავტორი არა ყავს? ასე ყველამ როგორ დაივიწყა, რომ მხო-ლოდ ჩვენს „ჭვარცმულს“ ახსოვს?

„იმ ძალის მწერლისათვის, როგორიც რევაზ ჯაფარიძეა, სიმძლევს არ უნდა წარმოადგენდეს (ამაში არა ერთხელ დავრწმუნებულვართ) თავის ნაწარმო-ებს სხვებისაგან განსხვავებული სათა-ური დაარქვას“ („კრიტიკა“ № 4, 1984 წ., გვ. 42). მაგრამ ჩვეულება რჯულ-ზე უმტკიცესიაო, „ჯარისკაცის ქვრი-ვის“ სათაურიც ასევე სხვისაგან ისეს-ხა, ნუთუ ლეონპარდ ფრანკის ამავე სახელწოდების რომანი არ გაგიგონია-თო?

ეს რომ წავიკითხე, მართალი მოგა-ხსენოთ, შევწუხდი და მაშინვე უნივე-რსალური ცნობარი „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ გადავშალე.

27-ე ტომის 614-ე გვერდზე მართ-ლაც არის მოხსენიებული ეს მწერალი. გერმანელი ყოფილა, ღურგლის შვი-ლი, ბავშვობა და ყრმობა სიღუპვითი გაუტარებია. 1915 წელს იძულებული გამხდარა, როგორც ემიგრანტს, თავი შვეიცარიისათვის შეეფარებინა. ფრან-კის ნაწარმოებები: „ყაჩაღების ბანდა“ (1914. უთარგმნიათ რუსულადაც „ყა-ჩაღების“ სათაურით. არც კი შორიდე-



ბიან სახელგანთქმული „ყაჩაღების“ სახელგანთქმულ ავტორს ფრიდრიხ შილერს!), ნოველა „უკანასკნელ ვაგონში“ (1925), რომანი „ოქსენფურტის ვაჟთა კვარტეტი“ (1927), „მარცხნივ, სადაც გულია“ (1952).

„ჯარისკაცის ქვრივი“ არ არის! „დიდმა საბჭოთა ენციკლოპედიამ“ არ იცის ლ. ფრანკის ასეთი რომანი და მაინც დამაინც მე ვიყავი ვალდებული მცოდნოდა, როცა ომში დაქვრივებულ ქართველ ქალზე, ხათუნა მინდელზე, და მის შვილებზე რომანს ეწერდი? გავიგონიათ სადმე ამნაირი ახირება?

„მძიმე ჯვარზე“ მსჯელობას, თუ სათურზე აღარაფერს ვიტყვით, წერილის ავტორი თ. წიგნისაძე მის გარშემო არსებული „კრიტიკული ლიტერატურის“ მიმოხილვით იწყებს და ჩვენდა გასაკვირლად გიორგი ნატროშვილის ერთადერთ წერილზე ჩერდება. ალბათ ეს წერილი ტიპიურად მიაჩნია. ცოდვას ვერ ვიკისრებ, გ. ნატროშვილს მართლაც უწერია: „სოლომონ პირველის ცხოვრება და ბრძოლა თავის აღმწერელს და მემატიანეს ეწოდება. „მძიმე ჯვარი“ სწორედ ის წიგნია, სადაც მთელი სიმაღლით გამოჩნდა ეს აღამიანი და გამოჩნდა უმამაცესი ვაჟკაცი, რომელსაც — დაღლილსა და ნაწამებს — ტანჯვით მიაქვს მძიმე ჯვარი ქართულ გოლგოთაზე“.

მწერლისა და მისი რომანის უფრო მაღალი შეფასება შეუძლებელიც კი ჩანსო, შენიშნავს „ჯვარცმული“ და იქვე მოჰყავს მეორე ამონაწერი იმავე გ. ნატროშვილის წერილიდან: „რ. ჯაფარიძის რომანის პირველ და მეორე წიგნებში უკვე ჩანს ძირითადი კონფლიქტები ამ მართლაც შექსპირული მასშტაბის ტრაგედიისა“.

ეს „შექსპირული მასშტაბის ტრაგედია“ და „შექსპირული ხასიათები“ სამი კრიტიკოსის — ბესარიონ უდუნტის, გიორგი ნატროშვილის და დევი სტუარტის წერილებში გვხვდება. რაკი „მაღალი შეფასება“ არ მოსწონს და დაუშინებულ გეგმებზე ეპითეტად მიაჩნია, რაღა

დავიმალოთ, მეგონა, თ. წიგნისაძეს სწორედ ამ დებულებების კრიტიკის ფონზე გაშლიდა თავის მსჯელობას და უკვე არსებულ შეფასებას თავის ორიგინალურ ფელსაზრის დაუპირისპირებდა, მაგრამ მან ეს არ ინება და თავის უზომოდ ვრცელ წერილში „ზოცა ნადირთა მცირეთა“ არჩია.

„ჯვარცმულის“ აღშფოთებას იწვევს თვით ანოტაციაც კი წიგნისა, რომელსაც რატომღაც ავტორის დაწერილად თვლის.

„კრიტიკოსის ამ აზრს (ლაპარაკია „შექსპირული მასშტაბის ტრაგედიისაზე“. — რ. ჯ.) წიგნის ანოტაციაში შესული ერთი ფრაზა თუ გადააქარბებს, რომელიც, ეტყობა, პატივცემულ ავტორს ეკუთვნის (სხვათაშორის, ანოტაცია გ. ნატროშვილის იმავე წერილიდანაა, საიდანაც ჩვენს ძვირფას „ჯვარცმულს“ რომანის ავტორის გამამტყუნებელი ციტატები მოაქვს. — რ. ჯ.): ამ წიგნში ცოცხლდება მე-18 საუკუნის საქართველო.“

„ჯვარცმული“ წინ უსწრებს თავის თავს და შესძახებს: მე სწორედ პირიქით მგონია! რა გგონიათ? როგორ გავიგოთ ეს „პირიქით?“ ვითომ კი არ ცოცხლდება, არამედ ცოცხალი იყო და კვდება? თუ საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა, რას დავწერთ და რას ვილაპარაკებთ?

დავიჯეროთ, მართლა ასეა, დავიჯეროთ, „ამ წიგნში ცოცხლდება მე-18 საუკუნის საქართველო“ უფრო მაღალი და აღმატებული პიპერბოლაა, ვიდრე „შექსპირული მასშტაბის ტრაგედია“?

პასუხი ამ კითხვაზე ჩვენი პატივცემული „ჯვარცმულის“ ლიტერატურულ ალლოს მივანდოთ, ჩვენ კი წინ წავიდეთ, ვინაიდან ერთობ გრძელი და მომქანცველი გზა გველოდება.

სტატიის ავტორი რომანის მეოთხე, დამამთავრებელ წიგნზე დართულ ბოლოსიტყვაობასაც ძალიან გაუხანწყუნებია და აგრესიულ გუნებაზე დაუყენებია.

აი, რას და როგორ წერს ის:

„ცოტა არ იყოს, ვრცელი სიაა და ამ

ლიტერატურის გაცნობა და შესწავლა დიდ დროს წაიღებდა“.

ამას უშუალოდ მოსდევს:

„მძიმე ჭვარსაც“ ეტყობა, ავტორი ზღვა მასალას ნაჩქარევად რომ გასცნობია“.

მაგალითები? რამდენიც გნებავთ! აი, ერთი მათგანი:

„თეიმურაზმა ვახტანგის სიძობით ისარგებლა: რაკი კახელ ბატონიშვილს ნადირმა სპარსეთის ლაშქრობებში გაწეული ღვაწლი დაუფასა და ნიშნად წყალობისა ქართლი უბოძა, ისიც დაუყოვნებლივ გამოემგზავრა სამშობლოში და სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში მეფედ ეკურთხა (გთხოვთ დაიმახსოვროთ ეს. სხვაგან ავტორს უტყუნიებენ, რომ მან არ იცის, სად არის მეფის კურთხევის ადგილი! — რ. ჯ.). ქართლის მეფე ვახტანგი, მტრისაგან მორეული და დამზობილი, ამ დროს გადახვეწილი იყო სამშობლოდან და თავისი მრავალრიცხოვანი ამალითურთ რუსეთის ძველ სატახტო ქალაქ მოსკოვში ცხოვრობდა“.

რა ვქნათ, როგორ მოვძებნოთ ორიათსაგვერდიან წიგნში დამოწმებული ადგილი? წერილის ავტორი ერთხელაც არ ცნობს საჭიროდ, გვერდები მიუთითოს, როგორც ნორმალური, აკადემიური კამათის დროს არის მიღებული. ვერ იბოვნი და ჩემი ჭავრიც ეგ იყოს, — თითქმის გვეუბნება ის. — დამიჯერე, რასაც ვამბობ, მე ვარ აქ მთავარი და არა წიგნი, რომლის ავ-კარგსაც ცოდუა-მადლის სასწორზე ვაგდებ!

რამდენი შეცდომა შეიძლება იყოს ზემოთ მოყვანილ ორ წინადადებაში? — გვეკითხება „ჭვარცმული“ თ. წივ-წივაძე და ჩამოთვლის:

„ა. კახელი ბატონიშვილი ნადირს „სპარსეთის ლაშქრობებში“ არ ხლებია, რადგან ნადირი თავად იყო სპარსეთის შახი და ამიტომ ის, საკუთარის ნაცვლად, ბუნებრივია, სხვის ქვეყნებს დალაშქრავდა. ასეც იქცეოდა — კახელი ბატონიშვილი სალაშქროდ ინდოეთში ახლდა“.

მაშასადამე, რა ხდება? რომანის ავტორმა არ იცის, სად ილაშქრა ნადირმა და რომელ ლაშქრობაში ახლდა მას კახელი ბატონიშვილი!

დავიჯეროთ? საიდან გამომდინარეობს წერილის ავტორის ეს აზრი? ნუთუ „სპარსეთის ლაშქრობებიდან“, ნუთუ იქიდან, რომ „სპარსეთის ლაშქრობა“ „სპარსეთზე ლაშქრობას“ ნიშნავს? ვითომ ასეა? გავიაზროთ კიროსის, მაკედონელის, პომპეუსის, თუნდაც ნაპოლეონის ლაშქრობა, ჭვაროსანთა ან უფრო ადრინდელი რომაელთა ლაშქრობები ჩრდილოეთ აფრიკაში, სხვაანაირად პუნიკურ ომებს რომ უძახიან.

თუ ჩვენი „ჭვარცმული“ სქემას გონივრულად მივიჩნევთ, გამოვა, რომ კიროსის ლაშქრობაში კიროსი კიროსს ებრძოდა და შესაბამისად მაკედონელი — მაკედონელს, პომპეუსი — პომპეუსს, ნაპოლეონი — ნაპოლეონს, ხოლო რაც შეეხება რომაელებსა და ჭვაროსნებს, მათ არა კართაგენი და აზია, არამედ თავ-თავიანთი ქვეყნები დაარბიეს.

მხოლოდ იმისათვის, რომ რევაზ ჯაფარიძე გავამტყუნოთ და ისტორიაში მთლად გაუთვისებლობიერებელ კაცად გამოვიყვანოთ, ღირს, გავაყალობოთ საყოველთაოდ დადგენილი ცნებები და თეთრი შავად გამოვაცხადოთ?

მაშასადამე, როგორ ყოფილა საქმე? ლაშქრობები, რომლებიც ნადირ-შაჰმა ავღანისტანსა, ყანდაარსა და ინდოეთში განახორციელა და რომლებშიაც მას ქართული ლაშქარიც ახლდა, ჯერ თეიმურაზის, ხოლო შემდეგ ერეკლეს მეთაურობით, სპარსელთა ლაშქრობები იყო, მხოლოდ სპარსელთა და არა ვისიმე სხვისი!

რა ვუპასუხოთ ბ. პუნქტს, რომელშიაც „ჭვარცმული“ ავტორიტეტულად გემოძღვრავს, „როცა თეიმურაზზე და მის შვილზეა საუბარი, მაშინ კახელ ბატონიშვილში ყოველთვის პატარა კახს გულისხმობენო“.

თავისთავად იბადება უბრალო კითხვა:

რომანის ზემოთ მოყვანილ ამონა-



წერში ვითომ თეიმურაზზე და მის შვილზეა ლაპარაკი? აბა, ერთი ხელახლა წავიკითხოთ. რა ირკვევა? „ამ ორ წინადადებაში“ ერეკლე თურმე საერთოდ არ ჩანს, სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ თეიმურაზს შეეხება. სიტყვა-ტერმინი „ბატონიშვილი“ წინადადებაში ნახშირია „ჩამომავლობის“ აზრით. ნათქვამია, რომ ნადირმა ქართლის სამეფო ტახტი ბაგრატიონთა კახური შტოს ჩამომავალ თეიმურაზს მისცა, თეიმურაზი კი, როგორც მისი შვილი ერეკლე, ვიდრე მეფედ ეკურთხებოდა, ბატონიშვილის ტიტულს ატარებდა.

საიდან გამოდის, თითქოს ნადირს ქართლის ტახტი არა თეიმურაზისათვის, არამედ ერეკლესათვის მიეცეს, თუკი საცოქმანოდ გამოცხადებულ წინადადებაში ერეკლე საერთოდ არ არის ნახსენები და არც იგულისხმება?

კიდევ უფრო გულდასაწყვეტად გაგვიხდება საქმე, როდესაც შევიტყობთ, რომ წერილის ავტორის მიერ საპაექროდ გამოტანილი „ორი წინადადება“ წიგნის ახალ, 1979 წლის გამოცემაში, რომელსაც რომანის ავტორის გამარჯვებული ყოველი კრიტიკოსი უნდა ეყრდნობოდეს, საერთოდ არ არის. ასე რომ, ამ ადგილას შვითხველიცა და ჩვენი საკუთარი თავიც ტყუილად მოვაცდინეთ. ისე, რა დასაძალია, კმაყოფილი დავრჩი, რომ თ. წიფწიფაძეს რაღაც მანქანებით ხელში არ ჩაუვარდა რომანის უფრო ძველი, თუნდაც გამოუქვეყნებელი და შემდეგ ვარიანტში ჩემს მიერვე უარყოფილი ხელნაწერი, თორემ, ისე ვატყობ, პასუხისგებას ვერ ავცდებოდი.

ამის მაგიერ წიგნის 190-191-ე გვერდზე აი, რა წერია:

„—მაღლობა ღმერთს, მშვიდობით მოხვედი, გზაში მარცხი არაფერი მოგივიდა... იქით რაღა არის საქმე?

—ოსმალების მხრივ — არაფერი, მაგრამ ლეკებისაგან მოსვენება არა აქვთ უბედურებს. დღეს რომ კახეთს დაეცემიან და აგერ ყვარელს თუ გრემს მოაოხრებენ, ზვალ მუხრანში ან გორში ამოყოფენ თავს. ერეკლე მეფე, ღმე-

რთმა აკურთხოს იმისი მარჯვენა ხელი და ღამ ცხენზე ზის და ხან გატეხილი ხიდიდან განაგებს ქვეყანას და ხან...

— გმირ და ჭკვიან მეომარს ამბობენ...

— ნადირ-შაჰის გაწვრთნილია. ლაშქრობებში გვერდიდან არ იშორებდა. ვინ მოსთვლის, რამდენ დიდ ომში ის ახელა თავი, ყანდაარში გინდა, ავღანი-სტანში, ინდოეთში... ტანად პატარა კაცი ყოფილა. ასე, ჩემი ტანის... მარა რკინას კვნეტს. ბიჭი ხარ და წინ დაუდგები! დაუფასა კიდეცა შაჰმა ერთგულება: მამას — ქართლი, შვილს — კახეთი. ეხუმრები?

— მართალია, ქართლელებს არ უყვართო? მამა ამბობდა...

— ვერ ვიტყვი მაგას, სოლომონს მართო გივი ამილახვარი და ორიოდე მისი ამყოლი ქართლი ხომ არ არის. მეფემ ამილახვარი სურამის ციხეში მიიმწყვდია, კარგა ხანს ალყაში ყავდა. თეიმურაზს მართლა მთელი ქართლი ახლდა თან. აუგად ნუ ჩამომართმევ, ძმაო, და, მიუდგომელი კაცი ვერც საწყალ მამაჩვენს დაუჯერებ. მამა, თავად მოგეხსენება, ვახტანგ მეექვსის ჩამომავალი იყო ნეტარხსენებულ ბებიაჩვენის მხრიდან. გაზრდილთაც ვახტანგის კარზე გაიზარდა ისანში. მეგრე, ბაბუა რომ თხმელისციხეში მოკლეს, იმერეთის ტახტზეც ვახტანგ მეფის შემწეობით ავიდა და რაღა გასაკვირია, თუ თეიმურაზს ყოველთვის ქართლის ტახტის მოცილებდ და მიმტაცებლად თვლიდა!..

— ტახტი მაინც ვახტანგის ჩამომავალს უნდა მიეღო. თუ წესი და კანონია, წესი და კანონი უნდა იყოს!

— მიეღო მეგრე, წაართვა ვინმემ თუ?

— შენ, გეტყობა, გვარიანად მოუხარშიხარ ერთსაც და მეორესაც. სანამ იქ წახვიდოდი, აქ სულ სხვანაირად კიკიკებდი.

— შენ ახლა ცოტა ნასვამი ხარ, სოლომონ, გამოგეძინა, დაგესვენა და სალაპარაკოდ მეგრე დაგმსხდარიყავით...

— აგრე ხომ მეც შემეძლო, იესე...

თავი ქართლის მეფედ გამოემცხადებინა. როგორ ატყობ, არ დამიძახებდნენ ტახტის მოცილეს და მიმტაცებელს?

— ჩვენ სხვა ვართ, სოლომონ...

— რატომ სხვა, ბატონო, ბაგრატიონობა ვინ ჩამოგვართვა! თუკი თეიმურაზმა ვახტანგის სიძობა იკმარა და მცხეთაში ქართლის მეფედ ეკურთხა, მე და შენ უფრო ახლო ნათესავებად არ ვერგებოდით ვახტანგ მეფეს?

— არა ხარ მართალი, სოლომონ, ნუ მიწყენ... თეიმურაზი რომ ნადირ-შაჰის ნებით ქართლის მეფედ ეკურთხა, დაგვიწყდა, ქართლი რომ უმეფოდ იყო?...“ და სხვ. და სხვ.

აწი რა ვქნათ? რომ არ მოგვეწყინოს და უნებლიეთ არ ჩავვთვლიდნენ, ხომ უნდა ვიპოვნოთ რაიმე საოხუნჯო მასალა? და თ. წიგწივაძეც პოულობს.

„სოლომონის პირველი ცოლი, თინათი, ინალიშვილის ქალი იყო. ეტყობა, ავტორს ეს ცნობა გადმოუღია ნიკო დადიანის წიგნიდან „ქართველთ ცხოვრება“.

უნდა ამას „ეტყობა“ და შემდგომი კვლევა-ძიება? განა ბოლოთქმაში გარკვევით არ წერია, იმ ნაშრომებს შორის, რომელთა შესწავლა წინ უძღოდა რომანზე მუშაობის დაწყებას, ნიკო დადიანის ხსენებული წიგნიც იყო?

არ ერწმუნოს რომანის ავტორი ისტორიკოს ნიკო დადიანის მიერ მოწოდებულ ცნობას და მაინცდამაინც შ. ბურჯანაძის მინაწერს დაეყრდნოს, თუკი მისი (ავტორის) მხატვრული კონცეფციისათვის ეს უფრო უპრიანაა? ვინ წაართვა მას; რომანისტს, არჩევანის უფლება? თუ მას ამის უფლება არა ჰქონდა, მაშ, რით და როგორ უნდა განესხვაოთ ისტორია ლიტერატურისაგან? შეიძლება განათლებულ საზოგადოებაში, მეოცე საუკუნის დამლევს, 1800 წლის შემდეგ ნეტარხსენებულ ლუკიანე სამოსატელის გარდაცვალებიდან, ფრიდრიხ ენგელსი „ანტიკური ეპოქის ვოლტერს“ რომ უწოდებდა, ამ ელემენტარული საკითხის გარშემო სერიოზული მსჯელობა გავმართოთ?

თ. წიგწივაძე ფრჩხილებში შემოიკრიბა:

(სხვათა შორის, ინალიშვილის ქალი ცოლად ყავდა კაცია დადიანს, თუმცა გაეყარა (ვინ ვის? — რ. ჯ.) და მეორედ იქორწინა ერეკლე მეორის დაზე — ელისაბედზე).

მაშ, მაშ, „სხვათა შორის“, სიტყვამ მოიტანა!.. მაგრამ ამის შესახებ სრულებით არაფერი წერია „მძიმე ჭვარში“?

აბა, ყური დავუგდოთ, რა შეიძლება წაიკითხოს კაცმა რომანის მეორე ტომის 532-ე გვერდზე:

„...არა, არ მოგიკვდეს კაცია... თქვენი საქმე მოსვლა იყო, გასტუმრება ჩვენი საქმე იქნება. ხომ, ბიძია, აღექსანდრე?

— არც შენთვისაა სახეირო, ჩვენი აქ ყოფნა თუ ვინმემ შეიტყო.

— მერე მაგის გულისთვის დასა და დისწულს სახლის კარი მივუკეტო? ღმერთო კი მომკალი! მეხი დამეცეს მაშინ! რძალი ხომ უნდა ნახო, მიულოცო, შენებურად გული გადაუშალო. მომკლავს! მის საყვედურებში გინდა ჩამაგდო?

— ჰო, მართლა, მომილოცავს! ისე კი, შე კაცო, ნუ მიწყენ და, თუკი თანამეცხედრესთან გაყრას და აფხაზეთის მთავრის მომდურებას აპირებდი, ამილახვრის ნაცოლარი რომ არ მოგეყვანა და ცოლად არ დაგესვა, ქალი გაწყდა ამერ-იმერში?

— ...ის „ამილახვრის ნაცოლარი“ მეფე ერეკლეს ღვიძლი და გახლავს, დედოფალი...“

წერებულა, თანაც უფრო „მსუქნად“ და, როგორც ლიტერატურას შეეფერება, პერსონიფიცირებულად? მაშ, ვის და რისთვის ვასწავლით, ორჯერ ორი ზთნაო?

„სამწუხაროდ, ეს „მცირე უზუსტობა“ (რომელი?) შემდეგში დიდ შეცდომად გადაიქცევა, — წერს მომდევნო აბზაცში „ჭვარცმული“. — საქმე ისაა, რომ თინათის გათხოვებამდე უფრო ახლო ნათესავი არავინ ჰყოლია, ვიდრე

მისთვის საკუთარი ქმარი, სოლომონ მეფე ყოფილა“.

საიდან და რით მტკიცდება ეს? ეს რა უბედურება დატრიალებულა რომანის ავტორის თავს?

„გურიიდან მობრუნებული არჩილ ბატონიშვილი სოლომონ მეფეს ატყობინებს: დედაჩვენის მოახლე, ხევაში გარდაცვლილა. სიკვდილის წინ ლაპარაკში „ცოტას ურევდა, სულ ცხოვრებულ ბებიაჩვენს, კოჭიბროლას, და თინათის — ახსენებდაო“.

„აქ ბევრი არაფერია დასაზუსტებელი, — გვამშვიდებს „ჯვარცმული“ თ. წიგნყვამე. — კოჭიბროლა სოლომონის ბებია ყოფილა“.

გამოცანა გვერგება! რომანში ეს ამბავი, ასე სხვის დასაზუსტებლად დარჩენია ავტორს? თუ ეს მართლა ასეა...

ამონაწერი რომანიდან:

„იგი (თინათი! — თ. წ.) სულ პატარა იყო, ვარციხის სასახლეში რომ მოიყვანეს გურიიდან და სანამ თავის კანონიერ მუთლესთან, გულის რჩეულ ბატონიშვილ სოლომონთან სარეცელს გაიყოფდა, ღამ-ღამობით, ბებია, ოდესღაც საარაკო სიღამაზით განთქმული კოჭიბროლა, იწვევდა ლოგინში“.

აქედან სტატიის სათაურის შესაფერისი სენსაციური დისკვნა: სოლომონის ბებია თინათის ბებიაცაა და, მაშასადამე, ისინი ახლო ნათესავეები ყოფილან და, ვაი სირცხვილო, რომანში სისხლის აღრევის ამოლოგისთან გვაქვს საქმე!

„თავისი საკუთარი ბებია“ გურიიდან ჩამოყვანა თინათის თუ აქ, ვარციხის სასახლეში დახვდა? გვაძლევს ამ კითხვის რაიმე პასუხს რომანი? რამდენადაც მე ჭიცი, არა. თუ გვეუბნება რაიმე საწინააღმდეგოს? ვვონებ, კი. ზემოთხსენებულ ხევაშქს, მოახლეს, სანამ დედოფალ თამარს, სოლომონის დედას, მეფე ალექსანდრეს ქვრივს, გიორგი მეფის რძალს მემკვიდრეობით ერგებოდა, ჯერ კოჭიბროლასთან უმსახურია. კოჭიბროლა რომ გარდაცვლილა, „ბატონების სამსახურში დაბერებული ხევაშქი“ (არ არის, სხვათაშორის, ისტორიუ-

ლი პირი, ავტორის ფანტაზიის ნაყოფია) იმავე ერთგულებით ემსახურებოდა და თამარს, როგორც მის დედამთილს, კოჭიბროლას, და, სიკვდილს და გარემოებებს რომ დაეცლია, მზად იყო ასევე განეგრძო სამსახური ახალ დედოფალ თინათისთან, მაგრამ...

აი, რა ფსიქოლოგიური საფუძველი უდევს იმ „არეულ ლაპარაკს“, არეულად კი ხანდახან თვით უდიდესი ტიტანების პერსონაჟებიც ლაპარაკობენ. გავიხსენოთ თუნდაც „პალატა № 6“ და „შეშლილის ჩანაწერები“.

ახლა, როცა ამდენი ვიკვლიეთ და ვითავცემეთ, უკვე დანამდვილებით ვიცით, ვისი ბებიაა კოჭიბროლა. ამას გარდა, ვიცით, ვის ეძახდნენ ვარციხის სასახლეში „ბებიას“. სასახლეში იყო ცას გამოკერებული დედაბერი, ყოფილი ულამაზესი ქალი, ყოფილი დედოფალი, ახლა კი ბებია, მხოლოდ ბებია. მისთვის უკვე შეუფერებელი სახელი ყველას დაეიწყინა და დიდი და პატარა ბებიას უძახის. სოლომონმა რომ მცირეწლოვანი თანამეცხედრე, თინათი შეირთო, ის, თინათი, ჯერ კიდევ არ იყო იმ ასაკისა, როცა შეიძლება ქალმა მამაკაცის სარეცელი გაიყოს. სოლომონის ბებია, ოჯახის უზუცესი ქალი, მას თავისთან იწვევდა. ეს მიღებული წესი გახლდათ საქართველოში, რადგან ქალებს აქ ძალიან ადრე ათხოვებდნენ. მაგრამ ის ბებიები თუ დედები, რომლებიც ბუნების საწინააღმდეგო, თუმცა იურიდიულად დასაშვები ფაქტის თავიდან ასაცილებლად თავიანთ მცირეწლოვან რძლებს ლოგინში იწვევდნენ და მამაკაცთან ნადრევი სექსუალური ურთიერთობის დაწყებისაგან იფარავდნენ, მათი ბებიები და დედები იყვნენ, ზოლო ქმრები ახლო ან შორეულ ნათესავეებად ერგებოდნენ?

ასე ქილიკობს ჩვენი პატივცემული რეცენზენტი სოლომონისა და მისი ძმების გარშემოც.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით (ნუ დავივიწყებთ ამ „ზოგიერთს“!) სოლომონს მეოთხე ძმაც ჰყავდა, მაგრამ მე-

ფეს უღალატა და ამის გამო უნდა გამოვწყვიტოთ დედამამშვილებში?

თუ მხოლოდ „ზოგიერთი წყაროს“ მიხედვით ჰყავდა სოლომონს მეოთხე ძმა, ხოლო სხვა წყაროები, რომლებიც შეიძლება არაა, ჯაფარიძეს ხელთ ჰქონოდა, სხენებულ ფაქტს არ ადასტურებენ, რატომ მაინცდამაინც იმ წყაროს უნდა დაყრდნობოდა, რომელიც მის მხატვრულ კონცეფციას დაარღვევდა და კონცეფციის დარღვევის წყალობით რომანი სულ სხვა მიმართულებას და აზრობრივ დატვირთვას მიიღებდა? განა მან, რომანისტმა და არა ისტორიული ტრაქტატის ავტორმა, დაუშალა ვისმე, სოლომონის მეოთხე ძმა „დედამამშვილებში არ გამოვწყვიტონ?“ მწერალმა დაწერა ის, რაც სურდა დაეწერა. მან იცოდა, რას და რისთვის წერდა. მაშ, დაეცა, ვიდრე ათასი გამვლელი და გამომვლელი მზამზარეულ რეცეპტს მიაწოდებდა?

ვინ იყო უფროსი, სოლომონი თუ იოსები? ასე გავცემთ პასუხს თუ ისე, ნუთუ ეს რაიმეს წყვეტს რომანში? თექვსმეტი წლის იქნებოდა იოსები, თვრამეტის თუ ოცის, როცა გენათელ მიტროპოლიტად აკურთხეს, ეს პატივი მისთვის მაინც ნაადრევია გახლდათ. ნაადრევია იოსებისათვის მიტროპოლიტობა, ისევე როგორც მეფობა სოლომონისათვის. ქვეყნისა და ერის სამსახურის მძიმე უღელში ისინი ბედმა ადრე შეაბა, ადრე აქცია მამაკაცებად, ადრე დააბრძენა და დააბერა და კიდევ უფრო ადრე ჩაიყვანა საფლავში.

თ. წიგწივაძე იმასაც კი გვედავება, თუ რომანის პერსონაჟთაგან ბევრი სხვა ყმაწვილი ბიჭი პირტეტელაა და „ნიკაპსა და საულვაშზე ძლივს ემჩნევა აჩხაბაჩხა წამოსული ქერა ბუსუსები“, იოსებს რადა აქვს წვერ-ულვაში და გრძელი თმაო?

ამის მეტი სამსჯელო და საკამათო არაფერია „მძიმე ჯვარში“? თუ მარტოოდენ ასაკს გავყევებით, ორმოცს მიტანებული ჩვენი თავცაცხლა „ჯვარცმული“ თ. წიგწივაძე ხშირი წვერითა და

ყურებზე გადაგრეხილი ულვაშითა და დღესაც ვერ დაიკვეხნის, მაგრამ შეიძლება ეს ნორმად მივიჩნიოთ და სხვებისგანაც იგივე მოვითხოვოთ?

„მძიმე ჯვარისა“ და ჯვარცმული მკითხველის ავტორი შემდეგ სოლომონ მეფის ცოლების ამბავს გვყვება. სამჯერ იფსკვნა ჯვარით, გვატყობინებს. პირველად — თინათიზე, მეორედ — მარიამზე, „მესამედ — ქაჯაიას ნაქვრივალზე (ეს „ნაქვრივალი“ ნეტა რა უნდა იყოს? — რ. ჯ.), ბერი წულუკიძის და იყო, ქალიშვილობის სახელით გულქანი“.

თინათის აღარ დავუბრუნდებით. პირდაპირ სოლომონის მეორე თანამეცხედრეზე — მარიამზე ვადავიდეთ. „ჯვარცმული“ წერს: „სამეგრელოს მთავართან დამოყვრება სოლომონს თითქოს იმისთვის დასჭირდა, რომ წართმეული ტახტი დაებრუნებინა“.

ტრაგიკული სიტუაცია, რომანის ექსპოზიციის დასაწყისშივე რომ ინასკვება, სწორედ იმით არის გამოწვეული და ახსნილი, ფსიქოლოგიურად მოტივირებული და დასაბუთებული, რომ სოლომონს, რომელსაც ტახტის ხელიდან გაშვება და ტყვისმსყიდველთა ხელში მისი ჩაგდება ქვეყნის დაღუპვად მიაჩნია, მოჭრილი აქვს ხსნის ყველა გზა. ერთადერთი გზა სიყვარულით შეერთული მეუღლის, თინათის გამეტება, მონასტერში გაგზავნა და დადიანთან დამოყვრება.

ასეა ეს ყველა ისტორიულ წყაროში. სხვაგვარად, თუნდ ისტორიკოსიც ვიყოთ და არა რომანისტი, რომელსაც, ისტორიკოსისაგან განსხვავებით, სიუჟეტური გზების არჩევაში, თუ ეს ისტორიის სულს არ გააუკუღმართებს, გარკვეული თავისუფლება აქვს (ყოველ შემთხვევაში ჰქონდა, ვიდრე ალმანახ „კრიტიკის“ ფურცლებზე „ჯვარცმული მკითხველი“ თავის კანონმდებლურ სტატიას გამოაქვეყნებდა!), ძნელია და შეუძლებელიც ეს მოვლენა სხვაგვარად ავხსნათ.

თუ ასე არა, მაშ, როგორ მოხდა?



თ. წიგწივადეს დიდად არ აწუხებს ამ კარდინალურ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა, ვინაიდან, როგორც ჩანს, კონსულტანტებმა სახეირო ვერაფერი მოაწოდეს, მაგრამ იმას კი ახერხებს, ბრალი ისევ რომანის ავტორს დასდოს.

აი, როგორ გრძელდება ზემოთ შეწყვეტილი ამონაწერი:

„რაკი სოლომონი საღსალამათ ცოლს (გვპირდება აქ თინათის ჯანმრთელობის მდგომარეობის გახსენება? — რ. ჯ.) გაეყარა და დადიანის ასული შეირთო, გამორიცხული არაა, რომ ეს ქორწინება პოლიტიკური გარიგებითაც მოხდა (ვითომ ამ ამბავს რამდენიმე საგანგებო თავი არ მიძღვნოდეს რომანის პირველ წიგნში! — რ. ჯ.)“.

„შესაძლოა“, „გამორიცხული არაა“, მაგრამ, რასაკვირველია, არა ისე, როგორც რომანისტს აქვს!

მაშ, როგორ ყოფილა საქმე? სიმამრი კი არ დახმარებია სიძედ მოცილებულ სოლომონს, პირიქით — „აფხაზებისაგან შევიწროებულმა სიმამრმა თავად თხოვა დახმარება გვირგვინოსან სიძეს“.

ლოგიკას მივადევნოთ თვალი: ოტია დადიანს უჭირს, აფხაზები ავიწროებენ. ამ დროს 17 წლის სოლომონი საყვარელ ცოლს ეყრება და ოდიშის ბატონის ასულ მარიამს ირთავს, რათა დადიანს აფხაზების წინააღმდეგ მოეხმაროს! აი, პოლიტიკური გარიგება! შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს ამაზე დიდი აბსურდი ან ისტორიაში, ანდა ლიტერატურაში? სად ამოიკითხა თ. წიგწივადემ ეს? ვინ მიაჩნია? თუ ის მკითხველი არა, თავდაპირველ მიზანსცენაში თვით „ჯვარცმულმა“ რომანის ავტორის გვერდით რომ დააყენა, მთლად კეთილის მოსურნე არ უნდა იყოს!

ვაი, რომ თავდაჯერებული მოპაექრის უაპელაციო განცხადება გვერდზე რჩება და ისტორიული წყაროები სულ სხვა რამეს ამტკიცებენ.

ნიკო დადიანის ზემოთ მოხსენიებულ ნაშრომზე დაყრდნობით აი, რას გვეუბნება ისტორიულ მეცნიერებათა დოქ-

ტორი ო. სოსელია თავისი ნაშრომის „ნარკვევები ფეოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური ისტორიიდან“ — 183-ე გვერდზე:

„სოლომონის გამეფებისთანავე მის წინააღმდეგ თავადური შეთქმულება მოხდა და ახალგაზრდა მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს (მაშასადამე, ის უკვე აღარ არის „გვირგვინოსანი“, როგორც კონსულტანტებისაგან გაბრეცებულ თ. წიგწივადეს ჰგონია! — რ. ჯ.). შეთქმულებაში სოლომონის პაპა ლევან აბაშიძეც ერია. სოლომონმა ტახტი რომ დაიბრუნა...“ და სხვ. და სხვ.

მოიპოვება თუ არა ისტორიაში რაიმე ცნობა იმის შესახებ, რომ სოლომონი დადიანს დაეხმარა აფხაზების წინააღმდეგ ომში? დიახ, მოიპოვება. მაგრამ, წინააღმდეგ თ. წიგწივადის კატეგორიული მტკიცებისა, ეს დადიანი გახლდათ არა ოტია, სიმამრი მეფისა, არამედ კაცია, მეფის ცოლისძმა და ეს ამბავი მოხდა არა სოლომონის მეფობის დასაწყისში, არამედ მეფობის დასასრულს, 5 წლით ადრე სიკვდილამდე, 1779 წელს!

ხსენებული სამხედრო ოპერაცია, საიდანაც ნადავლად ჩამოტანილი მორტირები, სულ 4 ცალი, სოლომონმა წერეთლების ციხე-სიმაგრე მოდინახეს უსახსოვრა, დღეს კი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ინახება, ისტორიაში რუხის ომის სახელით შევიდა.

ახლა რაც შეეხება „ნაქვრივალს“.

ვისაც „მძიმე ჯვარი“ თავიდან ბოლომდე, პირველი წიგნიდან მეოთხე წიგნამდე წაუკითხავს, რასაც, მიზეზთა და მიზეზთა გამო, „ჯვარცმულ მკითხველს“ ვერასგზით ვერ დავაბრალებ, უსათუოდ ეხსომება, რომ ბერი წულუკიძის დას, გულქანს, რომელიც ზურაბ მიქელაძის აზნაურის, ტყვისმყიდველ ქაჯაის თანამეცხედრე გახდა, რომანის საერთო ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია. ის სრულუფლებიანი და სრულუფასოვანი წევრია რომანის ფურცლებ-



ზე გათამაშებული დრამისა და თუ ნაწარმოების ბოლოს გულქანისა და სოლომონის ქორწინების აღწერას, ანუ ისტორიული სინამდვილის მხატვრულ ქმნილებაში ნატურალისტურად შემოტანას ავტორმა თავი აარიდა, ეს იმიტომ კი არ მოხდა, როგორც თ. წივწივამძეს და მის კონსულტანტებს სურთ წარმოგვიდგინონ, რომ მან ამ ქორწინების შესახებ არაფერი იცოდა, არამედ იმიტომ, რომ ამას მხატვრული ქმნილების კომპოზიცია და ნაწარმოებში ჩაქსოვილი აზრი ვერ იტევდა. წავართვათ ამის უფლება მწერალს? არ ჯობდა, უსაგნო ქირქილი უკუგვეგდო და ღრმად ჩავეკირვებოდით, რად მოხდა ასე და არა სხვანაირად? მაშინ ლიტერატურული ლაპარაკი გამოგვივიდოდა, მაგრამ, ღმერთმა დაგვიფაროს, ეს აკრძალული თემაა, თ. წივწივამძეს ლიტერატურაზე ლაპარაკიც არ უნდა, რომანის სისუსტის დასამტკიცებლად მას უფრო ე. წ. ფაქტობრივი მასალა აინტერესებს. ეტყობა, ამ გზით უფრო ადვილად იმღვრევა წყალი და ღლავის დაჭერა იოლდება. რა ვუყოთ, თუ ჭერვერაფერი დავიჭირეთ, მომავალი წინაა!

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თვით მიუდგომელმა მკითხველმა განსაჯოს, ვისთვის დარჩენილა „ჯერჯერობით კვლავ შეუსწავლელი“ სოლომონ მეფის „ოჯახური გარემო“, რომანის ავტორისათვის თუ „ჯვარცმულ“ თ. წივწივამძისათვის.

რეცენზენტი არ ცხრება, ჩვეულებას არც ქვემოთ ლალატობს, პირზე იქედნური ღიმილით გადმოგვცემს რომანის სიუჟეტს. ასე გვიყვება ის ქუთაისში სოლომონის თავმჯდომარეობით ჩატარებული საეკლესიო კრების ამბავს, ამ კრებაზე ლიხთიმერეთის თავად-აზნაურთა მიერ ფიცის წიგნის შედგენას, მეფეს მხარი მიცემთ და ტყვე აღარ გავყიდოთო, მაქსიმე აბაშიძის არჩევას ქუთაისის კათედრის მეთაურად და მის გაგზავნას ელჩად რუსეთის იმპერატორის კარზე.

ვითომ ძალბან სამასხარაო ამბავია? თუ ჩვენს „ჯვარცმულს“ დავსწრებით, ავტორის სოლომონის შეილები ასაკი და სახელებიც კი არეგია ერთმანეთში. სად, რომელი წიგნის რომელი გამოცემის რომელ გვერდზეა ეს არეულარეა?

მაგრამ, წარმოვიდგინოთ, ავტორის მართლაც ლაფსუსი მოუვიდა, თითქმის ორიათასგვერდიან წიგნში ახალდაბადებული ბავშვის სახელი შეეშალა. მე-რე თ. წივწივამძეს რა უხარია? რას ხელავს ამაში ასე მომაკდინებელსა და დამღუპველს? განა მსგავსი ლაფსუსი მხატვრული სიტყვის მსოფლიო გენიოსებსაც არ მოსვლიათ? ნატაშა როსტოვა 12 თვეს იყო ორსულად, ნაცვლად 9 თვისა, მაგრამ ღმერთკაცი ლევ ტოლსტოი ამის გამო ჯვარზე არავის გაუქრავს და მისი დიდი სახელი სასაცილოდ არავის უქცევია.

მოვიგონოთ სხვა მაგალითიც? ვგონებ ეს ერთიც კმარა. წერილი, ვატყობ, ისედაც გრძელი გამოდის და არ მინდა, ზედმეტ მაგალითებით ვისმე ტვინი გავულაყო. ისე კი პატიოსანი, ლიტერატურის სიყვარულით გულანთებული კრიტიკოსი ისე უნდა შევიდეს ნაწარმოებში, როგორც გამრჯე და გონიერი მეთოხარი გლეხი გამოკვირტულ ვენახში. მან ისე უნდა გამოთოხნოს ბალახბულახი და გააფხვიეროს მიწა, რომ ვაზს უცაბედად თოხი არ მოარტყას და კვირტები არ გააყრევინოს. არა და, თუ ამას ვერ შესძლებს, ამისთანა კრიტიკოსიც ღმერთმა შეარცხვინა და გლეხიც!

„ჯვარცმული“ უტიფრად დასცინის რომანის ავტორს და მისი ნაშრომის დადებითად შემფასებელ კრიტიკოს გიორგი ნატროშვილს. აი, რას წერს გ. ნატროშვილი: „სწორედ ამ ამბით იწყებს გამოჩენილი პროზაიკოსი რევაზ ჯაფარიძე თავის რომანს და მკითხველი ერთბაშად შეჰყავს მძაფრი, დაძაბული

რამაზ ჯაფარიძე

ლიბრატორული ტერორიზმის აღსაკვეთად



და უაღრესად დრამატული ბრძოლის
ვითარებაში“.

არ არის ვითომ არავითარი სიმძაფ-
რე?

„ტახტზე ასვლის წინაღუდს, — განა-
გრძობს იქვე გ. ნატროშვილი. — ბა-
ტონიშვილის აბუჩად იგდებს რაჟის
ერისთავის უფროსი შვილი გიორგი...
მეორე დღეს სოლომონი ტახტზე აღის
და იმავე საღამოს დაამხოვენ მას და
იგი იძულებულია საღდაც გადაეარგულ
სოფელში დაიმალოს“.

შეც სწორედ ამ ამბით დაეწყო
რომანზე საუბარსო, გულს გვიკეთებს
და გვპირდება თ. წიგწივამე, „ერთბა-
შად რომ შეჰყავს მკითხველი მძაფრი
და უაღრესად დრამატული ბრძოლის
ვითარებაში“.

რა საბუთებია მოყვანილი გ. ნატ-
როშვილის შეხედულების გასაბიძრუე-
ბლად? ნაწარმოების მიხედვით სოლო-
მონი აბუჩად ოთხშაბათს აიგდეს, სა-
მეფო ტახტზე კი არა მეორე დღეს, არა-
მედ კვირას ავიდაო.

რა ქვია ამას? კრიტიკა? სერიოზული
მსჯელობა მხატვრული ნაწარმოების ავ-
ტარზე? ამისთვის დაგვიარსეს ალმანა-
ხი, ამისთვის იხარჯება ამდენი შრომა,
ბევრფასი ქაღალდი და სტამბის საღე-
ბაი?

ეს რაც შეეხება გ. ნატროშვილს, ახ-
ლა რომანს მიემართოთ.

„გრძელი ამბავი მოსაწყენი რომ არ
გახდეს, გზადაგზა — ყოველი მომდევნო
თავის შემდეგ — რომანის ცალკეულ
ნაკლს თემატურად დავაღაგებ და ისე
მოგაწვდით... ადგილობრივი ხასიათის
უზუსტობანი და რომანის საერთო ნაკ-
ლოვანებანი ერთმანეთისაგან რომ გან-
ვასხევოთ, იმ თავებს, რომლებიც პა-
ტიცემულ კრიტიკოსს ძალიან მოს-
წონს, პირობითად დავასათაურებ“.

ამრიგად, პირველი სამასხარაო სა-
თაურია „თუ გიყვარდეს სოლომონ“.
რას რიშნავს ის? პასუხს რომანიდან
მოტანილი ამონაწერი გვაძლევს; „დე-
დოფალ თამარს სიტყვიერად დაება-
რებინა, შვილო სოლომონ, სულთმო-

ბრძავე მამა განატრულობს და, თუ გი-
ყვარდეს, ახლავე წამოდი, შენაღამა
ხალს მოუსწორო“.

რა არის აქ განსაკუთრებული? რა
ადგილას სცოდა თოფის სანიშნოზე წა-
მომჯდარმა მწერალმა? აი, რა: „წინა-
დადებაში ჩართული თუ გიყვარდეს ამ
სიტუაციისათვის არა მარტო უადგი-
ლო, ყალბი და ხელოვნურია“. ეს არის
სულ? ამისთვის ღირდა განგამის ატეხა
და ამ „თუ გიყვარდეს“ სათაურად გა-
მოტანა? ჯანდაბას, ვთქვათ, ეს არაფე-
რი. რით მტკიცდება, რომ ეს უბრალო,
ხალხური, სრულიად ძალდაუტანებელი
და თითქმის შეუმჩნეველი „თუ გიყვა-
რდეს“ მართლაც ყალბი და ხელოვნუ-
რია? რატომ არ უთვლიან „მოწიფულ
კაცს — თუ გიყვარდეს ახლავე წამო-
დიო“? რა გვაქვს აქ დამამტკიცებელი
საბუთი, გარდა იმისა, რომ „თუ გიყ-
ვარდეს“ ჩვენს „ჯვარცმულს“ არ მოს-
წონს? მერე ამით რაიმე იცვლება? რა-
ღაც რაციონალური გვრჩება ხელში?
ვინმე რაიმეში დავარწმუნეთ? ღმერთმა
ქნას, ჩვენს პატიცემულ თ. წიგწივამეს
მრავალი რომანი, რომანი თუ არა, კრი-
ტიკული წერილი მაინც დაეწეროს და
იმის მეტი შეცდომა, ზემოთმოყვანილ
რთულ წინადადებაში ჩართული „თუ
გიყვარდეს“ რომ არის, არ მოსვლადეს.

ეს კიდევ არაფერი. კურობები ქვე-
მოთ გველის. მკითხველს რომ ექვი
არ დაებადოს, თითქმის წერილის ავტო-
რი ცალკეულ ფრაზებს კონტექსტიდან
გლეჯდეს, რათა რომანისტის აზრი დაა-
მახინჯოს, აი რა ხერხს მიმართავს:

„ქვემოთ ერთი წინადადება წერტი-
ლიდან წერტილამდე უნდა ამოვწეროთ
და მინდა ყურადღება მიმიქციოთ:

„მეფე, რომ იტყვიან, ჯერ ისევ თბი-
ლი იყო და ის უკვე თავისებური სიხა-
რბით ეუფლებოდა აქაურობას, დედო-
ფლის მამობით სარგებლობდა და სამე-
ფო სახლს მფარველობას და პატრონი-
ბას ჰპირდებოდა“.

ეს თურმე უაზრო წინადადება ყო-
ფილა, სრული უაზრობა და გაუგებრო-
ბა, „რადგან ჯერ კიდევ „თბილი მკედა-



რჩა, ვიდრე კარგად გაცივდებოდეს — მფარელობას და პატრონობას პირდება სამეფო სახლს. თანაც, მეფე დედოფლის მამაც ყოფილა და ქმარიც!”

რას უნდა გამოეწვია ეს სრული უთავბოლობა და დაბნეულობა: „ცხადია, მწერალს სხვა რამის თქმა უნდოდა, მაგრამ აზრის გადმოცემისას ფრაზას სიცხადე დააყლდა და ეს გაუგებრობაც ამან გამოიწვია“.

დაენაყოთ წყალი და აღვადგინოთ საქმის ნამდვილი ვითარება, ანუ ის, რაც რომანის შესაბამის გვერდზე წერია.

სიძის მომდურავე სიმამრი, მუდამ ფეოდალური განკერძოების მოწაღინე ლევან აბაშიძე, არგვეთის დიდი ბატონი, დაქვრივებული დედოფლის მამა, მეფის გარდაცვალებისთანავე სასახლეში გაჩნდა და ყველას აგრძნობინა, რომ აქაურობის ბატონ-პატრონი და მფარველი თვით იყო. ამას ყველა ხედავს და გრძნობს, მაგრამ სასახლე მარგველთა მხედრობით არის გარსშემორტყმული და ხმა ვერაფერს ამოუღია.

არის თუ არა დრამატული, უკიდურესად დაძაბული სიტუაცია?

ახლა კეთილი ვინებობთ და მიეუბრუნდეთ ზემოთ მოყვანილ ამონაწერს რომანიდან. ოღონდ ცოტა ზევიდან დაეიწყეთ. „მძიმე ჯვრის“ 41-ე გვერდზე წერია: „მიცვალებულის გარეშემო შემოკრებილმა დიდებულებმა, დარბაზის ერმა და შინამოსამსახურეებმა მალულად ერთმანეთს გადახედეს, სული განაბეს და სმენად იქცნენ. არგვეთის ბატონი როდილა ხუმრობდა. მეფე, რომ იტყვიან, ჯერ ისევ თბილი იყო და ის უკვე თავისებური სიხარბით ეუფლებოდა აქაურობას, დედოფლის მამობით სარგებლობდა და სამეფო სახლს მფარველობას და პატრონობას პირდებოდა“.

ზის თუ არა ყველაფერი თავის ადგილზე? მაშ, რა შუაშია აქ „თბილი მკედარი“, „სანამ კარგად გაცივდებოდეს“, მკედრის დაპირებები და ის, რომ „მეფე დედოფლის მამაც ყოფილა და ქმარიც“?

ე. წ. ოიდიპოსის კომპლექსისადმი მიდრეკილებას ჩვენი საყვარელი „მეფის რცმული“ სხვაგანაც არა ერთჯერ იჩენს და, გამოერება რომ არ გამოძივდეს, ამ საკითხის გარშემო ჩემი მოსაზრების გამოსათქმელად შეც სხვა ადგილას შევჩერდები.

ცალკე უნდა აღვნიშნო სტატიის ავტორის აღტაცება იმით, რომ რომანის 64-ე გვერდზე კორექტურული შეცდომა უპოვია, მეხუთის მაგიერ იქ მართლაც პირველი წერია. ვითომ ეს იმით აიხსნება, რომ რომანის ავტორმა არ იცის, სოლომონის გვირგვინოსანი მამა მერამდენე აღექსანდრე იყო? თუ ეს ასეა, დაინტერესებულ მკითხველს ეთხოვ, გადაშალოს „მძიმე ჯვრის“ პირველი-მეორე წიგნის მოსკოვური გამოცემა („სოვეტსკი პისატელ“, 1984 წ. გვ. 54). და იქ ამ სიტყვებს ამოიკითხავს: «...Каталикос Бесарион отслужил литургию и молебен в честь поминовения души усопшего Александра Пятого».

შემდეგ, თუმცა „რომანის გარჩევაში“ არ შემოდის, თ. წივწივაძე გავყვით, კალმის ერთი მოსმით ეხება და მასხარად იგდებს რომანის ავტორის პუბლიცისტკას. მოყვას ამონაწერი ერთი ნარკვევიდან, საქმე საშური იყო, დავვიანებას ვერ ითმენდა, ამიტომ ბელეტრისტის კალამი გვერდზე გადავდმე და აქეთ გამოვეშურეო.

„არ გაინტერესებთ, როგორია ამ ყაიდის (ბელეტრისტის!) კალმით დაწერილი სტრიქონები?“

გვაინტერესებს, რასაკვირველია. როგორი ყაიდისაა? აკი დასაწყისში ეთქვით, რევაზ ჯაფარიძე „ასეთი ძალის მწერალია“, „ამაში არა ერთჯერ დავრწმუნდითო?“ სად მოვახდინეთ სიღლისთან გარიგება, იქ თუ აქ? რას ვებრძვი, რატომ და რისთვის?

ამოდ აღვიძრეს ცნობისმოყვარეობა და რალაც ახლის შეტყობის წადილი. ავტორმატურად წამოკრილი კითხვები სტატიაში უპასუხოდ რჩება, ავტორი მხოლოდ ზემოთ მოყვანილი რეკ-



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

ლიკით კმაყოფილდება. ის ისე შორს გაუტაცნია ჩვენი განქიქების სურვილს, რომ ანგარიშს ველარ უწევს, სად, რას და რისთვის ამბობს.

გადმოვწერო მთელი წერილი, პასუხი გავცე ყველა სტრიქონს, ტექსტსა და ქვეტექსტს, ყოველ სიტყვას და შორისდებულს? ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან უამრავ დროსა და ადგილს მოითხოვს, გაცილებით მეტს, ვიდრე შეიძლება კაცმა ერთი შეხედვით წარმოიდგინოს.

ასეა თუ ისე, ჯერ შუა ტყავებაშია ან ვართ. მოთმინების შენარჩუნება ერთხანს კიდევ დაგვჭირდება.

ვინაიდან ბოლოსიტყვაობაში მოხსენიებულ ისტორიულ ლიტერატურაში ზედმიწევნით ზუსტ-მითითებას ვერსად წავაწყდი, რომანის წერის პროცესში გადავწყვიტე მეფე სოლომონის კორონაციის ადგილად გელათის აკადემიის დიდი დარბაზი ამერჩია. მეგონა, ეს საკითხი პრინციპული მნიშვნელობისა არ იყო და ჩემი, როგორც რომანისტის და არა ისტორიკოსი-მკვლევარის კომპეტენციას შეადგენდა. წინასწარ რა ვიცოდი, თუ ამის გამო ისტორიული რეალიზების სრულ არცოდნას, კერძოდ კი იმის არცოდნას მიკვირებდნენ, თუ სად უნდა ეუბრთხოს ბატონიშვილი მეფედ.

როგორც ცნობილია, სოლომონი ტახტზე თურქეთის სულთნის წარმომადგენლებს უნდა აეყვანათ და სულთნის ერთგულებაზე დაეფიცებინათ, ეს ცერემონიალი კი, დამემოწმებით, ქრისტიანული ეკლესიის საკათედრო ტაძრისათვის, როგორც გელათის ტაძარი, მეტისმეტად შეუფერებელი ჩანს. ამიტომაც შევაჩერე არჩევანი სარწმუნოების თვალსაზრისით შედარებით ნეიტრალურ ადგილზე, გელათის აკადემიის დიდ დარბაზზე, რომელიც, ჩემის აზრით, მე-18 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მთლად დანგრეული და სახურავჩამოქცეული არ იქნებოდა.

ეგ როგორ გაბედო, მიკვირებს „ჯვარცმული მკითხველი“, იცი თუ არა, რომ სოლომონის დროს წარმოდგენაც

არ ჰქონდათ, თუ იქ ოდესმე მოგვიანებით, 1942 წელს შეიტყო აკადემიკოსმა ს. ყაუხჩიშვილმა!

გიცან, გიცან, რეპლიკავ, საიდანაც ხარ ნატყორცნი, მაგრამ მეც ხომ მაქვს უფლება რეპლიკას რეპლიკითვე ვუპასუხო? სანამ ამერიკას აღმოაჩენდნენ, ის არ არსებობდა? რას ეფუძნებოდა აკადემიკოს ს. ყაუხჩიშვილის მეცნიერული პიპოთეზა? უპირველეს ყოვლისა, ტრადიციას, ზეპირ გადმოცემას, რომ ამ კედლებში დავით აღმაშენებელმა „სხვა ათინად“ წოდებული აკადემია დააარსა. საიდან ვიცი, ვინ დაამტკიცა და ან ვინ სცადა დამტკიცებინა, რომელ ისტორიულ საბუთში წერია, რომ გელათის აკადემიის არსებობის შესახებ სოლომონ დიდის ეპოქაში არავინ არაფერი იცოდა?

ეს ერთი. მეორე: აქვს ამას რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა რომანში გაშლილი კოლიზიების ასახსნელად და ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებისათვის შუქის მოსაფენად? არავითარი! მაშ, სიტყვას ბანზე რად გვივადებენ და ნაცვლად იმისა, რომანი არსებითად განიხილონ, მისი „საერთო ნაკლოვანებები“ გვაჩვენონ, ხურდას რისთვის აჩხრიალებენ და რად გვაბნევენ?

„ახლა გოლა-ფაშას მიუღბრუნდეთ, თორემ ამდენს არ მოიცდის.“

„საქმე ის იყო, რომ ფაშას თხმელისციხეში, საიდანაც აქ მოვიდა, ნიგვზის გაფცქვნილი ლებანივით თეთრი და ქათქათა თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ათქვირებული გოგო ყავდა დატოვებული.“

ჩანს, ძნელია გულგრილობა შეინარჩუნო ამგვარი პიკანტური ადგილის მიმართ. მაგრამ იმ პიკანტური ადგილებისაგან განსხვავებით, წერილის ავტორს სხვაგან და სხვაგან რომ უძებნია, აქ სხვა ვითარებაა. რომანისტი ვისიმე სექსუალური გრძნობების აჩქაროებას კი არ ლამობს, ძალადობის ამ აქტში მომხდელი მტრის ცინიზმის, მისი დაუსჯელი პარპაშის და ქართველი ხალხის



სულიერი სიმტკიცისა და დაუმორჩილებლობის ცოცხალ ზატად გადმოცემა აქვს მიზნად დასახული.

მოუხსმინოთ ჩვენს „ჩვარცმულს“:

„ახლა გოლა-ფაშას მიეუბრუნდეთ, თორემ ამდენს არ მოიცდის. კიდევ კარგად მოვაცდევინეთ. გოლა-ფაშას ფეხი რომ დაეკრა და წასულიყო, არ გამტყუნებოდა“.

რით განსხვავდება ეს ცინიზმი იმ ცინიზმისაგან, გოლა-ფაშას პირუტყვულ წადილს რომ უდევს საფუძვლად?

ამონაწერი რომანიდან:

„გოგო ამ დილას წისკვილიდან მოეტყუათ და გოლა-ფაშასათვის საჩუქრად მიერთმიათ. კეცივით მფრთხალსა და ღონიერ გოგოს სამი მოწიფული ვაჟაკი ძლივს უმკლავდებოდა. გზაში ორჯერ გაექცათ და მაშინვე ტყეს მისცა თავი, მაგრამ დაიჭირეს და ფაშას ხელფეხშეკრული მოჰგვარეს. ქალს ტანზე თითქმის აღარაფერი ეცვა, შემოხეული ტანსაცმლის ნაფლეთები აქა-იქ-ლა ეკიდა და მისი შიშველი ტანი წაბლის ზუტაციდან გამომდევრალი ბროწი ნაყოფივით ანათებდა“.

აქ, იმის მაგიერ, გულში სულ სხვა გრძნობა გაღვიძებოდა, „ჩვარცმულ“ თ. წიგნივადეს ავტორისათვის გაუთვალისწინებელი წარმოდგენები გასჩენია და ქირქილის გუნებაზე დამდგარა: „ან გოგოს კანის ფერი იყო ცვალებადი, ან თითქმის შიშველი გოგოს დანახვაზე თვალი მოტყუვდა“.

ასე უნდა წიგნს წავითხვა? შეიძლება ამაზე ზორს წავიდეს ცინიზმი, უხამსობა და ღვარძლი, რომელიც არა მარტო ერთი „ცალკე აღებულო“ მწერლის, არამედ მთელი ლიტერატურის წინააღმდეგ არის მიმართული?

ამაში კიდევ უფრო ღრმად გვარწმუნებს „ჩვარცმულის“ შემდგომი კომენტარები:

„გოლა-ფაშა, ეზოში გაშვებული მამალივით ურცხვად რომ იქცევა, გვიან მივხვდი (?). თავიდან, მისი ღრიალი რომ შემომესმა, ასე მეგონა: „ქამარი რომ შეიხსნა და ზედ დააწვა“, ალბათ

ქამრის ბალთის წვერი თუ შეერჯინა, თქი! აბა, რას გავიფიქრებდი, დღისით, მზისით, შარვალს თუ შეიხსნიდა და გაკოჭილ გოგოს ასე სახალხოდ დააწებოდა“.

სამასხარაო თემას რა გამოლევს. თუკი თავად იკადრებ და სხვასაც აკადრებ, საამისოდ მსოფლიო ლიტერატურის განურჩევლად ყველა ნაწარმოები გამოდგება მიუხედავად მათი საღაფრობისა და მხატვრული სრულყოფის ხარისხისა.

რა გამოგვიჩნდა მორიგი სამასხარაო? სოლომონის მიერ ოტია დადიანის წიგნის მიღება და წინადადება, სჯულიერ თანამეცხედრეს გაეყარე და ჩემს ასულზე, მარიამზე იქორწინეო.

როგორ ფიქრობთ, მკითხველო, სოლომონი, გვირგვინოსანი მეფე, 17-18 წლის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც თავისი ყმაფვილი მეუღლე რომანტიკულ ფერებში ეხატება, ამ უხამს წინადადებას თევზის გულგრილობით შეხვდებოდა? ახალგაზრდა კაცი, თავის ახალ მდგომარეობას ჯერ კიდევ რომ არ შეგუებია, რატომმა მასხარად აცდების ღირსი? რატომმა უადგილო და ფსიქოლოგიურად არაზუსტი ავტორის ტექსტს, რომელიც გმირის ფიქრთა მიმდინარეობას გამოხატავს: „...მეფეს იმგვარი რამ ჰკადრეს, იმგვარი ბილწი რამ გაუბედეს, ხმამალა თქმაც კი დიდი და უპატიებელი ცოდვა იყო. მეფის შეუვალ ღირსებას ვინლა ჩიოდა! სოლომონს, როგორც აღაძინასა და მამაკაცს, დასცინეს, ულვაში გაპარსეს, კაცობის ქული მოხადეს, მასხარად აიგდეს, შეუღახეს ახალგაზრდობა, თავმოყვარეობა, შეუგინეს ამქვეყნად ყველაზე წმინდა და ხელშეუხებელი“.

ახლა ამაზე ქირქილებს ჩვენი „ჩვარცმული“, ქუდი ჩაუყვია და ბუქნას უცლის. ბილწი კი არა, ის არ გინდაო? რა მოხდა, რა უპატიებელი ცოდვა იყო ამის ხმამალა თქმაო?

საშიშია, პასუხი მართლაც უადგილო და „ტრადიციული“ არ აღმოჩნდეს. მაინც უნდა გავხედო.

ამაღლებული, სუფთა სიყვარული, განსაკუთრებით ამ ასაკში რომ ახახია-თებთ ადამიანებს, ვითომ სასირცხვერ გრძნობაა? ვითომ ჩვენს დროში ან მო-მავლში სიყვარული, ურთიერთთანად-გომა, ურთიერთთავგანწირვა, მეორე ადამიანისადმი პიროვნული პასუხისმ-გებლობის შეგება ადამიანებს აღარ დასჭირდებათ, ეს მხოლოდ ქიმერაა და წარსულის სანაგვეზე უნდა იქნას გად-ავლებული? თუ სოლომონისა და თინა-თის ეს დიდი სიყვარული არ დაიხატე-ბოდა, რომანის ოთხივე წიგნს რომ ვას-დექს, მაშინ რაღა ფასი ექნებოდა. ახა-ლგაზრდა მეფის მიერ გაღებულ მსხვე-რპლს? მაშინ როგორღა წარმოსახე-ბოდა ქვეყნის ახალგაზრდა მეთაურის დამოკიდებულება სამშობლოსადმი, მშობელი ხალხისადმი? ნუთუ მე უნდა მჭირდებოდეს თქმა და აღმანახ „კრი-ტიკის“ ავტორისათვის მტკიცება, რომ რომანი სწორედ ამ უზენაესი გრძნო-ბის წარმოსაჩენად დაიწერა?

რომ გაირკვა, რას ითხოვდა დადიანი (ეიწერ სტატიიდან რომანის ამონა-წერს), „აქამდე გაყურებული ბატონი-შვილი არჩილი (სოლომონის უმცროსი ძმა, 12 წლის ბიჭი. — რ. ჯ.) მოიბუზა, ტუჩები აუკანკალდა და ღვართქაფად გადმომსყდარი ცრემლები რომ როგო-რმე დაემალა, სახეზე ხელები მიიფა-რა“.

ყველა შეწუხებულია. ყველა დაფიქ-რდა. ყველას ოჯახის წევრი თინათი უღვას თვალწინ. არ უნდა მომხდარი-ყო ასე? მაშ, როგორ უნდა მომხდარი-ყო?

შემდეგ გიორგი წულუკიძეს, რომა-ნის პერსონაჟს, დასცინის წერილის ავ-ტორი და კიდევ ერთი ამონაწერი მოჰ-ყავს რომანიდან:

გიორგი წულუკიძემ „ძმებს უბრა-ლოდ უთხრა და ადვილად დაუმტკიცა, რომ ოტია დადიანის შემონათვალი, შე-საძლოა, თავხედურ კილოს კი შეიცა-ვდა, მაგრამ შიგ ვისიმე შეურაცხყოფა და აბუჩად აგდების განზრახვა წამლა-დაც არ იყო“.

გეც ამას არ ვამბობდით? — ეწერა წიგნს. ნავს ჩვენი „ჯვარცმული“. დიდი შეც-ვათია! მაგრამ ამ გაჭირვებულ გიო-რგი წულუკიძეს ის მაინც დავუტოვოთ სანუგეშებლად, რომ პრიორიტეტი მი-სია, მან პირველმა თქვა!..

წერილში მოყვანილია ქსნის ერის-თავ იასესა და სოლომონ მეფის დია-ლოგი, ალის ციხეში რომ გაიმართა. მეც მომყავს იგი მთლიანად:

— „გულს ნუ გაიტეხ, მეფეო, ღმერ-თი მოწყალეა... უნუგეშოდ არ დაგე-ტოვებს. ჰაჰა-აჰმადს განათლებულ და ურჯულოს კვალობაზე ღმობიერ კაცს ამბობენ... მდიდარი წიგნსაცავი ჰქო-ნია თურმე რაბათში...“

— ეგ რაბათი რაღას ქვია?

— ციხეა დიდი, ციტადელი, აი, რო-გორც ქუთაისში, ან ჩვენი ისანი და მეტეხი თბილისში...

— თავად გინახავს, ბატონო?

— არა, სხვის ნაამბობს მოგახსენებ... იქვე მოუწყვია დიდებული წიგნსაცა-ვი. საიდან არ აგროვებს სხვადასხვა ენაზე დაწერილ წიგნებს.

— მაჰმადის რჯულის აღმსარებელი ჩვენს ქრისტიანულ წიგნებს რა თავში იხლის?!

— წიგნი წიგნია, ბატონო მეფე, რა რჯულსაც არ უნდა ქადაგებდეს. გაგ-ებულმა კაცმა, ჩემგან არ გესწავლება, ყველა უნდა წაიკითხო და იცოდე“.

„ჯვარცმულის“ შენიშვნა ამ ადგილის გამო:

„მემატიანეთა ცნობით, მეფე სოლო-მონი მეორედ მაშენებელ ექმნა ქვე-ყანასა (პირველში დავით აღმაშენებელს გულისხმობენ) ასე უპასუხისმგებლოდ დაწერილ სტრიქონებს არ იმსახურებს!“ მეორეგან: „...რომანში ყოველთვის ასე არ არის და ხანდახან უფრო გამართუ-ლი აზრიც შეგხვდება, მაგრამ მწერალი გაცილებით უკეთ ართმევს თავს ყურ-მოკრული და საღდაც მონასმენი (ნე-ტავი სად? — რ. ჯ.) შეგონების გად-მოცემას: „პრასი ხომ არ არის დალო-ცვილი, რომ გაზაფხულზე ხელახლა ამ-ოიყაროს!..“, „აგრე იცის უზომო



სმამ!“, მე კი დავამატებდი, ალბათ, უბასუხისმგებლო წერამაც აგრე იცის!..“

რა დეარქვით ამას? კვლავაც კრიატკია? კვლავაც ლიტერატურული საუბარი მხატვრული ნაწარმოების ან-კარგზე? რით დაუმსახურებია რომანის ავტორს ეს უშვერი სიტყვები?

რა ჯობს თუნდაც ამის წაგითხვას:

„ავტორს (რევაზ ჯაფარიძეს. — რ. ჯ.) ყველაფერი გადაჭარბებული უყვარს — თუ კაცს ოფლმა დაასხა — წურწურით მოსდისო! თუ ცრემლი წასკდა — ღვარღვარით წასკდაო! თავიდან ორი წიგნის დაწერას აპირებდა, ოთხი გამოუვიდა!“

ვაი, საწყალო მწერალო, შენთვის ენაც ამოურთმევიათ და მარჯვენაც, რომელშიაც კალამი გეკავა, ძირში მოუჭრიათ. იმის უფლებაც აღარ გავაჩნია, რომ პერსონაჟის სულიერი მდგომარეობა შენი თვალთახედვით აღწერო, თქვა, ოფლი დაასხა თუ ცრემლი წასკდა ან ორივე ერთად, ხოლო ის გაჩემოება, თუ საბოლოოდ რამდენი წიგნისაგან უნდა შედგეს შენი ნაშრომი, აუცილებლად სხვამ უნდა გადაგიწყვიტოს. არ დაიჯერებ და ზუსტად იმ დღეში აღმოჩნდები, რა დღეშიაც ამ რომანის კოდელი ავტორი აღმოჩნდა!

ნუთუ თ. წიფწივაძისათვის სავსებით უცნობია მხატვრულ ნაწარმოებზე მუშაობის „ტექნოლოგია“? ნუთუ მას აქამდე არ მოესხენება, არც მოცულობა ნაწარმოებისა და არც პერსონაჟების საბოლოო ბედი ავტორის პირველადწყებით ჩანაფიქრს ყოველთვის რომ არ ემორჩილება და ქმნილების მხატვრული ლოგიკა თავის თავს თვითვე განსაზღვრავს? თუ ეს ასე არ არის, რად აღმოხდა ჰუშკინს ცნობილი სიტყვები, ტატიანა გათხოვდაო და ან ბალზაკს, მამა გორიო მოკვდაო? ვინმეს, გარდა „ჩვეარცმული მკითხველისა“, ქირდება დღეს ამ საყოველთაოდ ცნობილ „ქეშმარიტებათა ჩიჩინი“?

გეტყვით რომ არა, ან იმას საიდან შეიტყობდა თ. წიფწივაძე, რომ რევაზ ჯაფარიძე თავდაპირველად „მძიმე

ჯერის“ ორ წიგნში, შემდეგ სამი წიგნში ჩატევას აპირებდა და მეოთხე წიგნის დაწერა კი მოუხდა, გულწაღლიანად კაცო რომ არ ყოფილიყო და თვითვე არ ეტყობინა? ანა, ის რევაზი რომ აღდგენდა, რომ ვინმე ამის გამო საშარცხვინო ბოძზე გააქრავდა და საფუთხებლად გახდიდა?

თ. წიფწივაძეს რომანის ავტორის უნებლიე შეცდომა ჰგონია გამოთქმა: „სოლომონს გაახსენდა, ვინც იყო“ მეფეს, თუ თ. წიფწივაძეს დაეუჭარებთ, თურმე გასახსენებელი არაფერი ჰქონდა, ყოველივე დიდებულად ახსოვდა! არა და, აქ, რომანში, სულ სხვაგვარად არის საქმე. სოლომონი, ისევე როგორც ყოველი მოკვდავი ადამიანი, თანდათან ეჩვევა თავის მდგომარეობას, იმას, რომ მეფეა, რომ ქვეყნის ბატონია, რომ ყველა, დიდი და მცირე, მოვალეა მის ნებასურვილს უყოყმანოდ დაემორჩილოს. სოლომონი ჯერ კიდევ არ არის ის კაცი, ბრძენი, მეორე აღმაშენებელი, რომელსაც ჩვენ ისტორიული ანალებიდან ვიცნობთ. ის მკითხველის თვალწინ, ოთხი ვრცელი წიგნის მანძილზე უნდა გაიზარდოს, ამაღლდეს და ჩვენ, მკითხველები, მისი პირადი აღმანიშნური და საზოგადოებრივი ცხოვრების მოწმე და მონაწილე უნდა გავხდეთ. სხვაგვარად რომანს, რომლის დაწერაც ავტორს სურდა, ვერ მივიღებდით და აღარც ჩვენს „ჩვეარცმულს“ მიეცემოდა შესაძლებლობა მისი სრული არარობა ემტკიცებინა, აღარ დასჭირდებოდა იქედნური ქირქილი: „უკვე პირდაპირ უნდა ვთქვა, დიდი სოლომონი თავისი ღირსების შესაფერიად ვერ იქცევა!“

თ. წიფწივაძის სიხარულს საზღვარი არა აქვს, როცა მისი აზრით ახალ ულოგიკობაში იჭერს რომანის ავტორს. შეთქმულთა შორის, ვინც მეფე ტახტიდან ჩამოავდო, რაქის ერისთავი როსტომი უპირველესია, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, დევნილი სოლომონი მაინც რაქსს აფარებს თავს.

ეს არის გონივრული ნაბიჯი? ამაზე



საქართველოს მწერთა კავშირი

უკეთესი რაღა უნდა ენატრებინა რაჭის ერისთავ როსტომს, თუ ყოფილი მეფე რაჭაში თავისი ფეხით ეახლებოდაო.

მართლა ასეა ვითომ ეს? ისე, გულბატონად უნდა ვთქვა, ჭირს, სწორედ რომ ჭირს კამათი სტატიის ავტორთან და მის ინკოგნიტო კონსულტანტებთან. მათ ყველას ერთად ან თუნდაც ერთ-ერთს ო. სოსელიას, ზემოთხსენებული ორტომიანი ნაშრომი რომ წაეკითხათ, თავისი ზუთი თითოვით ეცოდინებოდათ, რომ იმერეთის სამეფოს ერთ-ერთი პროვინცია რაჭა იმხანად, როდესაც რომანის პირველ წიგნში აღწერილი ამბები მიმდინარეობს, როსტომ ერისთავის განუყოფელ ფეოდალურ სამფლობელოს სულაც არ შეადგენდა. იგი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, და რაც ყველაზე თვალნათლივ ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში სწორედ ო. სოსელიამ დაამუშავა, მე-18 საუკუნის ორმოცდაათიანი წლების რაჭა ერისთავების, წულუკიძეების, იაშვილების, ყიფიანების და ჯაფარიძეების სათავადოებისაგან შედგებოდა (გარდა ო. სოსელიას დასახელებული ნაშრომისა ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა...“ და გულდენშტეტის „მოგზაურობა საქართველოში“ ტ. 1). თითოეული ეს თავადი, როგორც ფეოდალური ფორმაციის წესია, თავის სათავადოში ერთპიროვნული ბატონი და მფლობელი იყო, რაც სამეფო ხელისუფლების ცენტრისკენულ მისწრაფებას ეწინააღმდეგებოდა.

ტახტდაკარგული სოლომონი რაჭაში მიჰყავდა მის აღმზრდელს, თავად გიორგი წულუკიძეს, ხოტევის ციხის ბატონს. მაშ, რა უნდა ჰქონოდა სასიხარულო მეზობელ მებატონეს, როსტომ ერისთავს, განა სოლომონის ხელში ჩაგდება და დატყვევება მისთვის თვით რაჭაშიაც ისევე ძნელი და მიუწვდომელი არ იქნებოდა, როგორც იმერეთის სამეფოს სხვა პროვინციებში?

სად არის აქ სახიზრითო ულოგო-

ბა? რა შეშლია რომანის ავტორს რომელ ადგილას?

თ. წიგნივადე საგანგებოდ არსად უღრმავდება „მძიმე ჯვრის“ ენობრივ თავისებურებას, მწერლის პოზიციას ამ საკითხში, მხოლოდ ერთგან, თუმცა გაკვერთ მიუთითებს, როგორ ჩიქორთულად ლაპარაკობენ თურმე რომანის გამირები.

მარიამ დედოფალი:

„— ღმერთო, ეს რა დამემართა... ბავშვები ჭავრით დამებოცებინ, გადაირეკა სოლომონი!“

სოლომონი — ძმას, იოსებს, გენათელ შიტროპოლიტს:

„— კიდევ ვინ მოვიკითხე დაცინვით, შე კაცო? ნუ მიწყენ და, მეტისმეტად უცნაური ხალხი ხართ სამღვდლო პირები.“

იოსები — ძმას, ბატონიშვილ არჩილს:

„— რას ქვია... არ ირთავ ცოლს! როგორ თუ არ ირთავ? შენს ნებაზე მიდქ-მოდქის უფლება, ერთი მითხარი, ვინ მოგცა? ეგ ისწავლე ამხელა კაცმა? მაგას გეჩიჩინებოდი?“

„ჯვარცმულს“ ეჭვი აწუხებს, რომ შეიძლება მის მიერ სამასხარაოდ გამოტანილი რომანი მომავალშიაც ვინმემ წაიკითხოს, ყურად არ იღოს აღმანახ „კრიტიკის“ პუბლიკაცია და ამიტომ წერს:

„... მინდა „მძიმე ჯვრის“ მომავალ მკითხველს გაეუფროხილდე და ამ კუთხით რომანის შესაბამისი, უფრო ზუსტად, შეუსაბამო ადგილების ციტირებას მოვეშვა.“

გავიგეთ, ასე რამ დააკარგვინა წონასწორობა ჩვენს „ჯვარცმულს“, რომ „შესაბამისი“ და „შეუსაბამო“ ერთმანეთში აურიო? მე, ასე გასინჯე, კიდევ დამებადა ერთი კითხვა: ვთქვათ, თ. წიგნივადის წერილი „მძიმე ჯვარი“ და „ჯვარცმული მკითხველი“ წაიკითხა ახალგაზრდა აბიტურიენტმა ან საშუალო სკოლის მოსწავლემ და ამ ადგილს, დამახინჯებული ქართულის მაგალითები რომ არის მოყვანილი, ყურადღება

მიაქცია. რა ვუპასუხოთ, როგორ უნდა დაწერილიყო სწორი, „შესაბამისი“ ქართულით ზემოთ მოყვანილი ფრაზები? კერძოდ, რა შეცდომები მოსვლია რომანის ავტორს, რომ ახალგაზრდა მკითხველმაც გაითვალისწინოს სასკოლო ან საგამოცდო თემის დაწერისას?

თ. წიგწივამდე ზემოთ თქმულით არ ემაყოფილებდა. მას ისიც კი განუზრახავს, რომ რომანის ავტორი საქართველოს ისტორიის განზრახ გამყალბებლად და ქართველი ისტორიული პირების მაგინებლად გამოაცხადოს.

მაგას კი ველარ დავიჯერებო, შეიძლება წამოსცდეს ვინმეს. ვერა, ხომ? მაშ, მცირეოდენი მოთმინება ვიქონიოთ.

გამოცემის, ტომისა და გვერდის დაუსახელებლად სტატიის ავტორი გვთავაზობს სათანადო ამონაწერს რომანიდან. მადლობა ღმერთს, ჩემს მიერ დაწერილი და ათასჯერ გასწორებული ტექსტი მე ასე თუ ისე კარგად მახსოვს და მიუთითებელ ადგილს ადვილად ვპოულობ:

„თუ საჭიროება მოითხოვდა, რაღა თქმა უნდა, ძალდი ძალდის ტყავს არ დახვედა და ქართლ-კახეთის მეფეებიც ფარულ ან აშკარა დახმარებას გაუწევდნენ ოსმალების წინააღმდეგ ამხედრებულ აჩიკ-ბაშების მეფეს“.

კომენტარი-დასმენა: „როგორ მოგწონთ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებზე ნათქვამი — ძალდი ძალდის ტყავს არ დახვედა?“

არის თუ არა ეს აშკარა პროვოკაცია, ავტორის ტექსტის განზრახ გაყალბება მკითხველის მოსატყუებლად?

ქონდა თუ არა უფლება რომანის პერსონაჟს, ქრისტიანული საქართველოს დაუძინებელ მტერს, გადაგვარებულ, ოსმალეთის იმპერიის სამსახურში მყოფ ჩინოვნიკ ფაშა ჰაჯი-აჰმადს საქართველოსა და ქართველ მეფეებზე ამ ფორმით ეფიქრა და ეს ფიქრი რომანის ავტორს თავისი სიტყვებით გადმოეცა? თ. წიგწივამეს ნუთუ დღემდე არსად გაუგონია, რომ არსებობს ასეთი მხატ-

ვრული ხერხი? თუ მართლაც ვინმეს მართლა უბირ კაცთან გვაქვს საქმე, რატომ ვერ შენიშნა და გამოეპარა ერთობ უხერხული ფრაზა პირველი წიგნის 229-ე გვერდზე: „ჩრდილოეთის დიდი ვეშაპი რუსეთი?“ რატომ არ დააბეზლა ავტორი და საბჭოთა ხალხებს შორის შეუღლისა და მტრობის გაღვივება რად არ დააბრალა? იმად, რომ, ეტყობა, მიხვდა ან ვიღაც საღად მოაზროვნემ მიახვედრა, ეგ მეტისმეტი გამოგვივაო, გამოთქმა ფაშა ჰაჯი-აჰმადს ეკუთვნის და არა ავტორსო და ამ ნაბიჯის გადადგმისაგან თავი შეიკავა.

მაგრამ რა განსხვავებაა მხატვრულ ხერხში, რომლის მოშველიებითაც ზემოთ მოყვანილი ფრაზებია გადმოცემული? არავითარი!

რაკი თავზე ნაცარი წავიყარე, ამ წერილს პირადად მე, რომანის ავტორი ვწერ და არა სხვა ვინმე, ვისაც „ჯვარცმულის“ წრესგადასული მკრეხელობა შეზარავდა, შეზარავდა არა იმდენად შინაარსით, არამედ ფორმით და პროტესტის გამოსახატავად ხელში კალამს ააღებინებდა, არ შემიძლია გვერდი ავუუარო წერილის ერთ ადგილს, სადაც ამაღასთან ერთად რაჭაში მიმდევარი ტახტდაკარგული სოლომონის მგზავრობა და ოკრიბელ ბერიკაცთან საუბარია გამასხარავებული.

ფერდობზე შეფენილ ახალგამოცვირტულ ვენახში ბერიკაცი მუშაობს. იქვე წალამს აგროვებს და კონებად აწყობს მისი ორსული რძალი. ვენახს გზის მხრიდან ძეძვის ღობე გასდევს. ყველამ, ვისაც საქართველოს მიწაზე ფეხი დაუდგამს და გულში ჩადებული ავი ზრახვა არ მორეგია, კარგად იცის, რა სიმაღლისა და სიგანისა უნდა იყოს ეს ღობე. სტუმართმოყვარე მოხუცებული უცხო მგზავრებს მიიბაძიებენ. რძალი ზემოთ, ვენახის თავისაკენ გაეშურება, სადაც კარის ვენახიდან ეზოში შემავალი ჭიშკარია და სახლი დგას. სოლომონი შეჩერდება. სურს შეიტყოს, რას ფიქრობს გლეხკაცი, ხოლო მისი სახით ერი, ვისი ინტერესებისათვის

ხმალიაუტებელი ბრძოლა მას თავისი სიცოცხლის ერთადერთ აზრად მიაჩნია.

გავყავდნენ და აქ მხოლოდ იმ ამონაწერებს მოვიყვან, რომლებიც თ. წიგნივადეს მოყავს თავის წერილში.

„— რა გვარი ხარ, ბიძია? — ჰკითხა სოლომონმა და ძეძვის ღობეს, რომლის გადაღმაც მხოლოდ ჭაღარა თავი მოჩანდა მასპინძლისა, გზის მხრიდან მიიღგა“.

„ლობე თითქმის ბერიკაცის სიმაღლისა ყოფილა!“ — წამოიძახებს ჩვენი „ჯვარცმული“. აი, თურმე მას რა აინტერესებს, ეპიზოდის აზრს და განწყობილებას არ მიყვება, ღობის ძირას ქვებს ეძებს, რომ ავტორს ესროლოს. ახლა რაძალი?

„ვენახის ნაპირ-ნაპირ ჩამოიარა, და მხედურთ მორცხვად მიესალმა და ძეძვის ღობეზე ჯერ სველი ღოჭი შემოდგა და შემდეგ ქათვათა თეთრ ზელკალათსაც მოუნახა აღგილი. ქალი ფეხშიშვედ იყო. ამდენი უცხო მამაკაცის წინაშე აღმური ასდიოდა. სოლომონს თვალი ზოსტაცა ახლახან კეცებიდან აღყრილი პიწკინა მჭადებმა, სქლად დათლილმა ჭყინტმა ყველმა და ნაღრევმა ხასხასა მწვანელმა. ყველა ეს ქალმა ისე მოხდენილად გააწყო სუფრაზე, იმდენი მაღლი შოაფრქვია, მაძლარსაც კი მოაშვიებდა და ნერწყვს მოჰგვრიდა“.

მკითხველს, ვინც ამ რომანის თუნდ მხოლოდ პირველი წიგნი წაიკითხა, ახსოვს, რომ ეს ქალი სოლომონს მეორედაც ხედება, ამჯერად ოძრხის ციხესთან, ტყვისმსყიდველების მიერ მოტაცებული და გაყიდული, ძუძუთა ბავშვით ხელში, როცა სოლომონი ახალციხიდან ბრუნდება და თან ურუმის ჯარი მოჰყავს, რათა მისი შემწეობით კვლავ ტახტზე ავიდეს. მეფეს რომ დაინახავს, საცოდავ ქალს ჰგონია, გადაერჩიო, მივარდება, უზანგზე უტაცებს ხელს და ცდილობს თავი გაახსენოს, ცხენს ფეხებში ჩაუვარდება, გამოხსნას და შინ დაბრუნებას თხოვს. სოლომონი ხმაგაკმენდილია, მიწის ფერი ადევს. მას

არაფერი შეუძლია. თუ ამ შემთხვევაში ქალს ზელი გაუწოდა, მაშინ მხლებელ ურუმის ჯარს ომი უნდა გამოუცხადოს და მეფობაზე საშუალოდ უარი თქვას, რაც საბოლოოდ დაღუპავს არა მარტო დედა-შვილს, არამედ მთელ ქვეყანას. სოლომონი ცხენს დასძრავს, როცა ქეშეები გააფთრებულ ქალს უკან დაახევენებენ, გზას განაგრძობს და უკანიდან მოესმის გააფთრებული დედის წყევლა:

„— გრისხოს გელათის ღვთისმშობელმა!.. არ მიხვედი სახლში ცოცხალი!.. არ გეიხარო ჩვენი ცოდვით!.. არ გელირსოს მოსვენება!..“

შემდეგ, მთელი რომანის მანძილზე, სოლომონს მისდევს ეს წყევლა და თვით სამარის კარამდე მიჰყვება.

აი, რა აზრობრივი დატვირთვა ახლავს ყოველივე იმას, რაზედაც სტატიის ავტორმა მართოდღენ სიტყვა ჩამოგვიგდო, აი, რა და როგორ ტყივა რომანის ავტორს, წერა-კითხვის უცოდინარ რევუზ ჯაფარიძეს!

ეტყობა, ძალიან სასაცილოა. ამაზე უფრო საქილოვო და სამასხარაო საგანს ვერც ვერსად შეხვდები!

არ გაინტერესებთ „ჯვარცმულის“ კომენტარები? აი ისინი: „მოხდენილად სუფრის გაწყობას თავიც რომ დავანებოთ, ამ სიმაღლე ღობეზე მისი შემოლაგება გაჭირდებოდა. კიდევ რომ მოეხერხებინა, სუფრის წვერებისათვის მისადგომად მეტისმეტად მოუხერხებელი იქნებოდა. ამას გარდა, ღობეც სუსტი ყოფილა: „მოხუცი ღობეს გაღმოაწევა და ხმელ ძეძვს ლიწინ-ლიწინი დააწყებინა“.

აბა, ერთი კიდევ ვსინჯოთ, ცალი თვალი ჩავკრათ წერილში. მოყვანილია მეფისა და ბერიკაცის დიალოგი:

„— მეფე დევ-გმირია. მისი მომრევეი კაცი ღელამიწის ზურგზე არ მეგულება, — თქვა ბერიკაცმა.

— შენ რა იცი, გინახავს?

— ჩემი თვალით, ბატონო, რავარც ახლა თქვენ გიყურებთ. ჩიხორის ომში სულკურთხეულ მეფე ალექსანდრეს

ვახლდი. ბატონიშვილი სოლომონიც იქ ბრძანდებოდა. ჭერ ბოვში კაცი იყო, მართალია, მარა ლომივით იომა. თავი ნუ მამიკვდებო, ვკვირობდით ყველა.

ჩიხორის ომის დღეს სოლომონი თერთმეტი თვისა გახდა, ყბაყურა ბატონები ჭირდა და ბაბუა ლევანთან იყო სტუმრად კაცხის სასახლეში“.

რა ასოციაციებს აღძრავს მოყვანილ ეპიზოდი? ნუთუ არ გვიხატავს იგი სოლომონის სულიერ მდგომარეობას, შინაგან გაორებას, წუთიერად ხელის ჩაქნევას ყველასა და ყველაფერზე? თ. წიგწივაძე კი რას ამბობს?

„ერთი შეხედვით, ავტორი ისე ზედმიწევნით გაცნობია პერსონაჟის ბიოგრაფიას, ისიც კი დაუდგენია, ყბაყურა ბატონები თერთმეტი თვის ასაკში რომ მოიხადა“.

რამდენიც არ უნდა ეძია და ემარჩიელა, სად უნდა ამოეკითხა საცოდავ ავტორს, რამდენი თვისა იყო სოლომონი, ყბაყურა ბატონები რომ მოიხადა? ვინ ჩაუძვრა სულში ბრძოლის ველზე გულადმა გაშხლართულ ანდრეი ბოლკონსკის, როცა დაჭრილმა ცა და თავისი გზით მიმავალი ღრუბლები დაინახა? ან საცოდავი იონა მეეტლის მონოლოგი ვინ მოისმინა და ჩაიწერა, როცა ის საჯინიბოში შევიდა და მარჩენალ ცხენს თავისი ერთადერთი შვილის სიკვდილის ამბავი მოუთხრო? როდის მომხდარა, რომ რომანში რომანისტი ისტორიულ ფაქტებს, თარიღებსა და ათას სხვა რამეს ადგენდა? ნუთუ ადამიანმა, ვისაც თავი ლიტერატორად მოაქვს და გადაწყვეტილი აქვს თავისი „განსაკუთრებული აზრი“ საზოგადოებას უსიკვდილოდ აუწყოს, ვერ უნდა გაიგოს, რომანისტის ეს რემარკა, „ყბაყურა“ და „თერთმეტი თვე“ საიდან და რისთვის გაჩნდა?

რაჰას მიმავალმა ასაბიამ საწირეს, მეფის ძიძის სახლს მიაღწია. აქ თინათის უნდა დაუცადონ და გზა ისე განაგრძონ. 12 წლის ბატონიშვილი არჩილი, სოლომონის უმცროსი ძმა, სხვებთან ერთად მოუთმენლად ელის ლომის ბუ-

ნაგში დარჩენილ საყვარელ რძალთან. ბოზს, მის მოსვლამდე არ დავიძინებო, მაგრამ დაღლილს და დაქანცულს „ყინწი მოსწყვიტა ძილმა“.

აქაც ოხუნჯობს ჩვენი „ჯვარცმული“. როგორაო, რისთვის წითლდება და ყვითლდება ეს ბავშვი, ავი განზრახვა ხომ არ უდევს გულში თინათის მიმართო.

ვიდრე თ. წიგწივაძე რომანს ხელში აიღებდა, როგორ ფიქრობთ, რამდენმა ათასმა და ათი ათასმა მკითხველმა მოასწრო მისი წავითხვა? ამ ათასებიდან შეიძლება თუნდ ერთი კაცი გამოირჩეს, ვისაც ის ბინძური ეჭვი დაებადა, ჩვენს პატივცემულ „ჯვარცმულს“ რომ აწვალდეს?

„ასე მართლაც არ შეიძლება!“ — შესძახებს ის. რა, რა არ შეიძლება? არ შეიძლება ადამიანს ადამიანი უყვარდეს, ისიც უახლოესი ნათესავი — ღვიძლი ძმის თანამეცხედრე და მის კეთილდღეობაზე ფიქრი მოსვენებას უკარგავდეს?

აქ კიდეც არაფერი. „ჯვარცმულის“ განრისხება თქვენ მაშინ უნდა ნახოთ, როცა თინათი მოვა, არჩილის თავგადასავალს შეიტყობს და ნასიამოვნები, რომ მისი და-ძმური სიყვარული ცალმხრივი არ არის, ყელთან საბანს ჩაუქცავს მძინარე ბატონიშვილს.

მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი, რაც ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებიდან ამოხტა და ვისიმე საგანგებო ყურადღება მიიქცია?

თურმე მოხდა. აი, როგორ აფასებს ფაქტს ჩვენი „ჯვარცმული“:

„ვთქვათ და, არჩილი მართლაც ბავშვია. მაშინ ვილაცას ხომ უნდა ეკითხებოდეს ჭკუა, რომ ბატონიშვილის თავისი კბილა რძალი ლოვინში შეწოლის წინ არ გაახსენოს!“

აქ „ჯვარცმული“, ეტყობა, ზედმეტად ღელავს. გარს სექსუალური ილუზიები შემოსჯარვიან. ასე რომ არ ყოფილიყო, შეამჩნევდა, რომ დაღლილ არჩილს თინათის ლოდინში ჩაეძინა, მისი მოსვლა არც გაუგია და არც ვინმე ჭკუამოკლე ჩასციებია „ლოვინში შე-

წოლის წინ“, გინდა თუ არა, „შენი კბილა რძალი“ გაიხსენებო.

მოუესმინოთ თვით „ჩვეარცმულს“:

„თინათი რომ მოიყვანეს, სოლომონმა პირველად ეს ახარა ცოლს: „არჩილი აგერ წევს. გიცადა, გიცადა, მაგრამ ვერ გასძლო!“ თინათიმ „მძინარე ბატონიშვილს დახედა, ნიკაპქვეშ საბანი შეუსწორა“. „ამაზე მოგახსენებდით, ახალგაზრდა რძალს მოწიფული მახლის ლოგინში ხელების ფათური არ შეშვენის! ამით ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ ლამაზი არაა“.

რევაზ მიშველაძეს აქვს ერთი გულის „შემძვრელი მოთხრობა“. ლაზლანდარა ბიჭები, ბულვარში რომ მოგროვილან და დროს უქმად ფლანგავენ, თავისი ჯავრით გულშელონებულ დროულ კაცს ქუდს წაართმევენ და ერთმანეთს ესვრიან. გაოგნებული საწყალი კაცი, ეს რა ხდებაო, ხან იქით მიაწყდება და ხან აქეთ, რომ ქუდი დაიბრუნოს, მაგრამ ამოდ, მისი ქუდი უკვე საწინააღმდეგო მხარესაა.

ასეა სწორედ ჩემი საქმე. რა ვქნა, როგორ წავართვა ლაზლანდარებს ჩემი ქუდი, როგორ შევუცვალო საუბარს კალამოტი და როგორ მივეუახლოვედ ლიტერატურას?

ამ ადგილას, შეპირებისამებრ, მე მინდოდა ორიოდ მოსაზრება გამომეთქვა ოიდიპოსის კომპლექსისადმი ჩვენი რეცენზენტის დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ ალლო მკარნახობს, რომ არ ღირს, სექსუალურ თემას ისედაც გაუშართლებლად ბევრი ადგილი მივეუძღვნით.

თ. წიფწივაძეს სამასხარაოდ გაუხდია სოლომონის მხედრობის მიერ ალის ციხის აღების ეპიზოდი. გამოდევნება და საწინააღმდეგო არგუმენტების წამოყენება, როგორც არაერთგვაროვანად, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ ეს დალოცვილი წერილი საღაცა ხომ მაინც უნდა დამთავრდეს. ამიტომ დანაშაულად ნურავინ ჩამითვლის, თუ ზოგ რამეს ძალაუვნებურად გამოვტოვებ და დაინტერესე-

ბული მკითხველის ყურადღებამდე. მხოლოდ შედარებით მნიშვნელოვან გამოხატვებზე შევამჩნიებ.

თ. წიფწივაძეს ეცოტაება, რომ „მძიმე ჯვრის“ გამო მის ავტორს თავზე ლაფს ასხამს და ცდილობს ერი და ბერი დაარწმუნოს, რომ თითქმის ორი-ათასგვერდიან წიგნში ერთადერთი ფრაზაც კი არ არის ლირებული. მან ხომ პირველსავე გვერდზე ვაჰკრა კლანკი ამავე მწერლის „ჯარისკაცის ქვრივს“ და, რაკი ტექსტში ისეთი ვერაფერი იპოვნა, პლაგიატად სათაური გამოაცხადა. ახლა უცაბედად გაახსენდა, რომ რევაზ ჯაფარიძეს აქვს კიდევ ერთი წიგნი, ამჯერად კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილებისა „აწონილი სიტყვა“. ძირს! ისიც ძირს უნდა დაემხოს სასწრაფოდ!

„... მწერლის მიერ ერთხელ „აწონილი სიტყვა“ (ამავე სახელწოდების წიგნში) ისევ ხელახლა ასაწონი გამხდარა!“

ასე სახელდახელოდ? ყოველგვარი განხილვისა და ანალიზის გარეშე? „აწონილი სიტყვა“ იმიტომ ხომ არ გამხდარა ხელახლა ასაწონი, რომ იქ ორი წერილია დაბეჭდილი, აღმანახ „კრიტიკის“ რედაქტორ გ. გვერდწითელს ლიტერატურულ ობიექტურობას და საბუთიანობას რომ არ უწონებს?

ბევრი სხვა წერილის გვერდით ცხოვრებისა და ლიტერატურის ბევრ საჭირბოროტო საკითხზე იმ წიგნში მოთავსებულია ავტორის ვრცელი ნაშრომი „რაც მტრობას დაუნგრევია“, რომელიც ვერმიშვების „ამირსპასალარის“ წინააღმდეგ იყო მიმართული და იცავდა საქართველოს ისტორიულ წარსულს არაკეთილმოსურნეთა ხელყოფისაგან. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, რაკი რევაზ ჯაფარიძე ამოჩემებულად არ მოგვწონს და ქართულ ლიტერატურაში ზედმეტ ადამიანად მიგვაჩნია, გადავაქციოთ ბავშვის ნაბანი წყალი და ბავშვიც თან გადავაცოლოთ?

ვაგაზ, რომ ეს ყველაფერი საქართველოში მარტო თ. წიფწივაძეს და გ.

გვერდწითელს არ ეკითხება, სხვებიც აცხადებენ პრეტენზიას.

ახლა განვიხილოთ, ვინ იყო გულჩინა, რომელსაც „მძიმე ჯვრის“ პერსონაჟი მარიამ დედოფალი ახსენებს, როგორც სვიმონ მეფის თანამეცხედრეს, დატყვევებული ქმრის გამოსახსნელად სულთანს კონსტანტინოპოლში (იგივე ისტამბულში ანუ სტამბულში) დიდი ძღვენით რომ ეახლა და შემდეგ აქედან თურქეთ-ირანის უთანხმოების მოსაგვარებლად, ტყვეობიდან გათავისუფლებულ სვიმონთან ერთად, ისპაჰანს გაგზავნეს. დიახ, სწორია, კონსულტანტებს ამჯერად სწორი ცნობა მოუწოდებიათ, ამ ქალს მართლაც გულჩარა ჰქვია და არა გულჩინა. მის შესახებ დაწვრილებით აქვს მოთხრობილი მ. სევანიძეს თავის წიგნში „საქართველოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან მე-18-მე-19 ს.“ და საგანგებო წერილში, რომელიც, თუ მეხსიერება არ მალატობს, ამას წინათ „ცისკარში“ დაიბეჭდა.

ჩვენი აზრით, წერს წიგნის 240-ე გვერდზე მეცნიერი, სტამბულში ჩასული გულჩარა გიორგი მეათის ქალიშვილი უნდა იყოსო. ბ. გიორგაძე სხვა აზრისაა: მას გულჩარა სვიმონ მეფის ხასად მიაჩნია. პორტუგალიის ელჩი ანტონიო გოვეა გულჩარას (გულკარას) დატყვევებული მეფის — სვიმონის თანამეცხედრედ (მეუღლედ) თვლის.

ახლა წამოვკრათ კითხვა: განა მე ვინმეს კეტით გამოვეკიდე და დავა დავეუწყე, ეგ აგრე კი არა, ასეა-მეთქი? უბრალოდ, რომანის პერსონაჟს ვათქმევინე, რომ ქართველი ქალის ელჩად წასვლა პირველი არ არის და ამის მაგალითი გულჩინამ (აჭოებდა გულჩარა) მოგვცა-მეთქი. ასე დიდი ცოდვაა ეს, რომ რომანის მხატვრულ ხარისხზე გადამწყვეტ გავლენასაც კი ახდენს?

სოლომონის თანამეცხედრე დედოფალი მარიამი ელჩადაა ახალციხეში, გათათრებული ათაბაგის კარზე. მას ამაღა ახლავს. ვინაიდან ოდესღაც მშობლიურ ქართულს არ ფლობს, მშვიდო-

ბით მობრძანება ფაშამ ოსმალეთში მიულოცა. მარიამმა, ალბათ იმ მიზნით, რომ საუბარის უშუალოდა შეენარჩუნებინა, პასუხი იტალიურად გასცა.

თ. წიგწივადე აღშფოთებულია: რა ხდება? საიდან იცის ოდიშის მთავრის ასულმა იტალიური? თუკი ქვეყანა სავსეა იტალიელი მისიონერებით (სავსეა თუ არა, ამის შესახებ მ. თამარაშვილსა და ბ. გიორგაძეს ვკითხოთ!), თუკი ისინი ქართველ მეფე-მთავრებს დაახლოებული ყავთ, ასე ძნელი წარმოსადგენია, რომ დედოფალ მარიამს იტალიური ენა და ზოგი რამ სხვაც სცოდნოდა დასავლეთის ცივილიზაციიდან? კარგი, ვთქვათ, ასეა, მაგრამ ის ვიღამ მოახსენა დედოფალს, რომ კაპუდან-ფაშა, ე. ი. აღმირალი, საზღვაო გენერალი იბრაგიმიც ასევე კარგად ლაპარაკობდა იტალიურადო? ვერ იკითხავდა? წინასწარ ვერ შეიტყობდა, რა ენებს ფლობდა მასპინძელი?

იწყება საუბრის ოფიციალური ნაწილი. მარიამი ქართულზე გადადის და თამაზა მესხი თურქულად იწყებს თარგმნას. „ჩვენმა ქვეშევრდომებმა იტალიური არ იციან, თქვენო აღმატებულებავ, ზომ უმჯობესი იქნებოდა, მათაც გაეგოთ, რაზე ვმსჯელობთ?“

რა ქნას ახლა წერილის ავტორმა, კიდევ რა დაწეროს, კიდევ რა სამასხარაო საგანი იპოვოს? რაკი მეტი აღარაფერი ჩანს, რომანის ბოლოსიტყვაობას გადასწვდება: „მარიამ დედოფლის ელჩობას ახალციხის ბეგლარბეგის კარზე საფუძვლად უდევს მონსინიორ ლეონეს რელაციონი რომის წმიდა კონგრეგაციის პროპაგანდა ფილეს მდივნისადმი“.

აქვეა ჩვენი ურწმუნო თომას მინაწერიც: „რალაც არა მგონია, მონსინიორ ლეონეს რელაციონით ზუსტად ესარგებლოს ავტორს...“

რა ვუპასუხოთ? მოვთხოვოთ საბუთი? რალა დროისაა! „ჯვარცმულმა“ თავისი გააქეთა, თქვა, რაც მის სულსა და გულს გაეხარებოდა და შენ ახლა რაც

გინდა ისა ჰქენი, თუნდაც ქვა იხალე თავში!

რეცენზენტს სხვა რა მოსწონს რომანში, რომ სოლომონის მიერ ლეკი შუამავლების მიღება მოსწონებოდა! შუამავლები მეფესთან მარტო დარჩენას მოითხოვენ კონფენდენციალური საუბრისათვის. მეფე უარზეა. ლეკები თხოვნას იმეორებენ. იმეორებს პასუხს სოლომონიც:

„— უთარგმნეთ მაგას: აქ გარეშე პირი არავინ არის! ენის მოსაქავებლად არა გვცალია!“

სალონურ სიტყვა-პასუხსა და მანერებს შეჩვეულ თ. წიგნივადეს ზარავს და უსიამოვნებას ჰგვრის ომში გაფიცებული მეფის ტონი: „კულტურული ქვეყნის მეფეს ომშიაც კი არ შეშვების ამ სიტყვებით მიმართოს მოსალაპარაკებლად მოსულ კაცს!“

აქედან ცხადად გავიგეთ, რა „არ შეშვების“ „კულტურული ქვეყნის მეფეს“. ხომ არ გაირჩება თ. წიგნივადე და არ გვიბრძანებს, რა „შეშვების“ „კულტურული ქვეყნის“ კრიტიკოსს და ისიც არა ომში, არამედ მშვიდობიან პირობებში, არა მტრის მიერ გამოგზავნილ პარლამენტორებთან საუბრისას, არამედ სხვათა და სხვათა მიერ აღიარებულ რომანზე მსჯელობის დროს? დინჯად, აუჩქარებლად, სრული მიუდგომლობით და გაწეული შრომისადმი პატივისცემით უნდა განიხილოს ნაწარმოების ავ-კარგი თუ უწმინდურობით სავსე ორმოს უნდა მოხადოს თავი და ავტორიცა და მისი ნაწარმოებიც სიბინძურეში ამოავლოს?

წერილის კულმინაციაა სამასხარაო ქვეთავი: „ქმარი... ცოლის ნათლიად“. რა კურიოზია ეს? მართლა არის „მძიმე ჯვარში“ ამგვარი სულელური შეუსაბამობა? ვნახოთ.

როგორც ცნობილია, მე-18 ს.-ის სამოცდაათიანი წლების დამლევს, კერძოდ 1778 წლის აპრილში, იმერეთის სამეფო კარზე შეთქმულება მოხდა, რომელშიაც ახალგაზრდა ბატონიშვილი, ტაბატის ერთადერთი მემკვიდრე

ალექსანდრეც ერია. შეთქმულება, თავის ტიკად ჩაახშო სოლომონმა, მისი მოწოდებით წილები დაამდაბლა, ზოგი კი სამეფოს ფარგლებიდან გააძევა. ალექსანდრემ, ახლად შერთული მეუღლითურთ, გაქცევა და ქართლში თავის შეფარება მოასწრო.

ეს ამბავი მეოთხე წიგნის ბოლოს ხდება, სადაც ავტორი ცდილობს ყველაზე უფრო მწვავედ დააყენოს საქართველოს ეროვნული ერთიანობის და განუყოფლობის საკითხი. ვინც წიგნი მართლა წაიკითხა, ამას საკუთარი თავლით ნახავდა.

ერეკლე მცხეთაში წაიყვანს მამამისის ორგულობა მიერ შეცდენილ ალექსანდრეს და სოლომონის ერთგულებაზე დააფიცებს. ეს ისევ ის არის, რისთვისაც მრავალი წლის, თითქმის მთელი სიცოცხლის თავაულებელი შრომა დაიხარჯა და ამოდენა მოცულობის წიგნი დაიწერა: ბრძოლა საქართველოს შინაგანი ერთიანობისათვის, ერის სიმტკიცისათვის, ქედუხრელობისათვის, რწმენისათვის! მე იქ ნაკლებ მაინტერესებდა წვრილმანები, მეორე და მესამეხარისხოვანი ამბები, რადგან ჩემს მოქმედებაში ისტორიის მამოძრავებელ ძალებს და მომავლის პერსპექტივაზე ფიქრს მივდედი. ერეკლემ ხუთასი კაცი იახლა და თვით წამოიყვანა ალექსანდრე მამასთან შესარიგებლად. მეფეები ქართლ-იმერეთის საზღვარზე, ჩხერის ციხესთან ხვდებიან ერთმანეთს. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, იმერეთიდან მოციქულად წარმოგზავნილი ბერი ლორთქიფანიძე წარუდგა ერეკლეს და მოახსენა:

„— ნუ შემრისხავ, დიდებული მეფეო, ჩემგნით ეს არ უნდა იქმნელიყო, ვინაიდან სულ სხვა მიზნით გაახლეს ჩემი თავი, მაგრამ ცოდვას მოვიკიდებ, გულახდილად რომ არ გამოვტყდე. ერთობ განარისხებული გახლავს ჩვენი კურთხეული ბატონი. ახლოს ველარავინ ვეკარებით. პირიდან ცოფს ყრის, ბოლმისაგან თვალი უბნელდება. შვილი თუ ხელში ჩაუვადეთ, ვაითუ ცხელ



გულზე სასიკვდილოდ გაიმეტოს. ღმერთმა გვაშოროს და, ტახტი უმემკვიდრეოდ დარჩება. ძლივს ფეხზე წამოყენებულ ჭეყენას ახალი ცილობა და შინაური მიხტომ-მოხტომა საფლავს გაუთხრის!..

— ჩვენც აგრე მიგვაჩნია, თავადო ბერი. სოლომონი მართლაც მეტისმეტად გაფიცებულია, საბუთიცა აქვს ამისი, და შეიძლება იმგვარი რამე ჩაიღინოს, მერე სანანებელი გაუხდეს. მაგრამ რით შევძლოთ მისი სიფიცხის დაცხრობა და ჩვეულებრივ კალაპოტში ჩაყენება?

— უნდა დაგვდო პატივი, მოწყალეო მეფეო, ალექსანდრე პირადად გადასცე მამას იმ პირობით, რომ არაფერს ავნებს. არა გვგონია შეიკადროს და თქვენი დიდებულების სიტყვას გადავიდეს.

— ვაითუ მის საქმეში ჩარევად ჩავვითვალის ჩვენი მოწადინება. გამოცდილი კაცი ბრძანდები. შენ უკეთ მოგეხსენება მეფე სოლომონის ხასიათი...“

უზომოდ დიდი ამონაწერი მოვრტანე. მაშ, რა ვქნა, რით დავამტკიცო, რა ფსიქოლოგიური ატმოსფერო სუფევს რომანის ამ ადგილას, რომელიც სასაცილოდ აიგდო „ჯვარცმულმა მკითხველმა“ და სამასხარაო სათაურიც გამოუძებნა?

აი, ამდაგვარად იყო დაჭიმული რომანის ყველა სიმი. როდესაც მეფე ერეკლემ ბატონიშვილი ალექსანდრე გადასცა სოლომონს ჩხერის ციხესთან.

გავკადნიერდები და ერთხელ კიდევ შევაწუხებ მკითხველს რომანის ამონაწერით. ქართლიდან თითქმის იძულებითი წამოსვლის წინ ახალჯვარდაწერილ ალექსანდრესა და ნინოს შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„— რა იყო, ხომ არ გეშინია?

— გინდა, მართალი გითხრა?

— მითხარი!

— ცოტა მეშინია.

— რის, ნინო?

— ბატონ მამას აგრე ადვილად ვერ დაიყოლიებენ. მე და შენ დიდი დანა-

შაული-მიგვიძღვის. ჯერ უკითხავარა...
ჯვარი დაეწერეთ და მერე...

— გინდა, მეც მართალი გითხრა?

— აბა, რა!

— მე მეტი ლოდინი აღარ შემიძლია. ან ასე უნდა გათავდეს ეს საქმე და ან ისე, როდემდე დავიშალოთ? ამასობაში რომ მამას რაიმე მოუვიდეს, ხომ მე ვიქნები მისი მკვლელი!

— იქნები, ალექსანდრე!..

— მერე მამას აგრე ადვილად ამბობ? ნეტავი აქამდეც გავეგზავნე მეფე ერეკლეს. ვეახლები საწყალ მამაჩემს, ყველა ცოდვას გულწრფელად წოვინანებ და პატიებას ვთხოვ. თუ შემინდო, შემინდო, თუ არა და ღვთის განაჩენს სად გავექცევი, ისე მომექცეს მეც, რავარც სხვა შეთქმულებს მოექცა, იმას მაინც აღარავინ წამოაყვედრებს, ალექსანდრე ბატონიშვილობით დაინდოო...“

და არც დაინდო, თუმცა მეფე ერეკლეს შუამდგომლობასაც ანგარიში გაუწია. სოლომონმა სასჯელის სხვა ზომას მიმართა, გაჰყარა ალექსანდრე საყვარელ ცოლს, აიძულა ის, ცოლისათვის მირონი ეცხო და ამით სამუდამოდ აღექვეთა ის ურთიერთობა, რის გარშემო ოზუნჯობაც ასე უყვარს და ემარჯვება ჩვენს „ჯვარცმულ მკითხველს“.

დაირღვა თუ არა საეკლესიო რიტუალი? რასაკვირველია, დაირღვა, დაირღვა ბევრი სხვა რამეც, მაგრამ იმიტომ კი არა, თითქოს ავტორმა არ იცოდეს, რა და როგორ უნდა ყოფილიყო, რომ ერთხელ მონათლულს მეორედ არ ნათლავენ, რომ კათალიკოს ილია მეორის ავტორიტეტულმა კონსულტაციებმა ეკლესიის საკითხებში ამაოდ ჩაუთარა, არამედ იმიტომ, რომ ასე მოითხოვა რომანის მხატვრულმა ლოგიკამ, მოქმედ პირთა ხასიათების ლოგიკურმა განვითარებამ.

გავყვეთ კიდევ? ვაჩვენოთ ისიც, რა მალაყებს გადავდივართ ზრესილის ომის ამსახველი ეპიზოდების გაქილიკებისას? ვგონებ, აღარ უნდა იყოს ეს საჭირო. „ჯვარცმული მკითხველი“ იქაც

ზუსტად ის არის, როგორადაც სხვა ეპიზოდების გაქილიყებისას მოგვევლინა.

რა გამოვიდა საბოლოოდ? დამტკიცდა, რომ „მძიმე ჯვარი“ სუსტია?“ გამართლდა თავიდანვე ამრეზილი „ჯვარცმული მკითხველის“ წინასწარმეტყველება? ვაი, რომ ვერა, ვაი, რომ ამოდენა წერილის, თითქმის მთელი ალმანახის ჩათავეების შემდეგ გაქირი სახელდარივით ისევ იქა ვღავართ, სადაც წერილის დასაწყისში ვიდექით. რატომ? იმიტომ, რომ რომანის სისუსტე, მისი მხატვრული დონის არასაზარბიელო მდგომარეობა იმ გზით არ მტკიცდება, ჩვენს ძვირფას „ჯვარცმულს“ რომ აღრჩევია. მაშ, რა გზითო? — იქნებ მკითხოს. არ გასწავლი-მეთქი, მე ვუპასუხებ, გიყი ზომ არა გგონივარ, ზეზე ასვლაც გასწავლო, ჩემი შეკმის საღერღელი ხელახლა რომ აგეშლება, მერე სადღა დავიმალე-მეთქი?

როდი ივარგებს, რედაქციის მინაწერის გარშემოც რომ არა ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

რა წერია იქ?

„რევაზ ჯაფარიძის ისტორიული რომანი „მძიმე ჯვარი“ ჩვენში საყოველთაოდ ცნობილი მხატვრული ნაწარმოებია“.

აქ სამი რამ გახლავთ საგულისხმო: ერთი ის, რომ „მძიმე ჯვარი“ მხატვრული ნაწარმოებია და არა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, მეორე ის, რომ „საყოველთაოდ ცნობილია“, მესამე კი ის, რომ „საყოველთაოდ ცნობილია“ არა საერთოდ, როგორც ზოგიერთი სხვა ნაწარმოები, არამედ მხოლოდ „ჩვენში“.

პირველი ორი დებულება კომენტარის გარეშეც ცხადი და გასაგებია, მესამის გამო კი რა შეიძლება კაცმა თქვას? სანამ ნაწარმოები სხვათათვისაც „ცნობილი“ გახდებოდეს, ის ჯერ თავის სამშობლოში უნდა გახდეს „საყოველთაოდ ცნობილი“.

„მძიმე ჯვარი“ სწორედ ასეთი ნაწარ-

მოები ყოფილა. აქვე განმარტებით შევახსენებ მკითხველს, რომ რომანის პირველი ორი წიგნის რუსული თარგმანი ეს-ესაა გამოსცა მოსკოვის გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა“. ასე რომ, ვაცალოთ, აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამია, იქნებ ბედმა გავვილიმოს და „მძიმე ჯვარი“ არა მარტო „ჩვენში“ გახდეს „საყოველთაოდ ცნობილი“, არამედ სხვაგანაც?

შემდეგ რა წერია?

„სალიტერატურო კრიტიკამაც და, რამდენადაც ვიცით, მკითხველმაც მოიწონა იგი“.

ეს არის და ეს? თუ ამ მიმართულებით აზრს განვავითარებთ, რაც ჩემის აზრით საესებით ლოგიკური იქნება, მეტი აღარაფერი გააქვს სათქმელი? აბა, კარგად დავფიქრდეთ, დავძაბოთ მეხსიერება. ამ აუცილებელი პროცედურის ჩატარების შემდეგ მე, მაგალითად, მაგონდება, რომ რომან-ეპოპეა „მძიმე ჯვარისათვის“ მწერალ რევაზ ანდრიას ძე ჯაფარიძეს 1983 წლის 10 თებერვალს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ვითომ ეს არაფერს ნიშნავს? თუკი საქმე რომანის მოწონება-არმოწონებაზე მიდგა, ხსენების ღირსიც არ არის?

თუ ყველაფერი ეს ასეა, მაშ, რითღა აგხსნათ და გავამართლოთ ლიტერატურული ეთიკისათვის საესებით უცხო ხერხებით დაწერილი უზარმაზარი სტატიის გამოქვეყნება ალმანახის ფურცლებზე „თ. წიფვივაძეს... განსხვავებული აზრი აქვს ამ რომანზე“. სადა გვაქვს ამ აზრის დასაბუთება? არსად! ეტყობა, მის დასაბუთებაზე ზრუნვა საჭიროც არ არის. რაკი თ. წიფვივაძეს ასე მოაჩნია, მაშასადამე, ასეცაა, ამას არავითარი მხატვრული ანალიზი და კვლევა აღარ ჭირდება!

ვთქვათ, წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ ყველა ცალკეული შენიშვნა, რომელთა გასაზიარებლად და აბსურდამდე მისაყვანად მე ამდენი ქალაქი და მელანი დავხარჯე, სწორი და სამართლიანი ყოფილიყო. დამტკიც-



დებოდა ამით აზრი, რომ რომანი „ასუს-
ტია?“ ზემოთაც მდგახსენებდით, რეცე-
ნზენტის მიერ აჩვენული გზა მცდარი
გზაა, ლიტერატურული ნაწარმოების
მხატვრული ავ-კარგი ამ გზით არ განი-
ხილება და არ „მტკიცდება“.

საჭიროა მაგალითი? გავიხსენოთ ჩვე-
ნი დიდებული მწერლის ნიკო ლორთ-
ქიფანიძის შეუდარებლად მაღალმხა-
ტვრული „არაისტორიული მოთხრობა“
„რაინდები“. ამ მოთხრობაში, როგორც
ცნობილია, მწერალმა დაგვიხატა მეფე
სოლომონ პირველი და მისი მონაწი-
ლეობა ზემოთხსენებულ რუხის ომში.
ხომ გამორჩეული, ნამდვილად ღვთაე-
ბრივი მოთხრობაა თავისი ისტორიული,
ეროვნული, ეთნოგრაფიული კოლორი-
ტით?

რას ვკითხულობთ მოთხრობის ეპი-
ლოგში? აი, რას: „განდევნილმა მეფემ
უცხოეთში დალია სული“.

გამადიდებელი შუშაც არ არის საჭი-
რო იმის შესატყობად, რომ ჩვენს
ბრწყინვალე ბელეტრისტს ლაფსუსი
მოუვიდა. ის მეფე, სოლომონი, ვინც
კაცია დადიანის შესაწევნად რუხს ჩა-
ვიდა, რათა მეგრელ-აფხაზთა კონფლი-
ქტი იარაღის ძალით მოეგვარებინა,
უცხოეთში არ მომკვდარა, სულ მალე
ქუთაისის სასახლის, იგივე ოქროს ჩარ-
დახის ეზოში ცხენზე ამხედრებისას გა-
რდაიცვალა. იმერთა მეფე, „უცხოეთში
რომ აული დალია“, პატარა კახის შვი-
ლიშვილი სოლომონ მეორეა.

ვის, რომელ ჭკუათმყოფელს მოსე-
ლია დღემდე აზრად, რომ სუფთა ის-
ტორიული ხასიათის ლაფსუსის გამო
მოთხრობა „რაინდები“ „სუსტ ნაწარ-
მოებად“, ზოლო ნიკო ლორთქიფანიძე
საქართველოს ისტორიის გამყალბე-
ლად გამოეცხადებინა და ბულვარის
ლაზღანდარა ბიჭების სამსახაროდ ექ-
ცია?

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მწერა-
ლმა, მით უფრო იმან, ისტორიის თემა-
ზე რომ წერს, ანგარიში არ უნდა გა-
უწიოს ისტორიულ ფაქტებს? არა, არ

ნიშნავს, მაგრამ ეს არც იმას, რომ
რომ მწერალი-შემოქმედი ისტორიის
პროკრუსტეს სარეცელზე უნდა დაწვეს
და თავისი მხატვრული ჩანაფიქრი „ნამ-
დვილად მომხდარს“ დაუმონოს. ლიტე-
რატურაში „ნამდვილად მომხდარი“
მხოლოდ ის არის, რაც მხატვრულად
მოტივირებულია, თვალნათლივია, სარ-
წმუნოა, ხელშეასხებია. შესძლო ეს ავ-
ტორმა? მაშინ ის ნამდვილი მწერალია.
ვერ შესძლო? არ არის მწერალი და
არც მისი ხელიდან გამოსული ნაწარმო-
ები შეიძლება იქნეს ნამდვილი ლიტე-
რატურა!

რა დასამალია: ალმანახ „კრიტიკაში“
თ. წიგწივაძის სენსაციური სტატიის
გამოქვეყნების დღიდან ბევრი მკითხ-
ველის წერილი მომივიდა. წერილები
მისდის მწერალთა კავშირს და, რამდენ-
ადაც ვიცი, ალმანახ „კრიტიკის“ რე-
დაქციასაც. იწერებიან სხვადასხვა ინ-
ტელექტუალური დონის, ასაკის, პრო-
ფესიის, სოციალური მდგომარეობისა
და სულიერი მიდრეკილების ადამიანე-
ბი და შეშფოთებულნი თითქმის ერთ-
სა და იმავეს გვეკითხებიან: გვარგია ამ-
გვარი კრიტიკა, თ. წიგწივაძემ ალმანახ
„კრიტიკის“ ფურცლებზე რომ შემოგვე-
თავაზა? ემსახურება ის ლიტერატურის
წინსვლასა და შემდგომი განვითარების
საქმეს? პასუხი უთქმელად ცხადია
ყველა იმისათვის, ვისაც მხატვრული
სიტყვის გარეშე ერთი წუთიც არ უც-
ხოვრია, ვისაც სიტყვა და მხატვრული
სახე სამშობლოს უღალატო სამსახუ-
რის ერთადერთ იარაღად უწამებია და
მის წმიდათა-წმიდა სამსხვერპლოზე
მთელი თავისი სიცოცხლე მიჰქვს.

ვიცი, „გვარცმული მკითხველი“ თ.
წიგწივაძე უკანასკნელ სიტყვებსაც სი-
ყალბედ ჩამითვლის, ოხუნჯობის გუნე-
ბაზე დადგება, შესახებს, რის სამ-
სხვერპლო, რა სამსხვერპლოო, თანაც
წმიდაო, მაგრამ გვეპატიოს, თუ მგლის
შიშით ცხვარს ვერ გაველეოთ და მთელ
ქვეყნიერებას „გვარცმული მკითხვე-
ლებით“ დასახლებულად ვერ წარმო-
ვიდგენთ.

ლაქსად მოსული ქართული შინა *

„ერთხელ ღმერთმა შიილო საჩუქარი მთელი სამყაროს მცხოვრებთაგან, ზოგმა რა მიართვა და ზოგმა რა. მიწამ ოქრო მიართვა, ზღვამ თვალმირგალიტი და სხვ. ჭიანჭველამ კი ერთი ღერი ჩალა მიართვა. მეც იმ ჭიანჭველასავით, რაც შეეძელი, ის მივეტანე ჩემს სამშობლოს ძღვენად და საჩუქრად...“

მაგრამ ცა რომ ქაღალდად გადაიქცეს, ლამის პაერი მელნად, ვარსკვლავები გადაშრულვად შეადგეს და იმაზე მეტო ასოები დაესხა ქაღალდზე, რაც ზღვაში კვიშა და თევზია, მაინც ვერ ვიტყვი, ვერ გამოვსახავ, ვერ გამოვხატავ ჩემს სიყვარულს ჩემი სამშობლოსადმი, ჩემი ქართველი ერისადმი.

გიორგი ლორთქიფანიძე

1959 წლის დეკემბერი,

იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვიდან.

კრძალვით ვწერ ამ სტრიქონებს... და თუ მაინც ვწერ, მხოლოდ იმიტომ, რომ ის რამდენიმე, ჩემთვის მარად დაუვიწყარი მოვონება, რომელიც დიდ პოეტთან მაკავშირებს, იქნებ სხვებისთვისაც საინტერესო იყოს... მით უმეტეს, რომ გიორგი ლეონიძე ძალიან ხშირი სტუმარი იყო საქართველოს რადიოს ლიტერატურული რედაქციისა, ხადაც იმუშავებდა მეც ვმუშაობდი. დრო გადის... ბევრი რამ იცვლება... ცოტასა და შერჩა იგივე სურნელი, იგივე სილამაზე... გიორგი ლეონიძე კი თანდათან უფრო ძვირფასი ხდება... რამდენი რამ აკლია გაზაფხულბასაც, შემოდგომბასაც, თვით ზამთარსაც უმინოდ... რამდენი ფერი, რამდენი სინათლე...

პირველი შეხვედრა ბავშვობის შორეულ წლებში იყო... უცერად რადიოთი პოეტის ხმა გაისმა... იგი ლაპარაკობდა გამომცემლობის ახალ წიგნებზე და საერთოდ, ქართულ მწერლობაზე. თითქოს ახლაც ჩამესმის მისი ხმა: „ჩვენი დიდი ხაზა, ილია, ჩვენი აკაკი, ჩვენი ვაჟა...“ გადაცემის დასრულების შემდეგაც კარგა ხანს ვიჭეჩი რეპროდუქტორთან.

შემდეგ გავიდა ორიოდე წელი და გიორგი ლეონიძე ბათუმში ჩამოვიდა. იმ დროს იგი ახალდაბრუნებული იყო რუმინეთიდან და თავის მღელვარე შთაბეჭდილებებს საოცარი ემოციური ზემოქმედებით გადასცემდა მსმენელებს. საუბრობდა ბესიკსა და ანთიმოზ ივრეილზე... გვიჩვენებდა ბესიკის საფლავის ფოტოებს, კითხულობდა პოეტის ლექსებს:

* სათაური აღებულია ლევან გოთუას გამოუქვეყნებელი წერილიდან.

„მკვდარი ბესიკი მომიგონეთ, მოვლეთ ჩემს არეს...“

ერთი წლის შემდეგ კი... გაზაფხულის ერთ მზიან დღეს უნივერსიტეტიდან გამოიარა. ხელში პატარა, თეთრი ყვავილი იჭირა... დასცქეროდა და უღიმოდა...

პოეტური, თავისებურად მშვენიერი და შთამბეჭდავი იყო ყოველი ახლო თუ შორეული შეხვედრა მასთან.

რუსთაველის პროსპექტზე, კავშირგაბმულობის შენობის მეხუთე და მეექვსე სართულზე, ამ ოციოდე წლის წინ, მოთავსებული იყო საქართველოს რადიოს რედაქციები. სულ რამდენიმე ოთახი და ორი კეთილმოწყობილი სტუდია... ამათგან ერთ-ერთი ლიტერატურულ რედაქციას იჭირა... ეს იყო ძალზე პატარა, მაგრამ უაღრესად ნათელი და მზიანი ოთახი, რომლის ფანჯრები პირდაპირ მთაწმიდან გაჰყურებდა... პირველად ამ ფანჯრიდან მოჩანდა თბილისის ადრინა გაზაფხული, ნუშის ტოტების უეცარი გამოღვიძება და შემოდგომის შეფერადებული ფოთლების თავისებური სილამაზე... ეს შემჩნეული ჰქონდა გიორგი ლეონიძეს და ხშირად იტყოდა: — „მიყვარს აქ მოსვლა, გაზაფხული ყველაზე ადრე აქედან ჩანსო“.

შემდეგ კი რადიომ ახალი, ნათელი, კეთილმოწყობილი შენობა მიიღო, მაგრამ ის პატარა ოთახი და ასევე პატარა სტუდია, რომელიც იქ დარჩა, მაინც არასდროს არ გვავიწყდება: თითქმის ყველა ძვირფასი ჩანაწერი, რომელსაც დღეს „ოქროს ფონდს“ ვუწოდებთ, იქ გაეთვლა.

ამ ჩანაწერებიდან ბევრი მართლაც ხანებით უნიკალური და ძვირფასია... ისინი ხშირად, მა-

„...საინტერესო მოგონებებთანაა დაკავშირებული, ისეთ მოგონებებთან, რომელთაც, უშეტეს შემთხვევაში, ამა თუ იმ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის გარკვეული ფასი და მნიშვნელობა აქვს, რომ აღარფერი ვთქვათ თვით რადიოს ისტორიაზე.“

ერთი ასეთი ძვირფასი და უნიკალური ჩანაწერი საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის ხმა. რადიოს ლიტერატურული რედაქციის „ოქროს ფონდი“ ყველაზე მდიდარი სწორედ, გიორგი ლეონიძის ხმის ჩანაწერებითაა. ამ ჩანაწერებით ადამიანებს შეუძლიათ თვალი გაადევნონ მის პოეტურ ბიოგრაფიას... მოუსმინონ ყველა მის საუკეთესო ლექსს, მის შემედღებულიებსა და აზრებს სხვადასხვა საკითხზე...

... 1959 წლის დეკემბერი იყო. გიორგი ლეონიძის სამოცი წელი შეუსრულდა. ჩვენ საიუბილეო გადაცემას ვამზადებდით და იმ დღეებში ხშირად მივდიოდით მასთან. ვთხოვდით, თავისი ცხოვრების სულ ადრინდელი შთაბეჭდილებების გახსენებას და მის ნაამბობს ფირზე ვიწერდით. მაშინ გვითხრა, რომ წერდა მოთხრობებს თავისი ბავშვობის მოგონებებზე. გვიამბობდა ბევრს, გვიამბობდა ხალისით და ბოლოს ამ მოგონებების პირველი ჩანაწერებიც წაგვიკითხა. ამ ჩანაწერებს „პატარაშულის ქრონიკები“ ერქვა...“ ოცე ასე იწყებოდა:

„...პატარაშული, ჩემი ბუდე, ჩემი საფული, ჩემი თვალსამოთხე, ოქროს გაზაფხული... აქ შევისუნთქე დილის სიტკბო, აქ ვკრეფდი პირველ ენებებს, პირველ იებს...“

სადაც დღის ცრემლი ჩასწევთ, იქ უხათუოდ ია ამოვაო, — ჩემი სახლის ეზო-უღრე, თუ მინდორი გაზაფხულის პირს რომ იით ღუგრავდ გადამბურებოდა, ვფიქრობდი, რამდენი დედის ცრემლი დაღვრილა-მეთქი ამ არემარეში...“

ვუსმენდით ამ მოალერსე ქართულს და გვიხაროდა. ჩვენ, როგორც თვითონ პოეტმა გვითხრა, ამ მოგონებების ერთ-ერთი პირველი მკითხველები ვიყავით. თითქმის მთლიანად პატარა „რეპორტიორზე“ ჩაწერეთ ისინი. პოეტი ამბობდა, რომ გამომცემლმა „ნაკადულის“ თხოვნით დაიწყო ამ მოგონებებზე მუშაობა. მაჩვენებენ, გინდა თუ არა, მალე დაწერო... მე კი მინდა ნელა ვწერო... ყველაფერი კარგად გავიხსენო და ვიფიქრო.

შემდეგ მის მოგონებებში პატარა-პატარა მოთხრობებად დანაწილდა. ზოგს სახელიც შეიცვალა, სახათებიც უფრო გამოიკვეთა და წაგნად დაიბეჭდა. ამ წიგნს, „ნატყრის ხე“ ჰქვია. ჩვენ იგი ბევრჯერ წავკითხეთ რადიოთი. რამდენიმე მოთხრობით შერკოფონთან თვითონ პოეტის შეხებაა [გარდასულ დღეებს და იქ, პატარაშულსა და ნინოწმინდაში ძვირფასად მოხატონარი, სახელები გაახსენა თავის მეზობლებს.

... გამარჯობათ მეგობრებო, მეზობლებო, გამარჯობათ“, ვეღარ მიცანით? მე ხომ ის პატარა

ბიჭი ვარ, იისთვლება, ყვითელქოჩოჩო, ლოყობატეცილი, თქვენს შორის რომ დავბრბოდი! მე ისა ვარ, თქვენს კვარზე რომ ვიქციე, თქვენი გულის საყვარის უღელზე, თქვენს ურემზე რომ დაგდვდით, მინდორსა თუ ვენახში.

მე ისა ვარ, წიგნებს რომ გაიკითხავდით, თქვენგან რომ ვიწერდი შიბრებს, გამოცანებს, სიმღერებს. აღარ გახსოვართ?

ამოდით, ამოდით ჩემსას, აივანზე, ნუ გერიდებთ!

ამოდით აჩრდილებო, თამამად და თქვენი მძლავრი სიტყვით მიამხეთ ყველაფერი.

მე ხომ თქვენს უბირ ცხოვრებას ვწერ ამ წიგნში, ჭამოუცდელი პროზაიკის ხელით, მე ხომ მხოლოდ თქვენ გავგონებო...

როგორ გვიყვარს ეს „გამოუცდელი პროზაიკის“ ხელით ნაწერი წიგნი, — მოთხრობები სოფლის უბრალო ადამიანებზე, პოეტური გულითა და დიდი ოცნებით რომ ცხოვრობდნენ ამ მიწაზე, ზამთრის სუსხიან ღამეებში ნატყრის ხის საძებრად რომ დადიოდნენ, სიკვდილის წინ „მინდორს გადამახედეთო“, რომ ითხოვდნენ, წინაპართა ადათისა და წესის დამცველები რომ იყვნენ, სოფლის ტყივილი რომ სტიკოდით, უამრავი ლექსი და სიმღერა რომ იცოდნენ და ტბილად, მოალერსე ქართული ლაპარაკობდნენ.

ამ საოცარი, პოეტური მოთხრობებით, გიორგი ლეონიძე ჩასწვდა ყველაზე ძვირფასს, რაც შეიძლება იცოდეს და რასაც შეიძლება განიცადოდე მხოლოდ ქართველი კაცი...

„ნატყრის ხე“ ისევე უყვარს დღეს ჩვენს ხალხს, როგორც მისი მშვენიერი პოეტური სიტყვა. მაგრამ იმ მოგონებებში, რომელიც მაშინ წავკითხა, არის რაღაც უფრო მეტი პირველი განუყოფელი განცდისა... ჩვენც წამოგვყვა სწორედ ის პირველი და განუყოფელი შთაბეჭდილება, როცა ხელნაწერებს გვიკითხავდა... ამ ხელნაწერებში დარჩა კიდევ ბევრი, რაც თანდათან, ჭადაგზა, მოთხრობებად და ლექსებად უნდა თქმულიყო. მით უფრო ძვირფასია ახლა ეს მოგონებები.

ჩვენ ვიცოდით მისი მშვენიერი ლექსები პატარაშულზე, პატარაშულის იებზე, პატარა ქვანზე პატარაშულში და მათაც ვიწერდით. მაგნიტოფონზე ვიწერდით მის საუკეთესო ლექსებს და პოეტის ხალისით კითხულობდა. არ ღლიდა პოეზიაზე საუბარი.

შემწნელი გვქონდა მისი ერთი თვითხება: — პირველად უხალისოდ ჰკიდებდა ხელს წიგნს, — მაგრამ გადაუფრცხვავდა თუ არა, მაშინვე საოცარი შთაგონება დაეფუტებოდა, განათებოდა და ხალისით იწყებდა კითხვას.

— ქართული სიტყვის ბაზინადარი ვარო — ხუმრობდა — სიტყვას ბორციელად ვგრძნობ, ყოველ სიტყვას ფრთა აქვს შეგნადან, შეიძლება მისი გაცოცხლება, ახალი შინაარსით გამოყენება.

მის ახალ პოემას, — „ნუსხარას“ ეკითხულობდით.

...გინდ თავიც არ მასურვო,
ატლასურო, ალმასურო,
გერ შეგზედივ გულმშრალად,
ბაღასშურო ნუსხარა...

— ამ გაზაფხულზე მცხეთისაკენ ვმგზავრობდი, ერთგან, გზის გადაღმა ოცდაათიოდე ნუსხის ხე იდგა ერთად. მაშინ მომივიდა აზრად ეს სიტყვა. კარგი სიტყვაა, ღამაში, ხალხში რომ გავრცელდეს, კარგია, სახელიც რომ დაარქვან ვინმეს — ნუსხარა, ურიგო არ იქნებაო.

მავე დღეებში პატარძელიდან ახალგაზრდა პედაგოგის — თამარ ხუროშვილის წერილი მიიღო:

„მამაჩემი მეველეა. თქვენი ლექსი რომ წავუკითხე, მამამ თქვა, პატარძელის გზაზე ლეონიძის სახლამდე სულ ნუსხები დავრგოთ და იმ უბანს „ლეონიძის ნუსხარა“ დავარქვათო.

უკელაფერს განსაკუთრებული ფასი და სურნელი ჰქონდა მისთვის, რაც პატარძელთან აკავშირებდა და ამ წერილსაც განსაკუთრებული ინტერესით გვიკითხავდა.

● გიორგი ლეონიძის ერთ ლექსს, რომელიც პეტეფისადმი მიძღვნილი, წამძვარებული აქვს შემოკრალური დაფიდან ამოწერილი სიტყვები:

„აქ ის კიდევ ადამიანი იყო. აქედან გავიდა თავის დიდ გზაზე, რომ გამხდარიყო ვარსკვლავად. მისი ბრწყინვალეობა სამუდამოა“. მსგავსი წარწერა მის სახლსაც დამშვენებდა პატარძელში. აქედან გავიდა იგი თავის დიდ გზაზე, როგორც დიდი ხომალდი ვრცელ, ავირთებულ ზღვაში. მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო, ეს გზა მაინც ბრუნდებოდა უკან. მაინც აქ იყო მისი „მუდმივი მისახედავი“. აქი წერდა: „ჩემი ისმირების ხმებსაც შეუდამ აქედან ველოდებო“.

მისი ეზოს პირდაპირ შაქრო გულიანავილის სახლია. პოეტს ძალიან ჰყვარებია იგი... მასზე დაწერა თავისი მშვენიერი მოთხრობაც „ღვინჭა“.

ხომ გახსოვთ, სუფრის ადათისა და წესის დამცველი და მოყვარული ღვინჭა... რა სახინდლ თოვლსა და ქარიშხალში, ძლივს სამშვიდობოს გახული, დაბრუნდა უკან — მეორე სოფელში იმის გამო, რომ სუფრაზე არეულობის მიზეზით საყოფაღმდომოს დაღუპა დაავიწყდა...

მასპინძელი თურმე ჰკვირობდა, — ეს რა ღვინის მსუნავი ყოფილა, საიდან სად წამოსულა ერთი ჯამი ღვინის გულიანავისო. ღვინჭა კი ილტვებოდა:

— ღვინისმზობელო, მიშველე, შენ მაპატიე, საყოფაღმდომო დაუღვიველი გაგეჩეცი, აქი კიდეცა მომპაყრე თოვლი და ქარაშორის ღოდები. ვენაცვალე შენს სახელს. უნებურად მომივიდა, მაპატიე, „დაღუპას გაძღვე, აღარ ჩავიდნო“!

— როცა ის მოვიდოდა, მთელი ხალხი მის მიმართ იმეორებდა, რა თქმა უნდა, სუფრაზე გაიშლებოდა... ხელცარიელი კი თვითონაც არახოდეს ჩამოვიდოდა. სოფლებს სწუნიდათ, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა — ჩემი წილი იყოო — იტყოდა თურმე.

ძალიან უყვარდა, როცა სახლის კარი ღია დახვდებოდა.

— ასე მგონია, დედაჩემი უნდა შემოვიდესო. მთელი სოფელი იფიცებდა პოეტის დედას. ხალხურად კეთილი და სათნო ბუნების ადამიანი ყოფილა სოფლი ლეონიძე. ამიტომაც მთელი სოფელი ნათლიას ეძახდა. ჰყვარებია ბუნება და ეზოში „წითელი ვარდის ჭაღა“ ჰქონია. ბევრს ჰყვებოდა პოეტის მეგობრები მის პურადობასა და კეთილ ხასიათზე.

— ჩვენს უბანში წყალიც იქ გამოიყვანა, სადაც დედამის უყვარდა ჭადომა სოფლის დედაკაცებთან.

იმ დღეს მთელი სოფელი იქ მოგროვდა და ეს საზეიმო წამი კინოფირმაც აღბეჭდა. პოეტი ხალხთანაა. იგი გულიანად იცინის... შემდეგ მიდის ოკაბთან და წყალს უშვებს... პეფით აპკურებს ხალხს წყლის წვეთებს. სურათში დაქვრილია ერთ-ერთი მთავარი თვისება პოეტის ხასიათისა, მიწასთან სიახლოვის გრძნობა, სიყვარული ხალხისა და ღიმილი...

ერთხელ ბავშვებმა პატარძელის გარშემო 16 ათასი ძირი ხის დარგვა განიზარახეს... პოეტი გახალისდა... ნერგებზე თვითონ. იშვია და სკოლის ეზოში საკუთარი ხელით ორი მტრალა ტირიფიც დარგო. მანვე იზრუნა სკოლის შენობისათვის.

ერთხელ, აწ გარდაცვლილ ვანტო ქილაურს ასეთი სადღეგრძელო უთქვამს:

— დაილოცოს ლეონიძიანთ სახლის საძირკველი, ეს ოჯახი ჭიშინი ოჯახია, კარგმა დედამამ კარგი შვილები გაზარდაო. — პოეტს ცრემლები მორევია.

— თუ ჩვენმა ოჯახმა ეს სიტყვები გათქმევინათ, ვენაცვალე ჩემს დედ-მამას, ვალმოხდენი წახულან ამ ქვეყნიდანო.

ყოველთვის, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც აქ იყო მისი მუდმივი მისახედავი. მზოლოდ აქ ჰყვოდნენ ის ღურგთვალა იები, რომელთა სამაშაურსა და სურნელეობაში ეძებდა იგი თავის პოეტურ სიტყვას. აქ გალობდა ის პატარა ჩიტები, რომლის ხმას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უსმენდა და მიჰყვებოდა.

● მისი წიგნები ჩვენი საყვარელი წიგნებია... მისი ლექსები ხალხმა ზეპირად ისწავლა. ვის დაავიწყდება მისი ღიმილი, მისი სიტყვა... მთელი მისი პოეზია ერთ დიდ ლექსსა ჰგავს.

● რა არის საჭირო პოეტის პორტრეტი რომ დაიხატოს... მათ ვისაც არახოდეს უნახავთ იგი,

არ მოუსმენიათ ხმა, არ შეუგრძენიათ ის საო-
ცარი და მძაფრი კოლორეტი, რომლითაც საე-
ცე იყო შეთქმული მისი პოეტური არსება... როგორ
შეიცნონ და შეიგრძნონ...

ლექსების წიგნი? — პო. მაგრამ ეს არ კმა-
რს, მისივე წერილები, გამოკვლევები? არც
ესაა საქმარისი...

სურათები, ზღაწეწერები, ხმა... როგორ კი-
თხულობს იგი თავის ლექსებს, მოთხრობებს...
ეს უველადური საქაროა, მაგრამ რომელ წიგნს,
რომელ სურათს და თუნდაც, მისი ხმით ჩაწე-
რილ რომელ ლექსს შეუძლია მისი უნაყოლო პო-
ეტრების აღდგენა.

საოცრებებით სავსე იყო მისი სული და ახლა
ის მთავარი და განუყოფლობელი, რაც მის პორ-
ტრეტს მათიანისა და სრულყოფილის ელფერს
მისცემდა, მის პოეტურ სიტყვასთან ერთად, თა-
ნამედროვეთა მოგონებებში ცოცხლობს... მო-
გონებებში, რომელიც უზვად დასტოვა მან ალა-
მონების გულებში; მოგონებებში, რომელიც
ჩვენს წარმოდგენაში კვლავ აცოცხლებენ საუ-
ვარელი პოეტის სახეს და მის მთლიან პორტ-
რეტს აუცილებელ და საჭირო ფერებს მშატე-
ბენ.

... აი იგი უოველდღიური, უამრავი საზოგა-
დოებრივი საქმით დატვირთული, თავის არქივში
სიკრძნის მეგობარი პოეტის გრიგოლ მეგრელი-
შვილის ლექსს პოულობს. ეს ფაქტი საქმარისია
მისათვის, რომ ჩონატურის რაიონში გაემგზა-
ვროს, მოძებნოს ადრე წასული კაცის საფლავი,
მესერო შემოავლობს, ვახუკი პოეტის სადღაც მი-
მოფრთხილი და მივიწყებული ლექსები გამოა-
შვუროს. — მაღლია, იმ კაცის გაცოცხლება
იქნება...

... თითქმისწარსულში ღამით, გაზრთის რედაქ-
ციაში მოულოდნელად რეკს ტელეფონი. შორი-
დან ისმის პოეტის ხმა.

— ხვალ, დილით, მარაბდაში დამხვდით, რა-
ღაც საქმე მაქვს.

... მარაბდელების საფლავი იცი? იმიტომ ჩა-
მოვედი, ცხრა ძმის საფლავი უნდა ვნახო.

მასპინძელს შერცხვა. — არაო — უპასუხა...

— საუვედური უნდა გითხრა... მანდა ხარ და
ეს დიდი საქმე კი გავიწყდება. იცოდეთ, ქვეყნის
სიუვარული უველაზე დიდი მოვალეობაა. ზოგ-
ჯერ ჩვენი გმირების საფლავები გვეკარგება, ეს
კი ჩვენი ისტორიაა. მომავალი არ გვაპატიებს
ასეთ უუურადღებობას.

პოეტი მუხლს მოიყრის საფლავების წინ, მე-
რე მიწას მოჩიჩნის, ხელში გაფშვნის და იტ-
ყვის:

— იმ გმირთა სისხლით არის ნაპოზი, დაილო-
ცოს მათი სახელები.

იმ დღეს მთელი სოფელი შოვიდა ზე, ნადღა-
ვის ქვები გამოაჩინეს, მესერო შემოავლობს, უპა-
ვილები და ზის ნეტგები დარგეს (ს. ნ. ნარშია-
ნაძის მოგონებიდან).

— აპარაში, კოროხის პირზე, სოფელ ერგეს
ზემოთ არის ერთი პატარა სოფელი, სადაც
მხოლოდ ლეონიძეები ცხოვრობენ.

გიორგი ლეონიძე სტუმრად მიდის ლეონი-
ძეებთან, ავტომანქანა ხალხში გზას ვეღარ მიი-
კვლევს. გოგლა ძიკს ჩამოდის და თითოეულ
დამხვდურს ეხვევა. ის ვეღარ მალავს მღელვარ-
ებას და უსაზღვრო სიხარულს.

— ლეონიძეებო, ხომ მაგრადა ხართ, ლეონი-
ძეებო! — შეუძახებს ზოლმე და მხარბეკიან
ბიჭებს, თითქოს ღონეს უსინჯავსო, ხელზე დი-
დხანს უკერს ხელს. თვლებში ჩასცქერის, სა-
ხეზე აკვირდება, მათი სიმალლე მოსწონს და
კმაყოფილი ღმილით ბუბუტებს:

— კი, ნამდვილად, ლეონიძეები ხართ, ნამდ-
ვილად.

ერთ კობა წაბლის ხის ოდასთან ჩაუხვებს.

ქალები მოკრძალებით და მორცხვად უწვდი-
დნენ ხელს სტუმარს, გოგლა მხიარულად ენა-
ლიებოდა მათ და ეხვეწებოდა, ნუ გერიდებათ,
მე ხომ შინაური კაცი ვარო.

— მოზრძანდით, ბატონო, მოზრძანდით, —
მოხვებს ხელი ბერიკაცებმა და სახლში შეიპა-
ტიყეს. პოეტი პირდაპირ სუფრის თავში დიდ-
ვა, ჭიქა აიღო და შთაგონებით გასძახა:

— სამასი წლის შემდეგ ჩვენს შეხვედრას
გაუმარჯოს, ლეონიძეებო! — და დალია. —
ერთიც უნდა იცოდეთ, — ღმილით გააფრთხი-
ლა სახლეკაცები — ამ სუფრაზე თამადაობას
არავის დაუფთმობ, ეს იგივე ჩემი სახლია. მე
მასპინძელი ვარ. ესენი კი — მიუთითა სხვებ-
ზე (მათ შორის იყო ამ მოგონების ავტორი
პოეტი ფ. ხალვაში) — სტუმრები არიან“.

(სხვათა შორის, აპარის რადიოს ჩანაწერებში
არსებობს გიორგი ლეონიძის მოგონება, სადაც
პოეტი ჰყვება თავისი გვარის ისტორიას და ამ-
ბოზს, რომ იგი მისხუთიდანაა. თურქთა შემოსე-
ვის შემდეგ, როგორც ბერძენ სხვა ქართული
გვარის წარმომადგენელი, ლეონიძეებიც და-
ქსაქსულან და ერთი შტო სოფელ ერგეს ზემოთ
დასახლებულა... ამ სოფელს „სოფელ ლეონი-
ძისა“ უწოდებენ).

— ერთხელ, სულ ადრე, როცა იგი თბილისის
სახულიერო სემინარიაში სწავლობდა, მოსწავ-
ლეთა ხელნაწერ ფურნალში დაიბეჭდა მისი
პირველი ლექსი, მიმდევნილი ვჟა-ფშაველასად-
მი.

როცა დიდმა ვჟამე ეს ლექსი წაიკითხა, თქვა:

„ამ ბავშვს ვეფხის მომავალი აქვს. ვეფხი იქნება, ვეფხიო!“ ხოლო შემდეგ ნომერში თავისი ხელით ჩაწერა გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი საპასუხო ლექსი...

საქართველოს რადიოს იშვიათი ჩანაწერების ფონდში არსებობს ერთი ძვირფასი ჩანაწერი, — „საუბარი გიორგი ლეონიძესთან“. კორესპონდენტი პოეტს ეკითხება: — რა გიზიდავთ უკუღმავლეთ მდებარე ვაჟას პოეზიაშიო. გ. ლეონიძე პასუხობს: — ვაჟაკური ზნა, პოეტური თვალი. და შემდეგ:

— მიიჩნევთ თუ არა თქვენს შემოქმედებას რომელიმე ქართველი მწერლის, ან ლიტერატურული სკოლის ტრადიციათა გამგრძელებლად. გ. ლეონიძე — რა თქმა უნდა, ვსწავლობ ჩვენი კლასიკოსებისაგან. შოთას რომ თავი დავანებოთ, მე გაოცებული ვარ ვისრამიანის, სულხან-საბას, მერაბულეს პროზით, დავით აღმაშენებლის, თამარის ისტორიკოსთა და ეპოქა აღმწერლის მათაინებით. მაგალითად, ეპოქა აღმწერლის ავტორი მე მიმაჩნია უდიდეს პოეტად და მწერლად და ხშირად მას ვკითხულობ სიტყვობებით. მთავარი ჩემთვის მაინც არის ხალხის სიტყვა, ხალხური მეტყველება. იგი ჩემი საზრდაა“.

ერთხელ პოეტს მისი ლექსის ხალხური ვარიანტი აჩვენებს:

„მე მოუსვლელი, სადა ხარ,
შენ ხომ სოფელი გიყვარდა,
გაუძაძლარმა ყორანმა
გული სად ამოგიღარდა...“

მის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ნახეთ, როგორ მაჭობა ხალხურმა მელოდებმა. იცით, რას ნიშნავს, „გაუძაძლარმა ყორანმა გული სად ამოგიღარდა“? — ნეტა ჩემი იყო ეს სტრიქონები, როგორ აძლიერებს გმირის სახესო და ხევსურული ლექსი გაიხსენა:

„გატეხილისა ვაჟისა,
ყორანმა ლეში არ ვამა,
გაუტეხელის ვაჟისა
წინ-წინ მკლავები დაქამა“.

— სამამულო ომის მრისხანე დღეებია. გიორგი ლეონიძე ტამარის ნახევარკუნძულზე უცნობი ჭარისკაცის საფლავთან დგას... დგას დიდხანს... საფლავზე ძლივს გასარჩევად იკაობება ქართული წარწერა „ღეივანი...“ სულ ახლოს ისევ გაისმის ჭეშმევებისა და ავტომატების გუგუნო.

ამ გუგუნში გამოიკვეთება საოცარი სტრიქონები... „არ დაიდარდო, დედაო“.

არ დაიდარდო დედაო,

ნუ მიეცემი სევდასა...

დღეო, გაიღდი, გაიღდი,

შეილი ეყრება დედასა...

ამ ლექსს მალე მთელი საქართველო აიტაცა.

ცებს და სიმღერად აქცევს. შენარუსვლელი ვაჟების უკანასკნელ ნაბიჯამ სიტყვებად შეიცნობს და შეიფარებს...

ერთ ლექსში „იჭრისი“ და „იქცევისი“ ჰქონდა ნახსენები. ეს სიტყვები ძველი მამების წიგნებშია. ლიტერატურაში რომ შევიდნენ, კარგი იქნება, ძვირფასი სიტყვები. ასეთი სიტყვები სხვა ერს თუ აქვს, არ ვიციო. თანაც დასძინა: — გაგვიღარბდა ქართული. განგებ ვწერ ამ სიტყვებს, ხალხში გავიდესო.

მის ლექსებშიც ხომ იმ, „ძველი მამების“ პოეტური სიტყვის ძალაა, მათგან ნათელი და მაღალია მისი ღვაწლი. განა შესძლებს როდისმე ქართული ლიტერატურის მკვლევარი, გვერდი აუაროს გიორგი ლეონიძის შრომებს? რამდენი ამაგი მიუძღვის მას თუნდაც ქართული ბელწარწერებისა და წიგნების შეგროვებაში, ქართული ლიტერატურის მუზეუმში უამრავი მასალა ინახება წარწერით: — „მოიტანა გიორგი ლეონიძემ“, მანვე პირველმა შექმნა საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ბელწარწერა ფონდი. მისივე თაოსნობით დაარსდა სახელმწიფო უკრაინულში, სხვიტორში, საგურამოში, ჩარგალში...

— აი, იგი ქუჩაში მიდის. თვალეზში საქართველოს ცის თხილი სილურჯე უდგას. როგორც ყოველთვის, მხრები ახლაც ოდნავ აჩქრილი აქვს. მისი სახე, მთელი მისი დიდებული გარეგნობა „თითქოს ბოლნისის კვიდანაა მოკვეთილი...“

— გამარჯობა გოგლა — ესალმება ვიღაც მოსუცი კაცი და მოწინებით უხდის ქუდს.

— გამარჯობა გოგლა — უღიმოიან ნაცნობები... იგი ისევ სწრაფად ჩერდება, როგორც სწრაფი ნაბიჯითა მიაყვება ქუჩას...

— სალაში ბატონო გიორგი — გზას უთმობენ ახალგაზრდები.

— ნახე, გიორგი ლეონიძე! — ჩურჩულით ამბობენ ბავშვები. შემდეგ ცოტათი ჩამორჩებიან და ნელა მიჰყვებიან უკან.

პოეტიც გრძნობს მათ ნაბიჯებს, ხშირად მობრუნდება და გაესაუბრება. შემდეგ კი ეს საუბრები ძვირფას მოგონებებად მიჰყვება ბავშვებს, ძვირფას მოგონებებად რჩება ეს საუბრები ყველამ, ვისაც ეს შეხვდა და თავისი დიდი გულის სითბო უწილდა.

„მისთვის „გულგრილობა ხომ ისევ უჩვეულო იყო, როგორც ნელი სიარული, ან უღეიხო დანთვი ღამე“.

პოეზიამ მოუტანა მას ეს სიყვარული. პოეზიამ და... ის საოცარმა პოეტურმა სიცოცხლემ, რომელიც ყველა მთავანში, ვინც კი ერთხელ

მანც შეხვდა მას, სიტყვით გამოუთქმელ უღამაზეს მოგონებად ცოცხლობს.

უველგან ჰყავდა მას მეგობრები... უველა გრძნობდა, როგორ უყვარდა პოეტს მიწა... მიწასავით უხვი და მდიდარი, მიწასავით კეთილი იყო თითონაც, და, „სადაც არ უნდა წასულყო, იგი იყო საუკეთესო წარმომადგენელი თავისი ხალხისა, ფანატურად შეუვარებული თავის სამშობლოზე, თავის ენაზე და უველას ამ სიუვარულს გადასდებდა.“

ამიტომაც სთქვა ერთმა პოეტმა: ბედნიერია, ვისაც საქართველოსთან პირველი შეხვედრა გიორგი ლეონიძისთან შეხვედრით დაუწყიაო.“

მასში უხვად იყო გაერთიანებული უველაფერა მზიური, ბრძნული, ღალი, რითაც ქართველ კაცს უამაყნია ამ ქვეყნად.

— რუმინეთი... იანვრის ცივი, ხუსხიანი დღეება. რუმინელი ხალხი თავისი დიდი პოეტის ემინესკუს იუბილეს იხდის. ძეგლთან, სადაც საიუბილეო მიტინგი გაიმართა, ქუდმონდილი დგას გიორგი ლეონიძე, ერთადერთი მოკლად იგი დგას უქუდოდ. საშინლად უინავს. ავადა. ექიმმა აღგომა აუკრძალა, მისცე აქვს. მანც მოვიდა და უსიტუოდ, მთლად შთაგონებაში წასული უსმენს... სიტყვებს კი არა, პოეზიას, პოეზიის იმ უკუდავ ხმას, რომელმაც ამდენი ხალხი მოიზიდა აქ, ამ საშინელ ქარსა და უინავსა.

ასე დარჩა იქ შუაფთა მებნირებაში შესანიშნავი ქართველი პოეტი, რომელიც თავისი დიდებული გარეგნობით და ქცევით, თავისი პოეტური სულით მათში კიდევ უფრო აღვიძებდა საქართველოსადმი ინტერესს.

ვილნიუსი...

გიორგი ლეონიძემ აქ პოლონეთიდან გზად გამოიარა და რამდენიმე დღით დარჩა.

მას ერთ-ერთი პოეტის ბინაზე იწვევეს, სადაც სხვადასხვა ერის ლიტერატორებს მოუყრიათ თავი, ვილცამ თქვა, მოდი, როგორი გობით ლექსები წავიკითხოთ... უველას მოეწონა... ზოგა თავის ენაზე კითხულობდა, თან სახელდახელოდ თარგმნიდა, ზოგი წიგნიდან, ზოგიც ზეპირად ამბობდა... მოახლოვდა გიორგი ლეონიძის ქერიც. პოეტი ძალიან ღელავდა...

— ქართულად წაიკითხეთ — შესთავაზა ვილცამ.

— ვერ გაიგებთ. — მიუგო ნაღვლიანად.

— ნება მიბოძეთ, მე წავიკითხო გიორგი ლეონიძის ლექსებში... მე ბევრი მისი ლექსი ვიცი ზეპირად — თქვა ერთმა რუსმა პოეტმა...

ეს კი ძალიან მოულოდნელი იყო. მას შემდეგ ოთახში გამოვიდა და დაიწყო:

ეს თოვლია, თუ მიმინამ დაიფეთა მტრედები, ვარსკვლავთა ოთახებში ჩათვლილშებს ედინათ, ეხვალთ ხავერდები...

(სხვათა შორის, გიორგი ლეონიძის ბშირად უთქვამს, რომ ეს ლექსი მას უველაზე მტრად უყვარს).

აი იხსენებ მას... დიდებულ პოეტს, გეშმარიტ მამულიშვილს, სამშობლოს ჰერისუფალს, უნავსოს, უინავსოს... იხსენებ ძველ ციხე-კოშკებთან, მთაწმინდაზე, ჩარგალში, საგურამოში, თბილისის ქუჩებში, უბრალო ადამიანებთან მოსაუბრეს...

კიავის ცილს აპყვება შეუი შორეულ შექურთა და გამოჩნდება სამშობლო, როგორც მოქრილი ჩუქურთმა...

შენ, საქართველოს სიტურფე, მზესავით ამომავალი, შენის მადლით და იმედით გინდაც სმელეთზე გავალი.

სოლომონის განის, კრეზის სიმდიდრეს, ლეგენდად ოქროს, ლალს მობრდღვილეს, მე მირჩენია ერთი ზოზობი, ალაზანზე რომ შეიფრთხილებს...

— მინდა იმდენ ხანს ციცოცხლო, ხანამ ვახის ძირი არ გახმება. შენ იცი, რამდენ ხანს ციცოცხლობ ვაზი?

— არა.

— ას ორმოცდაათ წელს. დაიხსომე და უმდერე ვახს. ადამიანი კაცობრიობის ხალხარში ვაზია. ვაზი უფრძენს გვთავაზობს, პოეტი ლექსს. ძნელია გიორგი ლეონიძის სრულყოფილი პორტრეტის აღდგენა... ვისაც არასოდეს უნახავს იგი, არ მოუხმენია ხმა, არ შეუგრძენია ის საოცარი და მშაფრი კოლორიტი, რომლითაც სხვს იყო მთელი მისი პოეტური არსება, როგორ შეიცნონ და შეიგრძნონ...

ამისათვის არც ლექსების წიგნი კმარა, არც წერილები და გამოკვლევა, არც სურათები, არც ხმა... არ კმარა არც მოგონებები, რომელიც უხვად დასტოვა მან თავის თანამედროვეთა გულშეში და რომელთა გაცოცხლება მრავალგზის სცადეს ადამიანებმა...

ეს მოგონებები ძალზე ბევრია... ჩვენ მხოლოდ რამდენიმე გავიხსენეთ და ავკრიბეთ... გვჩჩება უპმარობის გრძნობა... გვჩჩება ტკივილი... და ისევ ვავლებთ თვალს გარდასულ ამბებს...

ისევ ვიხსენებთ მის ჩანაწერებს... საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდში“ დაცულ სიტყვებს... იგი ზომ წლების მანძილზე ჩვენი შეუცვლელი მეკვლე იყო. და, მებნირებაში ციცო-



ხლებმა ერთი წინასახალწლო საღამო... ეს იყო 1966 წლის 31 დეკემბერი. საღამოს რვა საათი იქნებოდა. საახალწლო მილოცვები წინასწარ ჩაწერეთ, მაგრამ გადაცემას ვერ ვაპირებდით, რადგან ბატონი გიორგი არ ჩანდა. უკვე 15-20 წუთში ლიტერატურის ინსტიტუტში ვურეკავდი... „მოვდივარ, აი, მოვდივარ...“ ოც წუთში ჩანდა ვიქნებო! — მეუბნებოდა. თურმე მაშინ წერდა სიტყვას. გაზდა ათი საათი...

... ვისაც რადიოში უმუშავნია, ის მიხვდება, რა მდღეღვარებასთანაა დაკავშირებული ასეთი წუთები... ისევ რომ დავურეკე, მითხრა: „ნუ ღელავ, ხომ იცი, უხათუოდ მოვალ. როგორ წეგმილია იფიქრო, რომ მე ქართველ ერს ახალ წელს არ მივულოცავო“. ბოლოს მართლაც მოვიდა და ისეთი ანდერძი სიტყვა მოიტანა, ყველას გადაგვაფიქნა დაღლილობა.

ახლა კი რაღაც ნიშანდობლივად მეჩვენება, რომ სწორედ ეს სიტყვა არის მისი უპანასკნელი ჩანაწერი. იგი დღეს ანდერძს ჰგავს...

შემდეგ ეს ჩანაწერი ჩვენ მთაწმიდაზეც ავიტანეთ, როცა ქართველმა ერმა თავისი საუკარეო პოეტი უპანასკნელ გზაზე გააცილა. ამჟერად იგი მართლაც ანდერძს ჰგავდა და ეს ანდერძი მთაწმიდიდან ისმოდა...

აი, ეს სიტყვა...

„ჩემო მშობელო ქართველო ხალხო, შენი მეტად ვარ. შემოვდგი ფეხი, გილოცავ ახალ წელს, სავსე ბონაით და სავსე ჯამით ვსვამ შენი ახალი შრომითი გამარჯვების სადღეგრძელოს. გილოცავ დაბადებებს, შენი შემოქმედებითი შრომის საქვეყნოდ აღიარებას. შენი სახელის გარეთ ვასკლას. ახალი ნაბიჯის შედგმას მომავალში. გისურვებ, რათა მომავალ წელშიც სახელისათვის კიდევ მიგემატებინოს ახალი სახელი. ჩემო ტკბილო სამშობლოვ, ქართლო, კახეთო, იმერეთო, გურია, სამეგრელოვ, აჭარა, რაჭა, სვანეთო, ლეჩხუმი, ხევო, ფშავე-ხევსურეთო, თუშეთო — მოგილოცავთ ახალ წელს, ახალ დიდებას, ახალ სიციცხლს, მაჭის სიმკერეს, გულის სიმტკიცეს. გიმრავლოს აცნის ფიქრები, გიციცხლოს სამარგალიტო უმაწილები, გიციცხლოს დანურებული, თვალ-გომრია, იისთვლება ქალიშვილები, ნარჩენი ღამაზები, თვალციცხლი, ტაღიკი ბიჭები, — გიმრავლოს და გიბედნიეროს. გიციცხლოს ფუძე და ეკრა, ადგილის დედა, ტბილი ქართული დედა ენა. სულ ვარდი ეყაროს საქართველოს. სულ დაღლადებდნენ ბრძიდებები, ელავდნენ ნათურები, სულ გუგუნდებდნენ ჩარხები, ჩაქურები, მანქანები, სულ სჩქედნენ ახალ-ახალი რუსხმულები, სულ ახალი ხმულები გაგვიმოს, სულ ახალი ფესვები ჩიებას მშობლიურ მიწას. სულ ფოლადიანობდნენ შენი მარჯვნა. სულ ეთვარებდნენ შენი სადროშო ფარჩა. გიციცხლოს ვაზის დედა, ყანის მწეკბანი,

სულ თავს დაგნათოდეს გამარჯვების მუკადღეს შენი სიკაბუკის ყვავილი. შენი მტევანმოსხმული ვაზი. დაუშრეტელი რძით სჩქედნენ შენი მწიწის ძუძუ, სულ ნათობდეს შენი გონების ნათელი. დაუშრეტელი იყოს შენი ღონის მარაგა.

ქართველო ხალხო, შენამე იდიდე შენი შრომით. გიმრავლოს შუქის კაცები, ჯაფის კაცები, შემოქმედნი გულისა, გონებისა, შრომისა. გიმრავლოს ბელწვავიანი შრომის გმირები და ცმირებიც ვაჟკაცობისა. გიციცხლოს მეკვლე, მეკაწნიკი, მთხრობელი, მოერთქამე, ძმა და მეგობარი, მეუღლე სიყვარულისა. სულ ვარდული განთიადი ბრწყინავდეს შენს მწვერვალზე და ვედლებზე. სულ იცინოდეს შენს მკერდზე თვალმანის გაწაფხული, სულ მწიფრობდნენ შენი ზურმუხტი ტევრები. აივსე მწის ქანითა და ბედნიერებით, ძმათა და მეგობართა თანამყოფადობით. იყავ ურდევნი, მყარნი და მტკიცე.

წყალი მიდის წყალისაკენ და მშობილი ძმას დაეძებს.

ია მომგონებელსა, ვარდი მახსენებელსა. გიციცხლოს წინაპართა სახელები, არწივნი დამღვარ გმირთა, სამშობლოს დამცველთა სახელები, შინმოუსხელითა, ტყუიასხმულთა, კრილობით დათხვებულთა, სამშობლოსათვის სისხლდათხვეულთა ხსენება მუდამ გედიდებინოს.

სულ ელავდეს ბედური ოქროს ენა შენი პოეტებისა. ოქროს ძაფად დათვლილყოს ახალ-ახალი ლექსები. მუდამ ისეთივე გვესმოდეს სიტყვა რუსთაველისა — დიდება სახელსა მისსა. ნურც გაგვეცუთოდეს ქართველებს ტყუი ვეფხება. ნურც დაღლილყოს შენი ჩაქური. შენი ხელოვნება, მედიერება და შენი ხარაჩოები კიდევ უფრო მაღლა ასულიყოს. შორს, საქართველოს გარედ გასულიყოს ქართველი დიდოსტატა, დიდმეცნიერთა ქართული სახელი.

ქართველო ხალხო, აღარ გენახოს უამირი, ტრამალი, ნაბლარი, ნავენახარი. აღარ იყოს „არ შენდა“, სულ „აშენდა“ უოფილიყოს. მრავალი გქონდეს სახენელი, სამკელი, გასაღეწი დახაქრეფი, დახარგავი, გიმრავლოს ზვრები, ხოლაზნები, პლანტაციები, წალკოები, ზვრები, ბლანარები, სიუნვე არ მოაკლებოდეს შენს მაღირობებს, შესტებს, ბუდობებს, მანდებს. კიდევ მეტად გასარწყავდეს ურწყული და უდაბური ადგილები. მეტი დაგდგას ბარაქის ზვავები, ზვინები, წითელი მაკრით იმღერონ მარნებში ფარება. სულ რძე დასდიოდეს შენს მინდვრებსა და იალადებს. სულ ოქროთი და მარჯნით დახუნძლულიყოს შენი ხეობის ტოტები. ბარაქის ზვავები ბრწყინავდნენ ოქროსფერობით, სავსე იყოს შენი ქვევრი და გოდორი. დილა ვარდისა გაშალოს ნიაფა, პირიშე დაგნათოდეს ღიმილით. გიმრავლოს მეწველი ფური, რქადაქნილი ქედილი. არ გაოლდოდეს შენს ტყეებს სკამა-

დალი ირენი. შენს ჰალეებს ტურთა ზოზობი, შენს მდინარეებს დაწითული კალმახი.

გაუმარჯოს შენს სუფრას. სულ სადღეგრძელოდ უყოფილიყოს ავსებელი მამეულ-პაპეული ჯამი, უანწი, ფილა, კვანჩა, კახა, ფარფ-ლა, აზარფუა, სულ დღეგრძელობასა, კოცნასა და სიხარულში შესულიყოს, სულ მოხალხინა-რად.

ძმებო და დებო, ვერსომოთ და გავაბარაკოთ ჩვენი მიწა. ავწიოთ დროშა ჩვენი შემოქმედე-ბისა, კვლავ უფრო ავაშალოთ ქართველი ერას სახელი. ვისურვოთ, რომ ჩვენს სამშობლოში მუდამ ტრიალებდეს საამო საუნოსველი სურნე-ლები და ელავდეს ვარდული ბრწყინვალეობა.

ქართველო ხალხო, სულ ძლიერდებოდეს ძა-ლა შენი ხულისა, შენი შემოქმედებისა. კიდევ დაჰტყაროს ახალ-ახალი მწვერვალები. იხარე და იმარადე ისე, რომ კერაზე ვეღარ ეტეოდე, ქართველო ერო, აუჯ ღონეძლიერი, ღაღა, ზედწიერი, კერა, იქასი და სამშობლო გიბე-ნაგროს. თაფლის სიტკბოთი შეგერგოს 1906 წელი. სულ გამარჯვებასა, მზეგრძელობასა და სიუფარულში და დაუღუდელო სიხარულში“.

ამ სიტყვას კომენტარი აღარ ჰქონდება... იგი თანაბარი მღელვარებით ავსებს, როგორც მის მსმენელს, ისე წამყობველს... და მაინც... სულ სხვაა, როცა პოეტი თვითონ წარმოსთქვამს მას. რამდენი მზე და სიღამაზეა მასში... გვიუვარს ამ ოდნავ სიძველედაკრული, მაგრამ გაზაფხუ-ლის ნიაღვრებით მშლავრი ხმის მოსმენა... იგი თიქოს „საქართველოს უღრანი ხეობების ეჭო“, მისი წარსულისა და აწმყოს, მისი მო-მავლის მარადიული თანამგზავია.

დროს ბევრი რომ მოაქვს... ბევრი რომ იცუ-ლებს... ცოტას-ღა შერჩა იგივე სურნელი, იგივე სიღამაზე... გიორგი ლეონიძე კი თანდათან უფ-რო და უფრო ძვირფასი ხდება, თანდათან უფ-რო მწვავედ ვგრძნობთ, რა დავაგრეთ მისი ამ ქვეყნიდან წასვლით... როგორ გეტქივა, რო-გორ გვაკლია, როგორ გვენატრება! რამდენი რომ აკლია გაზაფხულებსაც, შემოდგომებსაც... თვით წამთარსაც უიმისოდ... რამდენი ფერი, რამდენი ხინათლე...

მისი უველაზე მაღალი მოწოდება — ღვაწლი ქვეყნის სიუფარული და პოეზია იყო. „...რომ ქალაქად გადმოქცეს, ღა-მის პაერი მელნად, ვარსკვლავები გადამწერლე-ბად მუავდეს და იმაზე მეტი ასოები დაეხსნა. ქალაქზე, რაც ზღვაში ქვიშა და თევზია, მაინც ვერ ვიტყვი, ვერ გამოვხატავ, ვერ გამოვ-სახავ ჩემს სიუფარულს ჩემი სამშობლოსადმი. ჩემი ქართველი ერისადმი“ — ასე ეარგად კი თქვა და გამოხატა.

ერთი სიცოცხლე მიშოვეთ, ნეტავი, რა ელი-რებათ... წერს ერთ თავის მოთხრობაში გიორგი ლეონიძე... ამ მოთხრობას „სახელის მილოცვა ჰქვია“...

და მეც მინდა ეს პატარა წერილი სწორედ ამ მოთხრობიდან ამოწერილი სტრიქონებით და-ვამთავრო:

... ძველად ჩემს სოფელში ერთი საოცარი დღე იყო. „სახელის მილოცვის დღე“. გაზაფ-ხულის აღდგომა კვირას მთელი სოფელი საფ-ლავეზე გადიოდა. პურით, ღვინით, საკლავით, ხორაგით, ცრემლით, ღაღალებით და სამქებარო სიტყვებით. სახელს ულოცავდნენ გარდასულთ, უველას კი არა, ვინც რაიმე სახელი დასტოვა! თან ცოცხალ გმირებსაც აღღებრძელებდნენ.

წახულან გმირებსაც გარდაშალი წვიმებით, როგორც ქარიშხლებს უბოხოქრიათ, უგრგვინ-ვიათ; ბოლოს დაუღუბულან მუუდროებაში. ხალხს ჰგონია, ისევე ამოვლენ სამარიდან, თოფსა და ხმალს კიდევ იხმარენ, თუ კი სამშობლომ შესთხოვა.

... ჩვენ, ბალები, ამ უცნაური სანახაობის მომსწრენი, შემერთალები ვიყავით, ვგრძნობ-დით, რომ ამ დღის ცრემლითა და კავით ჩვენი გული იწრთობოდა... ძვალი გვიმაგრდებოდა...

დაფიქრდებოდით წამიერ, რისთვისაა საჭი-რო სახელი?

სახელი... სახელი...

კლდე ჩამოიშლება. — ქვაშუარი დაირღვევა... არ მოიშლება სახელი. ასე გვასწავლიდა ეს დღე და სევდიანი ფიქრი გულს გვისერავდა...

განა, ჩვენც მოგვილოცავენ სახელს, დიდები რომ გავიწრდებით?



ალექსანდრე სამსონია

შეხვედრის თავით უნდა ითმავო

— ხელმძღვანელს შეცდომის უფლება არ აქვს... ზომი ხედავთ, გუნდი რა დღეში ჩავარდა. მეორე ლიგას დატოვებს.

— მე კიდევ სამსახურს დაეტოვებ. — ისე საწყლად ამოიკენსა ნაპოლეონმა, რომ მიქი ჩხიკიშვილსაც გული დაეწვა.

— ჰოდა, სანამ ყველაფერი არ დაკარგულა, საქმეს უნდა მივხედოთ.

ეს უკვე სხვანაირი, ლაპარაკი იყო. გამოცოცხლებული ნაპოლეონ ბაგრატიონი ფეხზე წამოდგა. ღვინისმომელი კაცის პირობაზე, საკმაოდ სპორტული აღნაგობა ჰქონდა.

— მივხედოთ მერე, აგერ არა ვართ! — თქვა და ხელები ისე გაშალა, თითქოს ყველას ორასკაციან სუფრაზე ეპატიებოდა.

— მწვრთნელს ახლავე უნდა მოწახვა, — დაარბა ალაღინ ართმედაძემ. იგი ნაპოლეონს სხვებზე უკეთ იცნობდა და ერთი ორჯერ სუფრაზე მისი სადღერაძელოც ჰქონდა შესმული.

— მოვანათო, ბატონო, გეძღონ ფოთოლაძე საკუთარი ძინას გამოვაცხადებ, მიწაში ამოვრდები!

ნაპოლეონ ბაგრატიონის ტვინში გაღვივებული ნაერწყალი მიქი ჩხიკიშვილმა სწრაფად ჩააქრო.

— ფოთოლაძე კი არა, ახალი მწვრთნელია საჭირო!

— სად ვნახო მერე ახალი მწვრთნელი, — დაიბნა ნაპოლეონი, — სერჟონის მიწურულში ვინ იქნებებს ჩხარაგულში ჩამოსვლას?

— ჩამოსული არავინ გვეკირდება... არის ერთი ადგილობრივი კაცი.

— ჰოდა, დროზე მოთხარით და გამაზარეთ.

— მხნეთი კაცი გერმანე არჩაძეა.

— გერმანე არჩაძე? გაიკვირვა ბაგრატიონმა. — არ გამოგონია.

გოგი ზარანდიამ შეახსენა.

— როგორ თუ არ გამოგონიათ! ის არის,

ოასისრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1.

გულშემატკივართა პრესკონფერენციაზე რომ გაგაქრითკათ, ჩხარაგაულის რაიონში ფეხბურთი არასწორი გზით ვითარდებაო... ზომი გაგასენდათ?

— კი გამასენდა. მაგრამ ამისთანა კაცი მოვიყვანო სამსახურში?

— თქვენ კი მოიყვანო, თვითონ თუ განაცხადა თანშობა.

ნაპოლეონ ბაგრატიონმა ნაცადი არგუმენტები მოიშველია:

— ზემოდან რომ უზრძანებენ, მაშინ კი დათანხმდება.

— ვერაფერსაც ვერ უზრძანებენ, — ჯიუტად გააქნია თავი ალაღინმა — შავი ისეთი კაცია, თხოვნის გარეშე არაფერი გამოგვივა.

— თქვენ თხოვეთ და მე უფროსებთან რეკომენდაციას გავუწევ.

მიქი ჩხიკიშვილმა სპორტკომიტეტის უფროსს გადაწყვეტილება მოუწონა.

— სახამაოვნოა, რომ პირდაპირ საქმეზე გადახედეთ... სხვათადად არც შეიძლება, პირადი წერა უნდა დავივიწყოთ და „ხიხარულს“ მივხედოთ!

— მივხედოთ, ბატონო, — დაეთანხმა ნაპოლეონი. — მაგრამ დარწმუნებული ხართ, რომ ღირსეული კანდიდატურა შეარჩიეთ?

— დარწმუნებული ვართ, — მიუგო ალაღინ ართმედაძემ.

ბაგრატიონმა მარცხენა თვალი მოკუტა, რაც იმას ნიშნავდა, რომ რთული პირობების გადაჭრაზე ფიქრობდა.

უშაღლესი განათლება რომ აქვს? — იკითხა მან.

— დაუმთავრებელი ფილოსოფიური.

— ფილოსოფიური და ისინი დაუმთავრებელი?.. არც ფიქსუალური ისტორიების დიალოგი აქვს? — უარყოფითი პასუხი რომ უთხრეს, წარბები შეკუმხნა: — აგი ვერაა კარგი საქმე.

მერმან ფილიამ შეახსენა:

— ფიჭულტურული არც თქვენ დაგიშთაურებიათ. ბატონო ნაპოლეონ, მაგრამ ამხელა რაიონის სპორტს უდგასართ სათავეში.

მართებული, ოღონდ ამ სატუაქციაში უადგილო შენიშვნა. ნაპოლეონ ბაგრატიონმა ვითომ ვერ გააგნა. მაგრამ დიდილოში ლაპარაკს მაინც თავი დაანება და საუბარს ხუთ სხვა გეზი მისცა.

ფეხბურთი ხომ უყვარს მაგ თქვენ გერმანე არჩაძეს?

— უყვარსო? — ეწყინა მექის. — ფეხბურთი მისი ცხოვრების მიზანი და მარადიული სიუყვარულია!

— აბა, ღმერთი იყოს თქვენი და ჩემი მჭარველი — ხელები ვარსკვლავებით მოჭედვილ და მთვარით განათებულ ცისკენ აღაპრო ნაპოლეონ ბაგრატიონმა.

მეორე ტაიმი

გვალვიან ცაზე მთვარე სილინძის ბურთივით ეკიდა. ხუთსართულიანი სტანდარტული სახლის მეორე სართულის ერთოთახიან ბინაში მცხოვრებ გერმანე არჩაძეს მაშაპაური კოგრიტი გამოეტანა, მოკაშაშე მნათობს კოპერნიკივით ავირდებოდა და თან სიმღერასაც ღიღინებდა. „აჰ, მთვარე, მთვარე, დამწვარი იმედო...“

ახე ამღერებელი უჭვრეტდა გერმანე ვარსკვლავებით მოჭარვულ ცას, თუმცა შესანიშნავად იცოდა, რომ მისი სიუყვარულის ვარსკვლავი კარგა ხანია ჩაშქრალი იყო და უკეთესი დღე არც „სიხარულის“ ფეხბურთელთა გუნდს ადგა. თავად განსაქეთ... მეორე ლიგის ჩემპიონატი იმე იწურებოდა და ჩხარაგაული ისე გადიოდა შესაბამე ლიგაში, რომ გერმანეს სახლას წინ ლატავრა კოკობინაძეს ერთხელაც არ ჩაევლო.

— გერმანე არჩაძე, — ახმაბა დაბლიდან მექი ჩიკივდილმა, — მაგ მთვარეს შეეშვი და ჩვენ მოგვაქციე უურადღება!

— აქეთ იმავით რაშეს? — ვითომ ვერ მიხვდა გერმანე, კოგრიტი დაბლა დასწია და ეწოში თავმოყრილ ხალხს გაუპირისპირა. თუმცა, გამოდიდებელი ხელნაწყო რად უნდოდა, მთვარის სხივებს შესანიშნავად ჩანდა, ყველა მისი ნაცნობი და თავუანისცემელი რომ იყო.

გულშემატკივართა შორის ყველაზე ტბილი ენა ალაღინ ართმელაძეს ჰქონდა, დამღერებული ნათესავეების შესარიგებლად მეზობელ რაიონებში დაჰყავდათ. ამიტომ გერმანეს დაჯახულების საჩიოთირო საქმე მას უნდა მოეგვარებინა.

— ჩვენო საყვარელო ძმავ და მეგობარო, — დაიწყო ალაღინმა, — მთელი ჩხარაგაულის რაიონის სალოცავო ხატო და კანონიერო სიამავე, ამ უმედურობის დროს ნუ გვეტყვი უარს და შევებს ნუ შეგვიტყვი... ჩაიბარე „სიხარული“ და დაგვტოვე მეორე ლიგაში!

ტბილად მოუბარი ალაღინის ვედრება გველსაც კი გამოიყვანდა ზვრელიდან, გერმანე მარტო ვადე მხოლოდ მოთმინებიდან გამოიყვანდა.

— დამეკარგეთ აქედან! — დაიღრიალა მან და კოგრიტს ისევე ხელი სტაცა. რასაკვირველია, დასარტყმელად ვერ გაიმეტებდა, ნერვულობის გამო მოუვიდა.

— ჩვენი დაქარგვა არ შეიძლება, გერმანე ბატონო, სადარდებლად ისიც გვეყვარა, ჭულები რომ დაუყარგეთ. — შეახსენა ზურაბ რაჭველიშვილმა.

გერმანეს ეჭვი შეეპარა, ხომ არ გამასხრებენო.

— აბა, თქვენ მართლა ჩემს წასაყვანად მოხვედით?

— კი, მოვედით! — რამდენიმე ხმამ ერთდროულად ამოსძახა დაბლიდან.

— ჰოდა, მისამართი შე-გე-შა-ლათი! — დაუმარცვლა გერმანემ. — ფეხბურთის მწვრთნელი ჩემგან არ გამოვა!

— რატომ, შე კაცო, ფეხბურთი ხომ გიყვარს? — ჰკითხა ზურაბ რაჭველიშვილმა.

— მაგან შემშალა და თქვენსავით გადამრია.

— ჩხარაგაულის რაიონი ხომ გიყვარს?

— მისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

— აბა, ჩვენ არ გყვარებოვართ და ესაა!

— მაგი არ თქვათ, ძმაცაცის გულისხამვის ამბარაზურას ავეყვარები.

— ამბარაზურა არ გინდა, — შეეხვეწა კოკო მალაფერიძე, — ჩვენს „სიხარულს“ გადაუფარე და უაბარონე, ხედავ, რა ცოდვის დღე დაგვიდგა?

— ღამე რომ არ ყოფილიყო და უშუალოდ კოკოს წინ მდგარიყო, გერმანე არჩაძე მის თვალში ცრემლებს დაინახავდა, მაგრამ ახლა მხოლოდ ლაპარაკი ესმოდა, რომელშიც სასიკეთოს ვერაფერს ხედავდა და ამიტომაც სასტიკ უარს აცხადებდა.

— გერმანე ბატონო, ჩვენო იმედო და საფიცებელო, ნუ დაღუპავ ჩხარაგაულს და გორდელაურს ნუ გაახარები! — უდაბნოში მღალადებელი ბერივით ხელაპყრობილი ევედრებოდა მურმან ფილია, მაგრამ მისი სიტუცებისათვის გერმანეს სასმენელი დახშული ჰქონდა.

— შე თქვენთან ლაპარაკი დავამთავრე! — განუცხადა მან შეკრებილთ, კოგრიტი ხელში დაიჭირა, ოთხმოცდაათი გრადუსით მობრუნდა და აივნის კარი გაიჭაბუნა.

— უფულო კაცი ხარ შენ, გერმანე არჩაძე! — დაუყვარა გაცოფებულმა კოკო მალაფერიძემ, მაგრამ წყველა საქმეს რას უშველიდა, სხვა გამოსავალი უნდა მოეტებნათ, ბოლოს გარდაუვალი კატასტროფის შიშმა ალაღინ ართმელაძეს ტინი გაუხსნა. მარჯვენა ხელის ნუთივით თითი გამეტბივით იტყიკა შუბლზე.

— აიხის! — იყვირა მან.

ჩხარაგაულელი გულშემატკივრები ლატავრა



კოკობინაძის სახლისკენ გაემართნენ. ეს სახლი მექი ჩხიკიშვილის უბანში იყო, სილაშაის სა-
ლონის პირდაპირ. ამ ფაქტში სიმბოლური და-
მთხვევა არ უნდა ვიგულისხმოდ. ლატავრა კო-
კობინაძე სალონის კი არა, ბუნების მიერ შექ-
მნილი სილამაზე იყო და ფერ-უმაბრავის გარე-
შეც ლოყები უაუარსოვით ურღევდა.

სანამ ლატავრასა და გერმანეს შორის ნორ-
მალური ურთიერთობა არსებობდა მექი ჩხი-
კიშვილს ზნობად შეუშინებია ლამაზი ქალიშვი-
ლის გიშვართან მოღარაქე ხულიერად ლამაზი
გერმანე არჩვამე, რომელიც, ცხადია, კოკობი-
ნაძის ბაღში კოკორგადაშლილი ჩინური ვარდის
ცქერით კი არ ტყებოდა, არამედ ამ ვარდივით
აფეთქებულ ლატავრას ელოდებოდა.

უველაფერი ეს, ძვირფასო მკითხველებო, რო-
გორც უკვე იცით, ერთი საფუძვლურ სეზონის
წინ იყო. მაშინ ჩხარაგაულის „სიხარული“ პი-
რველი ლიგის საგზურს უმიზნებდა, მაგრამ იმ-
ხელა დააციდნა, რომ მეორე ლიგა სათუო
გაიხადა. ასევე გაურკვეველი ბედი ეწია ლატა-
ვრასა და გერმანეს სიუჟარულსაც. უნდობლობის
სიციფემ იგი ლატავრას ჩინური ვარდივით და-
ცქრო, მაგრამ მისგან განსხვავებით, არც ახალ
სეზონში ეწერა გაფურცლნა. შეიძლება ზოგიერ-
თმა ეს ამბავი ბოროტი ძალების მოქმედებას
დაუკავშიროს და შეფოთებით იკითხოს, რა მო-
ხდა ახეთი, ორმა მტრედმა ვის რა დაუშავა?
დამწავზე ზოლოდ ფეხბურთი იყო, ზომ გახ-
სოვთ. შეყვარებულები ამ პოპულარული თამა-
შის ესთეტიკურ კონცეპტებზე ვერ შეთანხმე-
ნენ?

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით,
ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი მიზნით მიი-
ჩქაროდა ჩხარაგაულები გულშემატკვართა
ჭვლური ლატავრა კოკობინაძის სახლისკენ.

— სანთლები უნდა ავანთოთ და ლატავრა
კოკობინაძეს უნდა დაუწოქოთ. — თავისი გე-
გმა ჩამოაყალიბა ალაღინმა.

— სანთლები ავანთო? — გაოცდა ზარან-
დია. — მაგას შენ ხატოვანად ამბობ თუ პირდა-
პირი მნიშვნელობით?

— მე პირდაპირი კაცი ვარ, სანთლები უსა-
თუოდ უნდა ავანთოთ, ღამის სიბნელეში ამას
ძალიან დიდი ეფექტი ექნება და გულაჩუყეუ-
ლი ლატავრა ჩვენს თხოვნაზე უარს ვერ გავტყუებ.

— კი მაგრამ, სანთლები სად უნდა ვიშოვოთ
ამ ღამით?

— სანთლები ელექტრონათურების მაღაზია-
ში მიიღეს გასულ კვირას. დენი, როგორც მოგე-
ხსენებთ, ჩვენს ქალაქში ზნობად ითიშება,
ამიტომ თაღარიგც დროზე დაიჭირეს. სანთელი
დეფიციტური საქონელია და მაღაზიის გამგე შე-
ტუ მიქაბერიძე მართლაც სანთლით ეძებდა. იმ-
ისთანა კაცია, ჭოჭოხეთის განათება რომ დას-
ჭირებოდა, მაინც იშოვიდა. იშოვა კიდევაც.

ლატავრა კოკობინაძის სახლს ოცდაათი

სანთელით მიაღწენ, ოცდაათივე — ანთეს და
ჩხარადღენივით მალდა ასწიეს.

— ლატავრა კოკობინაძე, გამობნდეთ უკვე!
— ომანიადა კი დიახა მექი ჩხიკიშვილმა,
მაგრამ შემდეგ ვეპყაობა არ იყო და მოცუ-
ვად დაუშატა. — თუ გძინავს და გაგაღვიძეთ,
ამისთვის ბოდის მოგიხდით.

ბოდის მობდა არ დასჭირებიათ, რადგან
ლატავრა კოკობინაძეს არ ეძინა, ხელში „ტრის-
ტანი და იხოლდა“ ეგრა და გულამოსცვილი
კითხულობდა, ოდესღაც ეზიანია, მაგრამ ამჟა-
მად სევდიანი თვალებიდან ღამა-ღუპით ჩამო-
დინარე ცრემლები აბრუნების ქაშაქთა ცხვირ-
სახოს ნამავდა, რომელზეც „ლატა“ იყო ამო-
ჭარჭული. ლატავრას უბედურებას ზოლოდ თე-
თრი გლეხი უუფრებდნენ კედლიდან. ფანჯრე-
ბი რომ ღია უოფილიყო, ამ საცოდაობას ვერც
ისინი გაუძლებდნენ და შორეულ ქვეყნებში გა-
დაიკარგებოდნენ.

მექი ჩხიკიშვილს მეორედ დაძაბება აღარ
დასჭირებია. ლატავრა სწრაფად წამოდგა ლო-
გინად და გარეთ ისევ გაიხედა, აცრემლებუ-
ლი თვალები არ ამოუშრალებია. გაიხედა და
გული კინაღამ შეტოლნდა, როდესაც სიბნელეში
ანთებული ოცდაათი სანთელი დაინახა. ჭერ
იფიჭრა, გერმანე არჩვამე ხელის სათხოვნელად
ზომ არ მოსულაო, მაგრამ იწამსვე მიხვდა, რომ
სახტკად სცდებოდა. იმედგაცრუებული ლატა-
ვრა აივანზე მაინც ხოხობივით გამოგოგმანდა
და სანთელანთებულ ხალხს მოლოდინის გამომ-
ხატველი შერა სტყორცნა.

— ღამე მშვიდობისა, ლამაზების დედოფალი!
— მოწონებით მიესალმა ალაღინ ართმელად.

— გაგმარქოთ! — საღამი დაუბრუნა ლატა-
ვრამ. ისედაც მშვენიერს, მთვარისა და სანთ-
ლების შუქი კიდევ უფრო ამშვენიერებდა. მარ-
თლაც რომ ლამაზების დედოფალი იყო, მაგრამ
ვაი რომ, მეფე არსად ჩაიდა!

— უნდა ვკაპიოთ მუუდროების დარღვევა.
— ბოდის მოხანდა ალაღინმა, — თქვენს შე-
წუხებას როგორ გავხედავდით, მაგრამ დიდმა
უბედურებამ გვაიწულა ამ ნაბიჯის გადადგმა.

„უბედურებამო?“ გული გადაუქანდა ლატა-
ვრას და სასწრავეთილმა იკითხა, ვინმე ზომ
არ მომკვდარაო (ვინმეში, რასაკვირველია, გერ-
მანე არჩვამე იგულისხმებოდა), თან გააუტყუ-
ნებული ლოყების დასაქარად მოეშადა.

ალაღინმა ცოტა იმედი მისცა.

— ჭერ არავინ მომკვდარა, მაგრამ ასე თუ
გაგრძელდა, არც ერთი ჩვენგანი ცოცხალი არ
გადარჩება.

— გამაგებინეთ, რა უნდა გაგრძელდეს? —
ლატავრამ თვალებით მექი ჩხიკიშვილი მოძებ-
ნა და მანაც პასუხი არ დაუგვიანა.

— ალბათ, გაიგებდით, „სიხარულიში“ დღეს
რომ სირცხვილი გვაქამა.

— მე ისიც ვაიგებ, ჩემს ნათესავს, გონდო

გაზერეას, პენალტი რომ ვერ გაუტანია... ზომ არ გაგილახავთ?

— ჭოდო არა, მაგრამ გედგონ ფოთოლაპე ვერ გადაგვირჩებოდა, რომ არ გაპარულიყო.

— სად გაიქცა?

— ჭანდაზაში და კურმუხეთში... ახლა უმწკრთნელი დავრჩით.

— ეს ვერაა კარგი საქმე, მაგრამ მე რით შემიძლია დაგეხმარო?

— აღადინ ართმელაძე მექის წინ გადაუდგა და წართმეული სიტყვა დაიბრუნა.

— თქვენ დიდი დახმარების გაწევა შეგიძლიათ... საკმარისია, ერთი სიტყვა თქვით და „სიხარულს“ ახალი მწვრთნელი ეყოლება.

— ლატავრა კოკობინაძემ, ცხადია, ვერაფერი გაიგო.

— რა სიტყვა, ვინ ახალი მწვრთნელი, კარგად ამისწინეთ.

— პირადად თქვენ ერთ კაცს უნდა სთხოვოთ, მწვრთნელობაზე უარი არ გვითხრას.

— ვინ არის ეს კაცი?

— გერმანე არჩაძე, — უთხრა ალაღინმა და თვალბეზრით დახუჭა. დარწმუნებული იყო, კვილის ატებს და პანდურის ცემით გამოგვისტუმრებსო. რასაკვირველია, „პანდურის ცემა“ შეწინებულ ფანტაზიას ნაყოფი იყო და ლატავრასთანავე პანდურის ქალისგან ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. დიდი-დიდი, ოცდახუთივე სანთელს ჩააქრობინებდა და უხიბველად სახლებში დაბრუნებას უბრძანებდა. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ახლ ერათა ქნა და ახლ მეორე, დიახ, დაწუნებული პატარაძალიანი წყევლა-კრულვა კი არ დაუწყია, ალაღინს ხანახევროდ დამწვარი ხანთელი გამოართვა, მაღლა ასწია და თითქმის ელვისაში ჭვარისწერაზე ყოფილიყოს. ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ წარმოთქვა:

— მე თანახმა ვარ!

ეს დიდფლოვანი, მართლაც სადღეოფლო ეცხტი იყო. ოცდახუთმა გულმემატიკვარმა, როგორც ერთმა კაცმა, მუხლი მოიყარა და ღრმა მაღლიერების ნიშნად, ქალის წინაზე თავი დახარა; ვინ იცის, იქნებ ჭოუთოთებზე მომდგარი ცემების დამალვაც უნდოდათ.

ლატავრა კოკობინაძის სახლიდან ჩხარაგაუღმელი გულმემატიკვრები ისევ გერმანე არჩაძის სახლისაკენ გაემართნენ. წინ, ცხადია, ქალიშვილი მიუძღოდათ, უკან ოცდახუთი მამაკაცი მოჰყვებოდა. ხელში ანთებული სანთლები აღარ ეჭირათ, მათ ზედნიერ სახეებს ახლა სიხარულის ღიმილი ანათებდა. ისე მწყობრად მოიბაჩებდნენ, ხასიანს მიმავალი ლაშქარი გეგონებოდათ.

გერმანე არჩაძის ფანჯრებში სინათლე აღარ ენთო, რაც იმას ნიშნავდა, შუალამის გადაცილებული იყო და ამ სახლის პატრონს ფილოსოფიური ლიტერატურის კითხვა უკვე დაემთავრებინა.

ის იყო. მეტი ჩიბიკიშვილმა გერმანეს დაბრუნებულად პირი გააღო, რომ ლატავრის კრებულმა ნაძვრებმა შეარჩია, ხმაურის ატეხა საკრებულში და მის თვითონ ავალ და მოველამაპარებო.

„მე თვითონ ავალ“, ადვილად კი წარმოთქვა, მაგრამ რაღაც ძნელი იყო ამ სიტყვების შესრულება — საკუთარი ფეხითა და სხვათათანდასწრებით. ლამაზი, მაგრამ გაუთხოვარი ქალიშვილის უცოლო მამაკაცთან ღამეული სტუმრობა.

კიბზე მუხლები ეკვეთებოდა, სული ეხოვებოდა, მაგრამ მტკიცე ზახიათი ჰქონდა და რომა არ უარუყვია. ზომ გახსოვთ, რომ თქვენა თანახმა ვარ“. თქვა და აახრულა კიდევაც (დამინებულ გერმანე არჩაძემ, რომელსაც გაიღვიძებ, უნდა იამაყო, რომ ასეთ ქალიშვილს უყვარხარ!).

გაღვიძებით გერმანემ ზარის პირველი დარეკვისთანავე გაიღვიძა, რადგან კურდღლევიტ ფრთხილად ძლი იცოდა, თან ნერვულიც იყო და ლოგინში იმდენს წრიალებდა, ხეირიანად სიზმრის ნახვასაც ვერ ახსრებდა.

სანამ გერმანე არჩაძე თვითონ მაისურსა და ზოლიან ტრუსებზე გახუნებულ პიფაშოს გადაიცვამდა, ზარმა მთავრად დარეკა. გერმანეს ტანცა უფრონო, ისევ ფეხებურთის თაობაზე არ სხევენებნო, და გაბრაზებულმა დაიღრიალა:

— დაიკარგეთ აქედან! ზომ გითხარიო, მწვრთნელობაზე უარს ვაცხადებ-მითქა!

მესამედ არავის დაურეკავს. ზარის ნაცვლად, გაგრძელდა ქალის ტირილი ვაისმა, წვიმაში გაგდებულ ლტოვით სლუკუნებდა ვიღაცა. გერმანემ კარი გააღო და საკუთარ თვლებს არ დაუჭირა: ცემენტის კიბზე ლატავრა კოკობინაძე იჯდა და უმწეოდ კვითინებდა.

— ლატავრა??? — ხმა კი არა, ეს უფრო ხვილი იყო.

ამ სამი კითხვის ნიშნის პასუხად, ლატავრა კვითინიდან სლუკუნზე გადავიდა. მაგრამ დანაწევრებულ ზგერებს მაინც არ წარმოთქვამდა, რაღაც საშუალო ხმას გამოსცემდა „ა“-სა და „ო“-ს შორის.

— ააო, მოა! — მახვილს, რასაკვირველია, ბოლო ხმონაზე ურტყამდა.

— ლატავრა! ამ შუალამისას რამ მოგიყვანა? — გერმანემ, როგორც იქნა, წინადადების წარმოთქმა მოახერხა, პირი დაიბეტიკვით გაშრობოდა და ბაგეებს წამდაუწყებლად ენით ილოკავდა.

— სიყვარულმა მომიყვანა, — მშვიდად უთხრა ლატავრამ, მერე ნაზად წამოადგა და ახლდამწეფებული ქლიავისფერი კახა მოხდენილად გაისწორა. ამ მოძრაობის დროს ტალღებად ჩამოშლილი გიშრისფერი დალაღებიც ეხშიანდა აიქნია და ისედაც თავსარდაცემულ გერმანეს ელთვითღმითი შეუყვანა.

„ახლა რომ კიბზე ჩამოშევიდოს, ნახვამდის, უცოლო კაცის ცხოვრებაო“, მწარედ გაიფიქრა

გერმანე არჩევამ და ხულის მოსათქმელად დრო რომ მოეგო, კითხვა დაუბრუნა.

— სიუვარულმა?

ქალმა მის ხმაში ირონია შენიშნა და უცებ იფეთქა:

— ოღონდ შენმა კი არა, ფეხბურთის სიუვარულმა!

— ესე იგი?! — ახლა კაცმა აუწია ხმას, გაუნებაში კი, პირიქით, უხაროდა, ასე იოლად რომ გადარჩა.

— ესე იგი, გერმანე არჩევამ უნდა დაეთანხმოს ჩხარაგაუთლელ გულშემატივართა წინადადებას და „სიხარულის“ უფროსი მწვრთნელი უნდა გახდეს! — განმარტა ლატავრამ, რაზეც გერმანემ უმალ უპასუხა, ამის თაობაზე მე უკვე ვთქვი ჩემი სათქმელიო.

— მაშასადამე, უარი? — ქალმა თვალი თვალი გაუყარა. კაცმა სახე მოარიდა, გაბრაზების მიუხედავად, ლატავრა ისეთი ლამაზი იყო, გერმანეს კი არა, ეშმაკს შეცდენდა.

გერმანე არჩევამ ისევ დაბალ ტონალობაზე ჭადავიდა.

— შენი ძალიან დიდი ხატრი მექვს, მაგრამ...

— რომ დაგაფიცო?

— არაფერი გამოვს.

— ძალიან, ძალიან რომ დაგაფიცო?

ბოლოს და ბოლოს რკინა ხომ არ იყო, გერმანეს ხმა გაეზარა.

— მაინც ასეთს ვის დამაფიცებ?

— ჩემ თავს დაგაფიცებ, ჩვენ სიუვარულს დაგაფიცებ! — ლატავრამ კაცს უპასუხენელი ტყვი ესროლა და შიგ გულში მოარტყა.

აღელვებულმა გერმანე არჩევამ თავი გრძელი ხელები გაშალა. არანაკლებ აღელვებული ლატავრა კოკობინამე სახიამოვნო მოლოდინში მწყერით გაიწინა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ გაშლილი ხელები ქალისთვის მოეხვია, კაცმა იგი მელოტ თავზე იტაცა და სიმწრის ოფლით დანამოული პრილა კანი ნერვულად დაიწილა. ამ პროცედურის დროს გერმანემ ლატავრასთან ერთი წლის წინათ გადახდული ჩხუბი თვალწინ გაისიგრძეგანა. მაშინ ხომ იმისთვის დაემდურნენ ერთმანეთს, რომ ვერ შეთანხმდნენ, ვინ უფრო ლამაზი იყო, სულე თუ ეუსებიო. ეს რომ გაიხსენა, შვება იგრძნო, ბოლოს და ბოლოს თავმოყვარეობა მეც მექვს, უკელაფერში ქალს ხომ არ დავეთანხმებიო!

— მე პასუხს ველოდები! — შეახსენა ლატავრამ, კოცნას რომ არ ელოდებოდა, აშკარა იყო.

— ხომ იცი, ძალიან ძნელ საქმეს მავალე... — შორიდან მოუარა გერმანემ, მაგრამ სამშვიდობოზე არავინ უშვებდა.

— მო თუ არა?

— მწვრთნელობას რომ კაცი დათანხმდება, უკელაფერზე ხელი უნდა აიღოს...

— უკელაფერზე, არ ვიცი, მაგრამ ჩემს სიუვარულზე რომ ხელი აიღე, საბოლოოდ დაუტოვებ! — ლატავრამ ისე ამოიყენა, გერმანეს პულსი, გაურჩედა.

— ვინ გითხრა, რომ ხელი ავიდე?

— მაშინ, გადაჭრით თქვი, მო თუ არა?

აქანკლებულმა გერმანემ, როგორც იქნა, გაბედა.

— მო, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— შენც უნდა გადაჭრით მოთხრა, პელი უფრო ლამაზია თუ ეუსებიო?

სანთლებზე მლოცველი ოცდახუთი გულშემატივარისათვის მიცემული პირობა რომ არა, ლატავრა კოკობინამე ამ უღირს მამაკაცს ერთს ლამაზად მიაწევდიდა და მერე ზურგს სამუდამოდ შეაკეცვდა. მაგრამ სიტყვის გატეხა ხომ გულის გატეხაზე ძნელი იყო! ძალ-ღონის უკიდურესი დამაბვის შედეგად, ქალმა სულიერი წონასწორობა ისევ შეინარჩუნა და გარეგნულად დამარცხებულმა, მაგრამ შინაგანად გამარჯვებულმა, ამაყად განაცხადა.

— პელი უფრო ლამაზია... თანახმა ხარ?

უკანდასახევი გზა მოჭრილი იყო, გერმანე არჩევამ დასტური მისცა.

— თანახმა ვარ, ოღონდ შენი ხატრით.

— ჩემს ხატრს, თუ კაცი ხარ, შეეშვი! — ცივად მოუჭრა ლატავრამ. თუმცა გულში მაინც კმაყოფილი იყო, რომ ძნელი მისია წარმატებით დააგვირგინა, ლამაზი, მაგრამ უბედური ქალის მხრივ ეს ჭეშმარიტი გამირობა იყო, ქალისა, რომელმაც თავისი სიუვარული ფეხბურთის სიუვარულს შესწირა და, დედოფლის გვირგვინის ნაცვლად, ჩილდოდ ეკლის გვირგვინი დაიდგა.

კაცი მართლაც ბრმა უნდა ყოფილიყო, ეს მხვერპლი რომ არ დაგინახა.

— ლატავრა, მე... — დაიწყო გერმანემ.

— შენ ურჩხული ხარ! — მიხალა ქალმა და მალაქნული უნგრული ფეხსაცმელების კაქუნით კიბეს ჩაუყვა, გაფითრებული გერმანე კი ზემოთ დატოვა, თუმცა სადარბაზოს კართან არანაკლებ გაფითრებული ოცდახუთი მამაკაცი ელოდა. სამუშ-სამუშად ჩამოშავალი ლატავრა რომ დაინახეს, გული გადაუტრიალდათ.

— უარი თქვა, ხომ? — თავში ხელი შემოერთა მეტი ჩიკივივლით.

— არ უთქვამს უარი. — დაამშვიდა ქალმა.

— მაშასადამე?

— მაშასადამე, ჩხარაგაულის „სიხარულს“ ახალი უფროსი მწვრთნელი მკავს — გერმანე ტერენტის ძე არჩევამ (კი, მამის სახელიც იყო-და).

— ვაშა! — იყვია ალაღინ ართმელამენ.

— ვაშა! — აბღვლდნენ დანარჩენებიც.

გერმანემ და მისმა მეზობლებმა დაკეტული ფანჯრები გამოადგეს და მერე ისევ დაკეტეს, რადგან ამ ღრიანცელის მოსმენა დაღლილ-და-

ქანცული ხალხისათვის შეუძლებელი იყო. ხმა-
ურმა დაკვირვებულმა შეაღწია და დი-
ლით სამუშაოზე მიმავალი მშრომლები უძინა-
რი დატოვა. იმათ კი, ვინც თავს არაშრომითი
შემოსავლით ირჩენდა, ანონიმური წერილების
დაწერის სახაზი მიეცათ, გერმანე არჩევანს ქუ-
ჩის ქალები სახლში აკითხავდნენ და ქუჩის კაცებ-
თან ერთად, ღამის მუუდროებას გვირგვინდნენ.

უკუღაფრეო ეს მოგვიანებით დაიწერებოდა,
გათენების შემდეგ, მაგრამ გათენებასაც არაფე-
რი აკლდა. ცის კაზადონზე ერთმანეთის მიყო-
ლებით ჩაქრა ვარსკვლავები, ჩხარაგაულის ქუ-
ჩებში კი — ნათურები და ის ფათერკიანი
დღეც ისტორიის კოთხივით გადაიქცა. თუ-
მცა, უკუღასათვის ფათერკიანი არ ეთქმოდნენ.
გულშემატკივრებმა ხომ საწადელს მიაღწიეს
და გერმანეს თანხმობის წყალობით, გულში იმ-
ედო ჩიხსახეს. იმედდაკარგული მხოლოდ ერთ-
ადერთ ადამიანს იყო. დიან, იგი ჩხარაგაულას
ნომერ პირველი ქალი, ლატავრა კოკობინაძე
გახლდათ.

ნაპოლეონ ბაგრატიონმა ახალი მწვრთნელი
„სიხარულის“ ბაზაში თავისი პერსონალური
შეი „ვოლგით“ მიიყვანა.

როგორც კი დავით ლილუაშვილმა მანქანის
შესაწებად ალაყაფის კარი კრიალ-კრიალით
გამოაღო, გზის ორივე მხარეს ჩახაფრებული
გულშემატკივრები აზრებრივით გამოხატდნენ
და გერმანე არჩევანს მკუხარე ტაშით მიესა-
ლმდნენ.

— ჩხარაგაულის იმედს გაუმარჯოს!
— ტერენტევიჩის სიცოცხლე და კარგად ყო-
უნა! — კისრის ძარღვებს ივლედა გახარებუ-
ლი ხალხი. აღტაცებულ გულშემატკივრებს მა-
ნქანა ალყაში მოექციათ და ბაზის ტერიტორია-
ზე არ უშვებდნენ. სხვა რა გზა ჰქონდა, ახალი
მწვრთნელი „ვოლგადან“ უნდა გადმოხულიყო
და გულშემატკივრების პირისპირ დამდგარი-
ყო. გადმოვლისთანავე ხალხმა იგი ხელში აიტ-
აცა და ცაში აგდება დაუპირა, მაგრამ გერმანეს
ინერგული პაროტსკმა ამ განზრახვაზე ხელი
ააღებინა.

— ოვაციები ჭერ ადრეა, — განაცხადა ახალ-
დანიშნულმა მწვრთნელმა.

— მერე, აბა, მოგხსნიან და სალამსაც არავინ
გეტყვის. — ვითომ ისუშრა მიწელ ბადრქიმე.
გერმანემ ხელი ჩაიკნია.

— აი, ღარდი, თუ მომხსნიან დაჯდები ჩემ-
თვის და წიგნებს ვიკითხავ... მაგრამ ხანამ ეს
დღე დადგება და ხანამ შე „სიხარულის“
მწვრთნელი ვიქნები, ერთ რამეში უნდა შევთა-
ნხმდეთ.

— გისმენთ, პატრიცეშვილი...

გერმანემ შელოტ თავზე ხელი იტაცა (ეს აღ-
ილება ნიშანი იყო) და დაიწყო: *გერმანული*

— თავად პატრიცეშვილი და დიდ...
ხეზელო გულშემატკივრები, ნდობისათვის უღ-
რმეს მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ, ამასთან
ერთად, ჩემი მოთხოვნაც უნდა შეასრულოთ...
ხომ ასეა, მეტი ჩსიკივდილო?

— ნამდვილად ასეა.

— რაკი მასეა, დღის იქით ბაზაში სტუმრო-
ბას უნდა შეეშვათ და ნორმალური მუშაობის
პირობები უნდა მოგვცეთ.

— რატომ, შე კაცო, ვის რას ვუფუჭებთ?

საქმე ფუჭდება, ჩემო მეტი, არაქანალი აფო-
ტაფი და ხმაური დაწყდება... გასაგებია?

— გაუგებია არაფერია, მაგრამ ფეხბურთე-
ლები და გულშემატკივრები ერთმანეთს ხად
უნდა შეხდნენ?

— ფეხბურთის მოყვარულთა კლუბში, კიდევ
სტადიონზე.

როგორც კი ნაპოლეონი და გერმანე კუთხე-
ში შევიდნენ, ფეხბურთელები, გუნდის ადმინი-
სტრატორი და მასპინძი ერთმანეთის მიყო-
ლებით წამოდგნენ და მოლოდინით აღსაყვ
თავლები შემოსულებს მიაპყრეს, უფრო სწო-
რად, გერმანე არჩევან აწონდაწონს, თორემ
ნაპოლეონ ბაგრატიონს კარგა ხანა იცნობდნენ
და ბანკეტზეც მის სადღეგრძელოს ხშირად
სვამდნენ.

სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ შეკრე-
ბილთ მრავლისმეტყველად გაუღიმა, ვითომ,
ხომ ხედავთ, რას მოეწაირთ, გუნდი ვის უნდა
ჩავაბადოთ. ცხადია, ამას უხმოდ ფიქრობდა,
ხმით მხოლოდ საღამო თქვა.

— გამარჯობა, ამხანაგებო!

— გაგმარჯობთ! — უპასუხეს ამხანაგებმა და
ისევ სკამებზე დასხდნენ. ნაპოლეონმა და გერ-
მანემ ადგილი პრეზიდიუმში დაიკავეს.

მცირე ხნით ოთახში დუმოლმა დაისადგურა,
შემდეგ ბაგრატიონმა მუტეში ჩაახველა და და-
იწყო:

— ალბათ, უკვე იცით, რომ გიდეონ ფოთო-
ლაძე საკუთარი განცხადებით გუნდიდან წა-
ვიდა. მის ნაცვლად, ჩხარაგაულებს მშრომელთა
ერთსულღვანი მოთხოვნითა და შემდგომ ორ-
განობთან შეთანხმებით, „სიხარულის“ უფრო-
სი მწვრთნელის პოსტზე დანიშნულია ჩვენი
ქალაქის მკვიდრი გერმანე ტერენტის ძე არჩ-
ევანე, ეს კაცო ახლა თქვენს წინაშე წის და
გთხოვთ გაიცნოთ.

ნაპოლეონ ბაგრატიონი ძველი ორატორი იყო
და ბოლო სიტყვებზე ისე აუწია ხმა, რომ და-
რბაზში ოვაცია თუ არა, მკუხარე ტაში უნდა
აბეზილიყო. ჯოდო გობეჩიაძე კიდევაც შემარ-
თა ხელები, მაგრამ ახალი მწვრთნელის თვალებს
რომ შესებდა, განზრახვებზე ხელი აიღო, მაგ,
ალბათ, პენალტები რომ ვერ გავიტანო, იმაზე
მიზარაყვებო, დასაკნა გუნდმაში.

ერთი სიტყვით, რაიხპორტბელმწვანელის გამოხსენას სათანადო ეფექტი არ მოუხდენია. აღმდეგების დახატარავად ნაპოლეონმა პაპი-როსს მოუყიდა. ნაუფს რომ დაეარქყა, კიდევ ვიტყვი რაღაცასო, გაიფიქრა, მაგრამ გერმანელ აღარ დააცალა, წამოდგა და ასე უთხრა:

— ბატონო ნაპოლეონ, ძალიან გთხოვთ, სპორტსმენების თავშეყრის ადგილას თამაშავს ნუ მოსწევთ!

ზაგარტიონი გერმის ჩამონგრევის უფრო წარმოდგენდა, ვიდრე ასეთ თავხედობას. ერთხანს იფიქრა, სომ არ მომეყურაო, მაგრამ დარწმუნდა, რომ უველაფერი გარკვევით იყო ნათქვამი. რაღა უნდა ექნა, პაპიროსი ასანთის კოლოფზე ჩააჭრა და კვამლის მაგივრად, ბოღმა გადაუღა-
პა.

— მე რას მიყურებთ, კოლექტივს გაეცანით! — უბრძანა მან ახალდანიშნულ მწვრთნელს და კოლექტივიც უსიამოვნო მოლოდინში გაინახა. უკან რიგში მსხდომმა სათადარიგო მოთამაშეებმა მოსაწევად ამოდებული სიგარეტები ისევ ჭიბეში დამალეს და სმენად გადაიქცნენ.

— მე ამხანაგებო, — დაიწყო გერმანელმა, — როგორც უკვე ბატონმა ნაპოლეონმა მოგახსენათ, ჩხარაგაულის მკვიდრი მოქალაქე ვარ. აქ დავიბადე და ცოცხალი თავით აქედან წახვალას არ ვაპირებ გედეონ ფოთოლადესავით... ჩემზე უპირესად იცით, მწვრთნელობა რომ დაწვევლილი პროფესიაა, ჩოხის კერვა ან პურის ცხობა გაცილებით სჯობია. ჩემი ხელობით ვარსკვლავების მოწვევტას არ ვაპირებ. სხვათა შორის, ნინაც მიღებული მაქვს და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება... კი, პროფესიით ფილოსოფოსი ვარ. ფილოსოფოს კაცს მწვრთნელობა რამ დააწუბინაო, იტყვიო ახლა თქვენ და ძალიანაც სწორს იზამთ. ჩემმა სულიელმა თანაც და ფეხბურთის სიუჟარულმა დამაწუბინა! თანაც ისეთი წყალმარებულში გუნდი ჩავიბარე, როგორც ჩვენი „სიხარულია“, მადრიდის „რეალს“ რომ მივეწვდით, კიდევ რაღაცას იტყოდა კაცო... გაბრაზდით, ბოში? ჩვენ ერთ რამეში უნდა შევთანხმდეთ: დღეს და ყოველდღე მხოლოდ სიმაღლელი ვილაპარაკოთ.

ცოტა დაულაგებლად კი ლაპარაკობდა, მაგრამ მის გულწრფელობაში ეჭვი ნაპოლეონ ზაგარტიონსაც არ შეშპარვია, ფეხბურთელებს კი განსაკუთრებით მას შემდეგ მოეწონათ, როდესაც ნომინალატურულ მუშაკს პირში მიახალა, სპორტსმენებთან პაპიროსს ნუ ეწევით!

მისი წასვლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არავის მიუნიჭებია, მხოლოდ სულხან გოცაძემ მიაქცია მანქანამდე. წითელ კუთხეში დაბრუნებისთანავე მან მწვრთნელს ასეთი ლაპარაკი ჩამოუგდო:

— პატრეცემული გერმან ტერენტევიჩი, რაკი თქვენ ბრძანეთ, ერთმანეთს სიმაღლედ პირში უნდა ვუთხრათო, მეც მიკიბვ-მოკიბვას არ

დავიწყებ. გვინტერესებს, რა დამოკიდებულებაში ბრძანდებით თქვენ ფეხბურთთან? რამდენად გუნდში თამაშობდით და მწვრთნელობას სკოლა დაათმავრეთ.

გერმანელ აცალა, მანამ გოცოია სკამზე დაედებოდა, მერე მედლით თავი კრელი ცხვირის-ხოციო მოიწმინდა და ფეხბურთელები საგულდაგულოდ შეათვალიერა. ამ თემაზე საუბარს შინაგანად ელოდა, პასუხიც მომზადებული ჰქონდა, მაგრამ მაინც დედავდა.

— როგორც უკვე გითხარით, ფეხბურთი ჩემი ძველი სიუჟარულია, — დაიწყო მან, — მართალია, პროფესიონალი სპორტსმენი არა ვარ და არც რომელიმე გუნდში მითამაშია, მაგრამ უამრავი მაგალითი შემიძლია დავისაბელოთ, როცა ჩემსავით მოყვარულებმა დიდი აღიარება მოიპოვეს. სხვათა შორის, სპორტულ ლიტერატურას ბევრს ვკითხულობ და ჩვენი პლანეტის საფეხბურთო ცხოვრების კურსში ვარ. ერთი სიტყვით, თამამად შეგიძლიათ დილეტანტი მიწოდოთ.

— მაგა დილეტანტი რომელ ნაკრებში თამაშობს? — გულუბრყვილოდ იკითხა შაქრომ. გერმანელ იფიქრა, ნამდვილად მამითურებსო, მაგრამ პასუხი მაინც გასცა:

— დილეტანტები ფეხბურთის უკვე აღარ თამაშობენ, ჩემო შაქრო, მათი ადგილი პროფესიონალებმა დაიკავეს.

ცოფი, იგივე შაქრო, მწვრთნელებისგან გულთადა საუბარს არ იყო შეჩვეული და ამიტომაც გერმანეს პირობა, ახლა რომ ტუბილად მეღაპარაკებით, მაშინაც „თქვენი შაქრო“ ვიქნები, როდესაც ბურთს გავუშვებო?

— მაშინ „სხვისი შაქრო“ იქნები და გუნდიდან გავიშვებ! — პირობა მისცა გერმანელმა.

შემდეგ გერმანელ ფეხბურთელებს კითხვა დაუსვა, უკანასკნელად რომელი წიგნი წაიკითხეთო?

— რომელი წავიკითხე და... — ჯონდოს ოფელი დასახა, — რა ჰქვია იმას... ლმერთო, გამახსენე... ბო, „დარიკო“.

— ასეთი წიგნი არ არსებობს... „დარიკოს“ კინოში ნახავდე.

— კინოში კი არა, ტელევიზორში ვნახე, — დააწუსტა ჯონდომ.

— მე კიდევ „დათა თუთაშხიას“ ზუთივე სერია ვნახე ტელევიზორში, — თავი მოიწონა ცოფმა, — მაგარი რაღაცაა... თქვენ ნუ გეყურებთო, პატივცემულო გერმანე, მაგრამ ჩვენ რომ მუშნი ზარანდიასთანა მწვრთნელი გვყავდენ, ჩემპიონი გავხდებოთ.

— მხაჩიკ თუ დაგვებმარა, კი, — დაუდასტურა გოცოიამ.

— უველაზე დიდი მხაჩი და პოლიციელი რომ იყო, ზარანდიამ იმის მოსყიდვაც შეძლო... ბა, გიდე, სადაა ახლა მადისთანა ხალხი!

— ახ, ახ — კერძო დაუტოვებელი ცენტრალურმა თავდასხმებმა გონა რამიშვილმა.

ამ ლაპარაკში გერმანე სრულიად უმეცრედან ღერ-ბაზში ჩავიდა და ფეხბურთელებს შორის ჩაქდა.

— მამასადავ, თქვენ მიგანათო, რომ მსახის დაუბნარებლად გუნდი ჩემიონი ვერ გახდება? — იკითხა მან.

ჯონდო გობერნიამ ამ გულუბრუნებელი კითხვაზე, რასაკვირველია, გაიცინა, როგორც გგონიათ, მე, პირადად, მსახი პენალტი ორჯერ იმეტომ დამარტყმევინა, რომ ჩემი თვალ-წარბი მოეწონა?

— თვალ-წარბისთვის ნამდვილად არ დანიშნავდა, — უთხრა გერმანემ.

— მსახების ამბავი ჩემზე უკეთესად გეცოდინებათ, ტუფილად რას მალაპარაკებთ.

— მერე, ვისი ბრალია ავტოფერის ეს?

— ვისი ბრალია და... რა ვიცო მე, ვისი ბრალია... ფეხბურთელებიც ვაშავებთ, ალბათ, ვერ ვთამაშობთ ისე, მსახებსაც რომ ვაჯობოთ... ამიტომ, ნაშუაბი პენალტი კარში არ გადის.

ოთხში არც ისეთი ხიცბე იყო, მაგრამ გერმანეს მაინც სული შეეხუთა.

— მერე ვინ აძლევს ასეთ საჩუქარს? — იკითხა მან.

— მაგისტვის ხალხი სპეციალურადაა გამოყოფილი... ორ დღეში მოგადგებიან და მათინ პირადად გაიცნობთ.

გერმანე-მელოტი ფეხზე წამოდგა და გაბრაზებულმა თქვა:

— ძალიანაც კარგი, თუ გავიცნობ... ნაშუაბი ქულეები ჩვენ არ გვჭირდება!

ეს კაცი ხომ არ გადარეულაო, გაიფიქრა სულხან გოცამემ და თავი უნდობლად გაიქინა.

— შუთაღ ქულეებს არავინ იძლევა, — თქვა მან. — ამ შახის საკუთარ მოედანზე უკანასკნელად ვთამაშობთ, მერე ოთხი გახვლითი შეხვედრა გვაქვს ლიდერებთან... ჩასაგაუილიდან თუ ბელაქარილი წავედით, მოწინააღმდეგის სტადიონზე ვინ რას გამოგვტანს!

— დღის შემდეგ უტარებან-გამოტარებან ლაპარაკი არ გავიგონო — აღელვებული გერმანე ოთხში ბოლთას სცემდა, — შეგიძლიათ ეს სიტყვები ბრძანებად ჩათვალოთ... ჩვენ ნამდვილი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, ხალხს რომ უყვარს ისეთი, ვაჟაკური, პირდაპირი და არა ბარბული და ჩარჩ-ვაკრული. — პათიონების გარეშე მიზანს ვერასოდეს მიაღწევ... ვიცო, ახლა რასაც მეტყვით, მიზანს ფულით აღწევინო... ზოგიერთები სინდისსაც შედიან, მაგრამ სინდისგაუილი ჩვენ არც ხალხი გვინდა და არც ფეხბურთი!

გერმანე კუთხეში მდგარ ბილიარდის მაგიდასთან მივიდა, კი ხელში აიღო და არც დაუშინებია, ისე დაარტუა. ბურთი მოპირდაპირე ღუზში უშვებარასვით ჩაეშვა. ცოფმა შეაქო,

ბილიარდის თამაშით მწვრთნელობაც თუ იცით, ჩვენს ბედს ძალიან არ დაჰყრდნობოდა. გერმანემ კი ისევე მაგიდაზე დადო და ფეხბურთელებს მიუბრუნდა.

— ახლა, მე რომ შეგეკითხოთ, წინააღმდეგობა არ იქნებოდა?

ავტომატულად, ესე იგი, თანახმა იყვნენ

— გობოვო, კარგად დაფიქრდეთ და ისე მიპასუხოთ, რატომ თამაშობთ ფეხბურთს?

ამ ახირებული შეკითხვის პასუხად ჯონდო გობერნიამ მხრები აიჩეჩა, შაქრამ ცხვირი მოიფხანა, თუმცა ზედ არც ბუჩი აქდა და არც ცოლს უკებინა.

— მო, თქვენ გეკითხებით, ფეხბურთს რატომ თამაშობთ-მეთქი? — შეახსენა გერმანე — კაცაციშვილი ცხვირის ფხანას შეეშვას და კითხვაზე მიპასუხო.

— მეე? — თვალეები აახამხამა ცოფმა.

— მო, შენ, ფეხბურთს რატომ თამაშობ?.. ოღონდ, იცოდე, სიმართლე და სხვა არაფერც სიმართლის გარდა!

ვეტერანი მეკარე კარგა ხანს ჭკუმანობდა, მაგრამ ბოლოს მაინც გახედა.

— ფეხბურთს იმეტომ ვთამაშობ, რომ დიდი ოჯახის პატრონი ვარ და... და ბევრი ფული მჭირდება... ზუთი ბიჭი მუჟას გასაზრდელი.

— გულწრფელობისათვის დიდ მადლობას მოგახსენებ. — მოუწონა გერმანემ, — ახლა ჯონდო გობერნი გვეტყვის, რატომ თამაშობთ ფეხბურთს?

— იმეტომ, რომ უმაღლესში მინდა მოწეობა, ეკონომიზრე... რომ დავამთავრებ, ნაპოლეონ ბაგრატიონისთვის წვენიების ქარხანაში დავიწყებ მუშაობას.

— ავშენა ღმერთმა... ახლა გონა რამიშვილის ქრია.

— სამოთახიანი ბინა უნდა მომცენ ქალაქის ცენტრში, — სხაპა-სხუპით მიუვო „სიხარულის“ ცენტრალურმა თავდასხმელმა, — ოღონდ, რასაკვირველია, თუ მეორე ლიგაში დავრჩებით.

გერმანე მელოტმა ბოლო რიგში მჭადის სათადარიგო მეკარე კოტე ციმნარძე მოძებნა.

— შენც ბინას ელოდები ხომ, ჩემო კოტე?

— არა, მე „უიგული“ უნდა გამოვიყვანო.

— ერთი ხომ უკვე გამოიყვანე, შე კაცო! სათადარიგო მეკარეს გულმა რჩიხი უყო. ჩემი მანქანის ამბავი ამან საიდან იცის, ორგანოში ხომ არ მუშაობსო, მაგრამ უკან მაინც არ დაუხევია.

— იგი ნოლ-სამი იყო, ახლა მეშვიდე მინდა.

— კი მაგრამ, ძირითად შემადგენლობაში რომ ერთხელაც არ გითამაშია?

— ვინც ძირითადში თამაშობს, იმას „ოცდაოთხი“ მუჟას გამოეყვანილი... — ვითომ თავის-

ალექსანდრე სახსენი

ფეხბურთი თავით უნდა ითავაზო

ოღის ჩაღლაპარაკა კოტეშ, მაგრამ ცოცხა მანც
გაიგონა და წაოხტა.

— შე თუ „ოცდაოთხი“ შეახს, სამაგიეროდ,
ოცდაოთხი წელი შეეწირე ამ გუნდს. ციკას
კლოუნებით ვბტუნავარ აღმა-დაღმა, ნორმალუ-
რი ცხოვრება არ მასოვს. ბავშვები ბიძიას მე-
ძალიან.

„მერე, ვინ გაძალინებს, სახლში დაქეცი და
ოჯახს მიხედო“, უნდოდა ეცხინა კოტე ცი-
ნარძებს, მაგრამ მხოლოდ ენაზე იკბინა და პი-
რსი წყალი დაიგუზა.

ვეტერინარი მეკარე მანც არ დამცხრალა.

— და, სარბოლდ, პროტესტს ვაძვადებ ასეთ
შეითხებებზე!

— მანც როგორ შეითხებებზე? — დაინტე-
რესდა უფროსი მწვრთნელი.

— როგორსა და, პროვოკაციულზე!.. დიახ,
დიახ! თქვენთვის რომ შეეცოთა ვინმეს, ფეხ-
ბურთის რატომ თამაშობთ... თამაშობთ კი
არა, მწვრთნელი რატომ გახდითო, რას უპასუ-
ხებდით?

გერმანე არჩვამ წამითაც არ დაფიქრებულა,
იხე მიუვცა:

— უკვე გითხარით, მწვრთნელობა ფეხბურ-
თის ფანტაქურმა სიყვარულმა დამაწყებინა, მა-
გრამ მთავარი მანც ჩემი კუთხის, ჩვენი ქალა-
ქის სიყვარულია. დიახ, მე პატარა ჩხარაგაულის
დიდი პატრიოტი ვარ, მისი ისტორია და დღე-
ნდობა მიყვარს, მის მშრომელ ხალხს ვეთაყ-
ვანები. ამ ხალხს წინაშე ჩვენ ცუდი თამაშს
უფლება არ გვაქვს... ბინა და მანქანა, რასკ-
ვირფლია, კარგი საშუალებაა, არ იფიქროთ, თი-
თქოს მე წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ ამის პატა-
როსანი შრომით უნდა დამსახურება... პატრონე-
ბას მე განსაკუთრებით ვუხვამ ხაზს. შრომა რომ
ვახსენე, ნორც ის გაგვიკრძალებათ, ფეხბურთი
უპირველესად შრომა და ოფლია, მერე კი გა-
რთობა და თამაში... ჯონდო გობერნიას უმაღლე-
სში მოწყობა უნდა, მოსაწონი სურვილია, ოდ-
ნოდ უმაღლესში ფეხით კი არა, თავით უნდა
მოეწყოს. სხვათა შორის, ფეხბურთიც თავით
უნდა ითამაშო, დღევანდელ სპორტს განათლე-
ბული, წინგირი ხალხი სჭირდება.

ფეხბურთელებს ასეთი ბიტყვები პირველად
ესმოდათ და ყველანი გოცეებით უხმენდნენ.
გადეონ ფოთოლაძე მათ მხოლოდ მიწიერ
პრობლემებზე ესაუბრებოდა, წიგნების კითხვით
კი მაინცდამაინც ტკინს არ უშვებდა, „ჩხარა-
გაულის ხმის“ გარდა, არც ერთი გავითი არ
ჰქონდა გამოწერილი, პრესის ამ ორგანოში,
სამგლოვარიო განცხადებებთან ერთად, მისი
ინტერვიუც ხშირად იბეჭდებოდა.

როდესაც გერმანე არჩვამე სწავლა-განათ-
ლების სიკეთეზე ღაპარაკი დამთავრა, ჩიბიდან
ბლოკნოტი ამოიღო და მოთამაშეებს სამუშაო
გეგმა გააცნო:

გერმანე თავის ოთახისკენ გაემართა, რომე-
ლიც სამზარეულოს გვერდით ჰქონდა. ^{სამზარეულო}
ფილი. სანამ იქ შევიდოდა, წნორედ ამ სამზა-
რეულოში შეიარა, დაინტერესდა, ფეხბურთე-
ლებს სადილად რას აქმედენო.

მზარეულის გაცნობის შემდეგ მწვრთნელმა
კაბინეტში აღმინისტრატორი და მასპინძი გა-
მოიძახა.

— ხუთ წუთში სულხან გოცაძეს მოედანზე
გამყვებით და ვარჯიშს დაიწყებთ.

აღმინისტრატორისა და მასპინძის გახტუ-
შრების შემდეგ, მწვრთნელი ფეხბურთელების
პირად საქმეებს გაეცნო. ყოველ მოთამაშეზე
ბარათები შეადგინა.

ამ მოსაცემებთან ერთად, გერმანემ ბარათე-
ბში თავისი პირველი შთაბეჭდილებებიც შეიტა-
ნა. დახასიათებები ფრიალ ლაკონური იყო,
მაგრამ დაინტერესებულ კაცს ცალკეულ ფეხ-
ბურთელზე გარკვეულ შთაბეჭდილებას შეუქ-
მნიდა. აი, მაგალითად, ზოგიერთი ჩანაწერი:
„პატივმოყვარეა“, „თალია, მაგრამ ცოცია“,
„დაუნდობელია“ და ასე შემდეგ. კონკრეტულ-
ლად, თუ ვის ეცუთვნოდა ეს ეპითეტები, ამის
გაგება ჭრჭერობით საჭირო არ არის, რადგან
პირველი დღის შთაბეჭდილებები მომავალში
შეიძლება სასიკეთოდ შეიცვალოს და ხალხს
ნაადრევად გული არ უნდა ვაკტინოთ.

კარტოტეგის შედგენას დღემ დრო მოუწია,
როდესაც გერმანე არჩვამე მოედანზე გამოვიდა,
ფეხბურთელებს ერთი გამოსადენი ოფლი უკვე
გამოდენილი ჰქონდათ. რასაკვირველია, ახალი
მწვრთნელის წინაშე ყველას თავის გამოჩენა
უნდოდა და სულხან გოცაძის ხელმძღვანელო-
ბით ძალზე ენერგიულად დარბოდნენ. კაბიტანი
კი მანც უმაყოფილო იყო.

— სწრაფად, კიდევ უფრო სწრაფად! — ყვი-
რდა იგი და არაქათამოცდილ ფეხბურთე-
ლებს წინ დროგის ცხენივით მიუძღოდა.

ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთელები კი არა,
მწეც დაღადა და დახასვენებლად, დასავლე-
თისკენ გადაიხარა. როგორც იქნა, სულხან
გოცაძემაც ვარჯიშის დამთავრების სასტვენი
მისცა. გერმანე არჩვამე ბლოკნოტი შეინახა
და შხაპისკენ მიმავალ ფეხბურთელებს კიდევ
ერთხელ შეახსენა, რომ დამით ყველას სახლში
უშვებდა, ზოლო დილით, 7 საათსა და 00 წუთ-
ზე, პაჯაში უნდა დაბრუნებულიყვნენ.

ამსობაში გვარიანად დაღამდა. კაბინეტში
ახლმა გერმანემ ჭერ ხინათღე აანთო, შემდეგ
ჩანაწერებით დამძიმებულ ბლოკნოტს მიუვცა
და თავისი პირველი სამუშაო დღის ბალანსის
გამოყვანა დაიწყო. პასივში ჭუნდიდან გაქცეუ-
ლი აღმინისტრატორი და მასპინძი აღნიშნა,
ხოლო აქტივში ფეხბურთელებთან ნორმალური
ურთიერთობის დამყარება შეიტანა. გრაფაში —
„რა უნდა გაკეთდეს“ — ლამაზი ასოებით ჩა-
წერა:

ა) უნდა გაძლიერდეს კულტურულ-აღმშრ-
დებლობითი მუშაობა.

ბ) გაუმჯობესდეს ფეხბურთელების კვება.

გ) გადაიკრას რეზერვის საკითხი.

კიდევ ბევრი რამის ჩაწერა უნდოდა, მაგრამ
სადღესოდ ესეც კმარა, ჩაილაპარაკა და ბლო-
კნოტი უჭარხში შეინახა.

როგორც დათქმული იყო, ადრე დილით, 7
საათსა და 00 წუთზე, „სიხარულის“ უველა მო-
თამაშე ბაზაში გამოცხადდა. სახეზე მაინცდამა-
ინც დიდი კმაყოფილება არ ენატათ, ზოგი წამ-
დალწუმ შეინარს თვალმხსაც იფუნქციდა, მაგ-
რამ სუფიქსური არავის დასცდენია.

მწვრთნელმა თავისი განუყრელი ბლოკნოტი
გაშალა და ფეხბურთელებს დღის გეგმა გააც-
ნო. მან აგვისტო ფიზიკურ მომზადებას ჰქონდა
დათმობილი. ბაზიდან ფეხით უნდა გასულიყუ-
ნენ და ასევე ფეხით გორმალაღას უძველესი
ციხე უნდა დაეღაშქრათ. გორმალაღამდე ბარე
ათი კილომეტრი იყო, მაგრამ სხვა გზა არ ჰქო-
ნდათ. სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს
ფეხი შენიო, ნათქვამია. ჰოდა, მათაც ფეხი
აიჩქარეს. წინ, რასაკვირველია, გერმანე მიუძ-
ღოდით. შუა გზამდეც რომ ვერ მიაღწედა,
უველა დარწმუნებული იყო, ამ მოთხრობის ავ-
ტორის გარდა. მე, პირადად, ჩემი საუკრებო
გმირის ფიზიკური მომზადების ამბავი შეხანიშ-
ნავად ვიცი, ბევრჯერ დამინახავს ჩხარაგაულის
ბულვარში რომ დარბოდა და სხეულს იკაუთე-
და.

მალე ნაპოლეონ ბაგრატიონის შავი „ვოლგა“
შემოხვდათ. სამანქანო გზაზე გაქაპული მწვრთ-
ნელი და მისი ფეხბურთელები რომ დანახა,
გულზე შემოეყარა, მაგენის ბაზის გაკეთებას
გადაუვიცე მე და ამ ასფალტზე რა ათხარო-
კებთო! გულში ბოღმა კი ჰქონდა, მაგრამ ღო-
დესაც მანქანა გააჩერა, მხოლოდ ის იკითხა,
სად მიდხარათო.

— ექსკურსიაზე! — არც გაჩერებულა, იხე
მიანბრა აქლოშინებულმა მწვრთნელმა.

— რაო, რაო? — ჩაილაპარა გაოგნებულმა
ნაპოლეონმა და გუნდის კაპიტანს შეეხვეწა, —
თუ კაცი ხარ, შენ მაინც გამაგებინე, სად გა-
გიწევიათ ამ დილადრიან?

ექსკურსიაზე მივდივართო, — დაუდასტურა
სულხან გოცაძემ, — გორმალაღას ციხე უნდა
ვნახოთ.

— ციხის ნახვა თუ გინდათ, მალე შეგისრუ-
ლებთ მაგ ნატვრას! — დაჰპირდა ნაპოლეონ
ბაგრატიონი და მანქანით უკან გამოუდგა. —
ხომ არ დაგავიწყდეთ, ზეგ თამაშსა და თქვენ
ტურისტები კი არა, ფეხბურთელები ხართ!
გოცაძემ შეუსწორა.

— ფეხბურთელები კი არა, საცდელი თავგები
ვართ, მწვრთნელი ექსპერიმენტებს გვტარებს.

კარგა ხანს მისდია ნაპოლეონმა თავის გუნდს.
მაგრამ რადგან არავინ გაუჩერდა, უკან
ჩაიღდა და სიმწრით ჩაილაპარაკა, აღადინ არ-
თმელადმე მუყავს მოსაკლავი, მაგან შემაცდინა
და ჩიტირეკია გერმანე არჩვამე უფროს მწვრთ-
ნელად დამანიშნაო!

ნაპოლეონ ბაგრატიონი რომ ასეთ ფიქრებში
იყო, „სიხარულს“ ფეხბურთელები, გერმანე
არჩვარის ხელმძღვანელობით, გორმალაღას
აღმართზე აღიოდნენ, დაღლილები კი იყვნენ,
მაგრამ რადგან მწვრთნელი უძღებდა, ჩუმბი ბო-
ზღუნის გარდა, უკმაყოფილებას არავინ გამო-
ხატავდა.

— ძალიან დაღილდეთ, ხომ? — იკითხა გერ-
მანემ.

— ძალიან! — ამოიგმინა უველაზე მისხვათე-
ბულმა გოჩა რამიშვილმა, — ფეხები აღარ შე-
მორჩილება.

— ფეხები იმიტომ არ გემორჩილება, ჩემო
გოჩა, რომ წუხელ თავს ძალა დაატანე და ღვი-
ნო დაღიე... ტუყილს ხომ არ ვამბობ?

გოჩა რამიშვილს მები დაეცა, სიტყვის თქმა
ძლივს მოახერხა.

— თქვენ... თქვენ საიდან იცით, რომ დაუ-
ღიე?

— სახეზე შეგატყვე... ასეთ ამბებს ვერავინ
გამომპარებს. მაინც, ვისთან იყავი, ან კარგი
ღვინო თუ დაღიე!

— ცოლისმა მეტტუმრა ზესტაფონიდან, თა-
ვისი დაუენებული „ცოცქა“ ჩამომიტანა... როცა
მესტუმრებდით, გაგასინჯებთ.

— ვერ გესტუმრებდი ღვინოს არ დავლევ, სა-
ნამ მერე ლიგაში ფეხს არ მოვიკიდებთ.

— აბა, ჩემს ღვინოს ძმარი მოკიდებია და
ისაია! — ვითომ გაიხუმრა გოჩა რამიშვილმა.
მწვრთნელმა თავი უკან მოაბრუნა და ცენტრა-
ლურ თავდამხმელს იხე შეხედა, რომ ამ უკა-
ნასენელმა სინდისის ქენჯნა იგრძნო.

— მაპატიეთ, გერმან ტერენტეივიჩი.

— მიპატიებია, — წუნარად მთუგო მწვრთნე-
ლმა, მერე უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და
მწვერვალზე ფეხი შედგა, — ესეც ასე, გორმა-
ლაღას ციხე აღებულა!

— ვაშა! — იყვირეს ფეხბურთელებმა და
დაღლილ-დაჰაცყულები, ხავსიან ლოდებზე ჩა-
მოსხდნენ.

მათ თვალწინ დიდებული სურათი გადაიშალა:
მდინარე ჩხოშორი ვერცხლის ქაშარივით შემო-
რტყმოდა მწვანეში ჩაფლულ წითელკაშპიტან
დაბა-ქალაქ ჩხარაგაულს. ჩხარაგაულს იქით კი
კოლხეთის უღამაზების სანახები ჯადაშლილიყო.
კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები ოქროს
მედლებით მოწყინავდა მზეზე და ჩემპიონო-
ბასავით შორეული და მიუწვდომელი იყო.

— რა ღამაშია ეს დაღოცვილი! — აღტაცე-
ბა ვერ დამალა ცოფმა.

გერმანე არჩვამე ფეხბურთელებს საკუთა-

რის შთაბეჭდილების გამოთქმა აცალა, ყველა, რასაკვირველია, შაქროსავით აღფრთოვანებული არ იყო, ერთმა ისიც კი თქვა, ამის დასანაზად ათი კილომეტრის გამოვლა საჭირო არ იყო.

უფროსი მწვრთნელი ასეთ მცდარ აზრს როგორ დაეთანხმებოდა!

— საჭირო არ იყოო? — ხელები გაშალა გერმანე, — ჯერ ერთი, მე თავიდანვე განვცხადე, დღევანდელი დღე ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა-მეთქი. მეორე, და, რაც მთავარია, მინდა გორმალაზე ამოსვლა აღმზრდელობით მუშაობას დაუწყებო... მე უკვე გელაპარაკეთ იმის თაობაზე, რომ არ მშინს ფეხბურთი მხოლოდ ფეხბურთისათვის და არც შემოსავლის წყაროდ მიმჩნია ბურთის გორება. დიახ, ჩვენ კამიტალიტურ სამყაროში არ ვცხოვრობთ და ამ პოპულარულ თამაშს ბიზნესად ვერ გადავაქცევთ! ფეხბურთს მე უპირველესად ვთვლი პატრონიზმის, ვუცხოების, კეთილშობილური აღზრდის საშუალებად... აგერ, ყველა საკუთარი თვლით ხედავთ, რა პატარა ჩვენი სამშობლო, მით უმეტეს, ჩხარაგაულის რაიონი... პატარაა, მაგრამ დიდი ისტორიის მქონეა. შვი ზღვიდან გემებით მარტო ფეხბურთი არ ჩამოტანათ ჩვენივის, არგონავტებივით ათასი ჯურის გადამოიყლია გადმოდიოდა ამ ლამაზ სანაპიროზე, გვძარცვავდა და გვაოხრებდა, ოქროს საწმისთან ერთად, ოქროს ბიჭებიც მიჰყავდა უცხოეთის ბაზრებში გასასყიდად... ვინ იცის, მათ შორის რამდენი ფეხბურთელი იყო... თქვენ ტყუილად გეღიშებათ, მე ვიცი, რასაც ვლავარაკებ. დარწმუნებული ვარ, „ვეფხისტყაოსანი“ ბავშვობაში მაინც წაგკითხავთ და, ალბათ, გაიხსენებთ, რომ ბურთს შინა გვირებიც თამაშობდნენ. სულმანათი რუსთველი მათ მოზურთალებს ეძახდა და ვუცხოურ შემართებას უწებდა... ყველაფერი ეს შუა საუკუნეებში ხდებოდა, გაყიდვებით ადრე კი, ანტიკურ ეპოქაში, პონტოს ზღვის სანაპიროზე, სტადიონები გვქონდა გაშენებული, ოღონდ შიგ უცხოელი მსაჭები იდგნენ და ქართველებს სათამაშოდ არ გვიშვებდნენ. ჩვენ ეს უფლება მხოლოდ ბრძოლით მოვიპოვეთ. კი, ასეა, ნამდვილად! ტყუილად კი არ დაწერა ერთმა ნიჭიერმა პოეტმა, საჭარიმომ მოედნისებლა მამული გვაქვსო. ჰოდა, ჩვენც კლდისავით ვიდგეთ ამ საჭარიმომ მოედნზე და გადამთილდები ზღვაში გადავრეკეთ... გორმალაბა ციხის ნანგრევებშიც, დღეს რომ სურდა და ხავსი მოკიდებია, წინათ ამ საჭარიმომ მოედნის შუაგულში იდგა, თუშეთა, შორს წასვლა რად გვინდა. აგერ, ჩვენს გვერდით, დღესაც ცოცხალი კეხარია გოგებერამე, ლევარსი ქამადაძის სიდდერი, ამ ციხიდან ესროდა კაჯაებს ფილთა თოფს. რამდენი კაცი ჰყავს მოკლული, მაგას ვერ გეტყვით, დოკუმენტებში არ წერია, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, სულაც რომ იარ-

აღი არ სჭეროდა ხელში კეხარის და გაფრთხილებული ქმარ-შვილისათვის მარტო და და „ადესა“ დიწრო მოეტანა გორმალაბა ციხეში, ისეც დიდი გმირობა იქნებოდა. სხვათა შორის, დღეს სასმელ-საგემელი არა თუ ქალს, არამედ ზოგიერთ მამაკაცსაც არ მიაქვს ოჯახში და ცალ-შვილში ლუქმის გატებას რენტორნებში ქეიფს ამჯობინებს... მაქვს, ალბათ, საამისო ცნობებით მე და, ვინც დაინტერესდება, მოვახსენებ!

ამ სიტყვების წარმოთქმისას გერმანე შაქრო კაცაცოშვილისაკენ არ იუყრებოდა, მაგრამ ცოფს მაინც ოფლი გამოუვიდა. სანუგეშოდ ის მქონდა, ამ არაკეთილშობილურ საქციელს საკუთარი ნება-სურვილის წინააღმდეგ სჩადიოდა.

— დიახ, ამხანაგებო, — განაგრძობდა გერმანე არჩაძე, — ასე სიხსლითა და ოფლით მოვიპოვეთ ნანატრი თავისუფლება და ფეხბურთი ცალკეული პრვილეგიის მქონე არისტოკრატების გატაცებლად საყოველთაო-სახალხო თამაშად გადავაქციეთ... ჩვენი გზა ია-ვარდებით მოყვნილი არ ყოფილა, გვიჭირდა. სად იყო მაშინ „ადიდისი“ მაისურები და ტრუსები, ბუცები კი არა, ბურთები არ გვქონდა, ფულს არ გვაძლევდნენ, მაგრამ მაინც ვთამაშობდით, და თანაც როგორ ვთამაშობდით! იტალიელები თუ კარუშო ალმერთებდნენ, ჩვენ ფეხბურთის კარუშო გვყავდა. იმ კაცს პირადად ვიცნობ, ბიძაჩემის მეზობელი იყო ფოთში. ამ ქალაქის ბებუნებაზე დღეს ზოგიერთები მხოლოდ კეფაღს წარმოადგენენ. ძველად კი ფოთს ბორის პაიკაძის სახელს უკავშირებდნენ. ასეთი საამაყო ფეხბურთელი, რასაკვირველია, ჩხარაგაულს არც წინათ ჰყოლია და, მით უმეტეს, არც ახლად ჰყავს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენი დღევანდელი თაობა ალაპარაკებს საქართველოს ყველა კუთხე-კუთხულის და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს ქუთაისის „ტორპედოში“ კი არა, ჩხარაგაულის „სიხარულში“ მოაძებნიან ვინ იცის, იქნებ ისეთი ბედნიერი დღეც გაგვითენდეს, რომ თბილისელებს კალენდარული შეხვედრა ჩვენს სტადიონზე ვათამაშოთ.

— ნეტავ, როდესმე მოვესწრებით ამ სიხარულს? — იკითხა გულაჩუყებულმა ცოფმა.

— კი, მოვესწრებით, მაგრამ კარში შენ აღარ იქნები, — გულით დაუყოლდა ჯონდო გომეჩიაძე.

— მაგას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, მე თუ არ ვიქნები, ჩემი ბიჭი იქნება. მთავარია, ჩხარაგაულმა უმაღლეს ლიგაში ითამაშოს!

— ითამაშებს, ჩემო შაქრო, აუცილებლად ითამაშებს! — დაიბედა მწვრთნელმა და მერე გომეჩიას გადახედა, — რაო, ჯონდო, ჩემი ნაკვამი არ მოგეწონა?

— როგორ არ მომეწონა, განსაკუთრებით ის, რაც ისტორიას შეეხებოდა... ოღონდ თანამედ-

როგორ ფიქსურითი გაგებაში ვერ დავეთანხმებით.

— კონკრეტულად?

— აი, ჩვენ კამბიტალიზმები არა ვართ, ფიქსურითი უფულობელი უნდა ვითამაშოთ...

— მე ვუკვე, ფიქსურითი თავით უნდა ვილაშქროთ-მეთქი! — ცოტა მკვეთრად, მაგრამ მაინც აუღელვებლად განაცხადა უფროსმა მწვრთნელმა, თავმა, რასაკარგვლია, ტენის, ესე იგი, ცოდნის ვტოლებსმომ... დიახ, უნდა იცოდეთ, რატომ თამაშობ, ვის ინტერესებს ისე, რომელი ხალხის შვილი ხარ... კი, ბატონო, ახლა მშვიდობიანად დროა, თოფითა და მახვილით არ გვპირდება მშობლიური ქუთხის დაცვა, ტყუილად კი არ ამბობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ახლად აქამდე ხშირი და ძალით ფლობდა ქართველი, მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს ან ბედილო...“ მშვიდობიან დროს ქვეუნიის სახელი მეცნიერებაში, ხელოვნებაში და სპორტში უნდა განადიდოს, სპორტის მეფე კი, რასაკარგვლია, ფიქსურითი!

— ეთილი და პატოსანია — თავი დაუქნია გობერიაში. — ფიქსურითი ნამდვილად სპორტის მეფეა, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— უფულობა და გაფხვილი მეფე მე მაინც არ მწამს!

— არც მე მწამს, იმეო ჯონდო... მტრსაც გეტყვი, მე, პირადად, პროფესიული ფიქსურითის მომხრე ვარ. კაცი თუ ზამთარ-ზაფხულ ბურთს დასდებს და ცოლ-შვილს მხოლოდ ამ სიხრბილით არჩენს, ამ კაცს კარგი პირობები უნდა შევუქმნათ და გასამრჯელოც კარგი უნდა მივცეთ, ფიქსურითს რომ თავს დაანებებს, პენსიაც უნდა დაუუნიშნოთ.

„პენსია“ შაქრო კაიკაციშვილს ეკალივით დაუბო გულზე, მაგრამ არ შეიმჩნია და მწვრთნელის დაწეული საუბარი გააგრძელა.

— მაშასადამე, გერმან ტერენტევიჩი, თქვენ აღიარებთ, რომ ფიქსურთელები პროფესიონალები ვართ?

— ზალიარბ კი არა, უაქტი... აი პირდაპირ შენ, ფიქსურთის გარდა, რა პროფესია გაქვს?

— მეც?

— ჰო, შენ... არ თქვა ახლა, ფორტეპიანოზე ვუკრავო.

— დაცრით ვერც ჩონგურზე ვუკრავ, მაგრამ პურის გამოცობა შემიძლია, ცოლს პარკეტის მოპირალეაშვიც ვცემარები.

— მერე ქამაგირს მაგაშო ლეხულობ?

— საყვიდურს ვდებულობ, ზომ გაგიტონიათ, პური მეპურებს უნდა გამოაცხოინო და...

— ფიქსურთი ფიქსურთელს უნდა ათამაშო, გააგრძელა ქამლით გობერიაში.

არამეოხე მოამბეს ცოცხა მწყურალად გადახედა.

— შენ რომ თამაში იცი, პენალტე რიქტოვი გაიტან ერთაშადა!

— უკველ შემთხვევაში, ცენტრიდან დარტყმული ბურთი არ გამოშვია და ოქანში წესდება არ შემთხვევაში.

— შენ რომ საკუთარი ცოლ-შვილი გვიკოლებ, შენმა შვიან იყითხე, — შეუბღვირა ვეტერანმა მეკარემ. — ოღონდ, იცოდეთ, კარგად უნდა ითამაშო!

ქამლით გობერიას პასუხი მზად მქონდა, მაგრამ მწვრთნელმა შეაჩერა, ბოლოს და ბოლოს, უკვლავურის საზღვარი აქვსო, და მარცხენა გარემარბაზე მორჩილების ნიშნად თავი დახარა. ბაზაში დაბრუნებამდე, საერთოდ, ხმაიც აღარ ამოუღია. პირველი წინადადება კი, რომელიც კონფლიქტის შემდეგ წარმოთქვა, ასეთი იყო: ხუნზე ვატყობ, ისონ ლაცაბიძეს გიმრაველი ხადილი ვატყობთაო, რაზეც შაქრო კაიკაციშვილმა მიუგო: მომწვებული ხარ და იმიტომ გერვენებო.

სინამდვილეში, ჯონდო გობერიას არაფერი ეჩვენებოდა. შაქრულის გულიაში ბორცოთ გაეკეთებინა და თანაც ისეთი გემრიელი გამოხედოდა, ძირითადად და ხათაღრიგო შემადგენლობაზე დამატება მოიხიზო... ბორცის გარდა, კიტრი და პამიდორიც ახალი იყო. ამ ხეივანთან ერთად, ისონს ცხელა ჰაელიც გამოეცხა და მომწვებული კაც უსუთაგუნოდაც ითებს ჩააცვებოდა.

ერთ დღეს ამდენი საურპრიზი მეტისმეტ იყო, ამიტომ გაოცება ვერცინ დაფარა. შაქრულის სადღეგრძელო ქლაფის წვეთით მესვერს, თუ ასეთი ნიჭი გქონდა, აქამდე რატომ არ ამცდევინებდო? საზოგადოებრივ კვების მუშაის პირობაზე, ისონ უბრალოდ პატოსანის კაცი იყო და პატოსანადაც განაცხადა, ტაშს მე რე მიკრავთ, მაღლობა ახალ მწვრთნელს უთხარიო, მაგან შეახურა ვაჭრობის ხალხი და პროდუქტები გამოაგზავნინაო.

გერმანე არჩვამისათვის ტაშა არ დაუკრავთ, მაგრამ მისი ავტორიტეტი ერთაშადა აიწია.

სადილის შემდეგ ერთი საათი ლიტერატურულ კითხვას დაეთმო. შემდეგ, გერმანე ინდივიდუალურ ვარჯიშზე გადავიდა, ისეთი რაღაცები მოიგონა, უკვლანი გაოცებული დასტოვა. მაგალითად, მარცხენა გარემარბ ჯონდო გობერიას მხოლოდ მარჯვენა ფეხით უბრძანა დარტყმა, ბოლო ცენტრალური თავდასხმული გოჩა რამიშვილი კარში ჩააყენა და პენალტები შაქრო კაიკაციშვილს დაარტყმევინა. ხუთხანი გოცამემ რომ ჩილდაპარაკა, ფუნქციების ასეთი აღრევა გაუშარტლავდად მიმართინაო, გერმანემ უპასუხა, საქმეს ასე სპირდება და ამ ექსპერიმენტის დასრულებს მომავალში დანიშნავთო.

სიურპრიზები ამით არ დამთავრებულა. ვარჯიშის შემდეგ ფიქსურთელები საბაზანოში რომ შევიდნენ, უკვლა შხაპი, ნორმალურად მუშაობ-

და და ცხელი და ცივი წყალიც თავსებადობაშია.
იყო. გაოცებულ მოთამაშეებს მწვრთნელმა უფ-
რო ვასაოცარი სიტყვები უთხრა, თუ კალთ
იქნებო, ფინურ აბანოზე გაგვიტეხო.

გერმანე არჩვადის დანიშნულად მხოლოდ სამი
დღე გაიდა, ახალი მწვრთნელის გარეშე კი
იმხელა მითქმა-მოთქმა ატუდა, პატარა ქალაქის
ყველა კორი დარბილა და ჩხარაგულის მრავ-
ლისმომსწრე საზოგადოება ერთხანად ააფორია-
ქა. ერთი ამტკიცებდა, საკუთარი თვალით ვნა-
ხი, ყურნალობს გეოქაქთარაძეს გასაღებად
მისდევდა. მეორე კერს უკრავდა, მარტო
ყურნალობს კი არა, გუნდის აღმშენებელსა
და მსახივრს აგინა და მუსიკების ცემით
გაუმსამინდლაო. მთავარი მაინც მესამის ნათ-
ქვამი იყო, „სინარულს“ ბევრი მოთამაშე უნდა
გაუაროს და მათ ნაცვლად, ფეხბურთის გუნდის
მომავალიებებს მთის კალთებზე დაკიდებულ
სოფელ ლოდისწყაროში აპირებს.

რასაკვირველია, სამივე ცნობა გაზვიადებუ-
ლი იყო, მაგრამ სიმართლის ელემენტებს მაინც
შეიცავდა. პირველი ორის თაობაზე ჩვენ უკვე
ვისაუბრეთ, ხოლო მესამე ცნობასთან დაკავში-
რებით, უმჯობესია, ჭეშმელ თეთრაძეს მოვუხიზ-
ნოთ, ხედავთ „ამაღონში“ რომ დამქდარა და გუ-
ლშემატკავეებს წინა დღის ამბავს უყუბა. ჭე-
შაღს უსათუოდ დაეჩერება, რადგან ლოდის-
წყაროში პირადად ახლდა გერმანეს და ყველა-
ფერი საკუთარი თვალით ნახა და საკუთარი
ყურით მოისმინა.

მაშ, ასე, გვიყვება ჭეშმელ თეთრაძე:

„მე, რომ ფეხბურთისთვის კუბას არ ვკარ-
გავ, უკვლახ შეხანოვნად მოგვხსენებთ. ამის
თაობაზე თქვენგან ბევრი დაცინვა მომისმენია.
რას იზამ, ბედი უნდა ყველაფერს... დმერთმა
ისეთ სოფელში გამაჩინა, სადაც ფეხბურთის სა-
თამაშო მოედანი კი არა, ცხვრების საბაღახო
ადგილიც კი ძნელად მოიძებნება. ჩვენი სო-
ფელი ციცაბო კლდეზეა მიკრული, სახელიც შე-
საფერი მქვია — ლოდისწყარო. ლოდებისა და
წყაროების გარდა, ბევრს ვერაფერს ნახავთ.
ასეა, მაგრამ მაინც ძალიან საყვარელია. ამას
ახლა არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავა-
რი და არსებითი ის გაზღავთ, რომ გუშინ, ად-
რე დღეს, გერმანე არჩვადი დამადგა თავზე,
ლოდისწყაროში უნდა წამოშეყო. პატარა კი
შემეწარა, მაგრამ უარს როგორ ვიტყოდი. საუ-
ხმეც არ შემარგო ხერიაანად, თავის დანჯ-
რელზე, ვტოზუსში ჩამსვა და ლოდისწყაროსკენ
წამოყვანა.

ცოტა ხელი რომ მოვიტყვი, ვითხებ, რა მო-
ხდა ასეთი, ამ დილაზედღე რა ბუნი შეგიჩნ-
და-მეთქი. ბუნი კი არა, იდეა შემჩნდაო, მით-
ხრა, ლოდისწყაროდ ბავშვებს ფეხბურთის თა-
მაში უნდა დავაწყებინოთო. ვიფიქრე, მემახ-

რება-მეთქი და სიცილი დავიწყე, მაგრამ სინა-
რულად ამხსნა, „სინარულსათვის“ ლოდის-
წყაროში ცალა უნდა მოვამზადოო. მერე, შევადგინე
მამიშვილო, ვუთხარი, ლოდისწყაროში რა ცალა
უნდა მოამზადო. ბავშვებს ბურთი სინარულა-
ც არ უნახავთ, კლდეებზე ცოცხის მერე არაფერი
იციან-მეთქი. საქმეც ეს არისო, მომავალ, კლდე-
ებზე ვინც ცოცხის, იმას მაგარი მუხლი აქვს
და ფეხბურთის თამაში არ გაუჭირდებაო. ცო-
ტა გავზრადი, როგორ თუ არ გაუჭირდება,
ლოდისწყაროში ბურთის სათამაშო ადგილი არ
არის-მეთქი! საქმეც ეს არისო; მაგი არაფერი
მითხრა, მშობლებს კლდეებს გაოცებულებად
და მარტოვი ტიპის სათამაშო მოედნებს გავაე-
თებინებ, მათ შეიძლება კი ბურთებს დავუბრუნებ
და შევიპირდები, ვინც თამაშს კარგად ისწავლის,
საუჭრადაც დავუბრუნებ-მეთქი... გერმანე ბა-
დელში გახვეული ბურთებიც მიჩვენა, ესე იგი,
სერიოზული განჯრახვა მაქვს და ხელი არ შე-
მიშალაო.

ხელს როგორ შევუშლიდი, მაგრამ პატარა
მაინც მეცოდებოდა, თავი სასაცილოდ არ გაი-
ხადოს-მეთქი. ჩემდა გასაკვირად, მისი გან-
ჯრახვა სოფელში ყველამ მოიწონა, ბავშვები ხომ
ცას გამოერნენ სინარულით, ფეხბურთელები
გამოვლთ და ნამდვილ სტადიონზე ვითამაშებოთ.

ლოდისწყაროელებმა სასწრაფოდ დაიწყეს
მიწის თხრა, მაგრამ გერმანეს საქმის დამთავ-
რებამდე აღარ მოუცდია, დღევანდელ გუნდში უნდა
დავბრუნე და ყველაფერის თქვენს სინდისზე
ვტოვებო. სინდისი, მოგვხსენებთ, მთელი კაცს
როგორი აქვს! მშობლებმა პირობა მისცეს, რა
დღეში ყველაფერს დავამთავრებთ და ბავშვებ-
თან ერთად ფეხბურთის ხანდაზან ჩვენც ვითამა-
შებოთ. თქვენ მაინცდამაინც თავს ნუ მოიკლავთ,
პატარებს მიმიხედეთო, გააფრთხილა, თუ სწავ-
ლაზე გაული აიკრუეს, ბურთი წაართვით და ჩეის
ამოსვლამდე ნულარ მისცემოთ.

გერმანეს საქციელი ზოგიერთებს ახირობად
მოეჩენა, მაგრამ სოფელიელებმა პატრიოტულ
მოდეწყოებად ჩაუთვალეს, ლოდისწყაროელებმა
მარტო რძის გეგმის შესრულებით ხომ არ უნ-
და ვასახელოთ მშობლიური ჩხარაგულის რაი-
ონიო, მისი სპორტული ღირსებაც უნდა დავიც-
ვათო!

წამოხვლისას, ცხადია, სუფრაც გაუშალეს.
ხტუმარი, მოგვხსენებთ, ბარში თუ ღვთის რი-
სხვა, მთაში ღვთის წყალობაა. გერმანემ მხო-
ლოდ ერთ ნაბერ ბატონის მწვადს გაუსინჯა გე-
მო და ერთი სირჩა ბუზის არაყიც გადაჰკრა,
თქვენს ღარჩენას და ჩვენს წახვლას გაუმარჯო-
ხო, თქვენს მამულშივილობას და ფეხბურთის
სიყვარულს ვეთაყვანებო! ღამაზე ამბობდა,
ოღონდ გრძელი სიტყვა გამოუვიდა. სანამ დაა-
მთავრებდა, ორი მწვადის შეჭმა მოვასწარი და
ზედ ერთი გრაფინი არაყიც დავაყურე, იმისთა-
ნა გემრიელი იყო, პირის მოცულება არ მინ-

დოდა, თაფლივით იღვრებოდა მუცელში...

საუბარი ისევ გერმანე არჩაძეს დაუბრუნდა. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთ ფაქტს წყალი არ გაუვიდოდა: ახალ მწვრთნელს პირველივე შეხვედრა მეტად ძველ მეთოდებთან უწყვედად, მოგება კი არა, ქულაც სანატრელი ჰქონდა. მართლაც, დახატულობის „მეჩაი“ წარმადილი ჩემპიონი გახლდათ და წელსაც პირიქითა სამეფოში იმყოფებოდა, ბოლოდან პირველად გულზე მომავალი გუნდისათვის კი მის წინააღმდეგ თამაში ადვილი საქმე არ იყო.

— იქნებ, ძველებურად მოლაპარაკე მაგიდამ გვითხრას ანგარიში? — ეშმაკურად იკითხა მუჩრამ ჟილიამ.

კოკი ქარიძემ შორს დაიჭირა.

— თუ კაცი ხარ, თავი დამანებე, ერთხელ რომ შევცდი, ისიც მეფოდა!

— ნეტავი თვითონ გერმანე არჩაძე რას ფიქრობს ხვალნდელ თამაშზე? — დაინტერესდა კოკი შალვაფერიძე. — მსაქის იმედი აქვს თუ თავისი ფეხბურთელები?

ზუსტად იმ წუთებში, როდესაც საუფრე „ამაზონი“ ასეთი შეკითხვა დაისვა, გერმანეს კაბინეტში ელექტრონათურების მაღაზიის გამგე შუტუ მიქაბერიძე უბერხულად იჯდა სკამზე და საუბრის დაწყება უწინდებოდა. სპეცდავლებით გამოგზავნილ შუტუს ძველი მწვრთნელი ყველაფერს უვებდა, მაგრამ ახალ კაცთან საქმიანი ლაპარაკი ადვილი საქმე არ იყო, ვით უმეტეს, გაგონილი ჰქონდა, ცოტა მუავე ხასიათს აქვს და ბოდიშობანას არ დაგიწყებო.

რადგან სტუმარი ლაპარაკის მაგივრად მხოლოდ თვალებს ახამხამებდა, გერმანე არჩაძემ არცთუ იხე ზრდილობიანად შეასვენა.

გისმენთ, ბატონო, რაზე მოზრძანებულხართ? შუტუს, როგორც იქნა, მია მოიღო.

— სხვა, პატივცემულო, როგორ ბრძანდებით?

— თქვენს მტერს, მე რომ ვბრძანდები? — შეუღრღო გერმანემ.

— ოქაზში ხომ არ გად?

— თუ კაცი ხარ, ნუ მერაშიყები, თქვი, რა საქმეზე მოსულხარ!

— ზრდილობის გულისთვის, თორემ ოქაზი რომ არ გაქვს, ისიც ვიცი... არა, გასაზრახებლად კი არ მითქვამს... თქვენი ნერვულობა არ შეიძლება.

გერმანე მაინც ანერვიულდა და ფეხზე წამოდგა.

— ვინ ხარ, კაცო, შენ?!

— მე, პატივცემულო, შუტუ მიქაბერიძე ვარ ელექტრონათურების მაღაზიის გამგე, აღმათგავიგონათ ასეთი დაწესებულება?

— კი გამიგონია.

— კეთილი და პატიოსანი, ელექტრონათურების გარდა, მე სანათლებსაც ვყავი.

— გაუიდე მერე, მე რა შუაში ვარ?

— სწორედ რომ შუაში ვარ.

— არაფერი მესმის.

— სხვათა შორის, თქვენ მწვრთნელი ხართ? — ტყე ჩემი ხანთლებით ხართ დანიშნული!

— კაცო, შენ ხომ არ ვადარეულხარ?!

უფროა გერმანემ. მაგრამ შუტუ მიქაბერიძემ წყნა არ შეიძინა.

— ჩემი თუ არა გერმანე, ლატავრა კოკონიძეს მკითხეთ.

ლატავრას სახელის გაგონებაზე საჩხუბრად მომზადებულმა გერმანემ ბზას დაუწყო.

— არავის გამოკითხვას მე არ ვაპირებ... ხვალ თამაში გვაქვს და საფიქრალად ისიც მეფოდა.

— მოდა, თამაში რომ გაქვთ, მეც იმიტომ გამოგზავნის თქვენთან, — შეთქმულივით გაუღია შუტუს და კოსტიუმის ჯიბეში ხელი ჩაიქო. არა, რევოლვერის ამოღებას არ აპირებდა, მაგრამ მწვრთნელი მაინც შეშმა აიტანა.

— რას ეძებ მაგ ჯიბეში?

— მას, რაც ხვალ მოგვაგებინებს, უოველ შემთხვევაში, ერთ პენალტს გვაჩუქებს... მსაქს პირადად თქვენ უნდა მოელაპარაკოთ, ჩემი საქმე საწვევოს გადახდა იყო.

— ესე იგი? — იკითხა გერმანემ და კარი გამოაღო.

— ესე იგი, თქვენ ახლა კაბინეტიდან მაგდებით? — მიუხედა ელექტრონათურების მაღაზიის გამგე.

— დაიკარგე აქედან! — იმხელა იღრიალა გერმანემ, რომ მეზობელ ოთახებში ფეხბურთელებმა გაიგონეს და კაბინეტში შევივდნენ, შაქრო კაიკიშვილმა თავის მწვრთნელს ხელი სტაცა, დანარჩენებმა კი შუტუ მიქაბერიძე დერეფანში გაათრიეს.

— ახლა ჩემზე! — ამოიგონა სტუმარმა, — კი მეუბნებოდნენ, ფეხბურთის იცისო, მაგრამ არ დაუჭერე.

— დროზე მოუსვია აქედან, თორემ გამოვუშვებ და ფეხბურთის განახტბს! — გააფრთხილა ცოფმა.

— სხვათა შორის, თქვენი გულისთვის დამემართა უფლაფერი. — უფროა შაქროს გამწვარებულმა შუტუ მიქაბერიძემ, — გედევონ ფოთოლამის მერე ასე რამ გამოცვალათ?

— ჩვენ არაფერი, თვითონ გედევონ ფოთოლამე გამოცვალეს.

— და ეს დამთხვეული დანიშნენ? მართლა კარგად უოფილა ჩვენი საქმე! — ჩაილაპარაკა ელექტრონათურების მაღაზიის გამგემ და „სიხარულის“ წარმოშადგენლებს დაემშვიდობა, — ღმერთმა ჩემი თავი აღარ დაგვირგოთ ღვთის ამას იქით და უფულო ქულები ჩაგაწერინოთ გათამაშების ცხრილში!

შუტუ მიქაბერიძის წასვლით ფათერაკები არ დამთავრებულა. ერთი საათის შემდეგ ნაპოლენ ბაგრატიონმა დარეკა და უფროსი მწვრთნელის ჩანსითვლების ამბავი იკითხა, გერმანემ

კარგად იცოდა, ამის გასაგებად ნაპოლეონი თავს არ შეიწუხებდა, ამიტომ მოკლედ მოუჭრა, სანამ გული გაშისკდებოდა. სათქმელი დროზე მიიზარო.

რაიხსპორტკომიტეტის ხელმძღვანელობას სვანდელი შემადგენლობა აინტერესებდა. ამის განაწინაზე მწვრთნელმა კინალამ ძველბეჭურად შეუტყობა, მაგრამ ენას კბილი დროზე დააჭრა.

— მო, თქვენ გეყოფნით, გერმან ტერენტევიჩი, — შეასენა ნაპოლეონ სოკრატოვიჩმა, — ხვალ ვინ გამოგყავთ მოედანზე?

— მაგის თაობაზე სვანდელ ვერაფერს გეტყვით.

ასეთი პასუხი სოკრატოვიჩს ეწყინა და თავისი უკმაყოფილება შემდეგნაირად ჩამოაყალიბა.

— მაშასადამე, ობსტრუქციას მიწყობთ, არა?... ეთილი და პატრიასანი... ერთ რამეში მაინც უნდა შევთანხმდეთ, ჯონდო გობერჩიამ ხვალ არ უნდა ითამაშოს.

— მაინც რა მოსაზრებით? — დანტერესდა გერმანი.

— ეს პირადად თქვენ უნდა მოიხაზროთ... „მეცირტუსებსთან“ წაგების შემდეგ გობერჩია, საერთოდ, არ უნდა დაბრუნებულიყო გუნდში.

— ნება მიბოძეთ, არ დაგეთანხმეთ, — გერმანი მეცრად, მაგრამ აუღელვებლად ლაპარაკობდა — და, საერთოდ, ასეთი საკითხები მხოლოდ მწვრთნელის კომპეტენციაში შედის... გასაგებია?

— გასაგებია! — თქვა ნაპოლეონმა და ყურმილი დაკიდა.

ნახევარი საათის შემდეგ ტელეფონმა ისევ დარეკა.

„ეს თუ კიდევ ნაპოლეონია, გაულანძლავი არ გადაშიჩნება“, გაიფიქრა გერმანმა და ყურმილი აიღო.

— „სიხარულის“ სპორტული ბაზა? — მორიდებით იკითხა მამაკაცის ხმამ.

— კი, ბაზა და მე „სიხარულის“ უფროსი მწვრთნელი ვარ... ხვალ მოედანზე თორმეტი კაცი გამოიმუშავს.

ტელეფონში გაიცინეს.

— რატომ თორმეტი?

— მეთორმეტე მსაჯი იქნება.

— გვერდითი მსაჯები რატომ დაგავიწყდათ? სულ თოთხმეტი უნდა იყოს.

— გმადლობთ შეხსენებისათვის, სხვა შეკითხვა რომ არ გექნებთ?

— კი მექნება... ხვალინდელი პროგნოზი მაინტერესებს... სხვათა შორის, მე ვენო ვარ.

— აბა, ვენო?

— ქავთარაძე, „ჩხარაგაულის ხმის“ სპორტული განყოფილების გამგე, თქვენ რომ ბაზაში შესვლა აუკრძალეთ.

გერმანმა მარცხენა ხელით თავი მოიფხანა (მარჯვენაში ყურმილი ეჭირა).

— აგერძალეთ და, ვატყობ, ძალიან სწორედ დაც მოვეცდეთ.

— ესე იგი, პროგნოზებისაგან თქვენს რეპერტუარს

— ჭერჭერობით, გალანძლვისაგანაც ვიკავებ თავს.

— რა მაგის პასუხია და, სკოლაში ანდაზები არ გიწვევლიათ?... ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.

— არამჭიფიერ მოამბეო... — დაიწყო გერმანმა, მაგრამ ქავთარაძემ შეაწყვეტინა.

— რაც მოგვია დავითაო, ყველა შენი თავითაო!..

უფროსმა მწვრთნელმა სპორტული განყოფილების გამგეს ტელეფონი დაუკიდა. გახრანებული კი იყო, მაგრამ მაინც გაიცინა, რომ მეგონა, ქავთარაძე იმაზე ჭკვიანი უფილა, ქართული ანდაზები ზეპირად სცოდნო.

სულ გვიან, დაწოლის წინ, ტელეფონმა კიდევ ერთხელ დარეკა. წინა ორისაგან განსხვავებით, ეს ქალის ხმა იყო.

— გერმია, გამარჯობა!

ასე გერმანის მხოლოდ ერთადერთი აღაშენი ეძახდა ჩხარაგაულში. მისი გამოცნობა არ გახერხებია, დიხს, კოკობინძის ქალი იყო!

— გაგმარჯოს, ლატა! — კაცს მღელვარებისაგან ხმა გაღებოდა.

— გაგვიყირა, ხომ, რომ დაგირეკე?

— კი ვამიყირადა.

— რას შერები, როგორა ხარ?

— ცუდად, ძალიან მივიარს.

— გაჭირვება აწი იკითხე, ეს პრელუდია, — ლატარას ნიჭიერთა ათწლეული ჰქონდა დამთავრებული და მუსიკალურ ტერმინებში კარგად ერკვეოდა.

სხვა დროსა და სხვა სიტუაციაში გერმანე არჩევდა ლატარა კოკობინძის მიმართ, ალბათ, მერ უურადლებს გამოიჩენდა, მაგრამ ახლა ისე ჰქონდა ნერვები აშლილი, რომ თავის შეყვარებულს საკმაოდ ცივად ჰკითხა, ამ შუალამზე რამ დაგარეკინაო.

„ეს რა გამოხედოა“, გადაიარა ქალი, — მონერნარე და პეიშანი უნდა დაგინიშნოო, — მიახალა.

არაფერი რომ არ უპასუხეს, ახლა ის ეწყინა.

— შენ გელაპარაკებთან, ხმას რატომ არ იღებ?

— მო, გისმენ, — როგორც იქნა, აღიზნა გერმანმა.

— ძალიანაც კარგი, თუ მისმენ... მართალია, რასაც ქალაქში ლაპარაკობენ?

გერმანის ყურის ბზილობები გაუწითლდა.

— მაინც რას ლაპარაკობენ?

— რას და, ხვალ, თურმე, ჩემი დეიდაშვილი ჯონდო გობერჩია არ ითამაშებს.

გერმანმა შევებით ამოიხუნტა.

— ტუფილი უთქვამთ, ჯონდოს გამოცვლას არ ვაპირებ.



— მაგა რომელი ჭონდოა, ხომ იცი?

— ვიცო, წინა თამაშზე ორბ პენალტი რომ გააფუჭა.

— ახლა შენ რომ გააფუჭო, ფეხბურთს თავს დაანებებს და უმადლესში მოუწუბნელი დარჩება.

— უმადლესის ამბავს ვერაფერს გეტყვი, მაგრამ ფეხბურთს თავს ნამდვილად არ დავანებებინებ. მაგას თამაში შეუძლია და ხვალაც ძირითად შემადგენლობაში გამოვიყვან.

— ჩემი ხატრით, ხომ? — გაეხარა ლატაძის.

— არა, ფეხბურთის ხატრით.

„სიხარული“ მწვრთნელმა ქალიშვილს ცივი წყალი გადაასხა, ხომ შეეძლო ეთქვა, შენი ხატრით გულში ხანაქლასაც დავიტყუამო, მაგრამ არაფერი უთქვამს, ისეთი უხიავი იყო, სიუყვარულისათვის პატარა ტუფილიც ვერ გაიმეტა.

ტელეფონში გაუთხოვარი ქალის სლუკუნის გაისმა.

— აღარ გიყვარვარ, ხომ?

— მიყვარხარ, მაგრამ... — კაკს ენა დაება.

— რა მაგრამ?

— ფეხბურთი შენზე უფრო მიყვარს!

ასეთი აღსარების შემდეგ, ცხადია, ქალ-ვაჟის დიალოგი აღარ გაგრძელდებოდა. გერმანე არჩვამ დასაწოლად მოეშადა, მაგრამ სანამ თავის ლოგინს მიაშურებდა, ფეხბურთელების ოთახები ჩამოიარა. უნდოდა, კიდევ ერთხელ შეეპოწმებინა, ყველანი ადგილზე თუ იყვნენ და ყველას თუ ეძინა... საგანგაშო ვერაფერი აღმოაჩინა და, ის იყო, უკან ბრუნდებოდა, სულხან გოცაძის პერსონალურ ოთახთან შეშველი ფეხების კვალი შენიშნა. კვალი საპირფარეშოდან იწეებოდა.

გაოცებულმა გერმანემ საკუთარ თვალებს არ დაუჭერა, მაგრამ როდესაც კარი შეიღო, ღმის ნათურის შუქზე ვარკვევით დაინახა, საპირფარეშოდან წამოსული სველი ფეხების კვალი ოთახშიც შემოდიოდა და კაბიტის საწოლთან წუდებოდა.

მწვრთნელს თავხარი დაეცა. გადაწუვია, გოცოიასთვის სახანი გადაეძრო და მთელი გუნდი მის საწოლთან შეეკრპა, ნახეთ რა სინდისივარცხილი კაბიტანი ჯყოლიათო, მაგრამ, ძალე-ბის უკანაჰნელი დაძაბვით, თავი შეიკავა და საკმელოდ სახვლიოდა შემოინახა.

სვალის გათენებას კი საშველი აღარ დაადგა. გერმანე არჩვამს, რასაკვირველია, თვალი არ მოუხუჭავს. საზღუდო საკმე ხომ არ იყო, მისი ხელმძღვანელობით „სიხარული“ პირველ ოფიციალურ შეხვედრას ატარებდა, თუმცა სასიხარულო მის უფროს მწვრთნელს არაფერი მკონდა.

როგორც წესი და რიგია, ჩხარაგაულის გუნდი სტადიონზე ერთი საათით ადრე გამოცხადდა. ყველანი გაოცებული დარჩნენ, როდესაც

თითქმის შეგებულნი ტრიბუნები დაიშალა. ლბი კი მოდიოდა და მოდიოდა, მალე, ალბათ. ფეხზე დახადგომ ადგილებსაც გაჰყდიდნენ. წინა ტურში განცდილი მარცხის შემდეგ „სიხარული“ თამაშზე თითქოს არავინ უნდა მოსულიყო, მაგრამ ჩხარაგაულის გულშემატკვრების ტვინი ცოტა სხვანაირად იყო მოწყობილი. ზოგი ახალი მწვრთნელის ხატრით მოვიდა სტადიონზე, ზოგი კიდევ სიერის საუბრებლად ჩემპიონთან წაგება არ აგვცდებდა და ვნახოთ ერთი, დახოლმელი მაჟურნალები ჩვენს ფეხბურთელებს როგორ გაუმასპინდლებიანო. პროგნოზები, ცხადია, პესიმისტური იყო, მომავლის პერსპექტივები კი უარესი. დღევანდელი მატჩი „სიხარულისათვის“ მეორე ლიგაში დარჩენის უკანასკნელი შანსი იყო, რადგან საკუთარ მოედანზე მტერი თამაში არ უწევდა, ოთხი გასვლითი შეხვედრა კი წლევანდელი ჩემპიონატის პირველ ზუთელში მყოფ გუნდებთან უნდა ჩატარებინა. ამ შეხვედრებიდან, ქულების ნაცვლად, ჩხარაგაულები რომ დამტყრულ ფეხებს ჩამოიტანდნენ, ექვი არავის ეპარებოდა. მატჩის დაწყებას ნახევარი საათი აქლდა, როდესაც გერმანე არჩვამ გასახდელში შევიდა და თავის ფეხბურთელებს წინასწარ მომზადებული სიტყვით მიმართა.

— ჩხარაგაულის „სიხარული“ ფეხბურთელებო, ვიდრე ბრძოლის ველზე, ანუ სტადიონზე, ჩვენს შტრკინება დააწყებოდეს, თითოეული თქვეთაგანი, ვიცო, ჩემს სიტყვას ენდობდა. ახალი მწვრთნელი რა გეგმებს შემოგვთავაზებსო, როგორ სტრატეგიასა და ტაქტიკას აირჩევსო და ასე შემდეგ... პირდაპირ უნდა გითხრათ, ჭკუის სასწავლს მაინცდამაინც ვერაფერს შემოგვთავაზებთ. მეტყვე, გეტყვით, ახალბედა მწვრთნელი ვარ და, რჩევა-დარიგებას, პირიქით, თქვენგან მოველი... ერთი დიდი მამულიშვილი ძველ დროში ასე მიმართავდა ერს: რა გითხრათ, რით გაგაბროთ? მე ოდნავ გადავაციებ მის სიტყვებს და შეგვიკითხებით: რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? მოწინააღმდეგე, როგორც კარგად მოგეხსენებათ, მრისხნე გვყავს. დღევანდელ ეტაპზე თამაშის კლასით მეტოქეს ჩვენ აშკარად ჩამოვრჩებით. ეს ნაკლი უნდა აკინაზდაროთ თავგანწირული ბრძოლით, ოღონდ, მე ხაზს ვუსვამ, პატრონანი და ვაჟაკური ბრძოლით! მსახის იმედო ძველდურად ნულარ გვექნება და მის წყალობასაც არ უნდა დავუღო-დოთ, პირიქით, როგორც მიზრინი იტყობა, ჩვენ უნდა გამოვტავოთ ეს წყალობა მას! მე კატეგორიულად ვფრთხილებ ყველა ფეხბურთელს, მსახს ხევენა ან კამათი არ დაუწყოთ, მაჟურნალებზე თამაშის ნაცვლად, მოედანზე თამაშით და ჩვენს ნერვებაშილად გულშემატკვრებს დაუმტკიცეთ, რომ გერ კიდევ მამაკაცები ხართ და მუხლების კანკალი არ დაგვეცხიბათ... გთხოვთ, კიდევ ერთხელ დაუვირო-

დეთ სიტუაცია „ფულშემტკიცების“. რა შესანიშნავად გამოხატა ქართულმა ენამ ფიქტორის თაყვანისმცემლების არსებითი თვისებას უცხო ენების მსგავსად, ამ თამაშით დაავადებულ ხალხს „ცოფიანი“ ან „ტიფიანი“ კი არ უწოდა, არამედ მისი ავადმყოფობა მორიდებით, აღმანიის ყველაზე სათუთ და მგრძნობიარე ორგანოს — გულს დაუყვებოდა. პოდა, ჩვენც ნუ ვატყენთ გულს ჩვენს ფულშემტკიცებებს, ნუ შევარცხვენთ ჩხარაგაულის სპორტულ ღირსებას!..

გერმანე არჩაძის მეჭვრეტეუკვლეობამ ქონდო გობერია ისე მოიხილა, მწვრთნელს სიტუაცია, გააწყვეტინა.

— ტერენტევიჩი, პირობას გაძლევ, რომ ჩხარაგაულის საკეთილდღეოდ მე თავს არ დავიწოვავ! — დაიფიცა მან.

— შენ ფეხი არ დაწოვო და მერც არაფერს გთხოვ, — ღიმილით შეხედა გერმანემ და მერც ისევე შეწყვეტილი სიტუაცია გააგრძელა, — ჩვენი დღევანდელი მოწინააღმდეგე დახალციხის „მეჩაივა“, მაგრამ თქვენ როგორ გგონიათ, დახალციხის რაიონში ჩხარაგაულისოდენა ჩაის კრეფენ? მერცაე გეტყვით, ციტრუსები მაგათზე მეტი მოგვყავს და ადებს უორქმნივ, ეკალა ფხალზე და საადრეო კარტოფილზე რომ არაფერი ვთქვათ, მაგათ თუ მინერალური წყალი აქვთ, ჩვენ გამაგრებულ ხასმელს ვაშაადებით ჩაის ნარჩენებისაგან და საზღვარგარეთ ვუდიოთ... ერთი სიტყვით, ეკონომიკურად ჩხარაგაულის უკუვლტვის დახალციხეზე მალა იდგა, კულტურულად ხომ შედარება არ შეიძლება ერთ კვადრატულ მეტრზე უმაღლესდამთავრებულთა რიცხვით ჩვენი რაიონი საგრძნობლად უსწრებს არა თუ დახალციხეს, არამედ ევროპის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსაც!.. ყველაფერ ამას იმიტომ შეგახსენებთ, რომ ეკონომიკა და კულტურა სპორტის დედა და მამაა, ასეთ სახელოვან მშობლებს კი ჩვენ უნდა აღვუზარდოთ ღირსეული შვილები, ესე იგი, ჩხარაგაულის ფიქტორთელთა გუნდი „სიხარული“!..

გერმანეს ისევე შეჩერება მოუხდა, რადგან გასაბედლში მსაჯმა შემოჰყო თავი და განაცხადი მოითხოვა.

ამწუთში მოგართმევთ, — ბოდიში მოიხადა მწვრთნელმა და შემდეგ ფიქტორთელებს მიუბრუნდა, — შემადგენლობა დღეს ისეთივე გამოვა, როგორიც გორდელაურის „მეციტრუსისთან“ გამოვიდა, ოღონდ...

რაკი „ოღონდ“ თქვა, მწვრთნელი ვიღაცის შეცდომას აპირებდა, „ჩემი ფიცი არ დაიჭრა და თერამეტ კაცში მარტო მე გამოიმეტაო“, ნაღვლიანად გაიფიქრა ქონდო გობერია და ბუცების გახდას შეუდგა.

— შეიკარო ეგ ბუცები! — უბრძანა გერმანემ, — დღეს შენ ითამაშებ, ოღონდ ცოტა უკან დაიწევ, მოედნის სიღრმეში... დღევანდელი ერ-

თადერთი შეცდომა მხოლოდ დაცვის მსახურებსა და...

სულხან გოცაძემ მწვრთნელს გაკვირვებით შეხედა.

— მე მგონი, ოთხივე დამცველი ფორმაში ვართ! — განაცხადა მან.

გერმანემ თავი დაუქნია.

— ფორმა კი გაცვიათ, მაგრამ...

— ესე იგი, „მაგრამ“ გვიშლის ხელს... მაინც, ვინ უნდა შეცვალოთ?

— თავისუფალი მცველი და გუნდის კაპიტანი სულხან გოცაძე, — წუნარად, მაგრამ შეუბრალებლად უთხრა გერმანემ.

გოცოიას იგონა, მომეუწარო და შეითქვა გაუმეორა.

— ვინ? ვინ? — და როცა მასზე მიჩერებულ ფიქტორთელთა თვალებს შეხედა, თავსარი დაეცა: — მაინც, რატომ უნდა შემცვალოთ?

გერმანემ კაპიტანს ჭიჭურ შეხედა.

— ის, ვინც შიშველი ფეხით ტელეფონზე შევა და მერც ლოგინში ჩაწვება, არც კაცად ვარა და არც ფიქტორთელად!

ნაღმევით დამუხტულ სილუეტში სულხან გოცაძემ კაპიტანს სამკლარის მოიძრო და ჩემოდანში ფორმის ჩაღებებს შეუდგა.

— თავისუფალ მცველად ვანო კაციტაძე ითამაშებს, — გასცა განკარგულება მწვრთნელმა, — ხოლო გუნდს მოედანზე შეჭრო კაიკიციშვილი გაუყვანს... გასაგებია?

გაუგებარი ბევრი რამე იყო, მაგრამ დრო აღარ ღრებოდა, მოედანზე უნდა გასულიყვნენ მოსათელავად.

როგორც კი „სიხარულის“ ფიქტორთელებში თავიანთი კერპი სულხან გოცაძე ვეღარ შეინიშნეს, ტიპებზევე ჩაჩქოლა ატყდა. ცხადია, დღევანდარეული კაპიტანის ვაგდეებს ვერაფერ წარმოიდგენდა, ამიტომ ზოგი ვარაუდობდა, მწვრთნელობა რომ არ შესთავაზეს, გაბრაზებულიყო ზოგი კიდევ ამტკიცებდა, ფეხი სტივო და დაახვეწეს.

სულხან გოცაძეს ფეხი კი არა, გული სტივოდა, უფრო სწორად, დაბოღმილი იყო, „მაგი ალბათ კონკურენტად მთვლის, თორემ ფეხშიშველი სიარული რა მოსახატიაო! ასეა, ბატონო, უციცებს რომ ხელმძღვანელებად დაგვინიშნავენ, ამიტომაც აიწყო ჩვენი საქმი გიტარასავითო!“ „სიხარული“ რომ ამ თამაშს წააგებდა ებოცა არ ეპარებოდა.

გოცოიას ქეისმისტრი პროგნოზების საწინააღმდეგოდ, შეხვედრას წასაგები არაფერი ეტყობოდა, პირიქით, მარცხენა გარემარბის მონდომებული თამაშის წყალობით, „სიხარულის“ თავდასხმელებმა ისეთი თავბრულამხვევი იერიშები განახორციელეს „მეჩაივს“ საჭარბო მოედანზე, რომ ბურთის, სტუმართა კარში გასვლის გარდა, გზა არ ჰქონდა, მაგრამ ბადეში მხოლოდ ქონდო გობერიას მარცხენა ბუცი

შეჯარდა. სიჩქარეში კარგად შეეკრა ვერ მოახერხა და იმის გამო. ტრიბუნაზე მანც ტაში აგრივალდა.

— მიდი, ჭოლო, მიდი!

— „შეჩაი“ — ჩაიში!

— „სიხარული“ — პირველ ლიგაში! (ვითომ, მეორეში დარჩენა განადგებულნი ჰქონდა).

შეძახილები და ოვაციები მეორე ტაშიში უნდა გენახათ, როდესაც მასპინძელთა უპირატესობა აშკარა შეაქმნა.

— ახა ჰე!

— ახა, ჰო!

— გაუმარჯოს „სიხარულს“!

სწორედ შესაფერისი მომენტი იყო და მეტი ჩიხიც შეიძლება დახვდეთ ტრიბუნიდან ლეზენგი ისრითა.

— გაუმარჯოს არჩვაძეს!

ალადინ ართმელაძემ შეუსწორა.

— დიდება მელოტის!

ხალხი მიხვდა, რომ მელოტი არჩვაძის სახელი იყო და ტაში უფრო გააზურეს.

— გაუმარჯოს მელოტის!

— მელოტის ვაშა!

ამ შეძახილებში დრო იწურებოდა, მაგრამ ნანატრი გოლი არ ჩანდა.

— სუღია, პენალტი — მოითხოვა ვილც უტელაძე. გერმანე არჩვაძეს თავზე კიანჭველები დაესია. წინათ ასე იყო: ამ ძახილის შემდეგ, მასპინძლებიდან ვინმე უნდა წაეტყუებოდა მოწინააღმდეგის საჭარიშო მოედანზე და მსაჯი თერთმეტმეტრიანს დანიშნავდა.

— სიმულაცია არ გახდეთო! — დაუყვირა გერმანელ ხალხს მისულმა გერმანელ თავის მოთამაშეებს და ტაბლოს შეხედა. თამაშის დამთავრებას წუთი აკლდა და მოსახლენი საქმე (ცუდი გაგებით, რასაკვირველია) ახლა უნდა მომხდარიყო. მართლაც, უცნაური ამბავი მოხდა: „მეჩოი“ ცენტრალურმა მცველმა თავისივე საჭარიშო მოედანზე, ცოტა რისკიანად, მაგრამ მაინც ოსტატურად მოატყუა კარისკენ შორდულივით გატყეული ჭოლოდო გოზერია. ფინტზე წამოგებულმა მარცხენა გარემარბმა თავი ვერ შეიკავა და წაიქცა. თუმცა, წაქცევას კი არა, უფრო წაფორსილებას ჰგავდა მისი მოძრაობა, მაგრამ მსაჯმა ჩანტინა და თერთმეტმეტრიანი-საქენ მიუთითა.

— პენალტი არ არის, ჩემით წავეციცი — იყვირა თავზარდაცემულმა ჭოლოდო, მაგრამ როდის იყო, მსაჯი მოთამაშის პრატებს ღებულობდა და გადაწვეტილებას ცდილობდა.

უცელაფერი ისე შავი ძაფით იყო ნაერო, რომ თერთმეტმეტრიანის დანიშვნის გამო ჩხარაგაუღელდ გულშემატკივრებს დიდი ალტაცება არ გამოუთქვამთ.

— შეტუ შეიპერებემ მაინც გააკეთა თავისი ნებლი საქმე! — კბილებს გააბრჭიალა „სი-

ხარული“ მწვანელებმა და თავისი მოთამაშეები კიდევ ერთხელ გააფრთხილა, პენალტის გატანა არავინ გახედოს!

გამტანი კი არა, დამრტყმელი ვინ იყო! ზურვის დაცილებას გოზერიაზე უკეთეს კაცს ვერ ნახავდნენ, მაგრამ ჭოლოდო კვა ააგდო და თავი შეუშვია, იქნებ შემეშალოს და ზურთი კარში გავედესო.

დრო კი უღმობლად მიიწევდა წინ. მსაჯმა „სიხარული“ გააფრთხილა, თერთმეტმეტრიანს დარტყმა დააჩქარეთო. მაინც როგორ უნდა დაეჩქარებინათ, გედონ ფოთოლაძესავით ხომ ქალაქს არ ჩაყრიდნენ და პენალტის დამრტყმელს ფარული კენჭისყრით ხომ არ აირჩევდნენ? უკანასკნელი იმედი შაქრო კიაკაცშვილი იყო და გერმანელმა მას უბრძანა ამ საბედისწერო ნახიფის გადადგმა.

— მღუპავ, ხომ, ტერენტევიჩი! — დასაკლავი ხაროვით დაიღრიალა ცოფმა.

— შე კაცო! დაცილებას რა უნდა! — შეიგულნათა მწვანელებმა.

— დავაცილებ და, ხალხს ვერ დავენახებო, არ დავაცილებ და — თქვენი!

— მიდი, მიდი, ბევრს ნუ ლაპარაკობ!

მათი საუბარი, ცხადია, ტრიბუნებს არ ესმოდა. „სიხარულის“ ფეხბურთელებს შოში ამ პასუხსაგებ მომენტში მათ სრულიად ბუნებრივად მიიჩნიეს.

— მიდი, შაქრო, მიდი! — გაამხსევა ალადინ ართმელაძემ.

— კარგ საქმეზე კი უშვებ, — ჩაილაპარაკა მეტი ჩიხიცშვილმა, — ამისთანა პენალტის დარტყმა სირცხვილია!

— სკვდილი, ახა, მეორე ლიგიდან რომ გავვარდებო, ის იქნება! — აუხსნა ჯიგი ზარანდიამ.

მოწინააღმდეგის საჭარიშო მოედნისკენ მიმავალმა ცოფმა თანდათან მოუშავა ტემპს, გარბოდა და თან გიჟივით მილაპარაკებდა, „ლმეროთო დამაცილებინე, ღმერთო დამაცილებინეო“. სამიწნეს რომ მიუახლოვდა, თვალი დახუჭა და ძლიერი დარტყმით თერთმეტმეტრიანზე დადებული ბურთი კუთხურის ხალხთან აღმართული დროშის მიმართულებით გაგვანა. სანამ თვალს გახვდებოდა, ტრიბუნების გამაყრუებელი სტვენა გაიგონა და მიხვდა, მოწინა ავაცილეო. გახარებული მაღალი ორივე ხელი მაღლა აღმართა და მამაშეცირის მაღლობა მოახსენა.

— რა გახარებს, შე უბედურო, — დაუყვირა კოკო მაღლაფრთხემ. — ბურთი ერთ სამოსხლოზე დაცილე კარს!

უბედურებმა, თურმე, წინ ელოდა, მსაჯმა, ნიშნის მიუცემლად რატომ დარტყიო, და პენალტის გამოერება მოსთხოვა. შაქროს თვალები აღარ დაუხუჭავს, ოღონდ კუთხური ხაზის ნაცვლად, ბურთი დემონსტრაციულად აუტის ხაზსაკენ გაგვანა.

მსოფლიო საფეხბურთო ისტორიაში ეს, ალბათ, უნიკალური შემთხვევა იყო, შაქრო კაცაციშვილის ენები ჩხარაგულელმა გულშემატკივრებმა კარგად გაიგეს და დიდ საფიქრებელშიც ჩავარდნენ. ვერ გადაეწყვიტათ, ცოცხათვის ტაში დაეკრათ თუ ქვები დაეწინათ. შაქროს ოჯახიც გაჩერებული იყო. ამ საერთო დაბნეულობის მომენტში კი „ჩიჩაივში“ სწრაფად მიაწოდეს აუტი, და რადგან შაქრო კაცაციშვილს თავის კარში დაბრუნება ვერ მოეწონო, სტუმრების მარჯვენა გარემარბმა ცენტრის ხაზიდან დაარტყა, თუ არ გამომართლებს, ბურთს მაინც მოვიშორებო. გაუმართლდა და მერე როგორ! მართალია, სულხან გოციაძის დუბლიორმა ვანო კაციაძემ ზედ ზუთან მიუხსრო ბურთს, მაგრამ უხერხულ პოზიციაში იდგა და კუთხურზე გადაგდების ნაცვლად, საკუთარ კარში ჩაჭრა. დიხ, ეს კატასტროფა იყო! „სიხარულმა“ ბურთის ცენტრში მიტარდა ველარ მთასწრო, სამავიეროდ, ემოციურ მაუურებლებს სტვენისა და გინებისათვის დრო საკმაოდ მეტი დარჩათ. ჭავჭავის ამოსაყრელად ზუსტი ადრესატებიც მოეზვნენ.

— კაციაძე შაიონი!

— ცოლე მოვალატე!

ფეხბურთელებს ასეთი ემოციურობისათვის უფრო შეჩვეული ჰქონდათ, მაგრამ ახლამ მწვრთნელმა თავისი განაჩენი პირველად მოისმინა:

— სიკვდილი მელოტის!

— მელოტი პრაქტიკანტი!

მეტი ჩიიკიშვილისთანაა პატრონის კაცი ასეთ უსამართლობას როგორ მოითმენდა, გერმანე არჩავის მაგინებელს პირში ეცა.

— ორი დღეა, გუნდი ჩაიბარა, რა გინდა მაგ კაცთან?

— მოგება მინდა, ორი დღე არ ვიცი მე!

— ცუდად ზომ არ უთამაშიათ? თავი არავის დაუწოვავს.

— სამაგიეროდ, მოწინააღმდეგე დაწოვებს, პენალტი რომ გაიტანათ, ორი ქულა ჯიბეში გაქონდა.

— შევარცხნივ მე მასეთი ორი ქულა, მათხოვრები ზომ არა ვართ!

— არც წითელი კვერცხი ვართ, მაგისთანა პენალტებს უმაღლეს დივანში არტემიენებენ... ხაჩიჩელზე თავი უნდა დაარტყმევინო მწვრთნელს, სიმწრით ნაყიდ თერთმეტმეტრიანზე უარს რომ იტყვის!

ეს უკვე მტრისმეტი იყო და მეტი ჩიიკიშვილმა იფეთქა:

— თავს ახლავე დაგარტყმევინებ საჩიჩელზე! — უუცროა მან და საცემრად წაიწია, მაგრამ მიქელ სოსელიამ და ამურ ტუმეშაშვილმა დროზე დააკავეს.

— გამიწვიო მე მაგის პროფანია დედა ვატარე! — როდესაც მეტი „პროფანს“ ამბობდა, ეს

ამას ნიშნავდა, რომ უკიდურესად გაბრაზებული იყო.

— კარგი, მეტი, როგორ უყარებ თავს მაგ მართლა პროფანს! — ამშვიდებდნენ მეგობრები, ბოლო ის კაცი ცინიკურით ჩააგდეს ტრიბუნიდან, სტადიონზე მტორეგტრ მოხული არ დაგინახოთ!

როდესაც თავი სამშვიდობოზე იგრძნო, ჩაგდებულმა კაცმა პირველი იარაღიდან ამოსაბა: — მტორეგტრ ამ სტადიონზე არც გერმანე არჩავებს მოუწევს მოხვლა და არც შის არაშეიქნე დამცველებს!.. სიკვდილი მელოტის!

გერმანე არჩავებს შისი სიტყვები უკვე აღარ ესმოდა, რადგან, გუნდთან ერთად, გასახდელში იქდა და თავის ბიჭებს სიტყვით მიმართავდა.

— დღევანდელი თამაშისათვის მაღლობის მტრე არაფერი მეთქმის, — აუღელვებლად, თითქმის მზიარულადაც კი დაწყო მწვრთნელმა, — თქვენ იმაზე მეტიც გაკეთეთ, რისი გაკეთებაც შეგეძლოთ მართალია, დღეს დამარცხდით, მაგრამ დიდი მორალური გამარჯვება მოვიპოვეთ, ეს კი ჩვენი მომავალი წარმატების საწინდარია... კიდევ ერთხელ გისმით მაღლობს... თამაშის გარეშე არ გვექნება. დღეს დავისვენებთ და ზვალვე გახვლითი მატჩის ჩახატარებად გავმგზავრებთ.

მწვრთნელის ოპტიმიზმს, ცხადია, უკმაყოფილო ბურთელი არ იზიარებდა, მაგრამ ეს არც იყო მოსალდენდელი, მოულოდნელი მხოლოდ ის აღმოჩნდა, რომ გასახდელთან ერთი ბერიკაცი უცდიდათ. მან არჩავებს წითელი ვარდების თაგული მიართვა.

— ჩვენს ბაღში დაკრფილია, — აუხსნა მობუტმა, — საჩუქრად მიიღეთ.

მელოტი შეცბა.

— დაუმსახურებელი საჩუქარია, ჩემო ბატონო... რისთვის გვაძლევთ ვარდებს, წაგებისათვის?

— დიხ, ასეთი წაგებისათვის! — ამაყად მიუგო ბერიკაცი.

ვარდი რომ უეცლოდ არავის მოუტრეფია, გერმანე იმწამსვე საკუთარ თავზე გაშოსცადა, როგორც კი „სიხარულმა“ დაწვრთნილი ავტობუსი სტადიონს გახვდა, ჩირკვებში ჩამოვლელმა ფანტიკოსმა გულშემატკივრებმა მანქანას ქვები დაუშინეს.

— სიკვდილი „სიხარულს“!

— სიკვდილი მელოტის! — ევიროდა ჰკუთნად გადასული ზალბი, თუმცა, რა ზალბი ეთქმოდა, ოცობადი რძეშეუშრალი უმაწილი და ერთი ჰარმავი კაცი იყო, სწორედ იგი. მეტი ჩიიკიშვილს გალახვას რომ გადაურჩა.

ავტობუსს ორი ფანჯარა ჰქონდა მთელი და იხივ ჩაუშვრების. მინის ნამსხვრევები უკან სავარძელზე მკდომ გერმანეს მოხვდა.

— სახე ზომ არ გაგეკრათ? — ჰკითხა შემეხებულმა ცოფმა.

— გული გაშეკრა, — მიუტოვო მწვრთნელმა და გაქარწული ღოყა ცხვირსასოცით მოიწმინდა.

ჭრილობა ხაშიში არ იყო, უოველ შემთხვევაში, იმ ჭრილობასთან შედარებით, რაც მეორე დილით გერმანე არჩვამეს „ჩხარაგაულის ხმის“ ფურცლებზე გენო ქავთარაძემ მიიყენა. მის წერის, უფრო სწორად, საბარალმდებლო დასკვნას, მტეხად უცნაური სათაური მქონდა: „დონ-კიხოტი მწვრთნელის როლი“. თვით წერილში არანაკლებ უცნაური ამბავი ეწერა:

„გედეონ ფოთლოძე რომ უნიჭო მწვრთნელი იყო და „სიხარული“ რომ დაღუპვის პირამდე მიიყვანა, ამის შესახებ ჩვენ უკვე ვატყობინებდით ჩხარაგაულის რაიონის მოსახლეობას.

საზოგადოებრივი ჯიხის ენერგიული ჩარევის შედეგად, როგორც იქნა, მოვიცილეთ უღირსი მწვრთნელი და ახალი დავნიშნეთ, მაგრამ ხალხური სიბრძნისა არ იყოს, ვაის გავეყარეთ და ვუღის შევეყარეთ, თუმცა სხვანაირი შედეგი არც იყო მოსალოდნელი. ჩვენი ერთადერთი საბედოვანი ტრადიციების მქონე გუნდის ბედ-იღბალი ვანდეთ ისეთ კაცს, რომელსაც უმაღლესი სპორტული განათლება არა აქვს და თერაპიულ მეთადინებებზე ფეხბურთელებს, სპეციალური ლიტერატურის ნაცვლად, ქართული ელასიკური პოეზიის ნიმუშებს უკითხავს... დიამ, ძვირფასო ნკითხელებო, მწვრთნელის სავარძელში გერმანე არჩვამის სახით, დილტანტმა მოიკალათა. ამ კაცმა თავისი საქმიანობა იმით დაიწყო, რომ პრისის მუშაეებს გუნდში მისვლა აუკრძალა და, პირადად, ინტერვიუს მიცემაზე უარი განაცხადა, ერთი სიტყვით, დარჩაის ნაცვლად, „სიხარულის“ საწვრთნელი ბაზის კარში თვითონ ჩადგა და ეურნალისტები თამაშგარე მდგომარეობაში ჩააყენა. ეს კიდევ არაფერი, უფროსმა მწვრთნელმა გუნდი დატოვებინა კინსა და ფეხბურთზე შეუვარებულ ადმინისტრატორ გელა ულუქიშვილს, მსახივსი დიოტირ სულამანიძე კი აბანოში გაგზავნა.

ახალი მწვრთნელის თვითნებობამ კულმინაციის წერტილს მაშინ მიაღწია, როდესაც „მეჩაიხისთან“ თამაშის დროს თავისუფალი მსველიონა და ვეტერანი კამიტნის სულხან გოცამის ნაცვლად, მოედანზე გამოიყვანა მოუშაადებელი ფეხბურთელი ვანო კაციაძე, რომელმაც არჩვამეს ნდობა იმით „დაუფხასა“, რომ უკანასკნელ წუთის ბურთი საკუთარ კარში გაიტანა. მანამდე კი მრავლისმნახველ ჩხარაგაულის „ლუენიკსა“ წარმოუდგენელი სანახაობა გაიმართა: უფროსი მწვრთნელის ბრძანებით, აქაოდა, თერაპიუტერაინი დაუმსახურებლად გვარქუეს, „სიხარულის“ მეკარემ შაქრო კიკიაძევილმა ცდილკის შვილობა გამოამყვანა და თერაპიუტერაინი დარტყმა, ორჯერ ზედიზედ, განგებ ააცდინა სტუმრების კარს, რის გამოც, ორი ქულის აცვლად, ჩხარაგაულის გუნდმა დიდი ნოლი ჩაიწერა გათამაშების ცხრილში და საბოლოოდ

გააქარწული მეორე ლიგაში დარჩენის პერსპექტივაში იმედოც.

საკითხავია, მაინც რა მოსაზრება ამოძრავებდა „სიხარულის“ უფროს მწვრთნელს, როდესაც ასეთ ფანტასტიკურ გადაწყვეტილებას იღებდა? სად, როდის და რომელ ქვეყანაში თქმულია, რომ გუნდმა სხვისი პენალტის ნაცვლად, საკუთარი თერაპიუტერაინი გააქროტებინა. ეს უნიკალური შემთხვევა, ალბათ, განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს საფეხბურთო მატაინეში, რომლის ფურცლებზეც ჩვენი მწვრთნელის გვარს ოქროს ასოებით შეიტანენ.

დონ კიხოტობის გარდა, სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ გერმანე არჩვამის საქციელს? თუმცა, კეთილშობილი ესპანელი იდალგო, ფეხბურთის თამაში რომ სცოდნოდა, მოწინააღმდეგის კარს ქარის წისქვილად ჩათვლიდა და არც ის იტყოდა უარს შიგ ბურთის გატანაზე.

რასაკვირველია, დონ კიხოტო-დონ კიხოტისა უნდა მიეწოდებოდა და მწვრთნელს კიდევ მწერტნელისა, მაგრამ პასუხისმგებლობა, გერმანე არჩვამისთან ერთად, სპორტკომიტეტის ხელმძღვანელის, პოსტზე ასევე შემთხვევით მოხვედრილმა ნაოლიონ ბაგრატიონმაკ უნდა გაიზაროს.

უოველივე შემოაღინშნულის შემდეგ, რა პასუხი უნდა გავცეთ ჩვენი მოწინავე რაიონის გაწილებულ მშრომელებს? ვინ მოუშუშებს მათ მეორე ლიგის დეკარგვით მიყენებულ ტიკიელებს? იქნებ, ვინმე შემოგვედავოს, დასაქარგვით კიდევ წინაა, ოთხი გასვლითი თამაში დაგვრჩაო. გასვლითი ნამდვილად დაგვრჩა, გავივლით და ჩამოვიტანთ ნოლ ქულას, რომელსაც გერმანე არჩვამე მაშველი რგოლივით ვეღარ დაიკიდებს კისერზე და გულშემატიკვართა მრისხანების ტალღას ვეღარ გადაურჩება“.

დილტანტმა და დონ კიხოტმა მწვრთნელმა უთუოდ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც გუნდი მეორე დღესვე მოაშორა ჩხარაგაულს და მორიგ მატჩამდე კარგა ხნით ადრე წიფლიანში ჩაიყვანა. ამ რაიონის გუნდს „შავი შავი“ ერქვა, და მეორე ლიგის ჩემპიონატში პირველი ადგილი ეკავა. ასეთ წარმატებას წიფლიანელებმა იმით მიაღწიეს, რომ, ადგილობრივ შაშვეტთან ერთად, გუნდში სხვა ქალაქებიდან გადმოფრენილი ბულბულებიც გაურჩეს. მაიი გალობა საკმაოდ ხმაშეფუობილი გამოდგა, უოველ შემთხვევაში, სოლიდური მონორარის საფახსურად, მოწვეული სოლისტები ნამდვილ საფეხბურთო სპექტაკლებს მართავდნენ. ფინანსურ სპექტაკლებს კი ის დიდი სიხარული ფარავდა რასაც ჩემპიონობისაკენ დაბეჯითებით მიმავალი გუნდი ანიჭებდა რაიონის ქეშმარტი გულშემატიკვრებს, რომელთა შორის, ცხადია, რევიზორებიც იყვნენ. „შაშვეტს“ მხოლოდ ორად ორი

ქულა სჭირდებოდათ პირველი ადგილის ვადა-
მდე გასანადგებლად. ამ ორ ქულას რომ ბოლო
ადგილზე მყოფ „სიხარულისაგან“ ადვილად აღ-
ებდნენ, ეჭვი არავის ეპარებოდა. ის ფაქტიც
მრავლისმეტყველი იყო, რომ „სიხარულის“ შეხ-
ველბა „მედიტრუსესთან“ წიფლიანელთა მწვრთ-
ნელბმა არათუ ვიდრე მაგნიტოფონზე ჩაიწე-
რეს, არამედ ჩხარაგაულში, საერთოდ, არ ჩასუ-
ლან. მატჩის დღისათვის მასპინძლებმა ჩემპიონ-
ობის დახვედბა გადაწყვიტეს და ოფიცია-
ლური ბანკეტიც შეუკეთეს რესტორან „მადის“
ცისფერ დარბაზში.

მალა ჭამაში მოდის და, ბანკეტთან ერთად,
ფეხბურთელების ფერადი ზურათებიც დახვდ-
ილი მქონდათ, რომ გამარჯვების დღეს ხალხი-
სათვის დაერიგებინათ და ფული გაკეთებინათ.
უფროსებს არც უმცროსები ჩამორჩნენ და ჩხა-
რაგაულიდან წიფლიანში მომავალ გზაზე ცარ-
კით დიდი ასობით წააწერეს: „წიფლიანს ოქ-
ციო, ჩხარაგაულს — ხეივანი“

მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიური დამოუ-
ვებისათვის განკუთვნილი ეს ლოზუნგი წიფლი-
ანში შემოსული „სიხარულის“ ფეხბურთელებს,
რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და
ისედაც გაფუქებული გუნბა-განწყობილბა კი-
დეც უფრო გაუფუქდათ. უველა დარწმუნებული
იყო, მატჩო ამ ლოზუნგს არ გვაგმარებენ და
სახტუმროს ნაცვლად, ბინას კილოფის ხაქსოვი
ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში მიგვიჩენე-
ნო. მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. წიფ-
ლიანელბმა ჩამოსულებს თავიანთი ფეხენე-
ლური სახტუმროს ლუქებში გაქათათბილბი
ლოკიებში გაუშალეს, ხოლო ტახლაზე ახალდა-
კრეფილი კორკიმელი ჩამოურიგეს და ერთი
ბოთლი ვაზიანი „ბორჯომიც“ დაუდგეს. ერთი
სიტყვით, უმალდები დონის მომსახურება იყო.
გერმანე არჩაძე საგონებელში ჩავარდა, მაგნს
ხომ არ შეეშალათ და საერთაშორისო სიმპოზი-
უმის მონაწილენი ხომ არ ვგონივართო. სხვათა
შორის, არქეოლოგიურ გათხრებთან დაკავშირე-
ბული ეს სიმპოზიუმი სპეციალურად ფეხბურ-
თის დღეს უნდა გახსნილიყო და მრავალრიცხო-
ვან სტუმრებს თავიანთ ჭვეუნებში „შავი შაშ-
ვის“ გამარჯვების ამბავი უნდა ჩეტანათ.

როგორც ხედავთ, გერმანე არჩაძეს დიდი სა-
ფიქრლი გაუჩნდა, მაგრამ მისი ვარაუდი მრავ-
ლისმნახებლმა ცოფმა არ გაიზიარა, წიფლია-
ნელბს არაფერი არ ეშლებათ, კარგ მასპინძ-
ლობაში კარგ საფასურსაც მოგვთმოვენო.

მართლაც, შეხვედრებზე ერთი დღით ადრე
„სიხარულს“ „შაშვიბს“ მწვრთნელი ეწვია და
მეზობელი რაიონის წარმომადგენლები დიდი
ამბით მოიკითბა, რას შვრებით, ჩაის გეგმას თუ
ასრულებთო. ჭაღიანებულმა გერმანემ უპა-
სუბა, სანამ ჩაის დავუდებდეთ, თქვენს გეგმაზე
შეგვტკუბონითო. „შაშვიბის“ მწვრთნელმა თავი
ისე დაიჭირა, ვითომ არაფერი გამიგონიაო და

გერმანეს ჰკითბა, ბოდიშო, მაგრამ ფეხბურთს
თქვენ რომელ გუნდში თამაშობდით? ფეხბურთს
კი არა, მე კოვს ვთამაშობდიო, მიუგო გერმა-
ნემ. ამის გაგონებაზე წიფლიანელთა მწვრთნე-
ლი შეერთა, ეს კაცი ჩემზე მეტი შეფერობილი
ყოფილაო, და თავისი ვიზიტის მიზანი გააცნო:

— „შავი შაშვი“ რომ ხვლინდელ შეხვედ-
რას მოიგებს, ამაში ეჭვი ჩვენ კი არა, ალბათ,
არც თქვენ გვაპრებათ. ამიტომ თავს მაინცდა-
მაინც ნუ მოკლავთ, ერთი ბურთის სხვაობით
მოგებაზეც თანახმა ვართ. სამაგიეროდ, გამარ-
ჯვებისათვის დაწესებულ თანხას მთლიანად
თქვენ გადმოგცემთ და როგორც ვაგებარდბათ,
ისე გაინაწილეთ. სახტუმროს ხარჯებსაც ჩვენ
გადაგზავლითო.

გერმანემ თავის კოლეგას ილინცურად შეხე-
და.

— რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ხვალ
მაინცდამაინც თქვენ მოიგებთ?

— იმიტომ, რომ ჩვენ პირველ ადგილზე
ვართ, თქვენ კი ბოლოზე.

— კიდევ?

— საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ.

— კიდევ?

— მსაჯი ჩვენენაა, თქვენენ კი თქვენი
გულშემატკივრებიც არ იქნებიან. ნახათ, ჩხა-
რაგაულიდან ხვალ თუ ვინმე ჩამოვა.

— ხვალ ვინ ჩამოვა, მაგას ხვალ ვნახათ, —
უთხრა გერმანემ და სამშენებლიან ლუქის კარი
გაშოალო, — დღეს კი გთხოვთ, აქედან მიხრძა-
ნდით!

— დიდი სიამოვნებით, — მიუგო „შაშვიბის“
მწვრთნელმა და კართან მისულმა დეარძლიანად
ჩაილაპარაკა: — თუ მტერი არ ნედებბა, მას
ანადგურებენ!

განადგურებამდე ზუსტად ერთი დღე რჩებო-
და. „სიხარული“ მეორე დილის გათენებას მოუ-
თმენლად ელოდა. უველა დარწმუნებული იყო,
ჩხარაგაულიდან უმრავლესობა თუ არა, უმცი-
რესობა მაინც ჩამოგავითხავს და გათავზედებულ-
ლი „შაშვიბის“ წინააღმდეგ ძნელ ორთაბრძო-
ლას შეგვიმსუბუქებსო. მაგრამ დილა ისე გა-
თენდა და მზეც ისე გადაიხარა, რომ ჩხარაგაუ-
ლის მხრიდან მაშველი რაზმების გამოჩენას სა-
შველი არ დაადგა, თქვენ წარმოიდგინეთ, არც
მეტი ჩხიკიშვილი ჩანდა, სწორედ ის მექი,
ვისაც აქამდე „სიხარულის“ არც ერთი მატჩი
არ გაეცდინა.

გერმანე არჩაძე ცუდმა წინათგონობამ შეი-
პყრო, ჩვენ თავს ნამდვილად კარგი ამბავი არ
არისო. ახა, იმას როგორ წარმოიდგენდა, რაც
თამაშის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გაიგო:
ჩხარაგაულიდან წიფლიანში მომავალი სატვირთო
მანქანა ცემენტსაზიდს შესკდომია, ძარაზე
მჭდოლნ ერთადერთი მგზავრი გადმოვარდნილა
ლოდზე თავი დაურტყამს და იქვე გარდაცვლი-
ლა, ხოლო გრძნობადაკარგული მძღოლი და



მისი თანაშემწე უახლოეს საავადმყოფოში წაუყვანათ.

გარდაცვლილი მჭაერი მექი ჩხიკიშვილი აღმოჩნდა... ჩხარაგაულის გულშემატკივრებიდან ეს ერთი წამოსულიყო თავისი გუნდის მხარდასაჭერად, მაგრამ ბედმა შუა გზაზე უშუბთლა...

დამწუხრებულ ფეხბურთელებს თავი ჩაქინდა ერთი და ერთმანეთის შეხედვასაც ვერ ბედავდნენ. დუმილი ცრემლმორეულმა გერმანელ დარღვია.

— სიმართლეს თვალი უნდა გაუხწოროთ, — თქვა მან, — დაგვეღუპა ნომერ პირველი გულშემატკივარი და კაცური კაცი მექი ჩხიკიშვილი. ვინც მას პირადად არ იცნობდა, გზავდნენ, ჩემს სიტუვებს უნდოთ და ჩემთან ერთად დაგვადგენ. გულშემატკივარი იყო, თავისი უკანასკნელი საქციელითაც დაგვიმტკიცა. ათასობით ჩხარაგაულელ გულშემატკივარსაგან მხოლოდ მან დააპირა მხარში ამოსდგომოდა გასაჭირში ჩავარდნილ „სიხარულს“ და მისი მწუხარება გაეზიარებინა... უფურცელზე ჩვენ ქვეზე დაგვიმტკიცა, მექი ჩხიკიშვილმა კი თავისი ალაღი გული შემოგვწირა და საფეხბურთო გზაზე გადადგმული ამ უკანასკნელი ნაბიჯითაც დაგვანახა, თუ რამხელა ძალა ჰქონია ამ ქვეყანაზე სიყვითლესა და პათოსს... „სიხარული“ მოთამაშებოდა, უმორჩილესად გზავდნენ, პატივი მიაგონ მექი ჩხიკიშვილის ნათელ ხსოვნას და შემოაფიცოთ, რომ თავს არ დაზოგვთ ფეხბურთისათვის დადებული კაცის პატივსაცემად.

— ვფიცავ! — იყვირა შაქრო კაიკიშვილმა.

— ვფიცავთ! — ბანი მისცეს დანარჩენებმაც და ერთ მუშტად შეკრული „სიხარული“ მოედანზე „შაშვების“ დასაჭერად გამოვიდა.

ღია, მეორე ლიგის ლიდერთან თამაში დაიწყო, მაგრამ როგორ დაიწყო! წიფლიანელებს ტრიბუნების თავგამოდებულმა მხარდაჭერამ კი არა, მსაჭამაც ვერ უშველა. სამჭერ დაინიშნა პენალტი სტუმრების კარში, მაგრამ სამივეჭერ ცოფმა ფრთები გამოისხა, კოტრიკაძის რეკორდიც მოხსნა და „სიხარულის“ თავდამსხმელებსაც სამი ბურთი გაატანინა „შავი შაშვის“ კარში. მართალია, ჩხარაგაულელებს ამ სამიდან მხოლოდ ერთი ჩაუთვალეს, მაგრამ გამარჯვებისათვის ერთიც კმარაოდა. წიფლიანელები გაოგნებულნი იყვნენ, სტუმრებს დოპინგი ხომ არ მიუღივოდათ, აბა, რა იცოდნენ, რომ მათი დოპინგი მექი ჩხიკიშვილის პატივსაცემად დადებული ფიცს იყო.

ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია, წიფლიანელებმაც პათოსსადა აღიარეს ჩხარაგაულელთა სიძლიერე, თავიანთი ფეხბურთელების სურათები დაწვეს და „სიხარულის“ მოთამაშეები ტაშით გააცდიეს სტადიონიდან.

გერმანე არჩაძის გუნდმა პირველ მეტოქეზე წვეტი ბრძოლა მოიგო, დანარჩენები კი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო; სამი გასვლითი შეხვედრაც „სიხარულის“ გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ლიგის მასშტაბით, ეს სარეკორდო შედეგს წარმოადგენდა, ბოლო ოთხ ტურში რვა შესაძლებლობიდან დაგროვილ რვა ქულით ჩხარაგაულის გუნდმა მეტრე აღიღო. შედეგად გადინაცვლა და აუტსაიდერის სამარცხვინო ხვედრი თავის ტრადიციულ მეტოქეს და მეტოხელს გორდელაურის „მედიტრუსს“ გადაუღო. ამ მართლაც თანატოლურ მიღწევას უკვლავ უპტიმისტი და თავდადებული გულშემატკივარიც კი ვერ წარმოიდგენდა, თუმცა, ასეთი კაცი უკვე ცოცხლებს შორის აღარ ეწერა, მექი ჩხიკიშვილის თავისი მშობლიური სოფლის, ჭუთურის, პატარა და ლამაზ სასაფლაოზე ემარსამუღამო ძილით. სახლისაკენ მიმავალმა „სიხარულს“ ფეხბურთელებმა ამ სოფელში შეაჩერეს თავიანთი ავტობუსი და ცხოვრებაში გაუხარელი კაცის საფლავზე წითელი მიხაკები დააწვეს.

— მშვიდად იძინე, ძვირფასო მექი, — ჩაბაბა ატარებულმა გერმანემ, — შენი წმინდა ხსოვნა ჩვენ მომავალი გამარჯვების გზას გაგვინათებს!

ავტობუსი ისევ ჩხარაგაულისაკენ მიმავალ გზას გაუღდა. ქალაქდროშებული დაბის კარიბჭესთან იგი ხალხის ტალღამ შეაჩერა. რასაკვირველია, გასაღაზავად არ იყვნენ მოსულნი. რაიონის მშრომელები ტრანსპარანტებითა და ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შეხვდნენ ტრიბუნით დაბრუნებულ თავიანთ ფეხბურთელებს... უკრავდა სასულე ორკესტრი, ახალგაზრდული ფესტივალის ლაურეატი — ხანდაზმულთა ფოლკლორული ანსამბლი „ცხრაკაც“ „ხანანეგურას“ მღეროდა, გაისმოდა აღფრთოვანებული შეცხილები:

— გაუმარქოს „სიხარულს!“

— დიდებო მელოტის!

რასპორტკომიტეტის თავმჯდომარის პერსონალური „ვოდეიდან“ ნაოლეონ ბაგრატიონთან ერთად, ვენო ქათამაშე გადმოხტა და ჩხარაგაულელთა უფროს მწვრთნელს კისერზე ჩამოეკიდა.

— მომილოცეს გამარჯვება!... თქვენ დამარწმუნეთ, რომ ნამდვილი მელოტი ყოფილხართ!

— ნუთუ თქვენ მილოცავთ? — შეცბა გერმანე.

— ღია, მე და, ჩემთან ერთად, ჩემი გავითიც. — უთხრა სპორტული განყოფილების გამგემ და საღებავებუშროალი „ჩხარაგაულის ხმა“ გაუწოდა. მეოთხე ჯერდზე, სამგლოვიარო განცხადების ზემოთ, დიდი ასოებით ეწერა: „ჩვენი კრიტიკული გამოცვლის შემდეგ“, ქვემოთ კი პატარა ასოებით შემდეგი ცნობა დაცხადდა: „სიხარულის“ ფეხბურთელთა გუნდმა

(უფროსი მწვრთნელი გ. ტ. არჩვაძე) სწორად სცნო „ჩხარაგაულის ხმა“ კრიტიკული გამოხატვა და მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა აღნიშნული ნაქოლევანების გამოსასწორებლად. კერძოდ, აღმწარდღობითი მუშაობას გაუმჯობესებისა და პრესის კრიტიკულ შენიშვნებზე დროული რეაგირების შედეგად, „მეცხრეუ-სესთან“ საკუთარ მოედანზე წაგების შემდეგ, „სიხარულმა“ მოწინააღმდეგეთა სტადიონზე ოთხივე შეხვედრა მოიგო და მომავალ წელს მე-ოთხე ლიგაში თამაშის უფლება შეინარჩუნა. ზე-მოშოყვანილი ფაქტი კიდევ ერთხელ მივიჩიო-თებს, თუ რა ქმედითი ძალა გააჩნია პრინციპულ კრიტიკასა და მასზე ასევე პრინციპულ რეაგირებას.

გერმანე არჩვაძემ „ჩხარაგაულის ხმა“ ოთხად გაკეცა და სპორტული განყოფილების გამგეს დაუბრუნა. ამ უკანასკნელმა ვერ გაარკვია, დონ კიხიძე მწვრთნელი საბოლოოდ შეირჩა თუ ისევ დამედურებული ჰყავდა, თუმცა, ამდენ ფიქრს ვინ აცლიდა, გერმანე ახლა ნაპოლეონ ბაგრატიონმა შეამკო სამაღლობელი სიტყვებით. გენო ქავთარაძეს ისლ დარჩენოდა, პანა-შვიდზე პირისუფალივით ჩამწკრივებული ფეხ-ბურთელებისათვის ხელი მაგრად ჩამოერთმია და ახალი წარმატებები ესურვებინა მშობლიური ჩხარაგაულის რაიონის საკითხიდან.

ორკესტრი ახლა „ჩემო ტკბილო მეგობაროს“ უკრავდა, „ცხრაკაცა“ სანადიროდ წასული შვიდი გურჯაანელის თავგადასავალს მღერო-და. მოლოცვებსა და ყვავილებს კი ბოლო არ უჩანდა. სულ ბოლოს მაინც ის იდგა, ვინც ყვე-ლაზე პირველად უნდა გამოჩენილიყო. დიახ, ლატავრა კოკობინაძეს საგანგებოდ ამ მოვლენისათვის შედეგა წითელწიწკლებიანი კალმა-ხისფერი კაბა. თითონაც კალმახივით, არა კალ-

მახივით კი არა, უღამაზესი ყვავილივით უნდა ბდა თაიგულის ზღვაში და თავის რიგს მოთმინებით ელოდებოდა, რომ გერმანე არჩვაძისათვის ერთადერთი სიტყვა ეთქვა:

— მოგილოცავთ!

— გამდლობთ! — ერთადერთივე სიტყვა დაუბრუნა გერმანემა და ისეთი განწყობილება დაეუფლა, თითქოს ჩიტივით ფრთები გამოსხმოდა და უღრუბლო ზეცაში ნავარდობდა, რასაკვირველია, ლატავრასთან ერთად.

ასეთი ბედნიერი წუთები მხოლოდ დიდ ბედნიერებას მოაქვს. ფრთებშეხბმული გერმანე ოცნების ჰაეროვან კოშკებში დანავარდობდა, დარწმუნებული იყო, რომ გაისად „სიხარულს“ პირველ ლიგაში გადაიყვანდა, მერე საგულდა-გულად გამოწრდილ ფეხბურთელებს მთიდან ბარში ჩამოაბარებდა, ვეტერანებს მხარში ახალგაზრდებს ამოუყენებდა, რომ უმაღლესი ლიგისაკენ მიმავალი შორეული გზების დაეღაშე-რა... სხვა გზა რომ მოკრილი მქონდა, ისიც შე-სანიშნავად იცოდა. ყველაფერს თავისი დრო აქვს: სიხარულს, მწუხარებას სცვლის, აღმაფრენას-დაცემა, მწვერვალზე ასული კაციც დაბ-ლა უნდა დაქანდეს და ტაშ-ფანდურის ნაცვ-ლადა, ქვების სროლით უნდა გააცილონ.

დაუმსახურებელი წყენა და უმადურობა ფეხბურთელთა მწვრთნელს ნადრევად აქაღარა-ვებს ხოლმე, მაგრამ თმაგაცენილ გერმანეს ეს პერსპექტივა უკვე აღარ აზინებდა, მეგობრების ღალატსაც გაუძლებდა როგორმე, ოღონდ გულს არ უნდა ეღალატა და ბურთივით უნდა ებტუნა საგულეში. ერთი სიტყვით, გერმანე არჩვაძე ფოთოლდაცხავით ვერსად გაიქცეოდა. ჩხარაგაული მისი მშობლიური ქალაქი იყო და ამ ქალაქში ლატავრა კოკობინაძე ცხოვრობდა..

დასასრული

ჩვენის მისამართი: თბილისი, 880007, დიდიანის ქ. № 2.

ტელეფონი: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-76, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-86, პროზის — 72-26-80, „ცხრაკაცის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადეცა ისაწყობად 4. 01. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 02. 85 წ. ქალაქის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15.85.

შეკვ. № 11.

უგ 01452

ტირაჟი 62. 000

საქართველოს კვ. ც.-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

სიმღერა გამარჯვებისა

შხამად შეერგოს დედის რძე, ცოფს პყრიდეს პირზიზღიანი,
დაეცეს, ხსნას არ ელოდეს, ჯერ მოირჩინოს ზიანი,
დაძრწოდეს, გზას ვერ იკვლევდეს გახელებული, ზნიანი,
მეწყერი წამოეწიოს, დღე დაუბნელდეს მზიანი!

პურს ჭამდეს, — მიწა ეგონოს, ყვავ-ყორნის ლეშად ქცეული,
წყალს სვამდეს, — სისხლი ეგონოს, შხამ-გესლად ჩამოქცეული,
იწვოდეს, იტანჯებოდეს, როგორც იუდა წყეული,
მშიერ-მწყურვალე კვდებოდეს მეზობლებს გამოქცეული! —

ვინც უღალატოს სამშობლოს, დიად საბჭოთა მხარესა,
მთა-გორებს, ვეფხისტყაოსნებს, მორთულ-მოფარულ არესა,
ჩვენს მამულს, — შრომით აღდგენილს, მშობლიურ მზეს და მთვარესა,
ჭერმალალ ცას და ვარსკვლავებს, მოკაშკაშ-მოელვარესა!

წითელი დროშა გავშალოთ, ორბისფრთა ნაპერწკლოვანი,
დავძახოთ ბრძოლის ყიჟინა მრისხანე, ხმაცეცხლოვანი,
მტრებს დავცხოთ! ქარბუქს მიჰქონდეს მათი ოხვრა და გლოვანი,
კვლავ ვასახელოთ გმირობით სამშობლო სახელოვანი!

ალექსანდრე მირცხულავა

1941

47/32

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ